



7

ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენსიის სამართალში

(განმინებები და გადაწყვეტილებები)

შეადგინა და

კომენტარი დაურთო

ემპა ბოცირიკემ

რედაქტორი

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2006

ISBN 99940-67-15-X

© გამომცემლობა „სტამბა ქართული ფილმი“ 2006 წ.
© ევა გოცირიძე - 2006 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

აზრის გამოსატვის თავისუფლება ღირებულებათა
კონფლიქტის დროს (სტრასბურგის იურიუსკარულენ-
ციის კომენტარი) – ევა ბოტირიკე 8

ბაღაწყვეტილებები და განჩინებები

1. ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ
(Otto Preminger Institut v. Austria) 22
2. იერსილდი დანიის წინააღმდეგ
(Jersild v. Denmark)..... 25
3. ფოგტი გერმანიის წინააღმდეგ
(Vogt v. Germany)..... 30
4. გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
(Goodwin v. The United Kingdom)..... 37
5. უინგროუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
(Wirgrowe v. The United Kingdom)..... 43
6. ვირტშაფტს-ტრენდ ცაიტშრიფტენ-ვერლაგს გმბჰ ავსტრიის
წინააღმდეგ
(Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlags GmbH v. Austria)..... 48
7. დემუთი შვეიცარიის წინააღმდეგ
(Demuth v. Switzerland)..... 51
8. ჰერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ
(Hertel v. Switzerland)..... 54
9. „უნაბჰანგივე ინიციატივ ინფორმაციონსფიფალტ“ ავსტრიის
წინააღმდეგ
(“Unabhängige initiative informationsvielfalt” v. Austria)..... 58
10. დიხანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ
(Dichand and others v. Austria)..... 61
11. კომპანია „კრონე ფერლაგ გმბჰ ენდ კო. კგ“ ავსტრიის წინააღმდეგ
(Krone Verlag GmbH & Co.KG v. Austria).....65
12. იოვანოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ
(Jovanovic v. Croatia”) 68
13. გავედა პოლონეთის წინააღმდეგ
(Gaweda v. Poland)..... 70
14. ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ
(Nikula v. Finland)..... 73
15. მაკ-ვიკარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
(Mc Vicar v. The United Kingdom)..... 77

16. კოლომბანი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Colombani and others v. France).....	81
17. სტამბუკი გერმანიის წინააღმდეგ (Stambuk v. Germany).....	88
18. ჩეტინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Çetin and Others v. Turkey).....	89
19. მერფი ირლანდიის წინააღმდეგ (Merphy v. Ireland).....	95
20. გალოდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Garaudy v. France).....	99
21. ინდიფენდენტ ნიუს ენდ მედია“ ირლანდიის წინააღმდეგ“ (Independent News and Media v. Ireland).....	101
22. შტორი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Steur v. the Netherlands).....	107
23. ალვეს კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ (Alves Costa v. Portugal).....	114
24. რადიოსამაუწყებლო კომპანია „რადიოფრანსი“ და სხვ. საფრანგეთის წინააღმდეგ (Radio France and Others v. France).....	116
25. ს.ბ. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (S.B. and others v. Belgium).....	130
26. ამიჰალაჩიოაიე მოლდოვას წინააღმდეგ (Amihalachioaie v. Moldova).....	133
27. „პლონი“ საფრანგეთის წინააღმდეგ (Plon (Société) v. France).....	135
28. სელო საფრანგეთის წინააღმდეგ (Seurot v. France).....	140
29. ორგანიზაცია „ვიდეს აიზსარსიბას კლუბს“ ლატვიის წინააღმდეგ (“Vides Aizsarszibas Klubs” v. Latvia).....	142
30. ვირტშაფტს-ტრენდ ცაიტშრიფტენ“ ვერლაგს გმბჰ ავსტრიის წინააღმდეგ (Wirtschafts-trend Zeitschriften-Verlags GmbH v. Austria).....	146
31. შოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Chauvy and Others v. France).....	148
32. ჰარაბინი სლოვაკიის წინააღმდეგ (Harabini v. Slovakia).....	151
33. ჰრიკო სლოვაკიის წინააღმდეგ (Hrico v. Slovakia).....	154
34. კარჰუეარა და ილტალექტი ფინეთის წინააღმდეგ	

(Karhuvaara and Iltalehti v. Finland).....	157
35. ნორუელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Norwood v. the United Kingdom).....	160
36. სელისტიო ფინეთის წინააღმდეგ (Selistö v. Finland).....	163
37. პედერსენი და ბაადსგაარდი დანიის წინააღმდეგ (№1) (Pedersen and Baadsgaard v. Denmark).....	168
38. პედერსენი და ბაადსგაარდი დანიის წინააღმდეგ (№2) (Pedersen and Baadsgaard v. Denmark).....	172
39. კუმპინი და მაზირე რუმინეთის წინააღმდეგ (Cumpinî and Mazîre v. Romania).....	179
40. ბუსუიოკი მოლდოვას წინააღმდეგ (Busuioc v. Moldova).....	199
41. უაიტი შვედეთის წინააღმდეგ (White v. Sweden).....	202
42. უკრაინის მედია ჯგუფი უკრაინის წინააღმდეგ (Ukrainian Media Group v. Ukraine).....	209
43. ალინაკი თურქეთის წინააღმდეგ (Alinak v. Turkey).....	219
44. სალოვი უკრაინის წინააღმდეგ (Salov v. Ukraine).....	224
45. ჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Han v. Turkey).....	233
46. კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ №1 (Kyprianou v. Cyprus).....	238
47. კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ №2 (Kyprianou v. Cyprus).....	246
48. სეგერსტედ ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (Segerstedt-Wiberg and Others v. Sweden).....	272
49. მანოლე და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ (Manole v. Moldova).....	279
50. მელნიჩუკი უკრაინის წინააღმდეგ (Melnychuk v. Ukraine).....	281

ევან გოცირიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მრჩეველი ადამიანის უფლებათა

ევროპულ სამართალში

აზრის გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტის დროს

(სტრასბურგის იურისარაღმდებლის კომენტარი)

წინამდებარე კრებული სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის გასაცნობად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრში წინათ მომზადებული სხვა კრებულებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთ უფლებას – აზრის გამოხატვის თავისუფლებას შეეხება. მივიჩნით, რომ წინარე კრებულებმა, ისევე, როგორც საერთოდ ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების ქართულ სამართალში დასამკვიდრებლად გაწეულმა ძალისხმევამ¹, უკვე მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ ყურადღება ცალკეულ უფლებებზე, მათთან დაკავშირებული კერძო და სპეციფიკური საკითხების სიღრმისეულ შესწავლაზე გადავიტანოთ.

რატომ შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება, პირველ რიგში, აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე? იმიტომ, რომ ეს უფლება, როგორც თავად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების წინაპირობა;² იგი არა მარტო თავისთავადი სიკეთე და ღირებულებაა, არამედ, იმავდროულად, სხვა ღირებულებათა დაცვის საუკეთესო საშუალება; იგი პიროვნების თვითრეალიზაციის წინამძღვარი კი

¹ ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა ახლახან გამოცემული წიგნი „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი“ (რედაქტორი ლალექსიძე), 2005.

² იხ. *Handyside v. the United Kingdom*, judgment 7 December 1976

არ არის მხოლოდ, არამედ – ჭეშმარიტების გამოვლენის, მისი მიღწევის გზაც, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხებზე ღია, თავისუფალი დისკუსიები, ურომლისოდაც არ არსებობს დემოკრატიული განვითარება. საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვა უზნიშვნელოვანესია იმისათვის, რათა საზოგადოებამ მათ შესახებ შეიმუშაოს საკუთარი აზრი და გააკეთოს მართებული არჩევანი. სწორედ ამიტომ, იდეებისა და ინფორმაციების თავისუფლად გავრცელების უფლება იმავდროულად გულისხმობს მათი მიღების უფლებასაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში. იდეებისა და ინფორმაციების გავრცელება პრესისათვის მარტო უფლება კი არა, ძოვალეობაცაა, გამომდინარე ე.წ. „მოღარაჯე ნაგაზის“ (*watching dog*) იმ როლიდან, რომელიც მას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკისრება. აზრის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მასმედიისა, მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესი კი არ არის, არამედ – იმავდროულად საზოგადოებრივი, საჯარო ინტერესიცაა, ვინაიდან „არა მარტო პრესას აქვს უფლება, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, არამედ ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ისინი და იქონიოს მათ შესახებ საკუთარი აზრი და შეხედულება“.³

სწორედ ამის გამო გავაკეთეთ პირველი არჩევანი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაზე, თუმცა, ცხადია, სხვა ფაქტორებიც გავითვალისწინეთ.

კერძოდ: აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებას სხვა კანონიერ ინტერესებში შეჭრის დიდი პოტენცია გააჩნია თავისი ონტოლოგიური ბუნების გამო. იგი ხშირად უპირისპირდება სხვა კანონიერ ინტერესებს – საერთო საჯარო ინტერესებსა თუ სხვა პირთა უფლებებს. ზოგიერთი „აზრის გამოხატვას“ საშიში

³ ზემოაღნიშნულ დებულებას ევროპული სასამართლო თითქმის ყველა იმ განჩინებაში იმეორებს, რომელიც პრესის თავისუფლებას შეეხება; მაგალითისათვის იხ. *Observer and Guardian v. the United Kingdom* (26.11.91), §59. *Sunday Times (NI) v. the United Kingdom* (26.04.74) § 50, *Jersild v. Denmark* (23.09.94), §31, *Lingens v. Austria* (8.07.86), §41, იხ. აგრეთვე Council of Europe, Committee of Ministers, Declaration on Freedom of Political debate in media, adopted by the Committee of Ministers on 12 February 2004.

სოციალური შედეგებიც კი შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ისეთი აზრების გავრცელებამ, რომლებიც აქეზებენ დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ, მოუწოდებენ ძალადობის, აჯანყებისა თუ ტერორისტული აქტებისაკენ, გამოხატავენ რასობრივ თუ რელიგიურ სიძულვილს, გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს. განსაკუთრებით იზრდება ამის საშიშროება, როდესაც შესაბამისი აზრები მასმედიის საშუალებით არის გავრცელებული. როგორც **ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიკი** აღნიშნავენ, „მასმედიას ძალუძს სხვა ინტერესების ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი დარღვევა“.⁴ ცხადია, ასეთი შედეგების თავიდან აცილების ვალდებულება სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს. სწორედ ამით აიხსნება ის ერთგვარი „პარადოქსი“, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებამ, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების საყრდენად და მისი განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული, შეიძლება თავად შეუქმნას საფრთხე საზოგადოებრივ ინტერესებს და შეიზღუდოს მისივე დაცვის მოსაზრებებით.

აზრის გამოხატვის თავისუფლების ამგვარი სპეციფიკურობის – ერთი მხრივ, დემოკრატიული პროცესის ფუნქციონირებისათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის უნარის გამო, **გაცილებით უფრო პრობლემატური ხდება სამართლიანი ბალანსის განსაზღვრა ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების შემთხვევაში**; გართულებულია იმის შეფასება, თუ რამდენად გამართლებული იყო მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა შესაბამისი საჯარო ან სხვა პირთა ინტერესის დასაცავად.

უაღრესად მნიშვნელოვანია აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის **აქტუალურობა საქართველოსთვის**.

ცხადია, რომ ტოტალიტარიზმის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის შემდგომ, რომელშიც ეს თავისუფლება დათრგუნული იყო, საქართველოში დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობისათვის უზარმაზარი დატვირთვა შეიძინა

⁴D.G.Harris, M.O'Boyle, C.Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, Butterwarths, London, Dublin, Edinburg, 1995, გვ.376.

ამ თავისუფლების რეალურმა უზრუნველყოფამ. „რეალური უზრუნველყოფა“ კი ვერ იკმარებს ამ თავისუფლების ოდენ დეკლარირებას კონსტიტუციითა თუ კანონებით. იგი მოითხოვს აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის მყარი გარანტიების შექმნას, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ასპექტს მოიცავს. ერთი მხრივ, იგი გულისხმობს რეალური, ჯანსაღი თავისუფლების დამკვიდრებას, რომელსაც არ ახლავს შიშის გრძობა და ერთგვარი მოლოდინი იმისა, რომ გამოხატული შეხედულებების გამო ადამიანი შეიძლება პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაექვემდებაროს რეპრესიას, დევნას, შევიწროებას, ანდა ამან დააბრკოლოს მისი წარმატება თუ წინსვლა პროფესიული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში. მეორე მხრივ, იგი გულისხმობს თავისუფლებით სარგებლობის კულტურას – იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ნებაყოფლობით, შეგნებულად თავის თავზე ადებს, რაც თანაარსია თავისუფლებისა და მისგან განუყოფელი. ეს ყოველივე იმისთვის არის აუცილებელი, რომ დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარი (აზრის გამოხატვის თავისუფლება) მის საწინააღმდეგოდვე არ იყოს გამოყენებული.⁵ ცხადია, ასევე უადრესად მნიშვნელოვანია აზრის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად ქმედითი გარანტიების შექმნა როგორც ამ თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის აღსაკვეთად, ისე – დარღვეული უფლების აღდგენა-გამოსწორებისათვის.

განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური სიტყვისა და პრესის თავისუფლების საკითხები. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლისა და ინფორმაციის გავრცელების სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, ევროპული სასამართლო უკიდურესად ზღუდავს მათში ჩარევის გამართლებულად მიჩნევის შესაძლებლობას, ყველაზე უფრო მაღალ სტანდარტებს გამოიყენებს და კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ნიადაგ ამ სტანდარტების დაცვას ჩააგონებს.

⁵ საეკსპერტო ვეფხვანძეები პაატა ცნობილადის მოსაზრებას, რომ დაუშვებელია აზრისა და სიტყვის თავისუფლების დისკრედიტაცია. იხ. პაატა ცნობილადე – სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (კ. კარკელაის რედაქტორობით), თბილისი, 2002, გვ.254.

პრესის (ისევე, როგორც საერთოდ მასმედის) თავისუფლების რეალური დამკვიდრების მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა თუ ცალკეულ ჟურნალისტთა უფლებებში (მათ შორის, სარედაქციო პოლიტიკაში) გაუმართლებელი ჩარევის შემთხვევები. მეორე მხრივ, თავისუფლებას დაწაფებულ ქართველ ჟურნალისტთა საქმიანობაში ჯერ საკმარისად არ იგრძნობა „თვითშეზღუდვისა“ და „თვითცენზურის“ კულტურა; ხშირია პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევისა და სხვა ადამიანთა უფლებებისა და რეპუტაციის გაუმართლებელი, უხეში ხელყოფის შემთხვევები. ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი მათ საშუალებას მისცემს, კარგად გაიცნობიერონ, როდის და რა შემთხვევებში ენიჭება მასმედის ძალიან დიდი (თუმცა, ის არასოდეს არ არის უსაზღვრო, აბსოლუტური) თავისუფლება და როდის – შედარებით შეზღუდული; ვისი ან რისი კრიტიკის თავისუფლებაა თითქმის შეუზღუდავი და როდისაა იგი გარკვეულ ფარგლებში მოქცეული.

ეს თემატიკა საინტერესო და აქტუალურია კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისითაც. ამავე დროს, იგი მოსამართლეებს და ყველა იმათ, ვინც ადამიანის უფლებათა საკითხებს წყვეტს, გაუადვილებს საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის პირობებშიც კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაზე დაყრდნობით, უზრუნველყონ აზრის გამოხატვის თავისუფლების ეფექტიანი დაცვა, კონფლიქტის შემთხვევაში კი – მისი გონივრული დაბალანსება დაპირისპირებულ ინტერესებთან.

აზრის გამოხატვის თავისუფლების ამ მნიშვნელობის, სპეციფიკურობისა და აქტუალურობის გამო შეისწავლა ადამიანის უფლებათა ცენტრმა კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენცია, რომელიც ძალზე მრავალმხრივი და საინტერესო პრობლემატიკით ხასიათდება.

ევროპული სასამართლოს ქვემოთ გადმოცემული განჩინებები თუ გადაწყვეტილებები ამ პრობლემატიკას მეტ-ნაკლებად მაინც ასახავს. ვფიქრობთ, ისინი ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ

შემუშავებული მიდგომების, პრინციპების, დოქტრინებისა თუ კონცეფციების გაგება-გათავისებას.

* * *

საქმეში *Goodwin v. the United Kingdom* წამყვანი თემა იყო ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვა. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ასეთი დაცვის გარეშე ჟურნალისტები ვერ შეიძლებდნენ, განეხორციელებინათ პრესის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჟურნალისტის დაცვას ინფორმაციის წყაროს დასახელებისაგან მან „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი“ უწოდა.

საქმეები *Otto-Preminger-Institut v. Austria* და *Wingrove v. the United Kingdom* შეეხება აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივი მორალის, შემწყნარებლობის აღმოსაფეროსა და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დასაცავად. განჩინებათა დებულებების გაცნობით მკითხველი იოლად გაერკვევა იმაში, თუ რატომ მიაკუთვნებს ევროპული სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს ამ საჯარო ინტერესების დაცვის სფეროში და რატომ უწევს დიდ ანგარიშს მას გადაწყვეტილებას. *Otto-Preminger*-ის საქმის განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა თავისი ცნობილი დებულება აზრის გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შესახებ, ახსნა მათი შინაარსი და რაობა.

„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონტექსტში, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*, რომელიც ჟურნალისტების მხრიდან პოლიციის უფროსის მიძიმე ბრალდებას შეეხებოდა. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტი მოვალე იყო, საზოგადოება მოემარაგებინა სწორი, ნამდვილი და გადამოწმებული ინფორმაციით, რომ ზოგჯერ „შეფასებითი მსჯელობაც“ კი შეიძლებოდა შეზღუდულიყო, თუ იგი საკმარის ფაქტობრივ საფუძველს არ ემყარებოდა და, რომ ბრალდების დასაბუთებულობის მოთხოვნა ბრალდების სიმძიმის

პროპორციულად უნდა განსაზღვრულიყო; მძიმე ბრალდებას, შესაბამისად – სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი ესაჭიროებოდა.

ამავე და კიდევ სხვა არაერთი თვალსაზრისით არის საინტერესო საქმე *Radio France v. France*, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ პიროვნების რეპუტაციისათვის დიდი ზიანის მიყენება ვერ ჩათვალა გამართლებულად, მიუხედავად ჟურნალისტიკის მხრიდან ე.წ. „გადაჭარბებისა და პროვოკაციის“ უფლებისა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაციის დამახინჯებულად გადაცემა შესაბამის გარემოებებში ვერ ჩაითვლებოდა ისეთ „გადაჭარბებად“ ან „პროვოკაციად“, რომელიც გამართლებული იქნებოდა ჟურნალისტური თავისუფლების კონტექსტში. ზემოაღნიშნული განჩინება მკითხველს იმის გარკვევაშიც დაეხმარება, თუ რას გულისხმობს რედაქტორთა „პასუხისმგებლობის პრეზუმფცია“, როდისაა იგი უცილობელი (*irrebutable*) და როდის ინაწილებს რედაქტორი ჟურნალისტთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“ მის მიერ პირდაპირ ეთერში გადაცემული უსწორო ინფორმაციისათვის.

საქმეები *Garaudy v. France* და *Norwood v. the United Kingdom* შეეხება „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ყველაზე უფრო მძიმე დარღვევას – აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას და მის ყველაზე უფრო უკიდურეს გამოვლინებებს, სახელდობრ – რასობრივი და რელიგიური ნიშნით მასობრივ საჯარო შეურაცხყოფასა და დიფამაციას. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი შეხედულებების გამოხატვა სრულიად შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ შემწყნარებლობასთან და სახელმწიფოს მხრიდან მის შეზღუდვას ყოველთვის გამართლებულად მიიჩნევს. მაგრამ მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ, ყველა სხვა შემთხვევისაგან განსხვავებით, შეზღუდვის გამართლება ხდება არა საკუთრივ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, არამედ კონვენციის მე-17 მუხლის საფუძველზე, რომელიც კონვენციის უფლებების ბოროტად გამოყენებას კრძალავს. ევროპული სასამართლოს შეხედულებით, ასეთი გამოვლინებანი ეწინააღმდეგება აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას, კონვენციის სულისკვეთებასა და მის ღირებულებებს და მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევები

კონვენციის მე-17 მუხლს გაჰყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან. იგი საჩივარს მიუღებლად აცხადებს კონვენციასთან მისი საგნობრივი შეუთავსებლობის გამო (*ratione materiae*). ამრიგად, ზემოაღნიშნულ განჩინებებში მკითხველი მიიძევს პასუხს იმ კითხვაზე, თუ როგორი „აზრის გამოხატვა“ არ იმყოფება საერთოდ კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში და რა მიდგომებია დამკვიდრებული სიძულვილის გაღვივებასთან (*hate speech*), ანდა ისტორიულად უტყუარად დადგენილი ფაქტების უარყოფასთან მიმართებაში. ამავე პრობლემატიკას ეხმიანება, აგრეთვე, საქმე *Chauvy and Others v. France*, რომელიც ისტორიული მოვლენების (კერძოდ – საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობასთან დაკავშირებული ფაქტების) შესახებ ოფიციალური ვერსიის რევიზიას შეეხებოდა.

მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ზემოაღნიშნულ საქმეთა შედარება *Jersild*-ის საქმესთან, რომელიც რასობრივი სიძულვილის გავრცელებაში დახმარებისათვის ჟურნალისტის სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას შეეხებოდა. საგულისხმოა, რომ მოცემულ საქმეში ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ჟურნალისტის თავისუფლების სასარგებლო ბალანსი მიიჩნია სამართლიანად, თუმცა სავარაუდოა შემდეგი: რომ არა საკუთრივ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდებას სიმკაცრე და მისი „მსუსხავი ეფექტი“ ჟურნალისტთა თავისუფლებაზე, ინფორმაციის გადაცემის თავისუფლება ვერ გადაწონიდა უხეში შელახვისაგან ადამიანთა დიდი ჯგუფების რეპუტაციის დაცვის ინტერესს. კრებულში გადმოცემულია უმცირესობაში დარჩენილ მოსამართლეთა შეხედულებებიც, რომელთა გაცნობა მკითხველს დაეხმარება რეპუტაციის უფლებასა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას შორის ღირებულებათა შესაბამისი კონფლიქტის სიღრმისეულ ანალიზში.

კრებულში თავმოყრილი განჩინებები და გადაწყვეტილებები საკმარისი მასალაა „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციაში გასარკვევად. სტრასბურგის პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული მიდგომების თანახმად, „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ყველაზე ფართოა (თითქმის აბსოლუტური) ხელისუფლების გაუპიროვნებელი კრიტიკის დროს, ძალიან ფართო

– პოლიტიკოსებთან მიმართებაში, შედარებით ვიწრო – სახელმწიფო მოხელეთა მიმართ, ყველაზე უფრო ვიწრო კი – კერძო პირებთან მიმართებაში. ფარგლების სიფართოვე თუ სივიწროვე დამოკიდებულია კრიტიკის ობიექტის მდგომარეობასა და თავდაცვის საშუალებებზე. რაც უფრო დაუცველია პიროვნება, სახელმწიფოს ვალდებულება მისი რეპუტაციის დაცვისა, მით უფრო ძლიერია. სახელმწიფო მოხელეთა შუალედური მდგომარეობა, ამ მიმართებით, წარმოდგება, ერთი მხრივ, სახელმწიფო სამსახურისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნების აუცილებლობიდან, მეორე მხრივ, მათზე დაკისრებული „თავშეკავებულობის“ მოთხოვნიდან, მათ შორის – კრიტიკაზე პასუხის გაცემასთან მიმართებაში. სასამართლოს პრაქტიკით ზემოაღნიშნული საკითხები ზედმიწევნით არის დამუშავებული. იხ. *Nikula v. Finland* (პროკურორის კრიტიკა); *Steur v. the Netherlands* (გამომძიებლის კრიტიკა); *Hrico v. Slovakia* (მოსამართლის კრიტიკა); *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*, *Wirtschafts-trend Zeischriften Verlag GmbH v. Austria* (პოლიციელთა კრიტიკა); *Unabhängige initiativve informationsveifalt v. Austria*; *Ukrainian Media Group v. Ukraine*; *Dichand and Others v. Austria*; *Independent News and Media v. Ireland* (პოლიტიკოსის კრიტიკა); *Colombani and Others v. France* (უცხო სახელმწიფოს მეთაურის კრიტიკა); *McVicar v. the United Kingdom*, *Selistö v. Finland*; *Alves Costa v. Portugal*; *Vides Aizsavszibas Klubs v. Latvia*, *Busuioc v. Moldova* (კერძო პირთა კრიტიკა) და სხვ.

სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. მათი „თავშეკავებულობის ვალდებულება“ უკავშირდება არა მარტო მათ წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემის შეზღუდვას, არამედ – მათი მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის („პოლიტიკური ლოიალობის“) პრინციპის დაცვასაც. ამ პრინციპის დაუცველობა სახელმწიფოს აღჭურავს სანქციების გამოყენების უფლებამოსილებით. ასეთ საქმეებში სირთულე სწორედ იმის შეფასებას უკავშირდება, თუ როგორი სანქციები შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის შემთხვევაში აზრის გამოხატვის თავისუფლებაში „თანაზომიერ ჩარევად“ სახელმწიფო

სამსახურის ავტორიტეტის დაცვის ინტერესთან მიმართებაში (იხ. საქმე *Vogt v. Germany*).

უაღრესად მნიშვნელოვანია პუბლიკაციებით პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრებაში ჩარევის შეფასება კონვენციის საფუძველზე. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრებაც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეადგენს, მაგრამ ამ სფეროში სამართლიანი ბალანსის ძიება მეტად დელიკატური ამოცანაა. შესატყვისი მაგალითია საქმე *Plon v. France*, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის – ფრანსუა მიტერანის კიბოთი დაავადების ისტორიის აღწერას მისი პირადი ექიმის მიერ წიგნში, რომლის გამოქვეყნებასაც იგი პრეზიდენტის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში აპირებდა. ევროპულმა სასამართლომ დროის სხვადასხვა პერიოდებთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად შეაფასა წიგნის გამოქვეყნების აკრძალვის აუცილებლობა და სხვადასხვაგვარად გადაწყვიტა, თუ როდის სჭარბობდა კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის დაცვის საჭიროება საზოგადოების უფლებას, ემსჯელა პრეზიდენტის მიერ თავისი ავადმყოფობის დამალვის ფაქტზე (იხ. აგრეთვე *Karhuvaara and Iltalehti v. Finland*, რომელიც პრესის პუბლიკაციით დეპუტატის პირადი ცხოვრების ხელყოფას შეეხებოდა).

ასევე აქტუალურია ადვოკატის სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. ადვოკატის სიტყვის თავისუფლება, მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ფასობს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვამ სასამართლო პროცესის დროს თავისი ფუნქციის განხორციელებისას, იმავდროულად შეიძლება მისი კლიენტის უფლებების დარღვევაც გამოიწვიოს (მხედველობაშია კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „საქმის სამართლიანი განხილვის“ უფლება). მეორე მხრივ, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისადმი და საერთოდ სასამართლოსადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებას, ამიტომ ზედმიწევნით ზდება იმის შემოწმება, მიაყენა თუ არა ზიანი ადვოკატის საქციელმა სასამართლოს ავტორიტეტს ან თავისი პროფესიის ღირსებას. ასეთ საქმეებში ხშირად არის გადამწყვეტი,

გადალახა თუ არა მან დასაშვები კრიტიკის ფარგლები (პროკურორის, გამოძიებლის და სასამართლოს მიმართ) და იყო თუ არა მისი კრიტიკა შემოფარგლული განსახილველი საქმის არსებითი საკითხებით (იხ. *Nikula v. Finland, Steur v. the Netherlands*).

განსაკუთრებით ფრთხილ მიდგომას საჭიროებს კრიტიკა თუ სხვაგვარი გამონათქვამი სასამართლოს მისამართით, რომელიც შიდა სამართლით განიხილება, როგორც „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“. ერთ-ერთი ასეთი ძალზე მნიშვნელოვანი საქმე *Kyprianou v. Cyprus* კრებულში დეტალურად არის გადმოცემული. იგი შეეხებოდა ადვოკატის სისხლისსამართებრივ დასჯას „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“. განჩინების დებულებების, ისევე, როგორც მხარეთა (მათ შორის – მესამე მხარის) არგუმენტების გაცნობა საინტერესოა არა მარტო ადვოკატის სიტყვის თავისუფლებასა და სასამართლოს ავტორიტეტს შორის ღირებულებათა კონფლიქტის თვალსაზრისით, არამედ იმ კუთხითაც, თუ რამდენად შეესაბამება ევროპულ კონვენციას საერთო სამართლის ქვეყნებში ე.წ. „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ (*summary jurisdiction*) გამოყენება „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეებზე, არღვევს თუ არა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეთა განხილვა იმ სასამართლო შემადგენლობის მიერ, ვის წინამეც იგი სავარაუდოდ იქნა ჩადენილი.

კრიტიკაზე პასუხის გაცემის უფლებაა წამყვანი თემა საქმეში *Melnychyk v. Ukraine*. ადამიანის უფლებათა სფეროში ზოგიერთი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტისაგან (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისაგან) განსხვავებით, ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს შეპასუხების უფლებას (*right of reply*), რომელიც გულისხმობს კრიტიკის ობიექტის უფლებას, მედიის იმავე საშუალებას მოთხოვოს თავისი პასუხის პუბლიკაცია, ანდა ინფორმაციის გასწორება. კონვენციის ეს „ნაკლი“ სასამართლოს იურისპრუდენციით არის „შევსებული“. ეს გამოიხატება „სამართლიანობის დოქტრინის“ გატარების ვალდებულებით, რომელიც მასმედიისაგან მოითხოვს, გზა მისცეს განსხვავებულ და საპირისპირო შეხედულებებს. მასშივე მოიაზრება

კრიტიკაზე პასუხის გასაცემად იმავე მასმედის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც. ზემოთ მითითებულ საქმეში გაზეთის უარი, გამოექვეყნებინა მომჩივნის საპასუხო წერილი, იმიტომ არ იქნა მიჩნეული მედიის საშუალებაზე ხელმისაწვდომობის აღკვეთის გზით აზრის გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვად, რომ საპასუხო წერილი უხამსობას შეიცავდა.

კრებულში თავმოყრილი საქმეების ერთი ნაწილი არჩევნების თემას შეეხება, კერძოდ – პრეზიდენტობისა თუ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციისა და შეხედულებების გავრცელებას. მიჩნეულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატების შესახებ ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვა უაღრესად მნიშვნელოვანია ელექტორატის უფლების დასაცავად, შეიმუშაოს საკუთარი აზრი მათ შესახებ. ამავე ლოგიკით, ცხადია, ელექტორატის ინტერესებს მისი ნამდვილი ინფორმაციით მომარაგება შეესაბამება, რათა მას სწორი არჩევანის შესაძლებლობა გააჩნდეს. ამიტომ ასეთ საქმეებში ევროპული სასამართლო, ერთი მხრივ, ითვალისწინებს კანდიდატების შესახებ საჯარო დისკუსიების დიდ მნიშვნელობას, ხოლო, მეორე მხრივ, მხედველობაში იღებს არაერთ გარემოებას – „ფაქტების გადმოცემას“ შეეხებოდა საქმე, თუ „შეფასებით მსჯელობას“, ცრუ ფაქტებს, თუ ნამდვილ ინფორმაციას, კეთილსინდისიერად მოქმედებდა მათი გამავრცელებელი, თუ ბოროტი განზრახვით და ა.შ. (იხ. *Ukrainian Media Group v. Ukraine, Salov v. Ukraine*).

საქმე *Alinak v. Turkey* იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ასახვს ევროპული სასამართლოს დამოკიდებულებას მხატვრული საშუალებებით აზრის გამოხატვისადმი. მხატვრული თვითგამოხატვა (ისევე, როგორც გამოხატვის სხვა ფორმები) დაცულია ევროპული კონვენციით, მაგრამ ამ კატეგორიის საქმეთა სირთულე ხშირად იმას უკავშირდება, რომ ასეთი ფორმა საშიში იდეების გასავრცელებლად (მაგალითად, სიძულვილის, ძალადობისაკენ წასაქეზებლად) არის გამოყენებული.

ევროპული სასამართლოს შეხედულებით, გამოხატვის მხატვრული ფორმა ამცირებს პოტენციურ ზიანს, რაც იმავე „აზრს“ სხვა ვითარებაში შეეძლო რეალურად გამოეწვია; ამიტომ მისდამი მოპყრობა შედარებით ლიბერალურია, თუმცა ამგვარ მიდგომას

მოწინააღმდეგეებიც ჰყავს საკუთრივ სტრასბურგის სასამართლოში. მაგალითად, ამ სასამართლოს თავმჯდომარე ლუცოუს ვილდჰაბერისა და სხვა მოსამართლეების აზრით, გამოხატვის ფორმა ყოველთვის გადამწყვეტი არ არის და მთავარი ყურადღება გამონათქვამის არსს უნდა მიექცეს. მათი აზრით, ზოგჯერ მხატვრული ფორმა, პირიქით, აძლიერებს კიდევაც ეფექტის შესაძლებლობას და ამის დასადასტურებლად ბრძოლისაკენ „მარსელიეზას“ პოეტური მოწოდების გახსენებაც საკმარისად მიაჩნიათ.⁶

პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უფლებას უკავშირდება საქმე *Segerstedt Wiberg and Others v. Sweden*. იგი შეეხება ხელისუფლების უარს, მომჩივნებისთვის უზრუნველყო სრული ხელმისაწვდომობა პოლიციის საიდუმლო რეესტრში მათ შესახებ არსებულ ინფორმაციაზე. საკუთრივ „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას“ კონვენციის მე-10 მუხლში, საზოგადოდ, ერთობ მცირე დასაყრდენი გააჩნია. იგი ძირითადად მოიცავს შემთხვევებს, როდესაც არსებობს ინფორმაციის მფლობელის მხრიდან თანხმობა მის გადაცემაზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგჯერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება წარმოიშობა ადამიანის სხვა უფლებიდან გამომდინარე, მაგალითად, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებიდან. ასეთ საქმეებში ღირებულებათა კონფლიქტი, ჩვეულებრივ, ყალიბდება პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასა და ეროვნული უშიშროების ინტერესებს შორის. ზემოთ მითითებული საქმე სწორედ ღირებულებათა ასეთი კონფლიქტის გამომხატველია, რამდენადაც უარი პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობას შეეხებოდა. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ღირებულებათა კონფლიქტი კიდევ უფრო გართულებულია იმ გარემოებით, რომ პოლიციის საიდუმლო რეესტრში ინფორმაციის შენახვა უკავშირდებოდა შესაბამის პირებზე ფარული მეთვალყურეობის განხორციელებას. ევროპულმა სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა, თუ რამდენად აუცილებელი იყო საიდუმლო რეესტრში 30 წლის წინანდელი ფაქტების შესახებ ინფორმაციის შენახვის გაგრძელება და რამდენად სერიოზულ ზიანს მიაყენებდა

⁶ იხ. მოსამართლეების: ლევილჰაბერის, პასტორ რიდრუენოს, კოსტასა და ბაკას ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი საქმეზე *Karataş v. Turkey*, judgment of 18 July 1999.

ასეთ ინფორმაციაზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის სისტემის ქმედითობას.

კრებულში გადმოცემული განჩინებები და გადაწყვეტილებები შეეხება არაერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხს. მაგალითად, *Cetin*-ის საქმე – გაზეთის პუბლიკაციის წინასწარ აკრძალვას საგანგებო მდგომარეობის რეგიონებში; *Hertel*-ის საქმე – მეცნიერულად დაუმტკიცებელი შეხედულებების გავრცელებას, რომელიც ზიანს აყენებდა სხვა პირთა ინტერესებს; *Gaveda*-ს საქმე – ჟურნალის სახელწოდების რეგისტრაციაში გატარებაზე უარს იმ მოტივით, რომ იგი (ჟურნალის სახელწოდება) არ შეესაბამებოდა სინამდვილეს; *White*-ის საქმე – რედაქტორების გამართლებას შვედეთის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელად პიროვნების მოხსენიებისათვის საგაზეთო სტატიაში (სასურველი იქნება, მკითხველმა კრიტიკულად შეაფასოს, დაარღვიეს თუ არა რედაქტორებმა „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ უფლება. ევროპულმა სასამართლომ ეს გარემოება არ მიიჩნია დადგენილად); *Demuth*-ის საქმე – საკაბელო ტელევიზიით მაუწყებლობის ლიცენზიაზე უარს; კომპანია *Krone-Verlag*-ის საქმე – კრიტიკულ წერილთან ერთად ევროპის პარლამენტის დეპუტატის ფოტოსურათის გამოქვეყნების მართლზომიერებას; *Stambuk*-ის საქმე – პროფესიული რეკლამის აკრძალვას; *Merphy*-ს საქმე – რელიგიურ თემაზე რეკლამის აკრძალვას და ა.შ.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებას, რომ ორ საქმეზე (*Pedersen and Baadsgaard v. Denmark* და *Kyprianou v. Cyprus*) კრებულში გადმოცემულია ევროპული სასამართლოს როგორც „მცირე“, ისე – დიდი პალატის განჩინებები. ეს მკითხველს საშუალებას მისცემს, არა მარტო შეიტყოს, თუ რატომ არ გაიზიარა დიდმა პალატამ ამა თუ იმ საკითხზე „მცირე“ პალატის დასკვნები, არამედ სრული წარმოდგენა იქონიოს, როგორ შეხედულებებს ჰყავს მეტი მომხრე თუ მოწინააღმდეგე სტრასბურგის სასამართლოში და როგორ აისახება ეს გარემოება ღირებულებათა კონფლიქტების გადაჭრაზე.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე კრებული ხელს შეუწყობს აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების მრავალმხრივ და სისტემურ გააზრებას.

**1. ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის
წინააღმდეგ
(Otto-Preminger-Institut v. Austria)
(N 13470/87)**

საქმე შეეხება ფილმის ჩვენების
აკრძალვას, რომელშიც რელიგიური
კულტის პერსონაჟები გამოხა-
ტული იყვნენ პროვოკაციული
ფორმით

20 სექტემბერი, 1994წ.

განჩინება

კონვენციის მე-10 მუსლი

არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

შაქტავი:

ოტო პრემინგერის აუდიოვიზუალური საინფორმაციო
საშუალებების ინსტიტუტი აპირებდა ქ. ინსბრუკში, კინოთეატრში,
ჩვენებინა ვერნერ შროდერის ფილმი „სიყვარულის ტაძარი“,
რომელშიც მამა ღმერთი, იესო ქრისტე და მარიამ ღვთისმშობელი
გამოხატული იყვნენ პროვოკაციული ფორმით. რომის კათოლიკური
ეკლესიის ინსბრუკის ეპარქიის მიმართვის საფუძველზე ინსბრუკის
პროკურორმა გამოიტანა დადგენილება ფილმის დაპატიმრების
შესახებ. მოგვიანებით, ინსბრუკის მიწის სასამართლომ დაადგინა
ფილმის კონფისკაცია იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ფილმის
პროვოკაციული ხასიათი არ თავსდება ავსტრიის კონსტიტუციით
დაცული მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ფარგლებში.

სამართლის საკითხავი:

მომჩივნის არგუმენტები:

მომჩივნის აზრით, აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა
ვერ ჩაითვლებოდა კანონის საფუძველზე განხორციელებულად,
რადგან, ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლი,
რომელიც გამოყენებული იყო, ითვალისწინებდა მხოლოდ
„დამამცირებელი და შეურაცხყოფელი“ იდეებისა და
ინფორმაციების გავრცელების უფლების შეზღუდვას. რელიგიური

კულტის პერსონაჟებისა და საგნების სატირული ფორმით გამოხატვა კი ასეთ რამეს არ გულისხმობდა.

სასამართლოს შეფასება:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას მთავარ პრობლემას წარმოადგენდა სამართლიანი ბალანსის გამოძებნა აზრის მხატვრულად გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიური რწმენის პატივისცემის უფლებას შორის.

მან მიიჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა კანონის საფუძველზე განხორციელდა, ვინაიდან ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავდა რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომელსაც შეიძლებოდა საზოგადოების „სამართლიანი გულისწყრომა“ გამოეწვია. სასამართლოს აზრით, მამა ღმერთის, იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის პროვოკაციული ფორმით გამოხატვას საზოგადოების ასეთი გულისწყრომა ნამდვილად შეიძლებოდა გამოეწვია.

სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს. კონვენციის მე-9 მუხლით დაცული აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენდა დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვან საფუძველს, ვინაიდან სწორედ რელიგიური განზომილებებით ხორციელდებოდა მორწმუნეთა თვითიდენტიფიკაცია და მათი წარმოდგენა ცხოვრებაზე. სასამართლოს აზრით, მართალია, მორწმუნენი შეგნებულად უნდა ურიგდებოდნენ მათი შეხედულებების კრიტიკას და მათი რწმენისადმი შეუწყნარებელი შეხედულებების გავრცელებას, მაგრამ კრიტიკის ისეთი ფორმები და საშუალებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლების მშვიდობიან განხორციელებას, სახელმწიფოს აკისრებდა შესაბამის პასუხისმგებლობას, ჩარეულიყო ინდივიდურ უფლებებში საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნების პროვოკაციული გამოხატვა

ბოროტი განზრახვით, არღვევდა შემწყნარებლობის ატმოსფეროს, რაც დამახასიათებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის. მისი განმარტებით, აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობდა პიროვნების პასუხისმგებლობასაც, შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა ისეთი გამოხატვისაგან, რომლებიც სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფდა სხვას და არღვევდა მის უფლებებს, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების უხეში შეურაცხყოფა და მათი უფლებების დარღვევა არ წარმოადგენდა რაიმე ფორმით ისეთ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას, რომელიც ხელს შეუწყობდა შემდგომ პროგრესს საკაცობრიო სპიკითხებში.

ვეროპულმა სასამართლომ დადგენილად მიჩნია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“. იგი დაეთანხმა ავსტრიის მთავრობის შეფასებას, რომ ფილმი წარმოადგენდა თავდასხმას ქრისტიანულ რელიგიაზე, განსაკუთრებით კი – რომის კათოლიკურ ეკლესიაზე. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ავსტრიის მოსახლეობის დიდი ნაწილი (88%) სწორედ ამ რელიგიის მიმდევარი იყო. შესაბამისად, არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, ისევე, როგორც მორალის სფეროში არ არსებობდა ზოგადვეროპული წარმოდგენა რელიგიის დანიშნულების შესახებ, ამიტომ ეროვნული ხელისუფლების შეფასება კონკრეტულ დროსა და ადგილზე ჩარევის აუცილებლობის თაობაზე ანგარიშგასაწევი იყო. საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ინსტრუქის სასამართლოები მოქმედებდნენ შეფასების თავისუფლების მათთვის მინიჭებულ ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ არც ფილმის დაპატიმრება და არც მისი შემდგომი კონფისკაცია არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

2. იერსილდი დანიის წინააღმდეგ (JERSILD v. Denmark) (N 15890/89)

საქმე შეეხება ჟურნალისტის 23 სექტემბერი, 1994წ.
დასჯას ტელევიზიით ინტერვიუს დიდი პალატის განჩინება
გადაცემისათვის, რომელშიც
ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები კონვენციის მე-10 მუხლი
შეურაცხყოფელად და დამამცირებელად
რებლად იყვნენ მოხსენიებულნი

ფაქტები:

დანიელმა ჟურნალისტმა ოლაფ იერსილდმა ტელესტუდიაში მიიწვია რასისტული განწყობილების ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც თავიანთ თავს „მწვანე ქურთუკებს“ უწოდებდნენ. ინტერვიუს დროს ამ ჯგუფის სამი წარმომადგენელი შეურაცხყოფელად და დამამცირებლად მოიხსენიებდა ემიგრანტებსა და დანიაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს. შავკანიანები შედარებული იყვნენ გორილასთან და მოხსენიებულნი როგორც „ცხოველები“. ხანგრძლივი ჩანაწერი ჟურნალისტმა რედაქტირების შედეგად დაიყვანა რამდენიმე წუთამდე და ფილმი გაუშვა დანიის მაუწყებლობის კორპორაციის ეთერში.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სამი ახალგაზრდის მიმართ რასისტული განცხადებებისათვის, ხოლო ჟურნალისტის მიმართ – რასისტული განცხადებების გავრცელების ხელშეწყობისა და წაქეზებისათვის. ჟურნალისტი დასაჯეს და დააჯარიმეს 1000 დანიური კრონით.

სამართლის საკითხები:

1. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს სადავო არ გამხდარა საკითხი, იყო თუ არა უფლებაში ჩარევა „კანონით

გათვალისწინებულ „ ისეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო დანიის სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე (ბ) და 237-ე მუხლებით. უფრო მეტიც, დანიის მთავრობამ წამოაყენა სერიოზული არგუმენტი: დანიის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლები ემყარებოდა რასობრივი დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის ლიკვიდაციის შესახებ გაეროს 1965 წლის კონვენციას, რომელიც ავალდებულებდა სახელმწიფოებს, სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოეცნადებინათ ყველანაირი მოქმედება და ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეფუძნებოდა განწყობილებებს რასობრივ სიძულვილსა და უპირატესობაზე. დანიის მთავრობის აზრით, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს არ უნდა მისცემოდა ისეთი განმარტება, რომელიც შეზღუდავდა ან შეასუსტებდა რასობრივი დისკრიმინაციისაგან დაცვის გაეროს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ გაეროს კონვენციის დებულებების განმარტება არ წარმოადგენდა მის ამოცანას; დანიის სახელმწიფოს ვალდებულებები ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში იმგვარად უნდა განმარტებულიყო, რომ ისინი შეთავსებადი ყოფილიყო დანიის ვალდებულებებთან გაეროს კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა გაეროს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

2. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

მომჩივნის არგუმენტები:

მომჩივნის განმარტებით, ფილმის მიზანს წარმოადგენდა იმის ჩვენება, თუ როგორ ყალიბდებოდა აგრესია და რასისტული განწყობილებები დაბალი განათლებისა და სოციალურად უკმაყოფილო ახალგაზრდებში. გადაცემა ემსახურებოდა მათ მხილებას და არა რასისტული შეხედულებების პროპაგანდას.

მოპასუხე სახელმწიფომ მიუთითა, რომ ფილმს ჰქონდა სენსაციური ხასიათი, მისი ინფორმაციული ღირებულება იყო მინიმალური; ინტერვიუს რედაქტირება იმგვარად მოხდა, რომ მასში დატოვებული იქნა ყველაზე უფრო უხამსი და მიუღებელი გამონათქვამები; ჟურნალისტმა, თავის მხრივ, არაფერი დაუპირისპირა მას, არ შეკამათებია ახალგაზრდებს და არ გამოუხატავს თავისი პოზიცია; მისთვის დაკისრებული ჯარიმა შესაძლებელ სანქციებს შორის იყო ყველაზე ლმობიერი და ამას არ შეიძლებოდა დაეშინებინა სხვა ჟურნალისტები, მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ დისკუსიებში რასიზმისა და ქსენოფობიის შესახებ; გარდა ამისა, დანიის სასამართლოები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ საიმისოდ, რომ სწორად შეეფასებინათ მოსახლეობაზე ამ გადაცემის ზემოქმედება და ზემოაღნიშნული იდეების გავრცელების უფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება.“

სასამართლოს შეფასება:

საერთაშორისო სასამართლომ ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლს საზოგადოებრივი დისკუსიების წარმართვის სფეროში. განსაკუთრებით აღნიშნა აუდიოვიზუალური საშუალებების უშუალო და ძლიერი ზემოქმედების უნარი და მიუთითა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა არა მარტო გამოთქმული იდეებისა და შეხედულებების შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. აქვე ისაუბრა ჟურნალისტის „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ და მიუთითა, რომ ჟურნალისტს არ უნდა გადაელახა საზღვარი, რომელიც დადგენილი იყო „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ დასაცავად.

ევროპული სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, მართალია, გადაცემაში არ იყო საგანგებოდ გამოკვეთილი რასობრივი სიძულვილის გავრცელების ამორალური, საშიში და უკანონო ხასიათი, მაგრამ ეთერში გადაცემული მასალა მაინც ვერ ჩაითვლებოდა „რასისტული იდეების პროპაგანდად“. პირიქით, ცხადი იყო, რომ ინტერვიუს საშუალებით უნდა მომხდარიყო იმ ახალგაზრდების გამოაშკარავება, რომლებიც მცირე განათლებისა

და თავიანთი სოციალური მდგომარეობით უკმაყოფილების გამო მიღრეკილი იყვნენ ძალადობისაკენ და ჰქონდათ კიდევ კრიმინალური წარსული. „მწვანე ქურთუკების“ ჯგუფის წევრები გადაცემაში მოხსენიებული იყვნენ „ექსტრემისტულად განწყობილ ადამიანებად“, ამიტომ მთლიანობაში ჟურნალისტის მოქმედება ვერ ჩაითვლებოდა „რასისტული იდეების გავრცელებაში ხელშეწყობად და წაქეზებად“ და მისი დასჯა გაუმართლებელი იყო.

სასამართლომ უარყო ის არგუმენტიც, თითქოს ჯარიმის მინიმალურ ოდენობას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ მნიშვნელობა თავად ჟურნალისტის დასჯის ფაქტს გააჩნდა. მისი აზრით, ჟურნალისტის დასჯა იმისათვის, რომ სხვებს დაეხმარა შეხედულებების გავრცელებაში, „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა ჟურნალისტის თავისუფლებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ხოლო გამოყენებული ღონისძიება კი - „თანაზომიერა“ „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის“ კანონიერ მიზანთან მიმართებაში. შესაბამისად, სასამართლომ ცნო ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. გადაწყვეტილება მიღებულია 12 ხმით 7-ის წინააღმდეგ.⁷

⁷ უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეები, მათ შორის, სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე როლფ რისდალი, განსხვავებულ აზრზე დარჩნენ. მათ აღნიშნეს, რომ სტრასბურგის სასამართლო პირველად შეეჯახა შემთხვევას, სადაც „სხვა პირთა რეპუტაცია და უფლებები“ ასეთი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ტელეგადაცემით გავრცელებულ იდეებში საერთოდ უარყოფილი იყო ადამიანთა დიდი ჯგუფის მიკუთვნება ადამიანური არსებებისათვის. მათი შეხედულებით, რაკი რასისტული იდეების გავრცელება არ იყო დაცული მე-10 მუხლით, ეს თანაბრად უნდა შეხებოდა ჟურნალისტსაც, რომელიც ამგვარ იდეებს ავრცელებდა. მოცემულ შემთხვევაში ძალიან რთული იყო სამართლიანი ბალანსის მიღწევა აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებების დაცვას შორის. უმრავლესობამ, სამწუხაროდ, გაცილებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ჟურნალისტის თავისუფლებას, ვიდრე იმათ დაცვას, ვინც იძულებული იყო, გატანჯულიყო რასობრივი სიძულვილით. გადაცემაში ყველაზე უხეში გამონათქვამები იყო ამოკრეფილი ინტერვიუდან. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით აუცილებელი იყო ჟურნალისტის მხრიდან მკაფიო, რასიზმის დამგობი პოზიციის გამოხატვა. მათი აზრით, გადაცემის ნახვის შემდეგ ადამიანთა დიდ ჯგუფს ნამდვილად არ დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა მათი რეპუტაციისა და უფლებების დაცვას ემსახურებოდა. რასობრივი უმცირესობის დაცვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ინფორმაციის გავრცელების უფლება საზოგადოდ. საერთაშორისო სასამართლოს არ უნდა შეეცვალა კონფლიქტურ მხარეებს შორის ის ბალანსი, რომელსაც დანიის სასამართლობამ მიადწინეს და რომლებიც შეფასების თავისუფლების მათთვის მიკუთხებულ ფარგლებში მოქმედებდნენ. ასეთ სათუთ საკითხში შეფასების თავისუფლება ერთნულ ხელისუფლებას ეკუთვნოდა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნა 1000 დანიური კრონი მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, აგრეთვე, სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

3. **ფოგტი გერმანიის წინააღმდეგ**
(VOGT v. Germany)
(N 17851/91)

საქმე შეეხება მასწავლებლის
სამსახურიდან გათავისუფლებას
აქტიური პოლიტიკური საქმიანო-
ბისათვის, რითაც იგი არღვევდა
სახელმწიფო მოხელისათვის
სავალდებულო „პოლიტიკური
ლოიალობის“ პრინციპს

26 სექტემბერი, 1995 წ.
განმინება

კონვენციის მე-10 მუხლი
დარღვეულად იქნა მიჩნეული

ფაქტები:

გფრ-ს მოქალაქე ღორთი ფოგტი 1979 წლიდან მუშაობდა
გიმნაზიაში ფრანგული და გერმანული ენების პედაგოგად. მის
თანამდებობას გააჩნდა სახელმწიფო სამსახურში სამუდამოდ
დანიშნული მოხელის სტატუსი. ქ-ნი ფოგტი იყო გერმანიის
კომუნისტური პარტიის წევრი 1972 წლიდან. 80-იან წლებში
მან გააქტიურა თავისი პოლიტიკური საქმიანობა. იგი წამოყენებულ
იქნა ქვემო საქსონიის მიწის პარლამენტის (ლანდტაგის)
დეპუტატად. 1982 წელს ქ-ნი ფოგტი ადგილობრივმა მმართველობამ
დროებით გადააყენა თანამდებობიდან (ხელფასის 60%-ის
შენარჩუნებით), ხოლო 1987 წელს ადმინისტრაციული
სასამართლოს დისციპლინურმა პალატამ ის დისციპლინური წესით
გათავისუფლა სამსახურიდან სახელმწიფო მოხელისათვის
სავალდებულო „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპის
დარღვევისათვის, რაც გათვალისწინებული იყო სახელმწიფო
სამსახურის შესახებ როგორც ქვემო საქსონიის მიწის, ისე –
ფედერალური კანონმდებლობით.

ქ-ნი ფოგტი საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილ
საჩივარში მიუთითა, რომ მას დაერღვა ევროპული კონვენციის მე-
10 და მე-11 მუხებით გათვალისწინებული უფლებები – აზრის
გამოხატვის თავისუფლება და ასოციაციების თავისუფლება.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სადავო გახდა სამივე საკვანძო საკითხი, რაც, ჩვეულებრივ, შემოწმებას ექვემდებარება ყველა იმ საქმეზე, სადაც ინდივიდური უფლება იზღუდება საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. ესენია: იყო თუ არა უფლებაში ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“, ემსახურებოდა თუ არა ჩარევა „მართლზომიერ მიზანს“ და იყო თუ არა ასეთი ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

1. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

მთავრობის მტკიცებით, კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა განხორციელდა ქვემო საქსონიის მიწის კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებს ავალდებულებდა, დაეკავთ „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპი.

მომჩინის მტკიცებით, პოლიტიკური ლოიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება, მისი დაუცველობის შემთხვევაში, სრულიადაც არ გულისხმობდა პიროვნების სამსახურიდან დათხოვნას. შესაბამისი კანონის ტექსტის ფორმულირება იყო უზუსტო, რასაც ის გარემოება ადასტურებდა, რომ იგი ამ კანონის მოქმედების დროს მიიღეს სამსახურში და შემდეგ ისევ აღადგინეს თანამდებობაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ამ კანონის ცალსახა გაგება იარსებებდა.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობის სიზუსტის ხარისხი, მოქმედების სფერო და მისი განმარტება შიდა სამართლის საქმე იყო. მოცემულ შემთხვევაში, ფედერალური საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ რით გამოიხატებოდა „პოლიტიკური ლოიალობა“. მათ დაადგინეს, რომ „სახელმწიფო მოხელის აქტიური მონაწილეობა და საქმიანობა პოლიტიკურ პარტიაში, რომელსაც ანტიკონსტიტუციური მიზნები ჰქონდა (ისეთი, როგორც, მაგალითად, კომპარტიას), შეუთავსებელი

იყო „პოლიტიკური ლოიალობის“ ვალდებულებასთან. საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუ კანონი სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას იძლეოდა, ეს არ ნიშნავდა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა კრიტერიუმს – „კანონით გათვალისწინებული“. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩარევა იყო „კანონით გათვალისწინებული“.

2. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა „მართლზომიერ მიზანს“

მთავრობის მტკიცებით, სახელმწიფო მოხელეთა და მათ შორის ქ-ნ ფოგტის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მათი „პოლიტიკური ლოიალობის“ ვალდებულებიდან გამომდინარე, ემსახურებოდა სახელმწიფო უშიშროების დაცვას, უწესრიგობის თავიდან აცილებასა და სხვა პირთა უფლებების უზრუნველყოფას.

ევროპულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მთავრობის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ გერმანიაში სახელმწიფო მოხელეებისათვის დაკისრებული ვალდებულება – აშკარად და აქტიურად მდგარიყვნენ თავისუფალი დემოკრატიული სისტემის მხარეზე – ემყარებოდა სახელმწიფო სამსახურის გაგებას, როგორც კონსტიტუციისა და დემოკრატიის გარანტიისა და ამ გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისათვის ვაიმარის რესპუბლიკის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით. ნაციზმის კოშმარის შემდეგ გფრ-ს კონსტიტუციას საფუძვლად დაედო პრინციპი – „დემოკრატია, რომელსაც ძალუძს თავი დაიცვას“. ამის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება ემსახურებოდა „მართლზომიერ მიზანს“ მე-10 მუხლის II პუნქტის გაგებით.

3. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

მომჩივნის არგუმენტები:

მომჩივნის აზრით, მის უფლებაში ჩარევის აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან გერმანიის კომუნისტური პარტია არ იყო სასამართლოს მიერ აკრძალული და ის ლეგალურად მოღვაწეობდა; იგი ჯეროვნად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობებს და არასდროს უცდია იდეოლოგიური გავლენა მოეხდინა მოწაფეებზე; მის პირად მისწრაფებას წარმოადგენდა ნეოფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო მშვიდობის დასამკვიდრებლად; მისი რწმენით, კომპარტიის საქმიანობა ემსახურებოდა დემოკრატიული ღირებულებების დაცვას; ყოველ შემთხვევაში, ისეთი მკაცრი სანქციის გამოყენება, როგორც იყო სამსახურიდან გათავისუფლება, წარმოადგენდა არათანაზომიერ ღონისძიებას.

მთავრობის არგუმენტები:

მოპასუხე მთავრობის აზრით, მოცემულ საქმეში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები უნდა განსაზღვრულიყო იმის გათვალისწინებით, რომ წევრმა სახელმწიფოებმა არც ევროპული კონვენციითა და არც მისი ოქმებით არ აღიარეს მოქალაქის უფლება სახელმწიფო სამსახურში მიღებაზე. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი სახელმწიფო სამსახურში მიღებისას, თითქმის იგივე იყო, რაც მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამსახურში უკვე მიღებული პირი. თუ სახელმწიფო სამსახურში მიღების აუცილებელი პირობების განსაზღვრა სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლებში იყო, მასშივე უნდა მოაზრებულიყო სახელმწიფო მოხელეთა ვალდებულებების განსაზღვრაც. „პოლიტიკური ლოიალობის“ ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გერმანიისათვის, რადგან სახელმწიფო სამსახური დემოკრატიის დასაყრდენს წარმოადგენდა. ამიტომ, სახელმწიფო მოხელეებს არ ჰქონდათ უფლება, აქტიური როლი ეთამაშათ ისეთ შემთხვევაში

თუ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებში, რომლებსაც ანტიკონსტიტუციური მიზნები გააჩნდათ. ქ-ნ ფოგტს მაღალი თანამდებობა ეკავა კომპარტიაში, რომელიც იმ დროისათვის გფრ-ს თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ძირის გამოთხრას ისახავდა მიზნად. ის იღებდა ინსტრუქციებს აღმოსავლეთ გერმანიიდან და საბჭოთა ბლოკის კომპარტიებიდან; ქ-ნი ფოგტის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი დადგა არა კომპარტიის უბრალო წევრობის გამო, არამედ მას შემდეგ, რაც გააქტიურა თავისი პოლიტიკური საქმიანობა და ლანდტაგის დეპუტატად იქნა წამოყენებული. გარდა ამისა, როგორც მასწავლებელს, მას ეკისრებოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, თავისი მოწაფეები დემოკრატიული ღირებულებებისათვის ეზიარებინა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლება იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სასამართლოს შეფასება:

ევროპულმა სასამართლომ უწინარესად ჩამოაყალიბა საერთო პრინციპები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა მოცემული საკითხის განხილვისას. მან:

ა) ხაზი გაუსვა აზრის გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ ბურჯს;

ბ) აღნიშნა, რომ, მართალია, კონვენციის მე-10 მუხლის II პუნქტი ითვალისწინებდა გამონაკლისებს, მაგრამ ისინი შეზღუდულად უნდა ყოფილიყო განმარტებული, ხოლო თითოეული კონკრეტული შეზღუდვა – დამაჯერებლად დასაბუთებული;

გ) აღნიშნა, რომ სასამართლოს ამოცანა იყო შეემოწმებინა, იყო თუ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ მოყვანილი არგუმენტები „შესაბამისი და საკმარისი“ და იყო თუ რა აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესებს შორის გამოძებნილი ბალანსი „სწორი და სამართლიანი“;

დ) აღნიშნა, რომ მე-10 მუხლის II პუნქტთან მიმართებაში სახელმწიფოებს გააჩნდათ შეფასების თავისუფლების გარკვეული არე, მაგრამ იგი ისეთ ფარგლებში უნდა მოქცეულიყო, რომ

უზრუნველყოფილიყო სახელმწიფო სამსახურის საქმიანობა კონვენციის მე-10 მუხლის I პუნქტის გათვალისწინებით;

ე) უარყო მთავრობის არგუმენტი და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მოხელეები არ იმყოფებოდნენ კონვენციის მოქმედების ფარგლებს გარეთ. ევროპული კონვენციით სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლების გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავდა იმას, რომ სამსახურში მიღებულ პირებს უფლება არ ჰქონდათ, ერივლათ სამსახურიდან გათავისუფლების გამო, თუკი ასეთი გათავისუფლება არღვევდა კონვენციით დაცულ მათ უფლებებს.

მოცემულ საქმეში ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ:

ა) აღნიშნა, რომ არ არსებობდა გერმანიის ტერიტორიაზე „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპის აბსოლუტურად ერთგვაროვანი გაგება და გამოყენება;

ბ) აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლება უარყოფითად აისახებოდა მასწავლებლის რეპუტაციაზე, ტოვებდა მას საარსებო სახსრების გარეშე და ართმევდა იმის უფლებას, რომ მომავალში მაინც ემუშავა თავისი პროფესიით, რამდენადაც გერმანიაში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა მასწავლებლის თანამდებობა სახელმწიფო სამსახურის გარეთ;

გ) გაითვალისწინა, რომ ფოგტის თანამდებობა – ენის მასწავლებელი – არ იყო უშუალოდ დაკავშირებული სახელმწიფო უშიშროების რაიმე საფრთხესთან, ხოლო თვითონ იგი აკმაყოფილებდა პროფესიულ მოთხოვნებსა და სრულყოფილად ახორციელებდა თავის სამსახურეობრივ მოვალეობებს;

დ) გაითვალისწინა, რომ კომპარტია არ იყო აკრძალული ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს მიერ და არც იმის მტკიცებულება არსებობდა, რომ ქ-ნი ფოგტი, პირადად, ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას ეწეოდა ან მავნე გავლენას ახდენდა მოწაფეებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ-ნი ფოგტის სამსახურიდან გათავისუფლება „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპის დაუცველობისათვის, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ

საზოგადოებაში“ და „თანაზომიერი“ საშუალება დასახული მართლზომიერი მიზნის მისაღწევად

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევა

გადაწყვეტილება მიღებულია ხმათა მინიმალური უპირატესობით – 10 ხმით 9-ის წინააღმდეგ.*

* ამ საქმეზე შემუშავებულ იქნა უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების 3 სხვადასხვა განსხვავებული აზრი. მათი ავტორთა შეხედულებით, სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლება ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებში იყო მოქცეული; ეს ლოგიკურად იქიდანაც გამომდინარეობდა, რომ ევროპული კონვენცია არ იცავდა სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლებას და ამ სფეროში შეფასების თავისუფლებას მთლიანად ანიჭებდა ეროვნულ ხელისუფლებას; გარდა ამისა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში ჰიღებული გერმანიის სპეციფიკა კაიზარის რესპუბლიკის გამოცდილების გათვალისწინებით და სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობა დემოკრატიული წყობილების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

4. გუდვინი გაერთიანებული სამეფოს
წინააღმდეგ
(Goodwin v. The United Kingdom)
(N 17488/90)

საქმე შეეხება სასამართლოს
ბრძანებით ჟურნალისტის დავალ-
დებულებას, გაემხილა ინფორ-
მაციის წყარო და ჟურნალისტის
დაჯარიმებას ამ ბრძანების შეუს-
რულებლობისათვის

27 მარტი 1996 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინეულია დარღვეულად

ფაქტები:

ჟურნალისტი უილიამ გუდვინი მუშაობდა ჟურნალ „*Engineer-ში*“ ჟურნალისტ-სტაჟიორად. 1986 წლის 2 ნოემბერს ერთმა პირმა, რომელიც ხშირად ამარაგებდა ინფორმაციით, დაურეკა მას და აცნობა, რომ კომპანია „ტეტრა LTD“ აპირებდა 5 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობით კრედიტის აღებას სერიოზული ფინანსური სირთულეების გამო. ეს იყო ნებაყოფლობითი და არაანაზღაურებადი ინფორმაცია. ჟურნალისტმა განიზრახა პუბლიკაციის მომზადება, დარეკა კომპანიაში ფაქტების შესამოწმებლად და კომპანიის ფინანსურ პრობლემებზე კომენტარის მისაღებად.

აღნიშნულ ინფორმაციას შეიცავდა კომპანიის გეგმის პროექტი, რომლის რვავე ეგზემპლარს გააჩნდა გრიფი „მკაცრად კონფიდენციალური“. ერთი ეგზემპლარი 1989 წლის 1 ნოემბერს დაიკარგა. „ტეტრამ“ მიმართა უმაღლეს სასამართლოს და „მილწია“ სასამართლო განკარგულებას, რომლითაც „*Engineer-ს*“ აეკრძალა სტატიის გამოქვეყნება. სხვა ეროვნულ გაზეთებსა და ჟურნალებს კი ეცნობათ ასეთი აკრძალვის შესახებ. მოგვიანებით „ტეტრამ“ მიაღწია უზენაესი სასამართლოს ბრძანებას, რომელიც ავალდებულებდა ჟურნალისტს, დაესახელებინა ინფორმაციის წყარო, რადგან ეს (სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ 1981 წლის კანონის შესაბამისად) „აუცილებელი იყო მართლმსაჯულების

ინტერესებისათვის“; კერძოდ, იმისათვის, რომ ინფორმატორის ვინაობის დადგენის გზით კომპანიას საშუალება მისცემოდა, აღედგრა საქმე დაკარგული დოკუმენტის დაბრუნების მოთხოვნით და ეზრუნა კომპენსაციისათვის.

სააპელაციო სასამართლომ და ლორდთა პალატამ უარი უთხრეს მომჩივანს ინფორმაციის წყაროს დასახელების შესახებ სასამართლოს ბრძანების გაუქმებაზე. მიუხედავად ამისა, გუდვინმა უარი თქვა ინფორმაციის წყაროს დასახელებაზე, რის გამოც უმაღლესმა სასამართლომ ის 5000 ფუნტი სტერლინგით დააჯარიმა „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სადავო გახდა ორი საკითხი: იყო თუ არა სახელმწიფოს მხრიდან აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ და იყო თუ არა ჩარევა „აუცხლებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

1. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

მომჩივნის არგუმენტები:

მომჩივნის აზრით, 1981 წლის კანონის მე-10 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებაში ჩარევას „მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“, არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას „კანონის განჭვრეტადობის“ შესახებ. მასში არ იყო ზუსტად ჩამოყალიბებული ინფორმაციის წყაროს დაცვის პრინციპიდან გამონაკლისი, რის გამოც რთული ხდებოდა იმ გარემოებათა განჭვრეტა, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებლად ჩაითვლებოდა ინფორმაციის წყაროს დასახელების შესახებ სასამართლოს ამგვარი ბრძანება კერძო კომპანიის ინტერესების დასაცავად. როდესაც მას ინფორმაცია მიაწოდეს, მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რამდენად იყო

ამაზე დამოკიდებული დაზარალებული მხარის მატერიალური მდგომარეობა; არ შეეძლო შეეფასებინა ამ ინფორმაციით საზოგადოების დაინტერესების ხარისხი.

სასამართლოს შეფასება:

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონი ფორმულირებული უნდა ყოფილიყო სიზუსტის ისეთი ხარისხით, რომ დაინტერესებულ პირებს (აუცილებლობის შემთხვევაში – იურიდიული კონსულტაციის დახმარებით) შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეთვალისწინებინათ ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა კონკრეტულ მოქმედებას. იმის გამო, რომ აბსოლუტური სიზუსტე ამ სფეროში დიდ სირთულეს წარმოადგენდა, გარკვეული მოქნილობა არა მარტო დასაშვები, არამედ სასურველიც კი იყო იმისათვის, რათა ეროვნულ სასამართლოებს შესაძლებლობა მისცემოდათ, განევითარებინათ სამართალი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში რომელი ღონისძიებები ჩაითვლებოდა „აუცილებლად“ მართლმსაჯულების ინტერესებისათვის.

გარდა ამისა, კანონში გამოყენებული ცნება „მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“ კარგად იყო განმარტებული ლორდთა პალატის მიერ; უფრო მეტიც, არსებობდა ლორდთა პალატის სხვა განმარტებაც, რომლის მიხედვით, პირს, რომელიც ყოველგვარი ბრალის გარეშე აღმოჩნდებოდა უკანონო მოქმედებებში ჩართული, შეიძლებოდა დაკისრებოდა ვალდებულება, გაემხილა სამართალდამრღვევთა ვინაობა. საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული და სხვა განმარტებები მოცემულ სფეროში შესაძლებლობას იძლეოდა, გასაგები გამხდარიყო 1981 წლის კანონის დარღვევის სამართლებრივი შედეგები და აქედან გამომდინარე, ადეკვატური დაცვის საშუალებებიც სრულყოფილად ყოფილიყო გათვალისწინებული. შესაბამისად, ზემოაღნიშნული კანონი, სასამართლოს აზრით, აკმაყოფილებდა „განჭვრეტადობის“ კრიტერიუმს.

2. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

მოძრინის არგუმენტები:

მოძრინის აზრით, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მხოლოდ მაშინ უშვებდა ჟურნალისტის უფლების შეზღუდვას და ავალდებულებდა ინფორმაციის წყაროს დასახელებას, თუ ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საჯარო თუ პირადი ინტერესებისათვის. ვინაიდან „ტეტრამ“ მიაღწია პუბლიკაციის აკრძალვას, მან არ განიცადა ის ზიანი, რაც პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში შეიძლებოდა მიეღო. მოცემული ინფორმაცია იმსახურებდა გამოქვეყნებას. ის შეეხებოდა „ტეტრას“ ცუდ მმართველობას და ფინანსურ სირთულეებს, რაც მომხმარებლისა და ინვესტორების უშუალო ინტერესს წარმოადგენდა.

მთავრობის არგუმენტები:

მოპასუხე მთავრობის შეხედულებით, „ტეტრას“ ჰქონდა უფლება, საიდუმლოდ შეენახა კომერციული ინფორმაცია; ინფორმაციის წყარო, შესაძლოა, თვითონ იყო კონფიდენციალური ბიზნეს-გეგმის გამტაცებელი და მომავალშიც ეზრუნა ამ ინფორმაციის გავრცელებისათვის. ასე რომ, „ტეტრასათვის“ კვლავ არსებობდა ზარალისა და მისი თანამშრომლების უსახსროდ დარჩენის საფრთხე.

სასამართლოს შეფასება:

ევროპულმა სასამართლომ:

ა) ხაზი გაუსვა სიტყვის თავისუფლებისა და პრესისათვის გადაცემული გარანტიების განსაკუთრებულ მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში; აღნიშნა, რომ ჟურნალისტის დაცვა ინფორმაციის დასახელებისაგან ასახული იყო წევრი

სახელმწიფოების კანონებსა და პროფესიული ქცევის კოდექსებში, აგრეთვე, საერთაშორისო აქტებში. კერძოდ – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში პოლიტიკის შესახებ ევროპის ქვეყნების მინისტრთა მე-4 კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში ჟურნალისტის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ (პრაჰა, 1994წ.), აგრეთვე, ევროპის პარლამენტის რეზოლუციაში ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალობის შესახებ (1994წ.). სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ასეთი დაცვის გარეშე, ჟურნალისტები ვერ შეძლებდნენ განეხორციელებინათ პრესის დანიშნულება დემოკრატიულ საზოგადოებაში;

ბ) აღნიშნა, რომ ჟურნალისტის იძულება ინფორმაციის წყაროს დასასახელებლად, შესაძლებელი იყო მხოლოდ „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შემთხვევაში და რომ ამ სფეროში ეროვნული სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების არე შეზღუდული იყო დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინტერესით, სახელდობრ – პრესის თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობით;

გ) გაითვალისწინა, რომ პუბლიკაციის აკრძალვის შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების საფრთხე მნიშვნელოვანწილად უკვე განეიტრალებული იყო;

დ) აღნიშნა, რომ „ტეტრას“ მცდელობა, მოესპო ზიანის საფრთხე (რაც ინფორმაციის სხვა გზით გავრცელებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა) და ემხილებინა არალოიალური თანამშრომელი, ემსახურებოდა მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვას; ეს ინტერესები, მოცემულ შემთხვევაში, ვერ გადაწონიდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს – ჟურნალისტის დაცვას ინფორმაციის წყაროს დასახელებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ როგორც სასამართლო ბრძანება, რომელიც ჟურნალისტს ინფორმაციის წყაროს დასახელებას ავალდებულებდა, ასევე, ჟურნალისტის დაჯარიმება ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის, არღვევდა ევროპული კონვენციით დაცულ

სიტყვის თავისუფლებას. შესაბამისად, სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ეს გადაწყვეტილება მიღებულია 11 ხმით 7-ის წინააღმდეგ.*

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნა £37595.50 (ფუნტი სტერლინგი) გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.

* უმცირესობაში დარჩენილ მოსამართლეთა აზრით, კომპანიისათვის სერიოზული ზიანის საფრთხის აცილება და კომპანიის თანამშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა საკმაოდ საგულისხმო ინტერესს წარმოადგენდა საიმიტომ, რომ სასამართლოს სათანადო მნიშვნელობა მიენიჭებინა მისთვის ინტერესთა კონკურენციის დროს.

5. უინგროუ გაერთიანებული სამეფოს
წინააღმდეგ
(Wingrove v. the United Kingdom)
(N 17419/90)

საქმე შეეხება ვიდუოფილმის ჩვენების ნებართვაზე უარს იმ მოტივით, რომ ფილმში გადმოცემული სცენები წარმოადგენდა „ღვთის გმობას“

25 ნოემბერი, 1996 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

ფაქტები:

ქ.ლონდონში მცხოვრებმა ნაიჯელ უინგროუმ დაწერა სცენარი და უხელმძღვანელა მის საფუძველზე 18 წუთიანი ვიდუოფილმის შექმნას სახელწოდებით „ექსტაზური ხილვები“. ფილმი შეეხებოდა წმინდა ტერეზას ცხოვრებასა და შემოქმედებას. წმინდა ტერეზა იყო მონაზონი, ცხოვრობდა მე-16 საუკუნეში და ცნობილი იყო იმით, რომ ჰქონდა ძლიერი ექსტაზური ხილვები იესო ქრისტეზე.

მოძრვიანმა ვიდუოკასეტა წარადგინა ფილმების კლასიფიკაციის ბრიტანეთის სამმართველოში სერტიფიკატის მისაღებად, რომელიც მას საშუალებას მისცემდა გაეყიდა, გაექირაებინა ფილმი ან სხვა გზით მოეხდინა მისი დემონსტრირება. სამმართველომ მას უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მოცემული ნაწარმოები სიწმინდის თემისადმი მიუღებელი დამოკიდებულებით გამოიწვევდა მორწმუნეთა გულისწყრომას, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მას მიიჩნევდა იმ სისხლის სამართლის კანონის დარღვევად, რომელიც კრძალავდა ღვთის გმობას.

მოძრვიანმა ეს უარი გააპროტესტა საზუღამუხეველო კომიტეტში, რომელიც იზილავდა დავებს ვიდუოპროდუქციის სფეროში. მოძრვიანმა მიუთითა, რომ მისი ფილმი წმინდა ეროტიული იყო და სხვა მიზნებს არ ისახავდა. კომიტეტმა უარყო მისი საჩივარი, ვინაიდან მიიჩნია, რომ ფილმის საერთო ტონალობა და სულისკვეთება უთუოდ შეურაცხყოფდა მორწმუნეთა გრძნობებს, რომლებიც ამ

ფილმს შეაფასებდნენ, როგორც ქრისტეს ღვთაებრიობისადმი უპატივცემულობას. გადაწყვეტილების გამოტანისას მომჩივანს განემარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით სასამართლოში გასაჩივრება სრულიად უპერსპექტივო იყო.

საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ მას დაერღვა აზრის გამოხატვის თავისუფლება. მისი აზრით, ბრიტანეთის სამმართველოს უარი სერტიფიკატის მიცემაზე და ამასთან, საკანონმდებლო ნორმა, რომლის შესაბამისად დანაშაულს წარმოადგენდა ვიდეონაწარმოების გავრცელება ასეთი სერტიფიკატის გარეშე, უნდა შეფასებულიყო როგორც სახელმწიფოს მხრიდან იდეების თავისუფლად გავრცელების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სამ ძირითად საკითხზე გაიმართა მსჯელობა – იყო თუ არა უფლებაში ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“, ისახავდა თუ არა იგი „მართლზომიერ მიზანს“ და იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“?

1. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

მომჩივნის არგუმენტები:

მომჩივნის აზრით „ღვთის გმობის“ ამკრძალავი კანონის ნორმები ფორმულირებული იყო ისე ბუნდოვნად, რომ უჩვეულოდ რთული ხდებოდა იმის გარკვევა, ჩაითვლებოდა თუ არა ესა თუ ის კონკრეტული მოქმედება „ღვთის გმობად“. ასევე, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმის გათვალისწინება, თუ რას გადაწყვეტდა ადმინისტრაციული ორგანო. ასეთ გარემოებებში, რადგან მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება წინასწარ შეუძლებელი იყო, შესაბამისი კანონი ვერ ჩაითვლებოდა ისეთ კანონად, რომელიც აკმაყოფილებდა „განჭვრეტადობის“ კრიტერიუმს.

მთავრობის არგუმენტები:

მოპასუხე მთავრობამ აღნიშნა, რომ, მართალია, სამართლებრივი ნორმების უმრავლესობის მიმართ სასამართლოები ხშირად სხვადასხვა დასკვნებამდე მიდიოდნენ, მაგრამ ამის გამო სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტა სრულიადაც არ ხდებოდა შეუძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა უამრავი განსხვავებული საშუალება სალანძღავი, დამამცირებელი და უხეში მასალის შექმნისა მამალმერთზე, იესო ქრისტესა და ბიბლიაზე, სამართალი არც უნდა ცდილიყო, დეტალურად აღეწერა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო აღქმული „ღვთის გამობად“.

სასამართლოს შეფასება:

ევროპული სასამართლო დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ „ღვთის გამობა“ არ ექვემდებარებოდა ზუსტ იურიდიულ განსაზღვრებას, ამიტომ ეროვნულ სახელმწიფოებს უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა, შეეფასებინათ, შესაბამებოდა თუ არა კონკრეტული საქმის გარემოებები კანონით აღწერილ დანაშაულს. გარდა ამისა, საგულისხმო იყო ისიც, რომ არსებობდა „ღვთის გამობის“ ლორდთა პალატიისეული განმარტება, რომელიც ერთ-ერთი საქმის განხილვის დროს იყო შემუშავებული. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს ადვილად შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მისი ფილმი, განსაკუთრებით კი სცენები ჯვარცმულ ქრისტესთან სექსუალური მოქმედებებისა, შეფასებული იქნებოდა, „ღვთის გამობად“. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ უფლების შეზღუდვა იყო „კანონით გათვალისწინებული“.

2. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა „მართლზომიერ მიზანს“

მთავრობის არგუმენტები:

მოპასუხე მთავრობამ მიუთითა, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობებისადმი პატივისცემა აიძულებდა სახელმწიფოს, შეეზღუდა

რელიგიური თავყვანისცემის საგნების პროვოკაციული გამოხატვის საჯარო ჩვენება.

სასამართლოს შეფასება:

სასამართლო დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უფლებაში ჩარევა მიზნად ისახავდა, დაეცვა რელიგიური თემა ისეთი გაგებისაგან, რომელიც დამამცირებელი, სალანძღავი, უხეში და შეურაცხყოფელი ტონის, სტილისა და სულისკვეთების გამო შეურაცხყოფდა მათ, ვისაც სწამდა და ვინც ერთგულებად ქრისტიანულ ეთიკას. შესაბამისად, სერთიფიკატის გაცემაზე უარი ემსახურებოდა მართლზომიერი მიზნის მიღწევას კონვენციის მე-10 (II) მუხლის გაგებით.

3. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

მომჩივნის არგუმენტები:

მომჩივნის შეხედულებით, მისი ფილმი არ შეიცავდა პორნოგრაფიას და არ გამოხატავდა ქრისტეს არასათანადოდ და უპატივცემულოდ, ამიტომ ფილმის აკრძალვა არ იყო „თანაზომიერი საშუალება“ „კანონიერი მიზნის“ მისაღწევად.

სასამართლოს შეფასება:

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლები არ იყო ფართო, მაგრამ, მორალისა და რელიგიის სფეროში არ არსებობდა საერთო-ევროპული კონცეფცია. ის, რასაც შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა მორწმუნე ადამიანებისათვის, დამოკიდებული იყო ადგილზე, დროზე, ეპოქაზე, მოცემულ ქვეყანასა თუ რეგიონში რელიგიური მიმდინარეობების რაოდენობაზე და ა.შ. ამიტომ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალო და პირდაპირი

კონტაქტის გამო ეროვნული ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, შეფასებინა, თუ რა იქნებოდა „აუცილებელი“ შეურაცხყოფელი გამონათქვამებისაგან მორწმუნეთა გრძობების დასაცავად. ამასთან ერთად, საერთაშორისო სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ სფეროში ევროპული კონტროლის აუცილებლობასაც.

საერთაშორისო სასამართლოს განმარტებით, ვიდუფილმის სცენები ემსახურებოდა არა ეროტიული განცდების აღწერას, არამედ მაყურებელში ასეთი განცდების გამოწვევას, რაც, ჩვეულებრივ, პორნოგრაფიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა. ფილმში არ იყო პერსონაჟების ხასიათების აღწერის მცდელობაც კი. ნებართვის მიცემის შემთხვევაში, ფილმი გავრცელდებოდა ვიდუფილმის საშუალებით და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი რაოდენობის ადამიანისათვის გახდებოდა ხელმისაწვდომი. ამას ისიც ემატებოდა, რომ მომჩივანმა უარი თქვა ფილმიდან ყველაზე უფრო პროვოკაციული სცენების ამოღებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფილმის გავრცელებისათვის ნებართვის მიცემაზე უარის თქმით სახელმწიფო მოქმედებდა შეფასების თავისუფლების მისთვის განკუთვნილი არის ფარგლებში.

შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი სასამართლომ არ მიიჩნია დარღვეულად.

**6. ვირტუალური ტრენდ ცაიტშრიფტენ ვერლაგს
გმბჰ ავსტრიის წინააღმდეგ
(Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlags GmbH v. Austria)
(N 62746/00)**

საჩივარი შეეხება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სტატიის გამოქვეყნებისათვის, რომელშიც დასახელებული იყო იმ პირის ვინაობა, ვის მიმართაც სისხლის სამართლისა და დისციპლინური საქმის განხილვა დასრულებული არ იყო

27 სექტემბერი, 2001 წ.
გადაწყვეტილება

საჩივარი მიმართულია მიუღებლად როგორც „აშკარად უსაფუძვლო“

საჩივრის არსი:

მომჩივანი კომპანია ყოველკვირეული გაზეთის „პროფილის“ მფლობელია. 1999 წელს ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია ნიგერიის მოქალაქის სიკვდილის შესახებ მისი ძალდატანებითი დეპორტაციის დროს, რომელიც განახორციელა სამმა პოლიციელმა. ერთ-ერთი მათგანის („K“) გვარი და თანამდებობა მითითებული იყო სტატიის სათაურში. „K-მ“ აღძრა სარჩელი მომჩივანი კომპანიის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება „მასობრივი ინფორმაციის შესახებ“ კანონის საფუძველზე. სასამართლომ მას მიანიჭა კომპენსაცია 25000 ავსტრიული შილინგის (1816 ევროს) ოდენობით. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ პუბლიკაციის დროს, სისხლის სამართლის საქმის და დისციპლინური საქმის განხილვის პერიოდში „K“ ჩამოშორებული იყო თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან. პუბლიკაციაში „K-ს“ სახელის მითითებამ გამოიწვია მისი იზოლაცია ადგილობრივი საზოგადოებიდან და, აგრეთვე, დავები ინციდენტის თაობაზე მის ოჯახსა თუ მეგობრების წრეში.

ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „K-ს“ ვინაობის პუბლიკაციამ დაარღვია მისი კერძო ინტერესები. მომჩივანმა

კომპანიამ ეს გაასაჩივრა ზემდგომ სასამართლოში, რომელმაც უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ სტატიაში დასმული საკითხები (თავშესაფრის მოთხოვნა, დეპორტაცია, პოლიციელის საქციელი) წარმოადგენდა საზოგადოებრივ ინტერესის საგანს, მაგრამ, მიუთითა, რომ დეპორტაციის პროცედურა პოლიციელის გვარის გამოქვეყნების გარეშეც შეიძლებოდა გამხდარიყო კრიტიკული მსჯელობის საგანი. ამიტომ, მომჩივანი კომპანიის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „K-ს“ ინტერესების დასაცავად მან გამართლებულად მიიჩნია.

ბაღანყვეტილება:

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოყენებული ღონისძიება წარმოადგენდა მომჩივანი კომპანიის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. იგი გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას.

რაც შეეხება შეზღუდვის „აუცილებლობას“, მან აღნიშნა, რომ სტატიის საგანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხი, რომელიც იმავდროულად იყო ნაწილი პოლიტიკური დებატებისა, რომელიც მიმდინარეობდა ავსტრიაში დეპორტაციის განხორციელების პრაქტიკის კანონიერების თაობაზე. სტატია შეიცავდა არა მარტო ინფორმაციას პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შესახებ, არამედ მასში ერთ-ერთი მათგანის ვინაობაც იყო დასახელებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიას უფლება ჰქონდა, ეცნობებინა საზოგადოებისათვის ამ საკითხზე ნებისმიერი დეტალი, გარდა პოლიციელის სრული სახელისა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ავსტრიის სასამართლოებმა გაითვალისწინეს საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა მომხდარი შემთხვევის გარემოებებისადმი, რომელსაც შედეგად მოჰყვა მოქალაქის სიკვდილი, აგრეთვე, ის გარემოება, რომ სავარაუდოდ, საქმე შეეხებოდა პოლიციელთა მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლიანად

მიიჩნის, რომ სახელის გამოქვეყნება უარყოფითად აისახა პოლიციის თანამშრომლის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რითაც დაირღვა მისი კანონიერი ინტერესები. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იმ დროისათვის იმყოფებოდა საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვა და „პრესის სასამართლოს“ თავიდან აცილება.

ევროპულმა სასამართლომ არც შეზღუდვის თანაზომიერება უარყო. მისი შეფასებით, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, შედარებით მცირე ოდენობის ჯარიმის დაკისრების შესახებ, მართებული იყო. მან დაასკვნა, რომ მომჩივანი კომპანიის უფლებებში ჩარევა ვერ შეფასდებოდა როგორც „არათანაზომიერი“ შესაბამის გარემოებებში, ამიტომ საჩივარი მიიჩნია მიუღებლად, როგორც „აშკარად უსაფუძვლო“.

7. დემუთი შვეიცარიის წინააღმდეგ
(Demuth v. Switzerland)
(N 238743/97)

საქმე შეეხება სახელმწიფოს
უარს, კომპანიისათვის მიეცა
საკაბელო ტელევიზიით პროგ-
რამების გადაცემის ნებართვა

27 სექტემბერი, 2001 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

შაქტავი:

მომჩივანმა მოითხოვა თავისი კომპანიისათვის ლიცენზია, გადაეცა სატელევიზიო პროგრამები საკაბელო ტელევიზიით. მოთხოვნას ფედერალურმა საბჭომ უარი უთხრა იმ მოტივით, რომ პროგრამები არ შეესაბამებოდა იმ კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილი იყო ძირითადი ინსტრუქციებით რადიოსა და ტელევიზიისათვის. შესაბამისი კანონმდებლობა (*the Radio and Television Act*) მიუთითებდა, რომ რადიოსა და ტელევიზიას წვლილი უნდა შეეტანა „საზოგადოებისათვის საერთო, განსხვავებული და ობიექტური ინფორმაციის გადაცემაში“. ამ მოთხოვნას კი მომჩივნის მიერ შემოთავაზებული პროგრამები ვერ აკმაყოფილებდა, რამდენადაც ისინი ძირითადად ავტომობილების შესახებ ინფორმაციაზე იყო ფოკუსირებული.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეული არ იყო. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი სახელმწიფოებს ნებას რთავდა, თავად დაერეგულირებინათ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სალიცენზიო სისტემა. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური ასპექტები, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული

შესაბამისი სამაუწყებლო სადგურის ბუნება და მიზნები, მისი პოტენციური აუდიტორია, სპეციფიური აუდიტორიის უფლებები და საჭიროებები და, აგრეთვე, საერთაშორისო ვალდებულებები. შვეიცარიაში არსებული სალიცენზიო სისტემა, რომელიც მოიცავდა ინსტრუქციებს სატელევიზიო პროგრამების მიზნების, ფუნქციებისა და მათი შინაარსის შესახებ, უზრუნველყოფდა პროგრამების ხარისხსა და ბალანსს და შეესაბამებოდა მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტს. მოცემულ საქმეში სადავო არ იყო, რომ შეზღუდვას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – სატელევიზიო პროგრამების ხარისხისა და შინაარსის უზრუნველყოფას.

რაც შეეხება ჩარევის „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საკითხი უნდა განხილულიყო ეროვნული ხელისუფლების შეფასების თავისუფლებისა და კომპანიის მიზნების ჭრილში. მართალია, არ შეიძლებოდა იმის უარყოფა, რომ შემოთავაზებული პროგრამები მართლაც შეიტანდა გარკვეულ წვლილს საჯარო დებატებში ავტომობილებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ, ევროპული სასამართლოს აზრით, კომპანიის მთავარი მიზანი კომერციული იყო. კომერციის სფეროში კი ეროვნული შეფასების თავისუფლებას ძალზე ფართო ფარგლები გააჩნდა. შვეიცარიის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკური და კულტურული სტრუქტურა, კულტურული და ლინგვისტური პლურალიზმი, მთიანი და დაბლობი რეგიონების არსებობა და სხვა ფაქტორები მეტ აუცილებლობას წარმოშობდა პროგრამების პლურალიზმისა და ბალანსის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ეს გარემოება მეტად იყო ანგარიშგასაწევი. ამ პირობებში, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ნებართვის გაცემისას რთული იქნებოდა იმის დამტკიცებულად მიჩნევა, რომ ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილება იყო „არაგონივრული“. გარდა ამისა, მხედველობაში იყო მისაღები ისიც, რომ საბჭოს უარი არ იყო კატეგორიული და სამუდამო. საბჭომ მიუთითა, რომ კომპანიას ლიცენზია მიეცემოდა, თუ შესაბამისი ცვლილებების შედეგად მიღწეული იქნებოდა პროგრამების უფრო მეტი შესატყვისობა

კანონმდებლობით დადგენილ მიზნებთან. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას არ ჰქონდა დარღვეული ტელე და რადიომაუწყებლობის ლიცენზირების სფეროში ეროვნული სახელმწიფოებისათვის გადაცემული შეფასების თავისუფლების ფარგლები და უარყო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

8. ჰერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ
(Hertel v. Switzerland)
(N 53440/99)

17 იანვარი, 2002 წელი
გადაწყვეტილება

საჩივარი შეეხება მომჩივნისათვის იმის აკრძალვას, რომ ფართო აუდიტორიის წინაშე ემტკიცებინა, თითქოს მიკროტალლოვან ღუმელში დამზადებული საკვების საშიშროება მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს წარმოადგენდა

საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად, როგორც “აშკარად უსაფუძვლო”

საჩივრის არსი:

მომჩივანმა გამოიკვლია მიკროტალლოვან ღუმელში დამზადებული საკვების ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე და გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც გააკეთა დასკვნა, რომ მიკროტალლოვან ღუმელში დამზადებული საკვების მიღების შემდეგ ადამიანის სისხლში შეინიშნებოდა ცვლილებები და, ამასთანავე, ისეთი, როგორიც დამახასიათებელი იყო საწყისი სტადიის კიბოსათვის. სტატია კვლევის შედეგების შესახებ და საკუთრივ მოხსენება შემდეგ გამოქვეყნდა ერთ-ერთ პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში. სტატიის სახელწოდებას წარმოადგენდა: „მიკროტალლოვანი ღუმელი: საშიშაა ჯანმრთელობისათვის; უტყუარი მეცნიერული მტკიცებულებები“, ხოლო ილუსტრაციის სახით კი გამოსახული იყო დედაბერი-სიკვდილი მიკროტალლოვანი ღუმლით.

1993 წლის მარტში ელექტრო-საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მწარმოებელთა და მიმწოდებელთა შვეიცარიის ასოციაციის საჩივრის საფუძველზე, სავაჭრო საქმეთა სასამართლომ „კეთილსინდისიერი კონკურენციის“ შესახებ კანონის საფუძველზე გამოსცა ბრძანება, რომელიც უკრძალავდა მომჩივნს, გამოსულიყო საჯარო განცხადებებით იმის თაობაზე, თითქოს მიკროტალლოვან ღუმელში მომზადებული საჭმელი საშიში იყო ჯანმრთელობისათვის,

როგორც ვითომდა კარცეროგენული. აღნიშნული ამკრძალავი ბრძანების კანონიერება და საფუძვლიანობა დაადასტურა ფედერალურმა სასამართლომ. 1998 წლის 25 აგვისტოს მოძიების მიერ კონვენციის ორგანოებში წარდგენილ პირველ საჩივართან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამკრძალავი ბრძანება არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს. 1998 წლის ოქტომბერში ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ მოძიებანმა ფედერალურ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, გადაესინჯათ საქმე და გაეუქმებინათ ძველი გადაწყვეტილებები. 1999 წლის მარტში ფედერალურმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც მოძიებანს მხოლოდ ის აეკრძალა, რომ ფართო აუდიტორიის წინაშე ემტკიცებინა, თითქოს მიკროტალღოვან ღუმელში დამზადებული საკვების საშიშროება მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს წარმოადგენდა, მით უმეტეს, იმის აღუნიშნავად, რომ ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობდა. მას ასევე აეკრძალა პუბლიკაციებში და ლექციების დროს სიკვდილის სიმბოლოების გამოყენება. სასამართლომ მიუთითა, რომ მოძიებანს არ ეკრძალებოდა ამ საკითხზე დისკუსიებში მონაწილეობა და აზრის თავისუფლად გამოხატვა, მაგრამ საჯარო გამოსვლებში მას ეს არ უნდა გაეკეთებინა იმგვარად, რომ ხალხს შეჰქმნოდა ყალბი შთაბეჭდილება იმისა, რომ მისი აზრები მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებს გამოხატავდა.

გადანყვეტილება:

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში საჩივარი მიუღებლად ცნო.

მან აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოს სადაო ამკრძალავი ბრძანება მოძიებანს ართმევდა უფლებას, ფართო აუდიტორიის წინაშე ემტკიცებინა, თითქოს მისი შეხედულებები მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს წარმოადგენდა; არ აღუნიშნა, რომ არსებობდა განსხვავებული შეხედულებები ამ საკითხზე, და გამოეყენებინა სიკვდილის სიმბოლოები. ევროპულმა სასამართლომ არ უარყო,

რომ ეს წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, მაგრამ მთავარი იყო იმის შეფასება, უნდა მიჩნეულიყო თუ არა ასეთი ჩარევა გამართლებულად. ამის თაობაზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ამკრძალავი ბრძანება ემყარებოდა კანონს „კეთილსინდისიერი კონკურენციის“ შესახებ და ემსახურებოდა სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის კანონიერ მიზანს, კერძოდ კი – ელექტრო-საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მწარმოებელთა და მიმწოდებელთა ასოციაციის წევრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. იმის შესაფასებლად, იყო თუ არა ინდივიდურ უფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, უნდა შეპირაპირებულიყო, ერთი მხრივ, მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული ასოციაციის წევრთა უფლებები და ინტერესები. ამისათვის კი, უწინარესად ის უნდა განესაზღვრათ, რამდენად სერიოზული იყო აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა. საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1999 წლის მარტში მიღებული სასამართლოს ამკრძალავი ბრძანება, ძველისაგან განსხვავებით, უკვე აღარ აბრკოლებდა მომჩივანს, გაეგრძელებინა თავისი აზრები. მისგან მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ გაეკეთებინა შესაბამისი დათქმები ამ საკითხზე განსხვავებული აზრების არსებობის შესახებ. ევროპული სასამართლოს შეხედულებით, აზრის გამოხატვის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა მცირემნიშვნელოვანი იყო თავისი ხასიათით, რამდენადაც უკვე აღარ შეეხებოდა ფართო აუდიტორიის წინაშე მისი გამოსვლის შესაძლებლობას.

საერთაშორისო სასამართლოს აზრით, საფუძვლიანად უნდა მიჩნეულიყო ფედერალური სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მომჩივნის დავაღდებულება, აუცილებლად მიეთითებინა შესაბამის საკითხზე განსხვავებული აზრების არსებობის შესახებ, საშუალებას იძლეოდა, არ გავრცელებულიყო ისეთი განცხადებები, რომლებიც შეიცავდა არაზუსტ ინფორმაციას, აბნევა საზოგადოებას და უსაფუძვლოდ ზიანს აყენებდა მას. ამასთანავე, უსამართლო იყო ასოციაციისადმი, როგორც კონკურენტისადმი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში

გაითვალისწინა და ჯეროვნად დააბალანსა დაპირისპირებული უფლებები, ინტერესები და ამიტომ მომჩივნის უფლებაში ჩარევა უნდა შეფასებულიყო „თანაზომიერ ღონისძიებად“ დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში და „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, მომჩივნის საჩივარი მიიჩნია „აშკარად უსაფუძვლოდ“ და იგი მიუღებლად ცნო.

9. „უწაბჰქენზიბე ინიციატივ
ინფორმაციონსვიფალტ“ ავსტრიის
წინააღმდეგ

(Unabhängige initiative informationsvielfalt v. Austria)
(N 28525/95)

საქმე შეეხება სასამართლოს
ბრძანებას, რომლითაც მომჩივანს
აეკრძალა, გაემეორებინა თავისი
ბრალდება ცნობილი პოლიტიკოსის
მიმართ

26 თებერვალი, 2002 წელი
პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი ასოციაცია აქვეყნებდა პერიოდულ გამოცემას სახელწოდებით „სტატლატი“. 1992 წელს მან გამოსცა ბროშურა, რომელშიც მკითხველს სთავაზობდა, ავსტრიის თავისუფლების პარტიისათვის გაეგზავნათ „მცირედი საჩუქრები მისი რასისტული პროპაგანდის პასუხად“. სტატიაში მოხსენიებული იყო პარტიის ლიდერი და იმ დროისათვის პარლამენტის წევრი **იორგ ჰაიდერი**,¹⁰ გამოქვეყნებული იყო ამ პარტიის წევრთა სია მოსამართლეებისა და ტელეფონის ნომრების მითითებით. ჰაიდერმა ვაჭრობის საქმეთა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, გამოეცა ამკრძალავი ბრძანება, რომელიც დააბრკოლებდა მომჩივანს, მომავალში გაემეორებინა ასეთი მტკიცება. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, გამოსცა ამკრძალავი ბრძანება და მიუთითა, რომ მტკიცება რასისტული პროპაგანდის გაწევის შესახებ ფაქტის კონსტატაცია იყო და არა შეფასებითი მსჯელობა და აზრის გამოხატვა. მომჩივნის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო საჩივარი სამართლებრივ საკითხებზე, რომელიც შეტანილ იქნა უზენაეს სასამართლოში დაუყოვნებლივი განხილვის წესით, მიუღებლად იქნა მიჩნეული.

¹⁰ იორგ ჰაიდერი – უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების მქონე ცნობილი ავსტრიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ავსტრიის თავისუფლების პარტიის ლიდერი. სხვადასხვა გამონათქვამების გამო, მას ბრალს ღებენ ნაციონალიზმსა და ნეონაციზმში

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ამგვარი ჩარევა გათვალისწინებული იყო ეროვნული კანონმდებლობით და ემსახურებოდა სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერ მიზანს. რაც შეეხებოდა ასეთი ჩარევის „აუცილებლობას“, ეს საკითხი იმ დროინდელ პოლიტიკურ კონტექსტში უნდა შეფასებულიყო, კერძოდ, იმ რეაქციის გათვალისწინებით, რომელიც მოჰყვა ჰაიდერისა და ავსტრიის თავისუფლების პარტიის ინიციატივით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას „არაკონტროლირებადი იმიგრაციის წინააღმდეგ“.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ ავსტრიის მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ რასისტულ პროპაგანდაში დადანაშაულება ძალზე სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა და თავისი მნიშვნელობით კრიმინალურ მოქმედებებში დადანაშაულებას უთანაბრებოდა, შეიძლებოდა გაზიარებული ყოფილიყო კიდევაც ევროპული სასამართლოს მხრიდან ჟურნალისტთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის კონტექსტში, მაგრამ საქმის გარემოებები მოწმობდნენ, რომ არ არსებობდა ჟურნალისტის მხრიდან სინამდვილის წინასწარ განზრახული უგულვებელყოფის რაიმე ნიშანი მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდებისას. უფრო მეტიც, მისი მტკიცება არ წარმოადგენდა უძიზებო პერსონალურ თავდასხმას. იგი უშუალოდ უკავშირდებოდა კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას და წარმოადგენდა ერთგვარ წვლილს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის საჯარო განხილვაში.

საერთაშორისო სასამართლომ უარყო ავსტრიის მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ჟურნალისტის განცხადებები ფაქტებს შეეხებოდა, ამიტომ მათი სისწორე უტყუარ დამტკიცებას საჭიროებდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი ქმედების ჩადენის დამტკიცება, როგორც იყო „მტრობისაკენ წაქეზება“ (რასაც რასისტული პროპაგანდა ჩვეულებრივ გულისხმობს), შეიძლებოდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი

პროცედურის შედეგად და რომ დანაშაულის ბრალდების საფუძვლიანობის სიზუსტის ხარისხი ძნელად თუ შეედრებოდა იმ სიზუსტეს, რომელიც ჟურნალისტს უნდა დაეცვა თავისი აზრის გამოხატვისას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე შეფასებითი მსჯელობის დროს. მომჩივანმა გამოაქვეყნა ის, რაც შეიძლებოდა განხილულიყო როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე პატიოსანი კომენტარი და, მამასადაძმე, წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“. ამიტომ ევროპული სასამართლო ვერ დაეთანხმებოდა იმ კვალიფიკაციას, რომელიც ავსტრიის სასამართლოებმა ჟურნალისტის მტკიცებებს მისცეს.

საერთაშორისო სასამართლომ დასძინა, რომ, საერთოდ, ჟურნალისტური პუბლიკაციები ხშირად ხასიათდებოდნენ გარკვეული გადაჭარბებით და ყოველთვის არ ემყარებოდნენ კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამგვარ ვითარებასთან არ ჰქონდათ საქმე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ავსტრიის სასამართლოები გასცდნენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის სფეროში ეროვნული სახელმწიფოებისათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლებს.

შესაბამისად, მან, თავისი ერთხმივი გადაწყვეტილებით ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის მატერიალური ზარალის შესაბამისი თანხის გადახდა და გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

10. დიხანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ
(Dichand and others v. Austria)
(N 29271/95)

საქმე შეეხება სასამართლოს
ბრძანებას, რომლითაც მომჩივანს
აეკრძალა, გაემუორებინა თავისი
ბრალდება პარლამენტის წევრის
მიმართ

26 თებერვალი, 2002 წელი
პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულია დარღვეულად

ფაქტები:

პირველი მომჩივანი ამ საქმეზე გაზეთ „ნოიე ცაიტუნგის“ რედაქტორი და გამოცემელია, მეორე მომჩივანი – შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა – ამ გაზეთის მფლობელი, ხოლო მესამე მომჩივანი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, მეორე მომჩივნის მთავარი პარტნიორი.

პირველმა მომჩივანმა გაზეთში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გააკრიტიკა ადვოკატი, პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გრაფი. ბ-ნი გრაფი, იმავე დროს, ერთ-ერთ საქმეში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, წარმოადგენდა მომჩივანთა კონკურენტის ინტერესებს. აღნიშნული საქმე აღძრული იყო იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელიც მომჩივანთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განეკუთვნებოდა. სტატიაში, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის გამონათქვამის მოხმობით, ბ-ნი გრაფი გაკრიტიკებული იყო იმის გამო, რომ მან არ შეწყვიტა თავისი საადვოკატო პრაქტიკა სახელმწიფო სამსახურში შესვლის მიუხედავად. სტატიაში ასევე ნათქვამი იყო, რომ გრაფის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში მიღებულ იქნა საკანონმდებლო შესწორება, რომელიც მომჩივანი იყო იმ გამოცემებისათვის, ვის ინტერესებსაც ის წარმოადგენდა. და ბოლოს, სტატიაში საუბარი იყო მის „სამარცხვინო პოზიციაზე“, რომელიც მან დაიკავა სატელევიზიო გამოსვლის დროს.

ბ-ნმა გრაფმა აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს ამკრძალავი ბრძანების მისაღებად და მოითხოვა, რომ მომჩივნებისათვის აეკრძალათ, გამოეთქვათ ან გაემეორებინათ ზემოაღნიშნული მტკიცებები და უარი ეთქვათ მათზე. სასამართლომ გამოსცა ამკრძალავი ბრძანება, ვინაიდან მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებები უთანაბრდებოდა შეურაცხყოფას და ისინი შეეხებოდა ისეთ ფაქტებს, რომელთა ჭეშმარიტება მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს. მეორე ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა საჩივარი, ხოლო საჩივარი სამართლებრივ საკითხებზე, რომელიც შეტანილ იქნა დაუყოვნებლივი განხილვის პროცედურის გამოყენებით, უზენაესმა სასამართლომ მიუღებლად ცნო.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო ეროვნული კანონმდებლობით და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას. რაც შეეხება ასეთი ჩარევის „აუცილებლობას“, საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალ-ცალკე უნდა შეფასებულიყო მომჩივანთა მტკიცებების სამივე ძირითადი ელემენტი, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლოს ამკრძალავი ბრძანება.

პირველი ელემენტის შესახებ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატიაში კონკრეტული მაგალითით ილუსტრირებული იყო საერთო მორალური პრინციპი და ნათქვამი იყო, რომ გრაფი არ აპირებდა ამ პრინციპების მიმდევარი ყოფილიყო. შემდეგ უფრო დაწვრილებით და ზუსტად იყო აღწერილი მათი კრიტიკის ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ – გრაფის სამსახურებრივი შეუთავსებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ამ ნაწილში არ იზიარებდა ავსტრიის სასამართლოების დასკვნას, თითქოს პუბლიკაცია მხოლოდ გაყალბებული ფაქტების მტკიცებას შეიცავდა.

მეორე ელემენტის შესახებ, რომელიც საკანონმდებლო შესწორებებს შეეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

სტატიაში ის კი არ იყო ნათქვამი, რომ აღნიშნული საკანონმდებლო შესწორება მხოლოდ და მხოლოდ გრაფის კლიენტების ინტერესებს ეხმარებოდა, არამედ ის, რომ ეს შესწორება მისი კლიენტებისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო და დიდ მოგებას მიუტანდა. შესაბამისად, მან მიიჩნია, რომ ასეთ გარემოებებში, არსებობდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი შეფასებითი მსჯელობისათვის, რომელიც წარმოადგენდა კეთილსინდისიერ, პატიოსან კომენტარს ფართო საზოგადოებისათვის ინტერესის მქონე საკითხზე. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო მე-3 ელემენტის – სატელევიზიო გამოსვლასთან დაკავშირებული მტკიცების – შესახებ.

საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მომჩივანთა აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ბ-ნი გრაფი პოლიტიკურ მოღვაწეს წარმოადგენდა და იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური საქმიანობა და ბიზნესი არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან, შეიძლებოდა გამოეწვია საზოგადოებრივი რეზონანსი.

საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, მომჩივნებმა გამოაქვეყნეს მკაცრად კრიტიკული სტატია პოლემიკის ენაზე და სუსტ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, მაგრამ ეს არ არღვევდა აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა ისეთ იდეებსა და ინფორმაციას, რომელიც „შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი და აღმაშფოთებელი“ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვათათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ ავსტრიის სასამართლოებმა დაარღვიეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის სფეროში ეროვნული სახელმწიფოებისათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლები.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ თავისი ერთხმივი გადაწყვეტილებით ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნებისათვის იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც ბ-ნ გრაფს გადაუხადეს შიდა სამართლებრივი პროცედურის ჩარჩოებში მისი პროცენტების გათვალისწინებით, რომელიც დარიცხული იქნა მასზე მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, აგრეთვე, იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მომჩივნებმა გასწიეს კონვენციის მექანიზმის ჩარჩოებში საქმის განხილვასთან დაკავშირებით.

11. კომპანია „კრონე ფერლაგ გმბჰ ენდ კო. კგ“
ავსტრიის წინააღმდეგ
(Krone Verlag GmbH & Co.KG v. Austria)
(N 34315/96)

საქმე შეეხება სასამართლოს ბრძანებას, რომლითაც მომჩივანს აეკრძალა, გამოექვეყნებინა ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწის ფოტოსურათები მის შესახებ კრიტიკულ წერილებთან დაკავშირებით

26 თებერვალი, 2002 წელი
პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინიწულია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი კომპანია გამოსცემდა გაზეთს. ამ გაზეთის კარინტის მიწის გამოცემაში მან გამოაქვეყნა სტატიათა სერიალი ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწის – ბ-ნი პოშის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა როგორც ავსტრიის, ისე – ევროპის პარლამენტის წევრს. სტატიებს თან ახლდა ბ-ნი პოშის ფოტოსურათები. ბ-ნი პოშმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რის საფუძველზეც სასამართლომ გამოსცა ამკრძალავი ბრძანება. ამ ბრძანების შესაბამისად იკრძალებოდა ბ-ნი პოშის ფოტოსურათების პუბლიკაცია ამგვარ სტატიებთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც ბ-ნი პოშის სახე არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მისი ფოტოსურათების დაბეჭდვით შეიქმნა შესაძლებლობა, ეცნოთ იგი, რითაც დაირღვა მისი კანონიერი ინტერესები. სასამართლომ თავისი ბრძანება იმითაც დაასაბუთა, რომ ფოტოსურათებს ისედაც არ ჰქონდათ რაიმე მნიშვნელობა ინფორმაციულობის თვალსაზრისით. მომჩივნის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ზოლო ბ-ნი პოშის საჩივარი სამართლის საკითხებზე, შეტანილი დაუყოვნებლივი განხილვის წესით, უზენაესმა სასამართლომ მიუღებლად ცნო.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო ეროვნული კანონმდებლობით და ემსახურებოდა სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერ მიზანს. რაც შეეხებოდა ასეთი ჩარევის აუცილებლობას, უნდა გათვალისწინებულიყო შემდეგი: სტატიის შინაარსი შეეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს და მცირედ თუ შეეხებოდა ბ-ნი პოშის პირადი ცხოვრების სფეროს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ავსტრიის სასამართლებმა მხედველობაში არ მიიღეს პრესის უზარმაზარი როლი და დანიშნულება, გაეგრძელებინა ინფორმაცია და იდეები ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც კი საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა. ამ შემთხვევაში, არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა იმ გარემოებას, იყო თუ არა ბ-ნი პოში ან მისი ფოტოსურათი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი. მხედველობაში უნდა მიღებულიყო მხოლოდ ის, იყო თუ არა ბ-ნი პოში გამოსული პოლიტიკურ არენაზე. რამდენადაც ბ-ნი პოში იყო პოლიტიკოსი და ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას, ის ვალდებული იყო, მთლიანად ეტარებინა მისი შედეგების ტვირთიც.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა რაიმე მკვეთრი მიზეზი მომჩივნისათვის ბ-ნი პოშის ფოტოსურათების დაბეჭდვის ასაკრძალად; მით უმეტეს, რომ პუბლიკაცია არ ეხებოდა მისი პირადი ცხოვრების დეტალებს. უფრო მეტიც, საგულისხმო იყო ისიც, რომ ბ-ნი პოშის კურიკულუმ-ვიტე და ფოტოსურათები გადაცემული იყო ავსტრიის პარლამენტის ინტერნეტ-საიტზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ავსტრიის სასამართლოს ბრძანებით გათვალისწინებული დონისძიება, პოლიტიკური მოღვაწის ფოტოსურათის პუბლიკაციის აკრძალვისა, არ იყო განპირობებული შესაბამისი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობით.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ თავისი ერთხმივი გადაწყვეტილებით ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც მან ბ-ნ პოშს გადაუხადა შიდა სამართლებრივი პროცედურის შედეგად. ევროპულმა სასამართლომ მორალურ ზიანთან მიმართებაში აღნიშნა, რომ კონვენციის დარღვევის აღიარების ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას. სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა მომჩივნისათვის გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

12. იოვანოვიჩი სორვატიის წინააღმდეგ
(Jovanovic v. Croatia)
(N 59109/00)

საჩივარი შეეხება მომჩივნის
სამსახურიდან გათავისუფლებას
სავარაუდოდ იმის გამო, რომ მან
მონაწილეობა მიიღო რეფერენ-
დუმში და გამოხატა თავისი აზრი
ხორვატიაში სერბეთის ავტონომიის
შექმნის შესახებ

28 თებერვალი, 2002 წელი
გადაწყვეტილება

საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად
ratione temporae-ს
წესის დაუცველობის გამო

საჩივრის არსი:

მომჩივანი მუშაობდა შრომა-გასწორების დაწესებულებაში
სოფლის მეურნეობის ტექნიკოსად. 1992 წელს ის გაათავისუფლეს
სამსახურიდან იმისათვის, რომ სავარაუდოდ იგი მონაწილეობდა
რეფერენდუმში ხორვატიაში სერბეთის ავტონომიის შექმნის
საკითხზე, რომელიც 1990 წელს ჩატარდა. მისი საჩივარი, შეტანილი
შრომა-გასწორების დაწესებულების დისციპლინურ საბჭოში,
უარყოფილ იქნა. მან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით
საჩივარი შეიტანა მუნიციპალიტეტის სასამართლოში, რომელიც
არ დაკმაყოფილდა. მისი სააპელაციო საჩივარი ასევე არ
დააკმაყოფილა ზემდგომმა სასამართლომ. შემდეგ მომჩივანმა მისი
საქმის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართა უზენაეს სასამართლოს,
რომელმაც ასევე უარი უთხრა მას. იოვანოვიჩმა იჩივლა
საკონსტიტუციო სასამართლოში და დააყენა ზემოაღნიშნული
სასამართლო გადაწყვეტილების ქვეყნის კონსტიტუციასთან
შეუსაბამობის საკითხი. 1999 წლის ოქტომბერში საკონსტიტუციო
სასამართლომ უარი უთხრა მომჩივნის საჩივარს. აღნიშნულ
საჩივრებში მომჩივანი აყენებდა მისთვის აზრის გამოხატვის
თავისუფლების დარღვევის საკითხს.

გადაწყვეტილება:

ევროპულმა სასამართლომ დასვა საკითხი, შეეძლო თუ არა მას *ratione temporae*-ს წესიდან გამომდინარე, განეხილა მოძიების საჩივარი. ვინაიდან ზორვატიის მიმართ კონვენცია ძალაში შევიდა 1997 წლის 5 ნოემბერს, ევროპული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გამოეკვლია ამ თარიღის შემდეგ მომხდარი ფაქტები. მართალია, მოძიების სამსახურიდან გათავისუფლებული იყო 1992 წელს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული ჰქონდა 1999 წლის ოქტომბერში, როდესაც კონვენცია უკვე ძალაში იყო შესული და მოქმედებდა. ამის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გარემოება არ ცვლიდა პრობლემის არსს, ვინაიდან, მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოწყვეტა იმ მოვლენებისაგან, რის საფუძველზეც წარმოიშვა მოცემული საქმე, კონვენციისათვის უკუძალის მიცემის ეკვივალენტური იქნებოდა. გარდა ამისა, ეს ბათილად აქცევდა ზორვატიის სახელმწიფოს განცხადებას ევროპული სასამართლოს შესაბამისი იურისდიქციის ცნობის შესახებ, მიეღო ინდივიდუალური საჩივარი. ევროპული სასამართლომ შეხედულებით, მხედველობაში იყო მისაღები ისიც, რომ თანამდებობიდან გათავისუფლება იყო ერთჯერადი აქტი, რომელიც არ ქმნიდა განგრძობადობის ვითარებას.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქმის წარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში შეესაბამებოდა *ratione temporae*-ს პირობებს, მაგრამ მოძიების რაიმე ცალკე საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედებასთან დაკავშირებით, არ ჰქონდა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ საჩივარი მიუღებლად ცნო *ratione temporae*-ს წესთან შეუთავსებლობის გამო.

13. გაველა პოლონეთის წინააღმდეგ
(Gaweda v. Poland)
(N 26229/95)

საქმე შეეხება პერიოდული გამოცემის სახელწოდების რეგისტრაციაზე უარს იმ მოტივით, რომ იგი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს

14 მარტი, 2002 წელი
პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინსკულია დარღვეულად

შაქტები:

ვოევოდის სასამართლომ უარყო მომჩივნის შუამდგომლობა, რეგისტრაციაში გაეტარებინა პერიოდული გამოცემის სახელწოდება „სოციალური და პოლიტიკური ყოველთვიური – ევროპული მორალური ტრიბუნალი“. აღნიშნული გამოცემა უნდა გამოქვეყნებულიყო ქ.კეტაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელწოდებაში ნაგულისხმები იყო, თითქოს ქ.კეტაში შეიქმნა ევროპული ინსტიტუტი, რაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს და დააბნევედა პოტენციურ მკითხველს. ვოევოდის სასამართლომ შემდგომში ასევე უარი უთხრა მოჩივანს გამოცემის შემდეგი სახელწოდების რეგისტრაციაზე - „გერმანია – პოლონეთის ათასწლოვანი მტერი“, ვინაიდან მიიჩნია, რომ ასეთი სახელწოდებით პერიოდული გამოცემის რეგისტრაცია ზიანს მოუტანდა პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობას. ზემდგომმა სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ სახელწოდება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. იმ დროისათვის მოქმედი იუსტიციის მინისტრის ორდონანსი პერიოდული გამოცემების რეგისტრის შესახებ, რომელიც გამოცემული იქნა „პრესის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ითვალისწინებდა, რომ რეგისტრაცია არ დაიშვებოდა, თუ ის ეწინააღმდეგებოდა იმ დროისათვის მოქმედ ინსტრუქციას ან არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. იგივე კანონი ითვალისწინებდა რეგისტრაციაზე უარს, თუ რეგისტრაციაზე შუამდგომლობა არ შეიცავდა აუცილებელ მონაცემებს, ან შემოთავაზებულ სახელწოდებას შეეძლო ზიანი

მიყენებინა უკვე არსებული პერიოდული გამოცემის სახელწოდების დაცვის უფლებისათვის.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, პერიოდული გამოცემის სახელწოდების რეგისტრაციაზე უარი თავად ამ გამოცემის პუბლიკაციაზე უარის ეკვივალენტური იყო, ამიტომ მომჩივნის შუამდგომლობაზე უარი უნდა განხილულიყო როგორც მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების განხორციელებაში ჩარევა. მართალია, კონვენციის მე-10 მუხლი პირდაპირ არ კრძალავდა პუბლიკაციებზე წინასწარი შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას, მაგრამ აუცილებელი იყო, რომ შესაბამის შიდა კანონმდებლობაში ცხადად ყოფილიყო მითითებული იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობისას ასეთი შეზღუდვები დასაშვებია იქნებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შეზღუდვა პუბლიკაციის მთლიანად ბლოკირებას გულისხმობდა.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში მოსამართლეები დაეყრდნენ იუსტიციის მინისტრის ორდონანსს, რომელიც ითვალისწინებდა საკუთრივ გამოცემის რეგისტრაციაზე უარის თქმას „სინამდვილესთან შეუსაბამობის“ შემთხვევაში. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა ეს დებულება იმგვარად განმარტეს, თითქოს იგი მათ აძლევდა უფლებამოსილებას, უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, თუკი მიიჩნევდნენ, რომ გამოცემის სახელწოდება არსებითად ყალბ წარმოდგენას ქმნიდა. მან აღნიშნა, რომ, მართალია, ორდონანსში გამოყენებული ტერმინები არ იყო ცალსახა მნიშვნელობისა და ცხადი, მაგრამ მას, ისევე, როგორც ამ ტიპის ნორმატიულ აქტებს საზოგადოდ, ყველაზე უფრო მეტი, რაც შეეძლო, ის იყო, რომ აეკრძალა გამოცემის რეგისტრაცია შუამდგომლობის ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. საერთაშორისო სასამართლოს აზრით, იმის მოთხოვნა, რომ ჟურნალის სახელწოდება ნამდვილი ინფორმაციის გამომხატველი ყოფილიყო, არამართლზომიერი იქნებოდა პრესის თავისუფლების თვალთახედვით, ვინაიდან პერიოდული გამოცემის სახელწოდება არ წარმოადგენდა რაიმეს მტკიცებას, როგორც ასეთს. მისი ფუნქცია მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მოეხდინა

პერიოდული გამოცემის იდენტიფიკაცია პრესის ბაზარზე მისი მკითხველისათვის. გარდა ამისა, ამგვარი განმარტებისათვის, აუცილებელი გახდებოდა შესაბამისი საკანონმდებლო დებულებების არსებობა, რომელშიც ცხადად იქნებოდა მითითებული სასამართლოს იმ უფლებამოსილებაზე, რომელიც მომჩივნის საქმის განმხილველმა სასამართლოებმა თვითონ იგულვეს.

საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა კანონის დებულების თავიანთი განმარტებით, ფაქტობრივად, შემოიღებინეს ახალი კრიტერიუმი პერიოდული გამოცემის სახელწოდების რეგისტრაციაზე უარისა, რაც არ შეიძლებოდა ნაგულისხმები ყოფილიყო ნორმატიული აქტით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოცემების სასამართლო წესით რეგისტრაციის სისტემა, თავისთავად, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენდა პრესის თავისუფლებისათვის, მაგრამ სასამართლოთა გადაწყვეტილებებიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. მოცემულ საქმეში ამ გარანტიამ ვერ შეძლო, შეეკავებინა სასამართლო მასობრივი ინფორმაციის საშუალების წინასწარი შეზღუდვისაგან, რასაც შედეგად მოჰყვა სახელწოდების საფუძველზე ყველა შესაბამისი პერიოდული გამოცემის პუბლიკაციის აკრძალვა.

საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებული კანონმდებლობა არ იყო ფორმულირებული იმდენად ცხადად, რომ მომჩივანს შესძლებოდა, შეეთანხმებინა მისთვის თავისი მოქმედებები. შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ ხერხი, რომლითაც შეიზღუდა მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლება, არ იყო „კანონით გათვალისწინებული“, რაც საკმარის საფუძველს წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევულად მიჩნევისათვის.

საერთაშორისო სასამართლომ ერთხმად ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის მორალური ზიანისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

14. ნიკულა ფინეთის ფინანსდღეზ
(Nikula v. Finland)
(N 31611/96)

საქმე შეეხება ადვოკატის დასჯას პროკურორის დიფამაციისათვის იმ განცხადებების გამო, რომლებიც მან გააკეთა სასამართლო სხდომაზე

21 მარტი, 2002 წ.
პალატის განმარტება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინუელია დარღვეულია

ფაქტები:

მომჩივანი გამოდიოდა თავისი კლიენტის დამცველად სისხლის სამართლის საქმეზე. პროკურორმა გადაწყვიტა, არ წარედგინა ბრალდება ბრალდებულის ძმისათვის, მაგრამ ის უწყებით გამოიძახა ჩვენების მისაცემად. ამის პასუხად, ნიკულამ გამოაქვეყნა მეპორანდუმი, სადაც პროკურორს ბრალი დასდო „არნახული უკანონობისა“ და „როლების მანიპულირებისათვის“. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ პროკურორი პროცესუალური ტაქტიკის საშუალებით ცდილობდა „თანამონაწილე მოწმედ ექცია“ და „შეთითხნილი ბრალდება წაუყენა პირს, რომელიც მოწმედ უნდა გამოსულიყო“.

პროკურორმა ამ განცხადებების შესახებ მოახსენა სააპელაციო სასამართლოს მთავარ პროკურორს. მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა მიიჩნია, რომ ადვოკატი დამნაშავე იყო დიფამაციისათვის, მაგრამ გადაწყვიტა, არ მიეცა ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში დანაშაულის მცირე მნიშვნელობის გამო. მაშინ პროკურორმა აღძრა კერძო ბრალდების საქმე, რის შედეგადაც მომჩივანი ცნობილი იქნა დამნაშავედ დაუდევრობით ჩადენილი დიფამაციისათვის, მიესაჯა ჯარიმა და დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა განაჩენის მოტივაციას, მაგრამ მოუხსნა სასჯელი დანაშაულის მცირე მნიშვნელობის გამო.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ემყარებოდა სისხლის სამართლის კოდექსის ვონიერულ განმარტებას, ამიტომ უნდა მიჩნეულიყო, რომ ასეთი ჩარევა „გათვალისწინებული იყო კანონით“ და ემსახურებოდა პროკურორის რეპუტაციისა და უფლებების დაცვის კანონიერ ინტერესს.

რაც შეეხებოდა ჩარევის „აუცილებლობას“, საერთაშორისო სასამართლომ ამ საკითხზე დასკვნის გამოტანისას, მხედველობაში მიიღო ის საერთო მიდგომები, რაც არსებობდა სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებთან დაკავშირებით, აგრეთვე, ადვოკატისათვის სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სხვა.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, ადვოკატებს გააჩნდათ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ზეპირი კომენტარის უფლება, მაგრამ მათ კრიტიკას არ უნდა დაერღვია განსაზღვრული ფარგლები და რომ ამ თვალსაზრისით აუცილებლად უნდა მიღებულიყო მხედველობაში პროცესზე წარმოდგენილ ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის დამყარების აუცილებლობა.

მან მიუთითა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას გააჩნდა ამ სფეროში შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლები, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა რაიმე ისეთი განსაკუთრებული გარემოება, რომელიც გაამართლებდა ამ ფარგლების გაფართოებას. მართალია, დასაშვები კრიტიკის ფარგლები ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეთა მიმართ შეიძლება ყოფილიყო შედარებით უფრო ფართო, ვიდრე რიგითი ადამიანის მიმართ, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი საქმიანობა არ იყო ისე ფართოდ გახმაურებული და საზოგადოებისათვის ცნობილი, როგორც პოლიტიკოსებისა. უფრო მეტიც, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომ საზოგადოებას ჰქონოდა სახელმწიფო მოხელეების რწმენა, ამიტომ აუცილებელი იყო მათი დაცვა შეურაცხყოფელი სიტყვიერი თავდასხმებისაგან,

განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობებს ასრულებდნენ.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში და სამართლიანობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მხარეებს შორის არგუმენტების თავისუფალი გაცვლა; ადვოკატის თავისუფლება უსაზღვრო არ იყო, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის კრიტიკა არ არღვევდა დაშვებულ საზღვრებს. იგი მიმართული იყო ბრალდების ტაქტიკისაკენ, და, მართალია, ზოგიერთი გამონათქვამი არასათანადო იყო, მაგრამ, მთლიანობაში, გამოთქმული კრიტიკა მკაცრად იყო შეზღუდული მოცემულ საქმეზე პროკურორის საქმიანობით და არ შეეხებოდა მის საერთო პროფესიულ ან სხვა თვისებებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ პროცესულურ კონტექსტში პროკურორს ჰმართებდა, ყოფილიყო მომთმენი ადვოკატის მკაცრი კრიტიკისადმი, რომელიც შემოზღუდული იყო სასამართლო პროცესის საკითხებით და არ უთანაბრდებოდა პირად შეურაცხყოფას.

საერთაშორისო სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ, მართალია, მომჩივანი მხოლოდ დიფამაციისათვის ცნეს დამნაშავედ და შემდეგ სასჯელისგანაც გაათავისუფლეს, მაგრამ არსებობდა საქმის *ex post facto* გადასიჯვის საშიშროება. მანვე განმარტა, რომ მხოლოდ ადვოკატს (სასამართლოს ზედამხედველობით) შეეძლო, შეეფასებინა დაცვის არგუმენტების რელევანტურობა და გამოსადეგობა (ვარგისიანობა) და ამიტომ გამორიცხული უნდა ყოფილიყო ნებისმიერი ღონისძიება, თუნდაც უმცირესი სისხლისსამართლებრივი სანქცია, ანდა სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებდა ადვოკატის სიტყვის თავისუფლებაზე.

საერთაშორისო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა დაშვებულიყო, ხოლო მოცემულ საქმეში კი მისი შეზღუდვა არ იყო „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“ გამართლებული.

შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლომ (5 ხმით 2-ის წინააღმდეგ) დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის იმ თანხის გადახდა, რომელიც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა, აგრეთვე, მისთვის მორალური ზიანისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

15. მაკ-ვიკარი ბაერთიანებული სამეფოს
წინააღმდეგ
(Mc Vicar v. The United Kingdom)
(N 46311/99)

საქმე შეეხება სასამართლოს
ბრძანებას, რომლითაც მოძივანს
აეკრძალა განცხადების გამოვრება
იმის შესახებ, თითქოს ცნობილი
სპორტსმენი აკრძალულ პრეპარა-
ტებს იყენებდა

7 მაისი, 2002 წელი
პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

შაქტები:

მოძივანმა, რომელიც ჟურნალისტი იყო, გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ცნობილი სპორტსმენი იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს თავისი სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად. სპორტსმენმა მაღალ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ცილისწამების შესახებ მოძივნის, ჟურნალის რედაქტორისა და გამომცემლობის წინააღმდეგ. ჟურნალის რედაქტორმა და გამომცემლობამ თავიანთ წარმომადგენლად აიყვანეს ადვოკატი, რომელიც სპეციალიზირებული იყო ცილისწამებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებზე. მაკ-ვიკარმა ვერ შეძლო ადვოკატის აყვანა, ვინაიდან არ შეეძლო გადაეხადა ადვოკატის მომსახურების ხარჯები, ხოლო უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობა ცილისწამების საქმეებზე არ არსებობდა.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მხარეებს უნდა გაეცვალათ მოწმეთა ჩვენებები განსაზღვრულ ვადაში და შეეძლოთ ექსპერტის მოწვევა ჩვენების მისაცემად იმ პირობით, თუ ექსპერტის დასკვნას წარუდგენდნენ სასამართლოსა და მეორე მხარეს განსაზღვრული დღისათვის. მოძივანმა წარადგინა ორი დოკუმენტი. ერთ-ერთი მათგანი შეეხებოდა სხვა სპორტსმენის მიერ იმავე ფაქტის მტკიცებას, რაც დავის საგანი გახდა.

საქმის სასამართლოში განხილვის დაწყების წინ მომჩივანი ერთადერთ მოპასუხედ დარჩა, ვინაიდან ჟურნალის რედაქტორი გარდაიცვალა, ხოლო გამომცემლობა გადახდაუუნაროდ გამოცხადდა. მაკ-ვიკარმა საქმის წარმოება დაავალა დანარჩენი ორი მოპასუხის ადვოკატს, რომელიც შეეცადა, მიეღო ორი მოწმის დაწვრილებითი ჩვენება. მოწმე-ექსპერტის ჩვენება სასამართლოში წარდგენილ იქნა პროცესის დაწყებამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე. სასამართლომ უარი თქვა, მტკიცებულებებად მიეღო მოწმე-ექსპერტისა და სხვა სპორტსმენის ჩვენებები. მაკ-ვიკარის საჩივარი ამ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ძირითად პროცესზე მაღალ სასამართლოში მომჩივანი არ იყო წარმოდგენილი ადვოკატით ფინანსების არარსებობის გამო. მსაჯულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მაკ-ვიკარმა ვერ შეძლო, დაემტკიცებინა თავისი განცხადებების ნამდვილობა. სასამართლომ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები დააკისრა მომჩივანს და გამოსცა ამკრძალავი ბრძანება, რომლის შესაბამისად, მაკ-ვიკარს თავი უნდა შეეკავებინა სპორტსმენის შესახებ თავისი განცხადებების გამეორებისაგან.

სამართლის საკითხები:

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა დააყენა კონვენციის მე-6(1) და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული თავისი უფლებების დარღვევის საკითხი.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თაობაზე:

საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ პასუხი კითხვაზე, თხოულობდა თუ არა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადვოკატის დახმარების უზრუნველყოფას, დამოკიდებული იყო საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, კერძოდ კი იმაზე, შეეძლო თუ არა შესაბამის პირს ადვოკატის დახმარების გარეშე, თვითონ წარმოედგინა თავისი ინტერესები სათანადოდ. ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეს სასამართლო მსაჯულების მონაწილეობით

განიხილავდა, არ წარმოადგენდა გადაწყვეტ ფაქტორს. არც ის გარემოება წარმოადგენდა იურიდიული დახმარების გაწევის საკმარის საფუძველს, რომ მომჩივანს დაეკისრა თავისი განცხადებების ნამდვილობის დამტკიცების ტვირთი. მომჩივანი წარმოადგენდა განათლებულ ადამიანს, გამოცდილ ჟურნალისტს და შეეძლო დამაჯერებელი არგუმენტები ჩამოეყალიბებინა. წესი, რომელზე დაყრდნობითაც მომჩივნის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იქნა დაშვებული განსახილველად, ისევე, როგორც სასამართლოს ბრძანება დათქმულ ვადაში მხარეებს შორის მტკიცებულებების ურთიერთგაცვლის შესახებ, საერთაშორისო სასამართლოს აზრით, იყო ცხადი, ადვილად გასაგები და არაორაზროვანი, ამიტომ მაკვიკარს შეეძლო ადვილად გარკვეულიყო იმაში, რასაც მისგან მოითხოვდნენ. რაც შეეხებოდა ნორმას ცილისწამების შესახებ, არც ის იყო იმდენად რთული, რომ მომჩივნის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს აუცილებლად დასჭირვებოდა იურიდიული დახმარება. საქმის შედეგი დამოკიდებული იყო მხოლოდ მის უნარზე, დაემტკიცებინა თავისი განცხადებების ნამდვილობა პროცესუალურ ოპონენტებთან შედარებით უფრო წონადი არგუმენტებით. საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების არარსებობის გამო სამართლიანი განხილვის უფლება, მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულად ვერ იქნებოდა მიჩნეული. შესაბამისი გადაწყვეტილება სასამართლოში ერთხმად იქნა მიღებული.

კონვენციის მე-10 მუხლის თაობაზე:

საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივნის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად გამოცხადების შესახებ წარმოადგენდა მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევას, მაგრამ ასეთი ჩარევა, მისი აზრით, აუცილებელი იყო მოსარჩლის ინტერესების დასაცავად.

რაც შეეხებოდა მომჩივნისათვის დაკისრებულ სასამართლო ხარჯებსა და სასამართლოს ამკრძალავ ბრძანებას აღარ

გაემეორებინა მომავალში თავისი განცხადებები, საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიებები ვერ იქნებოდა მიჩნეული არათანაზომიერად, რამდენადაც მომჩივანმა ვერ შეძლო მათი ნამდვილობის დამტკიცება. ეს ღონისძიებები განპირობებული იყო მოსარჩლის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის აუცილებლობით და არა იმ მისწრაფებით, რომ მომჩივანი და სხვა ჟურნალისტები ჩომოეცილებინათ შემდგომში საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიისაგან.

ევროპულმა სასამართლომ იმ საკითხებზეც იმსჯელა, თუ რამდენად გამართლებული იყო მომჩივნისათვის თავისი განცხადებების ნამდვილობის მტკიცების ტვირთის დაკისრება. მან გაითვალისწინა, რომ სტატიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას პოტენციურად შეეძლო საკმაოდ სერიოზული შედეგები მოეტანა სპორტსმენისათვის, ამიტომ მისი ნამდვილობის დამტკიცების მოთხოვნა უნდა შეფასებულიყო მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების გამართლებულ შეზღუდვად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად).

16. კოლომბანი და სხვები საფრანგეთის
წინააღმდეგ
(Colombani and others v. France)
(N 51279/99)

საქმე შეეხება მომჩივნების
დაჯარიმებას უცხო სახელმწიფოს
მეთაურის შურადაცემისათვის,
რაც შედეგად მოჰყვა სტატიის
გამოქვეყნებას

25 მაისი, 2002 წელი
პალატის განმარტება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიხსნულია დარღვეულიად

შაქტები:

ევროპული თანამეგობრობის წევრად მიღების შესახებ მაროკოს განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით, ევროპული თანამეგობრობის კომისიის თხოვნით, მომზადდა მოხსენება ამ ქვეყანაში ნარკოტიკების წარმოებისა და უკანონო ბრუნვის შესახებ. ამ მოხსენების პირველ ვარიანტში მოხსენიებული იყო იმ პირთა გვარები, რომლებიც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან იყვნენ დაკავშირებული. კომისიის თხოვნით, მომზადდა მეორე ვარიანტი, საიდანაც ნარკოტიკებით მოვაჭრეთა გვარები ამოღებულ იქნა. ეს „შემსუბუქებული“ ვარიანტი გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „ლე მონდ“ („Le Monde“). მოხსენების პირველი ვარიანტი გარკვეული ხნით საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ შემდეგ ის საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. ერთი წლისა და ცხრა თვის შემდეგ, როდესაც მოხსენების პირველი ვარიანტი კომისიას წარედგინა, გაზეთში „ლე მონდ“ დაიბეჭდა სტატია, რომელშიც განხილული იყო ამ ვარიანტში მითითებული მონაცემები, ხოლო გაზეთის პირველ გვერდზე კი სათაური – „მაროკო: ჰაშიშის წამყვანი მსოფლიო ექსპორტიორი“, ქვესათაურით: „კონფიდენციალური მოხსენება მიანიშნებს მეფე ჰასან II-ის გარემოცვაზე“. საკუთრივ სტატია განთავსებული იყო მეორე გვერდზე სათაურით: „კონფიდენციალური მოხსენება: მაროკოს მთავრობა დაკავშირებულია ჰაშიშის უკანონო ვაჭრობასთან“.

მაროკოს მეფის განცხადების საფუძველზე პირველი მომჩივნის – გაზეთ „ლე მონდის“ დირექტორისა და გამომცემლის და მეორე მომჩივნის – სტატიის ავტორის წინააღმდეგ, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე უცხოეთის სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფის ბრალდებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა ისინი იმ საფუძველზე, რომ ჟურნალისტი კეთილსინდისიერად მოქმედებდა და კანონიერ მიზანს ისახავდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო უცხოეთის სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფისათვის პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელიც უცხო სახელმწიფოს მეთაურზე მხოლოდ პირად თავდასხმას შეეხებოდა, განიმარტებოდა განსხვავებულად. ეს ნორმა განსხვავდებოდა იურიდიული ნორმებისაგან, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას დიფამაციისათვის. იგი მოსარჩელეს აკისრებდა ბოროტი განზრახვის არსებობის დამტკიცების ტვირთს, მაგრამ არ ითვალისწინებდა გავრცელებული ცნობების დაცვის შესაძლებლობას სინამდვილესთან მათი შესაბამისობის შემთხვევაში. ასე რომ, გავრცელებული ცნობების ნამდვილობა არ წარმოადგენდა მოპასუხისათვის გამამართლებელ გარემოებას.

სააპელაციო სასამართლომ ორივე მსჯავრდებულს მიუსაჯა ჯარიმის გადახდა; დაავალდებულა ისინი, მეფე ჰასან მეორისათვის გადაეხადათ სიმბოლური თანხები მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და, აგრეთვე, სასამართლო ხარჯები, ხოლო გაზეთი დაავალდებულა, გამოექვეყნებინა პრეს-რელიზი, რომელშიც გამამტყუნებელი განაჩენი დაწვრილებით იქნებოდა გადმოცემული. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მომჩივნებს მსჯავრი დაედოთ მეფის გარემოცვის მიმართ ბოროტი განზრახვით ჩადენილი მოქმედებებისათვის, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ბრალი დასდეს მეფეს პირმოთნეობასა და ორსახოვნებაში, არ გაერკვნენ გამოქვეყნებული მოხსენების შინაარსის სიზუსტესა და სარწმუნოებაში და გამოავლინეს არაკეთილსინდისიერება პუბლიკაციის მასალების მომზადების დროს. კრიტიკულად აყო

შეფასებული ისიც, რომ მათ არ შეამოწმეს, იყო თუ არა კვლავინდებურად აქტუალური და სინამდვილესთან შესაბამისი მოხსენების შინაარსი სტატიის გამოქვეყნების დროს და რომ არ მიიღეს შესაბამისი რჩევები მაროკოს ხელისუფლებისაგან, რომელმაც მოხსენების პირველი ვარიანტის თაობაზე გამოაქვეყნა ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტი. საკასაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა გამოტანილ გადაწყვეტილებას.

სამართლის საკითხები:

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა უნდა განხილულიყო, როგორც სახელმწიფოს „ჩარევა“ აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში. ეს ჩარევა, რომელიც „კანონით იყო გათვალისწინებული“, ისახავდა მართლზომიერ მიზანს – სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას. გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ ის, იყო თუ არა ასეთი ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როდესაც პრესის ორგანოები მონაწილეობდნენ საჯარო დისკუსიაში ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების საფუძვლიან შემოფოთებას იწვევდა, მათ უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ ოფიციალური ანგარიშები და მოხსენებები, ვინაიდან თვითონ აღარ მოუწევდათ ჟურნალისტური გამოძიების ჩატარება. მოცემულ შემთხვევაში, მომჩივნების მიერ გამოქვეყნებული ცნობები წარმოადგენდა საზოგადოების საფუძვლიან ინტერესს. საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ისინი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, ვინაიდან ეყრდნობოდნენ ოფიციალურ მოხსენებას. ხოლო ამ ინფორმაციის სარწმუნობის შემოწმება კი მათ არ ევალებოდათ. აქედან გამომდინარე, მან მიიჩნია, რომ საფრანგეთის სასამართლოების არგუმენტები, მომჩივანთა დამნაშავეობის თაობაზე, არ იყო დამაჯერებელი.

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფის დროს, ჩვეულებრივი დიფამაციისაგან

განსხვავებით, არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცებული იყო გაკეთებული განცხადებების სინამდვილესთან შესაბამისობა. ევროპული სასამართლოს აზრით, გავრცელებული ცნობების დაცვის შესაძლებლობის არარსებობა მათი ნამდვილობის მიუხედავად (*exceptio veritatis*), წარმოადგენდა გადაჭარბებულ ღონისძიებას პირის რეპუტაციისა და უფლებების დასაცავად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს პირი სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური იყო. ჩვეულებრივი დიფამაციისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, როგორც „თანაზომიერი ღონისძიება“ სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნისა, სავსებით საკმარისი იყო ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაურის დასაცავად მისი ღირსებისა და რეპუტაციის ხელყოფისაგან. საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებითად, საფრანგეთის 1881 წლის კანონის 36-ე მუხლი, სახელმწიფოთა მეთაურებს ანიჭებდა განსაკუთრებულ სტატუსს, რომელიც არ თავსდებოდა სამართლის ჩვეულებრივი ნორმების ჩარჩოებში და ათავისუფლებდა მათ ყოველგვარი კრიტიკისაგან მხოლოდ და მხოლოდ მათი ფუნქციებისა თუ მდგომარეობის საფუძველზე იმ ინტერესების გაუთვალისწინებლად, რასაც ეს კრიტიკა ემსახურებოდა. სახელმწიფოთა მეთაურების ასეთი განსაკუთრებული დაცვა, რაც კანონით იყო უზრუნველყოფილი, ანიჭებდა მათ მეტისმეტ პრივილეგიას, რაც ეწინააღმდეგებოდა დღეისათვის არსებულ პოლიტიკურ პრაქტიკას, თანამედროვე წარმოდგენებს და, არ შეესაბამებოდა „საზოგადოების უმთავრეს მოთხოვნებებს“.

საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძვლები მართლზომიერი იყო, იგი მაინც ვერ იქნებოდა საკმარისი საიბისოდ, რომ დადგენილიყო აზრის გამოხატვის თავისუფლების ასეთი შეზღუდვის „აუცილებლობა“ დემოკრატიულ საზოგადოებაში“, მიუხედავად შეფასების თავისუფლების იმ ფარგლებისა, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებს გააჩნდათ უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის სფეროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ერთხმად ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა მომჩივნებისათვის იმ თანხების ანაზღაურება, რაც მათ უნდა გადაეხადათ სასამართლოს განჩინის საფუძველზე და რაც გათვალისწინებული იყო კონვენციის დარღვევისათვის, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

17. სტამბუკი გერმანიის წინააღმდეგ
(Stambuk v. Germany)
(N 37928/97)

საქმე შეეხება ექიმის დაჯარიმებას პროფესიული რეკლამირების აკრძალვის წესის დარღვევისათვის, რაც შედეგად მოჰყვა გაზეთში მის შესახებ სტატიის გამოქვეყნებას

17 ოქტომბერი, 2002 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულ იქნა დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი – ექიმი-ოფთალმოლოგი დააჯარიმეს 10000 მარკით პრაქტიკოსი ექიმების მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირების აკრძალვის წესის დარღვევის გამო. გაზეთში გამოქვეყნდა სტატია თვალის ოპერაციის მის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდების შესახებ (კერძოდ, საუბარი იყო ლაზერის მეთოდის გამოყენებაზე). სტატიას თან ახლდა ექიმის ფოტოსურათი სამუშაო კაბინეტში. სტატიაში, აგრეთვე, ნათქვამი იყო, რომ მასთან მკურნალობა გაიარა 400-მდე პაციენტმა მკურნალობის წარმატების 100%-იანი მაჩვენებლით. დისციპლინურმა სასამართლომ სტატია და ფოტოსურათი შეაფასა როგორც რეკლამისათვის დამახასიათებელი თვისებების მქონე პუბლიკაცია, რომელიც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით.

სამართლის საკითხები:

სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს (სხვა პირთა უფლებების დაცვას) და გათვალისწინებული იყო კანონით.

რაც შეეხება ჩარევის „აუცილებლობას“, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკოსი ექიმების საქმიანობის ზოგადი პროფესიული ნორმები წარმოადგენდა საერთო გამართლებას რეკლამაში მათი მონაწილეობის შეზღუდვისა, მაგრამ სახელმწიფოს

მიერ დადგენილი წესები გაწონასწორებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ინტერესებით, კერძოდ, მათი უფლებით, მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხზე.

სტატია საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას სამედიცინო ხასიათის საერთო პრობლემებზე და ოპერაციის მეთოდოლოგია, მთლიანობაში, ობიექტურად იყო გაშუქებული. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ აღმოაჩინეს სტატიაში უსწორო ან არაადეკვატურად გადმოცემული ინფორმაცია, მათ შორის, ოპერაციის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების საკუთარი შედეგების თაობაზე, რომელიც დამტკიცებული იყო გამოცდილებითა და რეალური ფაქტებით. ეს კი წარმოადგენდა მკურნალობის ახალი მეთოდის პრეტენზიის მნიშვნელოვან ელემენტს. გარდა ამისა, ფოტოსურათის გამოქვეყნება ვერ ჩაითვლებოდა ვერც აკრძალული ან არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნებად და ვერც – შეცდომაში შემყვან რეკლამად. სტატიის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა ექიმის პიროვნებისა და მისი პრაქტიკის რეკლამირება. ამას მხოლოდ მეორადი მნიშვნელობა გააჩნდა. ასეთ გარემოებებში ეროვნული სასამართლოების შეფასება ვერ იქნებოდა მიჩნეული, როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ექიმის პროფესიის ჰუმანიტარული ხასიათის მხედველობაში მიღებით, ჯარიმის დაკისრება, თუნდაც კანონით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობით, ვერ იქნებოდა შეფასებული როგორც უმნიშვნელო სასჯელი. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ჩარევამ ვერ დაადგინა გონივრული ბალანსი კონფლიქტურ ინტერესებს შორის. კერძოდ, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესსა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა პრაქტიკოსი ექიმების უფლებებსა და ინტერესებს შორის.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურების შესახებ უარყო ზოგადი ხასიათისა და იმის გამო, რომ იგი არ იყო დასაბუთებული და დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტაციით.

18. ჩეტინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
(Çetin and Others v. Turkey)
(N 40153/98 და N 40160/98)

საქმე შეეხება საგანგებო მდგომარეობის რეგირონების სახელმწიფო მმართველის გადაწყვეტილებით გაზეთის აკრძალვას იმ რეგირონებში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული

13 თებერვალი, 2003წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუსლი
მინწეულია დარღვეულად

შაქტავი:

მომჩინები თურქეთის მოქალაქეები არიან. ისინი მუშაობდნენ ჟურნალისტებად თურქულენოვან ყოველდღიურ გაზეთში „*Ülkede Gündem*“, რომელიც დაფუძნებული იყო ქ.სტამბულში. გაზეთის პუბლიკაცია 1998 წლის 24 ოქტომბერს შეწყდა. თავდაპირველად იგი შეცვალა გაზეთმა *Özgür Bakış*, ხოლო შემდეგ სხვა ყოველდღიურმა გაზეთმა „*2 Binde Yeni Gündem*“. ეს გაზეთები შემდეგ, 2001 წლის 31 მაისს, შეცვალა ყოველკვირეულმა პერიოდულმა გამოცემამ „*Yedinci Gündem*“.

მომჩინების თქმით, 1997 წლის სექტემბრიდან ოქტომბრამდე პერიოდში უშიშროების ძალები აბრკოლებდნენ „*Ülkede Gündem-ის*“ გავრცელებას, რის გამოც გაზეთი ვეღარ ფუნქციონირებდა. 1997 წლის 13 ნოემბერს „*Ülkede Gündem-ის*“ მესაკუთრემ ამის შესახებ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, მოითხოვა უკანონო აქტების შეწყვეტა და ზიანის კომპენსაცია.

1997 წლის 19 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის რეგირონების სახელმწიფო მმართველმა „*Ülkede Gündem-ის*“ მესაკუთრეს აცნობა, რომ მისი სამსახური არ იყო პასუხისმგებელი წერილში მითითებული აქტებისათვის. მანვე მესაკუთრეს გაუგზავნა ორდერი გაზეთის ტირაჟის ამოღების შესახებ, რომელიც შესაბამისი ხელისუფლების, კერძოდ, სტამბულის სახელმწიფო უშიშროების მიერ იყო გაცემული (იმ პერიოდში ამ სასამართლოს

მოსამართლეებმა გასცეს 62 ორდერი სხვადასხვა გაზეთის ამოღების შესახებ).

1997 წლის 4 ნოემბერს მომჩივნებმა ბაკჩმა და ბაგირმა იჩივეს პროკურატურაში გაზეთის საქმიანობის ჩაშლასთან დაკავშირებით. პროკურატურამ 1997 წლის 25 ნოემბერს საქმე დაუქვემდებარა ქ. დიუარბაკირის (Diyarbakir) ადმინისტრაციულ საბჭოს, რომელმაც 1998 წლის 5 თებერვალს დაადგინა, რომ იგი ვერ იმსჯელებდა სტამბულის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ გაცემული ამოღების ორდერის თაობაზე.

1997 წლის 1 დეკემბერს საგანგებო მდგომარეობის რეგიონების სახელმწიფო მმართველმა აკრძალა „*Ülkede Gündem*-ის“ პუბლიკაცია და გავრცელება ისეთ რეგიონებში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული.

ასეთივე შინაარსის წერილი ტუნსელის [Tunceli] უშიშროების დირექტორატმა გაუგზავნა იმ კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელი იყო ტუნსელის რეგიონში ამ გაზეთის გავრცელებისათვის. წერილში დაზუსტებული იყო, რომ გაზეთის აკრძალვა ემყარებოდა საგანგებო მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო აქტსა და №430 საკანონმდებლო დეკრეტის 1-ლ მუხლს.

ღრთა განმავლობაში, 1999 წლის 7 მაისიდან 2001 წლის 27 ივნისამდე პერიოდში ასევე აიკრძალა შესაბამის რეგიონებში იმ სამი გაზეთის („*Özgür Bakis*“, „*2 Binde Yeni Gündem*“ და „*Yedinci Gündem*“) პუბლიკაცია და გავრცელება, რომლებიც ჩაენაცვლნენ „*Ülkede Gündem*-ს“.

სამართლის საკითხები:

მომჩივნების აზრით, გაზეთ „*Ülkede Gündem*-ის“ პუბლიკაციისა და გავრცელების აკრძალვა საგანგებო მდგომარეობის რეგიონებში წარმოადგენდა ინფორმაციისა და იდეების გავრცელების მათ უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ეს იყო კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში

სახელმწიფოს ჩარევა, ამიტომ უნდა შეფასებულიყო ასეთი ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

„ჩარევის აუცილებლობა“ დემოკრატიულ საზოგადოებაში“

ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონვენციის მე-10 მუხლი აზრის გამოხატვის თავისუფლებას „ყველასათვის“ უზრუნველყოფდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, საქმე ფიზიკურ პირს შეეხებოდა თუ იურიდიულ პირს, ანდა იმ გარემოებას, თუ რა მიზანს ისახავდნენ ისინი (*mutatis mutandis, Casado Coca v. Spain*, judgment of 24 February 1994, Series A no. 285-A, pp.16-17; §35). ეს უფლება მოიცავდა როგორც ინფორმაციის შინაარსს, ისე – მისი გადაცემის საშუალებებს, ამიტომ მათი ნებისმიერი შეზღუდვა წარმოადგენდა ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უფლებაში ჩარევას (*mutatis mutandis, Autronic AG v. Switzerland*, judgment of 22 May 1999, Series A. no. 178, p.23 §47). მოცემულ საქმეში სასწორზე იდო მომჩივანთა უფლება, საგანგებო მდგომარეობის რეგიონებში მცხოვრებთათვის გადაეცათ ინფორმაცია და იდეები ამ რეგიონებში მომხდარი მოვლენების შესახებ.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ჩარევის აუცილებლობის შეფასების ერთადერთ გზას წარმოადგენდა იმ შიდა-სახელმწიფოებრივი აქტების განხილვა, რომლებსაც დაემყარა გაზეთის აკრძალვა, ისევე, როგორც იმ არგუმენტებისა, რომლებიც მოპასუხე მთავრობამ ჩარევის გასამართლებლად წარმოადგინა. უწინარესად, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო, რომ გამოყენებული ღონისძიება არ გამხდარა ყურადღებით განხილვის საგანი შიდა სასამართლოებში, ხოლო საგანგებო მდგომარეობათა სახელმწიფო მმართველს თავისი გადაწყვეტილება საერთოდ არ ჰქონდა დასაბუთებული.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოს აქტის მე-11 (e) მუხლისა და №430 საკანონმდებლო აქტის 1-ლი (a) მუხლის შინაარსი ძალზე ფართო იყო და ისინი საგანგებო მდგომარეობის რეგიონების მმართველს

პუბლიკაციების ადმინისტრაციული აკრძალვის შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებდა. პრინციპულად, ასეთი წინასწარი შეზღუდვები არ იყო შეუთავსებელი კონვენციის მოთხოვნებთან, მაგრამ მათი გამოყენება უნდა დაქვემდებარებოდა მკაცრად განსაზღვრულ ისეთ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფდა აკრძალვის გარკვეულ ფარგლებსა და ეფექტიან სასამართლო კონტროლს აკრძალვის უფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად.

სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა მმართველის ფართო უფლებამოსილებაზე, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, აეკრძალა ნებისმიერი წერილობით მასალის ცირკულაცია და გავრცელება, რომელიც მიჩნეული იქნებოდა როგორც საზოგადოებრივი წესრიგისათვის საშიშროების შემცველი და შეიძლებოდა აღქმულიყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობის აგიტაცია, ანდა უშიშროების ძალების ობსტრუქცია თავიანთი მოვალეობების შესრულების პროცესში.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ფართო უფლებამოსილება, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ გასაკუთრებული გარემოებების არსებობისას შეიძლებოდა გამართლებულად მიჩნეულიყო. სასამართლოს უნდა შეეფასებინა, თუ რა გარანტიები არსებობდა პრაქტიკაში ასეთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო დებულებებზე, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის მმართველის უფლებამოსილებას შეეხებოდა, საკონსტიტუციო კონტროლი არ ვრცელდებოდა. მან გაიზიარა თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოთქმული შეხედულება, რომ უფლებამოსილი ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, განხორციელებული საგანგებო მდგომარეობის დროს, უნდა დაქვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს. თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მომჩივნების მიერ გასაჩივრებულ საკანონმდებლო აქტებზე კონსტიტუციური კონტროლი ვერ განახორციელა სწორედ იმიტომ, რომ შიდა კანონმდებლობის მიხედვით მათზე კონსტიტუციური კონტროლი არ ვრცელდებოდა, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო იძულებული იყო, მომჩივნების საჩივარი არ მიეღო განსახილველად საგნობრივი შეუთავსებლობის (*ratione materiae*) გამო.

ევროპულმა სასამართლომ მოცემული საქმის გარემოებები განასხვავა მანამდე განხილული მსგავსი საქმეებისაგან (*Purcell and Others v. Ireland*, no 15404/89 – 16.04.1991 და *Brind and Others v. the United Kingdom*, no 18714/91 – 09.05.1994), რომლებიც შეეხებოდა სამაუწყებლო კომპანიების შეზღუდვებს და რომელთა თაობაზეც შესაბამისი საჩივრები ევროპულმა კომისიამ მიუღებლად ცნო.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემული საქმისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნული საქმეები შეეხებოდა სამაუწყებლო მედიას, რომელსაც გაცილებით უფრო ძლიერი და სწრაფი ზემოქმედების უნარი გააჩნდა, ვიდრე პრესას. შეზღუდვები ვრცელდებოდა მხოლოდ ცალკეული ტიპის პროგრამებზე (კერძოდ განსაზღვრული ორგანიზაციების ლიდერებთან ინტერვიუებზე), ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილებები კი სასამართლო კონტროლს ექვემდებარებოდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებდა მოპასუხე მთავრობის არგუმენტს, თითქოს აკრძალვა განაპირობა შესაბამის გაზეთში დაბეჭდილმა რამდენიმე სტატიამ, რომლებიც მოსახლეობას აჯანყების, დანაშაულისა და ტერორიზმისაკენ აქეზებდა. ცხადია, ტერორიზმით გამოწვეული პოლიტიკური დაძაბულობა უსათუოდ წარმოადგენდა მხედველობაში მისაღებ ფაქტორს. შესაძლოა, ესა თუ ის სტატია მართლაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც დაძაბულ ვითარებას, მაგრამ საქმე ის იყო, რომ გაზეთის აკრძალვის გადაწყვეტილება, ისევე, როგორც მისი ტირაჟის ამოღების ორდერი, არ შეიცავდა არავითარ დასაბუთებას საამისოდ და, ამდენად, სრულიად სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა. იგი მომჩივნების მხრიდან შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც პასუხი „*Ülkede Gündem*“-ის“ მკაცრ კრიტიკაზე რეგიონში უშიშროების ძალების საქმიანობის შესახებ.

რაც შეეხებოდა მთავრობის არგუმენტს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის ისედაც მრავალი სხვა წყარო იყო ხელმისაწვდომი, ხოლო მომჩივნები სხვა გაზეთებშიც აქვეყნებდნენ თავიანთ პუბლიკაციებს და ამ გზით შეეძლოთ გადაეცათ ინფორმაცია და იდეები, ამასთან დაკავშირებით ევროპულმა

სასამართლომ განაცხადა, რომ ის კიდევ ერთხელ ადასტურებდა პრესის არსებით როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში; მოქალაქეებს, როგორც ინფორმაციისა და იდეების მიმღებს, თავიანთი პასიური როლის გათვალისწინებით, უნდა ჰქონოდათ სრულიად განსხვავებული შეხედულებებისადმი ხელმისაწვდომობა, მათი შერჩევისა და გამოთქმულ სხვადასხვა შეხედულებებზე საკუთარი აზრის შემუშავების შესაძლებლობა. ინფორმაციისა და იდეების სიმრავლე იყო ის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მტკიცება, თითქოს „*Ülkede Gündem*-ის“ პუბლიკაციისა და გავრცელების აკრძალვა შეწყდა ორმოცდაცამეტი დღის შემდეგ, სიმართლე არ იყო. საქმის მასალების მიხედვით 2000 წლის ივნისში (ანუ ერთ წელზე მეტი დროის გავლის შემდეგ) აკრძალვა ჯერ კიდევ ძალაში იყო. უფრო მეტიც, „*Ülkede Gündem*-ის“ მემკვიდრესა და სხვა მრავალ გამოცემასაც იგივე ბედი ხვდა წილად.

დაბოლოს, რამდენადაც არ არსებობდა სასამართლო კონტროლის უფლება, აკრძალვის ღონისძიების გაუქმება მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის რეგიონის სახელმწიფო მმართველის ცალმხრივი დისკრეციული აქტით იყო შესაძლებელი.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან სასამართლოებს არ გააჩნდათ უფლებამოსილება, გადაესინჯათ პუბლიკაციის ადმინისტრაციული აკრძალვის კანონიერება, მომჩივნებს, შესაბამისად, აღკვეთილი ჰქონდათ აკრძალვის უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დამცავი გარანტიები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის შესახებ აქტისა და №430 საკანონმდებლო დეკრეტის საფუძველზე ჩარევის განხორციელება და ისეთი წესი, როგორითაც მათი დებულებები პრაქტიკულად იყო გამოყენებული, ვერ ჩაითვლებოდა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და სცილდებოდა დასახული კანონიერი მიზნის მოთხოვნებს.

ევროპულმა სასამართლომ ერთხმად ცნო მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 პუნქლის დარღვევა.

19. მერფი ირლანდიის წინააღმდეგ
(Merphy v. Ireland)
(N 44179/98)

საქმე შეეხება რელიგიურ
თემაზე სარეკლამო რგოლის
რადიოტრანსლაციის აკრძალვას

10 ივნისი, 2003 წელი
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

შაქტები:

მომჩივანი არის ბიბლიური ქრისტიანული სამღვდელოების ირლანდიური ცენტრის მღვდელი. 1995 წელს ცენტრმა ადგილობრივ დამოუკიდებელ რადიოსადგურს ეთერში გადასაცემად წარუდგინა სარეკლამო რგოლი რელიგიურ თემაზე. ხელისუფლებამ ამ რეკლამის რადიოტრანსლაცია აკრძალა „რადიოსა და ტელევიზიის“ შესახებ 1988 წლის კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. კანონის ამ ნორმით იკრძალებოდა ისეთი რეკლამის ტრანსლაცია, რომელიც პოლიტიკურ ან რელიგიურ მიზნებს ისახავდა. მომჩივანმა ეს აკრძალვა სასამართლოში გაასაჩივრა. მალაშმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ეს ნორმა ითვალისწინებდა ინფორმაციის გავრცელების უფლების გონივრულ შეზღუდვებს. მომჩივნის მოთხოვნა უმაღლესმა სასამართლომაც უარყო. მისი აზრით, ცენტრის რეკლამის ტრანსლაციის აკრძალვა შეესაბამებოდა საზოგადოების ინტერესებს და, ამასთანავე, იგი თანაზომიერ ღონისძიებას წარმოადგენდა.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოცემული შემთხვევა წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას, რომ ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და ამ კანონის

გამოყენება მოცემულ შემთხვევაში მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, აგრეთვე, სხვა პირთა უფლებების დაცვას.

რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას, მან აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა განუყოფელი იყო შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან, რომელიც რელიგიური რწმენის გავრცელების კონტექსტში გულისხმობდა ვალდებულებას, თავი აერიდებინათ აზრის გამოხატვის ისეთი ფორმებისაგან, რომლებიც შეურაცხმყოფელი იყო სხვათათვის.

სასამართლომ ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას: მაშინ, როდესაც კონვენციის მე-10 მუხლი ძალზე მკირე შესაძლებლობას აძლევდა სახელმწიფოებს, შეეზღუდათ პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე აზრის გამოხატვის თავისუფლება, მისგან განსხვავებით, სახელმწიფოებს გააჩნდათ შეფასების დიდი თავისუფლება, შეეზღუდათ აზრის გამოხატვის ისეთი ფორმები, რომლებიც შეურაცხმყოფელი იყო მორალის, ზნეობისა და განსაკუთრებით რელიგიის საკითხებზე ადამიანთა პირადი შეხედულებებისა და გრძნობებისათვის. ამ სფეროებში არ არსებობდა ერთიანი ევროპული კონცეფცია და სტანდარტი. ამის გამო, ეროვნული ხელისუფლება ევროპულ სასამართლოსთან შედარებით უკეთეს პოზიციაში იყო, შეეფასებინა ამ სფეროებში ამა თუ იმ შეზღუდვის აუცილებლობა.

ამასთან, ცხადია ევროპული სასამართლო უფლებამოსილი იყო, საბოლოო დასკვნა გამოეტანა იმის შესახებ, შეესაბამებოდა თუ არა აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები კონვენციის დებულებებს. ამ მიმართებაში, ევროპული სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, იყო თუ არა აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე დაწესებული ამა თუ იმ შეზღუდვის საფუძვლები „შესაბამისი და საკმარისი“ (კონვენციის გაგებით). მოცემულ საქმეში ირლანდიის ხელისუფლებამ შეზღუდვის გამართლებულობა დაასაბუთა რელიგიის საკითხებში ირლანდიის საზოგადოების განსაკუთრებული მგრძობიარობით.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, რა თქმა უნდა, კონვენციის მე-10 მუხლი არ გულისხმობდა ინდივიდის დაცვას განსხვავებული რელიგიური შეხედულებების ზეგავლენისაგან, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ ამა თუ იმ აზრის გამოხატვას, რომელიც, ერთი შეხედვით, არ იყო სხვათათვის შეურაცხყოფელი, შეიძლებოდა ასეთი შინაარსი შეეძინა განსაზღვრულ გარემოებებში. ირლანდიის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ხელისუფლებას სრული უფლება გააჩნდა, ამოსულიყო თვალსაზრისიდან, რომ რელიგიური რეკლამებს შეიძლებოდა შეურაცხყოფელი ხასიათი ჰქონოდა. ამ საქმეში სადავოდ ქცეული კანონის ეს ნორმა სწორედ ასეთი თვალსაზრისის გამომხატველი იყო.

განსაკუთრებით საგულისხმო ის გარემოება იყო, რომ რელიგიური რეკლამების საკანონმდებლო აკრძალვა ვრცელდებოდა მხოლოდ აუდიოვიზუალურ საშუალებებზე. ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს უფლება ჰქონდა, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინა და ეზრუნა შეურაცხყოფელი ზემოქმედების მოხდენის საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო მაუწყებლობის სფეროში, რადგანაც მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალურ საშუალებებს გააჩნიათ ადამიანზე პირდაპირი, უშუალო და ძლიერი ზემოქმედების უნარი. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა, თავისი კონფესიის რეკლამირება პრესის საშუალებით ანდა საჯარო შეკრებებზე მოეხდინა. მან ხაზი გაუსვა, რომ რეკლამას, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, საზოგადოდ, ყოველთვის აშკარად მიკერძოებული ხასიათი აქვს და მიუკერძოებლობის პრინციპი, რომელიც საერთოდ გამოიყენება რელიგიური საკითხების გამუქების დროს ჩვეულებრივ რადიო თუ ტელეგადაცემებში, მასზე ვერ გავრცელდებოდა.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ რელიგიური რეკლამების დაშვება ძირს გამოუთხრიდა მაუწყებლობის იდეოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს და ეს გარემოება სერიოზულ საფუძველს წარმოადგენდა აკრძალვის გასამართლებლად.

ევროპულმა სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, თუ რამდენად მისაღები იქნებოდა რელიგიური რეკლამების არა სრული, არამედ ნაწილობრივი შეზღუდვა. მან მიიჩნია, რომ ნორმა, რომელიც

ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემდა რელიგიური რეკლამების ფილტრაცია ყოველი კონკრეტული შემთხვევისდა მიხედვით განხორციელებინა, პრაქტიკაში დიდ სირთულეებს გამოიწვევდა და ვერ შექმნიდა ყოველთვის სამართლიანი, ობიექტური და თანმიმდევრული გადაწყვეტილების მიღების გარანტიას. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, რომ რელიგიური რეკლამების ნაწილობრივ შეზღუდვა, ძალიან დიდი ალბათობით სწორედ უპირატესად გავრცელებული რელიგიის პოზიციების განმტკიცებას მოემსახურებოდა.

ევროპულმა სასამართლომ ეროვნულ სახელმწიფოთათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლების მხედველობაში მიღებით, დაასკვნა, რომ ირლანდიის ხელისუფლებამ წარმოადგინა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის გასამართლებლად და არ ცნო (ერთხმად) კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

20. „ინდიპენდენტ ნიუს ანდ მედია“ ირლანდიის
წინააღმდეგ
(Independent News and Media v. Ireland)
(N 55120/00)

საჩივარი შეეხება პოლიტიკოსის ცილისწამების გამო გაზეთისთვის დაკისრებული საკომპენსაციო თანხის თანაზომიერებას

19 ივნისი, 2003 წელი
გადაწყვეტილება

საჩივარი მიჩნეულია მისაღებად

საჩივრის არსი:

1992 წელს დეკემბერში ირლანდიურმა გაზეთმა, რომლის მეპატრონეც იყო მომჩივანი კომპანია, გამოაქვეყნა სტატია, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკურ დებატებს ახალი მთავრობის ფორმირების საკითხებზე. სტატია შეიცავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი პოლიტიკური დინების ლიდერი ჩაბმული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში, რომ იგი იყო ანტისემიტი და კომუნისტური სისტემის მომხრე.

ირლანდიის მაღალ სასამართლოში საქმის განხილვისას ნაფიცი მსაჯულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პოლიტიკოსს ცილი დასწამეს. სასამართლოს თავმჯდომარემ ზოგადი განმარტება მისცა მსაჯულებს ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, დაუსახელა ცალკეული მაგალითები ირლანდიური სასამართლოების პრეცედენტული პრაქტიკიდან. ამასთან, არც სასამართლოს თავმჯდომარემ და არც ადვოკატმა არ დაუსახელეს მსაჯულებს სავარაუდო საკომპენსაციო თანხა და ეს საკითხი მათი შეფასების თავისუფლებას მიანდეს. მსაჯულებმა გამოიტანეს ვერდიქტი და საკომპენსაციო თანხად განსაზღვრეს 300000 ირლანდიური ფუნტი, რაც სამჯერ აღემატებოდა მანამდე, ასეთი ტიპის საქმეებში დანიშნული კომპენსაციის მაქსიმალურ ოდენობას.

მომჩივანმა კომპანიამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება. ირლანდიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ირლანდიის საერთო

სამართალი თანმიმდევრული იყო როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიებთან, ისე – ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამის გარანტიებთან მიმართებაში, რამდენადაც საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა ემყარებოდა თანაზომიერების პრინციპს. მისი აზრით, მოსამართლეს რომ ნაფიცი მსაჯულებისათვის კონკრეტული თანხა დაესახელებინა, ეს იქნებოდა გაუმართლებელი ჩარევა მსაჯულთა პრეროგატივის განხორციელებაში.

ირლანდიის უზენაესმა სასამართლომ მიიჩინა, რომ ნაფიცი მსაჯულთა მიერ განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა მიყენებული ზიანის თანაზომიერი იყო. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ თავის „განსხვავებულ აზრში“ მიუთითა, რომ მისი შეხედულებით, საკომპენსაციო თანხის თაობაზე მსაჯულთა ორიენტაცია არ წარმოადგენდა მათ კომპეტენციაში შეჭრას, რომლის უმთავრეს ამოცანას იმის განსაზღვრა შეადგენდა, იყო თუ არა ჩადენილი ცილისწამება. ამ მოსამართლის აზრით, საკომპენსაციო თანხა ორჯერ უნდა შემცირებულიყო.

ბაღანყვიტილება:

ევროპულმა სასამართლოს საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში მისაღებად ცნო.

21. **გალოდი საზრანბეთის წინააღმდეგ**
(Garaudy v. France)
(N 65831/01)

საჩივარი შეეხება მომჩივნის სისხლისსამართლებრივ დასჯას ისტორიულად უტყუარად დადგენილი ფაქტის - „ნაცისტური რეჟიმის მიერ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა“ უარყოფის, აგრეთვე, ებრაელების მასობრივი საჯარო დიფამაციისათვის, რაც შედეგად მოჰყვა მისი წიგნის გამოქვეყნებას

24 ივნისი, 2003 წელი,
ვადაწყვეტილება

საჩივარი ცნობილია მიუღებლად „საგნობრივი შეუთავსებლობისა“ და „აშკარად უსაფუძვლობის“ გამო

საჩივრის არსი:

მომჩივანი მწერალი და ფილოსოფოსია. მან დაწერა წიგნი „მითები, რომლებიც საფუძვლად უდევს ისრაელის პოლიტიკას“ (*Les mythes fondateurs de la politique israélienne*). წიგნის გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე ორგანიზაციამ წარადგინა სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მათ განიცადეს წიგნის ავტორის მიერ საჯარო რასობრივი დიფამაციის – გარკვეული რასობრივი ან რელიგიური კუთვნილების ნიშნით ადამიანთა მიმართ სიძულვილისა და აგრესიის გაღვივების შედეგად.

ეს განცხადებები მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ საფუძვლად დაედო 4 სხვადასხვა სასამართლო გამოძიებას, ხოლო მე-5 საქმეზე კი გამოძიება პროკურორმა აღძრა. მომჩივნის სისხლის სამართლის საქმე დაიყო 5 ცალკე წარმოებად, რომლებიც უკავშირდებოდა ამ წიგნის ორ სხვადასხვა გამოცემას და მათგან სხვადასხვა ამონარიდებს. საქმეები გადაეცა დიდი ინსტანციის პარიზის ტრიბუნალს. მომჩივანმა აღძრა შუამდგომლობა წარმოებათა გაერთიანების შესახებ, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

საქმის განხილვის შედეგად, სასამართლო დაეყრდნო რა „პრესის თავისუფლების“ შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონს, მომჩივანი ცნო დაზნაშავედ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. კერძოდ, „ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა უარყოფისათვის“, აგრეთვე, გარკვეულ პირთა ჯგუფის (ებრაელების) საჯარო დიფამაციის, რასობრივი დისკრიმინაციისა და ზიზღის გაღვივებისათვის. მომჩივანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის აღსრულების გადავადებით და ჯარიმა. მასვე დეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ მომჩივნის საჩივარი სამართლის საკითხებზე არ დააკმაყოფილა. თავისუფლების აღკვეთის 5 ვადა (აღსრულების გადავადებით), აგრეთვე, 5 ჯარიმის და 5 საკომპენსაციო თანხა გაერთიანდა. ჯარიმის საერთო თანხამ შეადგენდა 17000 ფრანგული ფრანკი, ხოლო საკომპენსაციო თანხამ კი – 220021 ფრანგული ფრანკი.

ბადანყვიტილება:

კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში ევროპულმა სასამართლომ საჩივარი მიუღებლად ცნო, თუმცა არა იმ საფუძველით, რაზეც საფრანგეთის მთავრობა მიუთითებდა: ევროპულმა სასამართლომ უარყო საფრანგეთის მთავრობის მოსაზრება, რომ მომჩივანს არ ჰქონდა ამოწურული შიდა-სამართლებრივი მისაგებელი. ის გარემოება, რომ სამართლის საკითხებზე მომჩივნის საჩივრის საფუძველი საქმის 5 წარმოებიდან ორ შემთხვევაში ყველაზე უფრო ნაკლებად უკავშირდებოდა კონვენციის მე-10 მუხლს, ევროპული სასამართლოს აზრით, არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ მომჩივანმა არ ამოწურა უფლების დაცვის შიდა საშუალებები. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული, სულ მცირე, ერთი საფუძველი მაინც ჰქონდა მომჩივანს წარდგენილი საკასაციო სასამართლოში, ამიტომ გაცილებით უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ შიდა-სამართლებრივი მისაგებელი ამოწურულად მიჩნეულიყო.

ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლთან მიმართებაში საჩივარი მიუღებლად სხვა საფუძვლებით ცნო, კერძოდ, „საგნობრივი შეუთავსებლობის“ (*ratione materiae*) და „აშკარა უსაფუძვლობის“ მოტივებით. თუმცა, ცხადია, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის წიგნში გამოთქმული შეხედულებები განსხვავებულად შეაფასა კონვენციის გამოყენებადობის თვალსაზრისით. მათი ერთი ნაწილი, კერძოდ, „ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის დადგენილი და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტების უარყოფა“ მან არ მიიჩნია ისეთი „აზრის გამოხატავად“, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით იყო დაცული და რომლის შეზღუდვის გამართლებულობაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო (სასამართლოს მსჯელობიდან აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევებს იგი აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებად განიხილავს). ამიტომ მასთან მიმართებაში მან საჩივრის მიუღებლობის მოტივად „საგნობრივი შეუთავსებლობა“ დაასახელა, ხოლო ისეთ შეხედულებებთან მიმართებაში კი, რომლებიც მან შესაძლებლად ჩათვალა, მიჩნეულიყო „აზრის გამოხატავად“ (კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით), მათი შეზღუდვა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამართლებულად შეაფასა და ამიტომ საჩივარი წარმოებაში მისი „აშკარად უსაფუძვლობის“ მოტივით არ მიიღო.

კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება განსაზღვრულ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა: პრონაციისტული პოლიტიკის გამართლება, ისევე, როგორც უტყუარად დადგენილი ისტორიული ფაქტების (მაგალითად, ისეთების, როგორც იყო პოლოკოსტი – ფაშისტების მიერ ებრაელთა მასობრივი განადგურება და სხვა) უარყოფა ან რევიზია, საერთოდ არ ხვდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიების ქვეშ. სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-17 მუხლს ასეთი შემთხვევები მე-10 მუხლის მოქმედების სფეროდან გაჰყავდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მსჯავრდება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა უარყოფისათვის

უნდა შეფასებულიყო კონვენციის მე-17 მუხლის კონტექსტში. თავის წიგნში მომჩივანი საეჭვოს ხდიდა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ისეთი ისტორიული ფაქტების ნამდვილობას, რომლებიც კარგად და ზუსტად იყო დადგენილი. კერძოდ, ნაცისტური რეჟიმის მიერ ებრაელთა დევნას, ჰოლოკოსტს, ნიურნბერგის სასამართლოს და სხვა. ის, აგრეთვე, უარყოფდა ნაცისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმესა და ხარისხს. ევროპული სასამართლოს აზრით, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა უარყოფა წარმოადგენდა ებრაელთა მიმართ რასობრივი დიფამაციის და მათ მიმართ სიძულვილის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოკვეთილ ფორმას. ასეთი მასშტაბის ისტორიული ფაქტების უარყოფა ან რევიზია ძირს უთხრიდა იმ ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად ედო ბრძოლას რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და შეეძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა საზოგადოებრივი წესრიგისათვის. ასეთი მოქმედებები უხეშად ხელყოფდა სხვა პირთა უფლებებს და შეუთავსებელი იყო დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან. ასეთი ქმედებისათვის პასუხისმგებელი პირები, ევროპული სასამართლოს აზრით, ეჭვგარეშეა, რომ ისხავდნენ ისეთ მიზნებს, რომლებიც კონვენციის მე-17 მუხლით იყო აკრძალული.

სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის წიგნის დიდი ნაწილი, ნაშრომის საერთო ტონალობა და, შესაბამისად, მისი მიზანი, თავისი შინაარსით ნიჰილისტური იყო და, ამდენად, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც კონვენციის პრეამბულაში იყო ასახული, კერძოდ, სამართლიანობასა და საყოველთაო მშვიდობას. ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივანი ცდილობდა კონვენციის მე-10 მუხლი ბოროტად გამოეყენებინა, ანუ აზრის გამოხატვის თავისუფლება გამოეყენებინა ისეთი მიზნებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის არსსა და სულისკვეთებას. ევროპული სასამართლოს მითითებით, თუ ასეთი მიზნები დაშვებულად იქნებოდა აღიარებული, ისინი არარად გადააქცევდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ევროპული სასამართლოს დასკვნით, კონვენციის მე-17 მუხლის ძალით, მომჩივანი ველარ მოიშველიებდა კონვენციის მე-10 მუხლს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უარყოფის გამო პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი მიუღებლად ცნო საგნობრივი შეუთავსებლობის გამო (*ratione materiae*).

ამასთან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ევროპულმა სასამართლომ არ უარყო მომჩივნის საჩივრის განხილვის შესაძლებლობა კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში, ოღონდ წიგნის იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელშიც გადმოცემული იყო ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელთა სათვისტომოს მოქმედებათა კრიტიკა, რაც ერთ-ერთი საფუძველი გახდა მომჩივნის დასჯისა, მათ შორის, რასობრივი დიფამაციისა და რასობრივი სიძულვილის გავრცელებისათვის.

ძალზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ევროპულმა სასამართლომ აქაც საეჭვოდ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებადობა. მან მიუთითა, რომ სასამართლოს გააჩნდა სერიოზული ეჭვები, შეიძლებოდა თუ არა ასეთი აზრის გამოხატვა, წიგნის საერთო ნიჰილისტური ტონალობის გათვალისწინებით, მოქცეულიყო კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ქვეშ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მან დაუშვა, რომ ასეთი აზრის გამოხატვა შეიძლებოდა მიჩნეულიყო „აზრის გამოხატავად“ კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით. შესაბამისად, უნდა გარკვეულიყო მისი შეზღუდვის გამართლებულობა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა ემსახურებოდა კონვენციით გათვალისწინებულ, სულ მცირე, ორ კანონიერ მიზანს – „უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილებასა“ და „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას“. სასამართლომ წიგნის მთელი შინაარსისა და ტონალობის გათვალისწინებით უყოყმანოდ აღიარა შეზღუდვის საფუძველების „შესაბამისობა და საკმარისობა“ და მასთან ერთად – მომჩივნის უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ამ მიმართებაში საჩივარი მიჩნეულ იქნა მიუღებლად „აშკარა უსაფუძვლობის“ გამო.

P.S. მომჩივნის საჩივარი მიუღებლად იქნა ცნობილი კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაშიც (ასევე, „აშკარად უსაფუძვლობის“ მოტივით). მომჩივნის ძირითადი არგუმენტი უკავშირდებოდა ზელისუფლების უარს მის წინააღმდეგ 5 საქმის წარმოების ერთ საქმედ გაერთიანების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმას. მისი მითითებით, ეს წარმოადგენდა „საქმის სამართლიანი განხილვის“ უფლების დარღვევას, ვინაიდან საქმეთა ცალ-ცალკე წარმოებამ განაპირობა, მისი თავდაცვის შესაძლებლობის გაუარესება, მისთვის მისჯილი თავსუფლების აღკვეთის 5 ვადის, მისთვის დაკისრებული 5 ჯარიმისა და 5 საკომპენსაციო თანხის შეერთება.

ევროპულმა სასამართლომ ამაზე უპასუხა, რომ მისთვის მისჯილი თავისუფლების აღკვეთის საერთო ვადა, ისევე, როგორც დაკისრებული ჯარიმის საერთო ოდენობა არ აღემატებოდა საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული „თავისუფლების აღკვეთის“ მაქსიმალურ ვადას და ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას.

22. შტორი ნიდერლანდების წინააღმდეგ
(Steur v. the Netherlands)
(N 39657/98)

საქმე შეეხება ადვოკატის დისციპლინურ დასჯას პროფესიული ქცევის წესების დარღვევისათვის სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადების გამო – თითქოს გამოძიებელმა თვითმამხილებელი ჩვენების მისაღებად მის კლიენტზე მიუღებელი ზეწოლა განახორციელა

20 თქტომბერი, 2003.
განხილვა

კონვენციის მე-10 მუხლი
მისწეულია დარღვევლად

შაკტები:

მომჩივანი, ნიდერლანდების მოქალაქე, დაბადებულია 1951 წელს. იგი პროფესიით პრაქტიკოსი იურისტია.

1992 წლის 26 ნოემბერს სოციალური უზრუნველყოფის გამოძიებელმა W-მ მიიღო და ოქმში დააფიქსირა ვინმე B-ს განმარტებები მის მიერ სოციალური დახმარების მიღების საკითხებთან დაკავშირებით. B, ეროვნებით სურინამელი, ეჭვმიტანილი იყო სოციალური დახმარების უკანონოდ მიღებასა და თაღლითობის ჩადენაში. W-სთვის განმარტებების მიცემის დროს B მარტო იყო, ადვოკატის ან თარჯიმნის დახმარების გარეშე.

B-ს მიმართ აღიძრა დევნა თაღლითობისათვის. მის წინააღმდეგ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მხრიდან აღიძრა სარჩელიც მისთვის გადახდილი ექსცესური დახმარების უკან დასაბრუნებლად. მომჩივანი ორივე ამ პროცესში B-ს ინტერესებს წარმოადგენდა.

სამოქალაქო პროცესის მიმდინარეობის დროს მომჩივანმა განაცხადა, რომ შეუძლებელია W-ს მიერ ოქმში დაფიქსირებული B-ს განმარტებები მას მოეპოვებინა სხვაგვარად, თუ არა მიუღებელი ზეწოლის გამოყენებით, რათა მოეპოვებინა დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მომჩივნის აზრით, B-ს არ

ესმოდა, ან საკმარისად არ ესმოდა შესაბამისი განმარტებების მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თარჯიმნის გარეშე იმყოფებოდა.

შეიტყო რა მომჩივნის მიერ სასამართლო პროცესზე ასეთი შინაარსის განცხადების ფაქტი, W-მ მომჩივნის წინააღმდეგ შეიტანა დისციპლინური საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის ადგილობრივ განყოფილებაში. მან მიუთითა, რომ მომჩივნის უსაფუძვლო ინსინუაციებმა ზიანი მიაყენა მის პროფესიულ ღირსებასა და კარგ რეპუტაციას, რომ მან გადალახა წესიერების ფარგლები, როდესაც ბრალი დასდო მას ოქმის შედგენის დროს ფიცის გატეხვაში (*perjury*).

ზემოაღნიშნული საჩივარი გადაეგზავნა პალატის სადისციპლინო საბჭოს.

სადისციპლინო საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით (1996 წლის 1 ივლისი), რომელსაც წინ უძღოდა შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული პროცესი, უარი უთხრა საჩივარს და არ გაიზიარა, რომ ადვოკატმა ბრალი დასდო W-ს ფიცის გატეხვაში. თუმცაღა, დაადასტურა, რომ მისი განცხადებები არავითარ ფაქტებს არ ემყარებოდა და მიიჩნია, რომ ადვოკატმა გადალახა მისაღები ქცევის საზღვრები და დაარღვია სტანდარტები, რომელსაც ჩვეულებისამებრ მოელიან ადვოკატისაგან. საბჭომ საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია, სანქციის გამოყენებისაგან კი თავი შეიკავა. მომჩივანმა იჩივლა დისციპლინურ სააპელაციო სასამართლოში. მან მიუთითა, რომ წერილობით განმარტების ხელმოწერისას B ადვოკატისა და თარჯიმნის დახმარების გარეშე იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მოითხოვა მათი დასწრება. B იყო ნარკომანი და როგორც მან გაანდო თავის ადვოკატს, მის წინააღმდეგ გამოყენებული იყო ზეწოლა შესაბამისი ჩვენების მისაღებად. მომჩივანმა განმარტა, რომ თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას მას შეექმნა მყარი რწმენა, რომ მისი კლიენტის აღიარებითი ჩვენება მხოლოდ მიუღებელი ზეწოლის შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო. იყო თუ არა მართლაც ზეწოლა გამოყენებული, ეს სასამართლოს გადასაწყვეტი იყო. მაგრამ დისციპლინური სასამართლოს არ შეეძლო მიუღებლად მიეჩნია სასამართლო პროცესის დროს კლიენტის ინტერესების დასაცავად განცხადების

გაკეთება მხოლოდ იმ საბაბით, რომ ის საკმარისად დამტკიცებული არ იყო.

სადისციპლინო სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა მომჩივანს და ძალაში დატოვა სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება. მან არ მიიჩნია დადგენილად, რომ იმ დროისათვის, როდესაც მან შესაბამისი განცხადება გააკეთა ჰააგის რაიონულ სასამართლოში, მას უკვე მიღებული ჰქონდა თავისი კლიენტისაგან ინფორმაცია მასზე ზეწოლის შესახებ. ასეთი მოქმედება კი, სასამართლო აზრით, ადვოკატის პროფესიული ქცევის წესებს არ შეესაბამებოდა.

სამართლის საკითხები:

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ სადისციპლინო სააპელაციო ტრიბუნალის დასკვნიდან გამომდინარეობდა სხვა, სრულიად მიუღებელი დასკვნა, კერძოდ, ის, თითქოს საქმის განხილვის დროს ადვოკატს არ ჰქონდა უფლება, მისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე დაესკვნა, რომ მისი კლიენტის წინააღმდეგ მიუღებელი ზეწოლა განხორციელდა. მომჩივნის აზრით, ეს წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

სასამართლოს შეფასება:

1. განხორციელდა თუ არა ჩარევა.

მოპასუხე მთავრობის აზრით, მომჩივანი არ დაქვემდებარებია რაიმე ისეთ „ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს“, რომელიც მას აღუკვეთავდა შესაძლებლობას, ადეკვატურად წარმოედგინა თავისი კლიენტის ინტერესები. მას შეეძლო გაეკეთებინა ნებისმიერი განცხადება, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა, მათ შორის, განცხადება ზეწოლის შესახებ, რაც მან გააკეთა. დისციპლინურმა საბჭომ და დისციპლინურმა სააპელაციო

ტრიბუნალმა მხოლოდ მისი პროფესიული მოვალეობების დარღვევად მიიჩნიეს იმის მტკიცება, თითქოს შესაბამისი განცხადებები ფაქტობრივ საფუძველს ემყარებოდა. მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოებაც, რომ მომჩივნის მიმართ არავითარი სანქცია არ იქნა გამოყენებული.

მომჩივანმა თავის მხრივ მიუთითა, რომ იგი ბრალეულად ცნეს პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევაში. მისი აზრით, ეს ნეგატიურ ეფექტს იქონიებდა მასზე. იგი თავს იგრძნობდა შეზღუდულად ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტების შერჩევისას თავისი კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელების დროს. ამიტომ იმის თქმა, რომ იგი არ დაექვემდებარა გარკვეულ „ფორმალობებს“ ან „შეზღუდვებს“, სრულიად უსაფუძვლო იყო. სასამართლოს პარალელი უნდა გაეწყო საქმესთან – *Nikula v. Finland*. მართალია, ამ საქმეში გადამწყვეტი გახდა ადვოკატის მიმართ სანქციის გამოყენების ფაქტი, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენდა დამაბრკოლებელ გარემოებას საიმისოდ, რომ ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-10 მუხლი მოცემულ საქმეში გამოყენებად მიეჩნია.

2. დაირღვა თუ არა მე-10 მუხლი

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და მიზნად ისახავდა სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის მიზანს. მსჯელობის მთავარ საგანს „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება წარმოადგენდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა თავისი არგუმენტები ჯერ კიდევ საჩივრის მისაღებობის სტადიაზე წარმოადგინა. პირველ რიგში, მან მიუთითა, რომ მისი განცხადება B-ს პიროვნებაზე ზეწოლის განხორციელების შესახებ ემყარებოდა ობიექტურ გარემოებებს, რასაც მოწმობდა B-ს მიერ გამომძიებელი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენება. დისციპლინურ სააპელაციო ტრიბუნალს არ უნდა დაედანაშაულებინა იგი მხოლოდ იმის გამო, რომ მან თავისი კლიენტის განცხადება ზეწოლის შესახებ სასამართლო პროცესის დროს მისივე დასაცავად გაიმეორა.

მომჩივანმა გამოხატა თავისი საერთო მოსაზრება იმის შესახებ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ადვოკატს უნდა ჰქონოდა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ყველა შესაძლო არგუმენტის გამოყენების უფლება, რომლებიც კლიენტისაგან მიღებულ ინფორმაციას ეფუძნებოდა.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, თუ რა სახელმძღვანელო პრინციპები ჩამოაყალიბა თვის განჩინებაში საქმეზე *Nikula v. Finland*:

“სახელმძღვანელო ფუნქციის განხორციელების დროს საჯაროად ჩარევა უნდა შეფასდეს მთლიანობაში, საქმის ყველა გარემოების, მათ შორის, სადავო განცხადებების შინაარსისა და იმ კონტექსტის მხედველობაში მიღებით, რომელშიც ისინი იქნა გამოთქმული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შეფასებას, იყო თუ არა ჩარევა დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული, ხოლო ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩარევის გასამართლებლად მითითებული საფუძვლები – „შესაბამისი და საკმარისი“. სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება მე-10 მუხლით ნაგულისხმებ პრინციპებს და, უფრო მეტიც, რომ ისინი ეყრდნობოდა რელევანტური ფაქტების მისაღებ შეფასებას.

სასამართლო ადასტურებს, რომ ადვოკატთა სპეციალური სტატუსი განაპირობებს ცენტრალურ როლს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში – როლს შუამავლისა საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. სწორედ ამ მდგომარეობით აიხსნებოდა ადვოკატთა ქცევაზე შეზღუდვების დაწესება. უფრო მეტიც, სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების გარანტები, რომელთა როლი უმნიშვნელოვანესია სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში, უნდა სარგებლობდნენ ხალხის ნდობით. ამ სფეროში ადვოკატთა გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, კანონიერია მოლოდინი, რომ ისინი ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას და ამ გზით ხალხის ნდობის მოპოვებას...”

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმავე განჩინებაში (იგულისხმება *Nikula*-ს საქმის განჩინება) მან დაადასტურა, რომ განსაზღვრულ გარემოებებში საქმის განხილვის დროს ადვოკატის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შეიძლებოდა წამოეჭრა

კონვენციის მე-6 მუხლის საკითხი კლიენტისათვის საქმის სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფის თაობაზე (§49).

სასამართლომ მიუთითა ისიც, რომ, მართალია, ადვოკატთა ქცევა ექვემდებარებოდა შეზღუდვებს, მაგრამ ისინი იმავდროულად ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მათ შორის – სასამართლოში არგუმენტების გამოყენების საკითხში (*Casado coca v. Spain*, judgment fo 24 February 1994, Series A, no. 285. A.P.19. §46).

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში სასამართლო პროცესის დროს მომჩივნის მიერ გამოთქმული კრიტიკა შეეხებოდა მტკიცებულების მოპოვების ხერხს გამომძიებლის მიერ თავის უფლებამოსილების განხორციელების, კერძოდ, მომჩივნის კლიენტის დაკითხვის დროს. მომჩივნის განცხადება თავისი ბუნებით აშარად დისკრედიტაციული იყო, მაგრამ მოცემულ კონტექსტში სახელმწიფო მოხელეთა მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ფარგლები შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ფართო, ვიდრე – კერძო პირთა მიმართებაში. მართალია, სახელმწიფო მოხელეები დაცული უნდა ყოფილიყვნენ შეურაცხმყოფელი სიტყვიერი თავდასხმებისაგან თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მაგრამ მოცემულ საქმეში კრიტიკა მკაცრად შემოზღუდული იყო გამომძიებლის ქცევით მომჩივნის კლიენტის საქმეზე. იგი განსხვავდებოდა ისეთი კრიტიკისაგან, რომელიც შეეხებოდა პიროვნების საერთო პროფესიულ თუ სხვა თვისებებს. მომჩივნის განცხადებები, რომლებიც მან სასამართლოს დარბაზში გააკეთა, ვერ ჩაითვლებოდა პიროვნულ შეურაცხმყოფად. იგი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მის კლიენტს სრულად არ ესმოდა თავისი იმ თვითმამხილებელი ჩვენებების შინაარსი, რომელიც მან თარჯიმნის არყოფნის პირობებში მისცა გამომძიებელს. მომჩივნის ეს განცხადება მთლიანად შეესაბამებოდა მისი კლიენტის იმ განცხადებას, რომელიც მან გამომძიებელი მოსამართლის წინაშე გააკეთა 1994 წლის 5 დეკემბერს და, ესე იგი, მანამდე, ვიდრე W მომჩივნის წინააღმდეგ შეიტანდა საჩივარს დისციპლინურ საბჭოში და მანამდეც, სანამ დისციპლინური სააპელაციო ტრიბუნალი განიხილავდა საქმეს.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შიდა დისციპლინურ ხელისუფლებას არ უცდია დაედგინა, შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს სადავო განცხადებები, მოქმედებდა თუ არა მომჩივანი კეთილი განზრახვით; სხვა სიტყვებით, მომჩივნის კეთილსინდისიერება იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რაც მან ჩაიდინა, არასოდეს გამხდარა მსჯელობის საგანი.

დისციპლინური სააპელაციო ტრიბუნალის არგუმენტი, რომ მომჩივანის მიერ თავისი განცხადების გაკეთება შესაბამის დროს სრულიად უსაფუძვლო იყო, ვინაიდან იგი თითქოსდა ჯერ არ იყო კლიენტის მიერ ინფორმირებული მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ, ევროპული სასამართლოს აზრით, მოცემულ გარემოებებში დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლებოდა.

მართალია, მომჩივნის წინააღმდეგ რაიმე სანქცია გამოყენებული არ იყო, მაგრამ მისი კლიენტისაგან მამხილებელი მტკიცებულების მოპოვების საკითხზე გამოთქმული კრიტიკის *ex post facto* გადასინჯვის მუქარა ძნელად თუ უთავსდებოდა კლიენტის დაცვის მოვალეობას და ამ გარემოებას უდავოდ ექნებოდა „მსუსხავი ეფექტი“ მის პროფესიულ პრაქტიკაზე.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაამტკიცა ჩარევის საკმარისი საფუძველი, ამიტომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ იყო ნაკარნახევი შესაბამისი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობით. შესაბამისად, მან ერთხმად ცნო კონვენციის მე-10 მულის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა შესაბამისი მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ. თავის მხრივ, არც მას გააჩნდა რაიმე საფუძველი, თავისი ინიციატივით განეხილა მომჩივნისათვის სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭების საკითხი (*Narsi v. France*, judgment of 13 July 1995, series A. no 320 B. p.26. §49 *Stambuk v. Germany*, no 37928/97, §59, 17 October, 2002).

23. ალვეს კოსტა კორტუზალის წინააღმდეგ
(Alves Costa v. Portugal)
(N 65297/01)

საჩივარი შეეხება სამედიცინო ცენტრის დირექტორის ცილისწამებისათვის მომჩივნის სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, რაც შედეგად მოჰყვა მის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ ღია წერილს

25 მარტი, 2004წ.
გადაწყვეტილება

საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად „აშკარა უსაფუძვლობის“ გამო

საჩივრის არსი:

მომჩივანი სისხლის სამართლის წესით დაისჯა ცილისწამებისათვის რეგიონულ გაზეთში გამოქვეყნებული ღია წერილის გამო, რომელშიც ის მიმართავდა იმ სამედიცინო ცენტრის დირექტორს, სადაც მისი ქალიშვილი იყო სამკურნალოდ მოთავსებული. წერილში გამოთქმული იყო აზრი, რომ ცენტრში სამედიცინო მომსახურება წარმოებდა ძალიან დაბალ დონეზე, დირექტორის მისამართით კი გამოყენებული იყო ისეთი გამონათქვამები, როგორცაა: „სრულიად უღირსებო ადამიანი“, „არაკვალიფიციური მუშაკი“, „ურჩხული“ და სხვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენით დაადგინა, რომ სამედიცინო ცენტრის დირექტორის დასახასიათებლად გამოყენებული გამონათქვამები ცილისწამებლური იყო და მომჩივანმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა ცენტრის მიმართ თავისი ბრალდებების საფუძვლიანობა ამ ცენტრში მისი შვილის სიკვდილთან დაკავშირებით. მომჩივნის საჩივარი მეორე ინსტანციის სასამართლომაც უარყო.

გადაწყვეტილება:

მომჩივნის საჩივრის მისაღებობის შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონკრეტული ბრალდების

წამოყენების დროს სავალდებულო იყო, ბარლებების ავტორს წარმოედგინა თავისი ბრალდების სულ მცირე სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი. მან აღნიშნა, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო სამედიცინო ცენტრში ბავშვის სიკვდილის მის მიერ ნავარაუდები მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოადგენა, ხოლო ცენტრის დირექტორის მიმართ გამოყენებული გამოთქმები კი აშკარად შეურაცხყოფელი და ცილისმწამებლური იყო. სასამართლოს აზრით, მომჩივანს შეურაცხყოფელი გამონათქვამების გამოყენების გარეშეც შეეძლო გამოეხატა თავისი კრიტიკული აზრი ცენტრის მუშაობის ცუდი ორგანიზაციის შესახებ და ამით წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დისკუსიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ცილისწამებისათვის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს გააჩნდა შესაბამისი „წონადი და საკმარისი“ საფუძველი, ხოლო რაც შეეხებოდა გამოყენებულ ღონისძიებებს (ჯარიმის – 100 ათასი ესკუდოს, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 250 ათასი ესკუდოს გადახდას), არ წარმოადგენდა არათანაზომიერ ღონისძიებას ჩადენილი ცილისწამებისათვის. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულ ხელისუფლებას მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონდა გადალახული შეფასების თავისუფლების ის საზღვრები, რომლებიც მას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გააჩნდა.

სასამართლომ მომჩივნის საჩივარი „აშკარად უსაფუძველოდ“ მიიჩნია და ამიტომ ის მიუღებლად ცნო.

24. რადიოსამაუწყებლო კომპანია „რადიო
ფრანსი“

და სსკ. საფრანგეთის წინააღმდეგ
(Radio France and Others v. France)
(N 53984/00)

საქმე შეეხება რადიოსადგურ
„ფრანს ინფოს“ მთავარი რედაქ-
ტორისა და ჟურნალისტის
სისხლისსამართლებრივ მსჯავრ-
დებას ეთერში გადაცემული
ინფორმაციისათვის იძის თაობაზე,
თითქოს პარიზის ყოფილი მერის
მოადგილე ბ-ნი ჟუნო სამსახურებ-
რივად პასუხისმგებელი იყო 1942
წელს საფრანგეთიდან ათასობით
ებრაელის დეპორტაციისათვის

30 მარტი, 2004წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

ფაქტები:

მომჩივნები არიან რადიოსამაუწყებლო კომპანია „რადიო-ფრანსი“
(Radio France), მისი მთავარი რედაქტორი და ჟურნალისტი.

1997 წლის 1 თებერვალს ყოველკვირეულმა გაზეთმა „ლე
პუანტ“ („Le Point“) გამოაქვეყნა სტატია სათაურით „გამოძიება“.
მისი რამდენიმე ფურცელი შეეხებოდა ბ-ნი მიშელ ჟუნოს (Michel
Junot), რომელიც 1977-1995 წლებში იყო ქ.პარიზის მერის –
ჟაკ-შირაკის მოადგილე, ხოლო 1942-1943 წლებში კი – პიტივიერის
(Pithivier) პრეფექტის მოადგილე. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ
ბ-ნი ჟუნო, როგორც პრეფექტის მოადგილე, სამსახურებრივად
პასუხისმგებელი იყო 1942 წლის 20 სექტემბერს საფრანგეთიდან
ათასობით ებრაელის დეპორტაციისათვის. სტატია, აგრეთვე, შეიცავდა
ინტერვიუს ბ-ნი ჟუნოსთან, რომელშიც იგი უარყოფდა თავის რაიმე
მონაწილეობას ამ საქმეში.

1997 წლის 31 იანვარს მესამე მომჩივანმა რადიოსადგურ „ფრანს ინფოს“ (რომელსაც მომჩივანი კომპანია აკონტროლებდა) რადიოეთერში გადასცა შემდეგი წინაარსის ინფორმაცია:

„ყოველკვირეული გაზეთის „ლე პუანტ-ის“ მიხედვით, პარიზის მერის ყოფილი მოადგილე 1942 წელს ხელმძღვანელობდა ათასობით ფრანგი და უცხოელი ებრაელის დეპორტაციას. ბ-ნი ჟუნო, რომელიც ახლა 80 წლისაა, იმ დროს იყო პიტივიერის პრეფექტის მოადგილე. იგი არ უარყოფს, რომ ორგანიზაცია გაუკეთა სადეპორტაციო ტრანსპორტს. მიშელ ჟუნო, რომელიც დე გოლმა ომის დასასრულს თანამდებობიდან გათავისუფლა, ამტკიცებს, რომ იგი წინააღმდეგობის მოძრაობაში იმყოფებოდა. მორის პაპონის¹¹ მსგავსად, თავის დასაცავად ისიც აცხადებს, რომ არაფერი იცოდა ებრაელთა დეპორტაციის შესახებ“...

აღნიშნული ინფორმაცია ამ და სხვა ჟურნალისტებმა ერთი დღის განმავლობაში სამოცდაროჯერ გადასცეს ეთერში.

იმავე დღიდან მასმედიაში გამოქვეყნდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ „მორის პაპონისაგან განსხვავებით“ მიშელ ჟუნოს დაპატიმრების ან დეპორტაციის არც ერთი ბრძანება არ ჰქონდა გაცემული და იგი მხოლოდ ასეთი ბრძანებების შენახვაზე იყო პასუხისმგებელი. ასევე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მიშელ ჟუნო უარყოფდა მის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებას.

ბ-ნმა ჟუნომ პარიზის კრიმინალურ სასამართლოში აღძრა საქმე ჟურნალის (მესამე მომჩივანი), მთავარი რედაქტორის (მეორე მომჩივანი) და კომპანია „რადიო ფრანსის“ (პირველი მომჩივანი) წინააღმდეგ სახელმწიფო მოხელის (*civil servant*) საჯარო დიფამაციისათვის.

1997 წლის 25 ნოემბერს პარიზის კრიმინალურმა სასამართლომ მეორე და მესამე მომჩივანი (მთავარი რედაქტორი და ჟურნალისტი) დამნაშავედ ცნო სახელმწიფო მოხელის დიფამაციისათვის. თითოეულ მათგანს დააკისრა ჯარიმა 20000 ფრანგული ფრანკის ოდენობით და ორივე მათგანს ერთობლივად 50000 ფრანგული ფრანკის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

¹¹ მორის პაპონი, 1942-43 წლებში ჟირონდის პრეფექტურის მთავარი აღმასრულებელი მოხელე (*chief executive officer*), რომელსაც ბრალი ედებოდა მრავალ უკანონოში.

მან, აგრეთვე, ცნო მომჩივანი კომპანიის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და უბრძანა სასამართლოს განაჩენის შესახებ ინფორმაციის გადაცემა ყოველ ორ საათში ერთხელ 24 საათის განმავლობაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

განაჩენში სასამართლომ მიუთითა ორ ძირითად პრინციპზე, რითაც იხელმძღვანელა:

1) არსებობდა პრეზუმფცია იმისა, რომ დიფამაციური განცხადება გაკეთებულია ბოროტი განზრახვით. კეთილი განზრახვის დამტკიცების ტვირთი ბრალდებულს (განცხადებების ავტორს) ეკისრებოდა.

2) უკვე გამოქვეყნებული დიფამაციური განცხადების გამეორება არ უზრუნველყოფდა იმ პირის დაცვას, ვინც იგი გაიმეორა. ჟურნალისტს ევალებოდა ინფორმაციის გადამოწმება.

სასამართლომ მომჩივნების მიერ თავის დასაცავად წარმოდგენილი სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტების (მათ შორის პრეფექტის 1942 წლის 1 ოქტომბრის მემორანდუმის) განხილვის შედეგად დაასკვნა, რომ ისინი საკმარისი არ იყო საიმისოდ, რომ დამტკიცებულად მიჩნეულიყო ბ-ნი ჟუნოს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, კერძოდ, რომ იგი ზედამხედველობას უწევდა ებრაელთა დეპორტაციას; რომ გააკეთა სადეპორტაციო ტრანსპორტის ორგანიზაცია; რომ სამსახურებრივად პასუხისმგებელი იყო ამაზე; რომ იგი არ წარმოადგენდა წინააღმდეგობის მოძრაობის წევრს და ა.შ.

სასამართლომ დაასკვნა, რომ წარმოდგენილი მასალები და საქმის გარემოებები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გაეზიარებინა მომჩივანთა მტკიცება, თითქოს ისინი კეთილი განზრახვით მოქმედებდნენ.

პარიზის სააპელაციო სასამართლომ შეინარჩუნა განაჩენი (17 ივნისი, 1998წ.) მან მიიჩნია, რომ მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს თავიანთი ბრალდებები და მოქმედებდნენ ბოროტი განზრახვით. მან ყურადღება გაამახვილა ბრალდების სიმძიმესა და ბ-ნი ჟუნოს რეპუტაციისათვის მიყენებულ დიდ ზიანზე, რომელიც მან განიცადა

„რადიო ფრანსის“ ეთერში დიფამაციური განცხადების არაერთგზის გამეორების შედეგად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივრებში მომჩივნებმა მიუთითეს, რომ მათ დაერღვათ ევროპული კონვენციის მე-6, მე-7 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

სამართლის საკითხები:

1. კონვენციის მე-7 (1) მუხლის დარღვევის თაობაზე

მე-2 და მე-3 მომჩივნის აზრით, მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება დაემყარა სისხლის სამართლის კანონის ანალოგიას, რაც დაუშვებელი იყო. აუდიოვიზუალური კომუნიკაციების შესახებ 1982 წლის აქტის მიხედვით, მთავარი რედაქტორი (*publishing director*) ინაწილებდა პასუხისმგებლობას დიფამაციური განცხადებების გამოქვეყნებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ამ განცხადებების შინაარსი წინასწარ იყო ცნობილი. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი განცხადებები პირდაპირ ეთერში გადაიცა, მთავარ რედაქტორს არ შეეძლო გაეკონტროლებინა ის და ამიტომ მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლებოდა. მომჩივნების აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა განვრცობითად განმარტეს ზემოაღნიშნული კანონის შინაარსი და იგი გაავრცელეს განცხადებების გამეორების შემთხვევებზეც. კერძოდ, მათ განვრცობითად განმარტეს შინაარსი სიტყვებისა – „წინასწარ ცნობილი“ (*Fixed prior*) და მას ღია ეთერით ერთხელ უკვე გადაცემული ინფორმაციებიც მიაკუთვნეს. ეს, მომჩივნების აზრით, წარმოადგენდა სისხლის სამართლის კანონის ანალოგიას, რაც დაუშვებელი იყო და მთავარი რედაქტორის მსჯავრდებას უკანონოს ხდიდა. ასეთი მსჯავრდება არღვევდა კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას, რომელიც ემყარებოდა პრინციპს: არავინ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი ისეთი აქტისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოებისა და მოქალაქე მთავრობის მოსაზრებანი, რომ პირველადი ეთერის შემდეგ, განცხადებების არაერთგზის გამეორებისას, მთავარ რედაქტორს შეეძლო გაეკონტროლებინა მათი ხელმეორედ გაშვება ეთერში. მართალია, კონვენციის მე-7 მუხლი მოითხოვდა, რომ სისხლისსამართლებრივი დარღვევა კანონში ცხადად ყოფილიყო განსაზღვრული (*clearly defined in Law*), მაგრამ ამ პირობას იგი დაკმაყოფილებულად მიიჩნევდა, თუ ინდივიდს, თუნდაც სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, შესაძლებლობა ჰქონდა სცოდნოდა, როგორი მოქმედებები გამოიწვევდა მის პასუხისმგებლობას (*Kokkinakis v. Greece, judgment of 25 May, 1993, series A. no 260-A. p.22, §52*). ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ წესთან მიმართებაში, რომლითაც „რადიო ფრანსი“ ფუნქციონირებდა (იგულისხმება ინფორმაციის არაერთგზის ტრანსლაცია), კონცეპტის – „წინასწარ ცნობილის“ – ეროვნული სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, შეესაბამებოდა სამართალდარღვევის ბუნებასა და გონივრული ხარისხით იყო განჭვრეტადი.

შესაბამისად, სასამართლომ არ ცნო კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა.

2. კონვენციის მე-6 მუხლის 1 და მე-2 პუნქტების შესახებ.

მომჩივნებმა მიუთითეს, რომ 1982 წლის აქტი აწესებდა მთავარი რედაქტორების პასუხისმგებლობის უცილობელ პრეზუმფციას (*an irrebuttable presumption*). ეს პრეზუმფცია გამოიყენებოდა იმის მიუხედავად, არსებობდა თუ არა რაიმე საპირისპირო მტკიცებულება. მოცემულ საქმეში მთავარი რედაქტორის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება დაემყარა რადიოეთერში დიფამაციური განცხადების განმეორებით გადაცემის ფაქტსა და მეორე მომჩივნის – „მთავარი რედაქტორის“ სტატუსს. ეს, მომჩივანთა აზრით, არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპსა და „საქმის სამართლიანი განხილვის“ სხვა გარანტიებს.

ევროპულმა სასამართლომ ამის თაობაზე განჩინებაში აღნიშნა, რომ კონვენცია არ კრძალავდა ფაქტისა ან სამართლის პრეზუმფციებს სისხლის სამართლის საქმეებზე, თუცაღა, იგი ხელშემკერელ სახელმწიფოებს უყენებდა ძოთხოვნას, „გარკვეული ფარგლები დაეკვათ ამ მიმართებით“. ასეთ დროს მათ მხედველობაში უნდა მიეღოთ ის, თუ რა ღირებულებები იდო სასწოროზე და უზრუნველყოთ დაცვის უფლება (*Salabiaku v. France*, judgment of 7 October 1988. Series A. no. 141 – A. p.18. §31).

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართლაც, 1982 წლის აქტი გულისხმობდა მთავარი რედაქტორების პასუხისმგებლობის პრეზუმფციას იმ დიფამაციური განცხადებებისათვის, რომელთა შინაარსი წინასწარ იყო ცნობილი. ასეთი პრეზუმფცია, მისი განმარტებით, მიზნად ისახავდა იმ მთავარ რედაქტორთა დასჯას, რომლებმაც ვერ განახორციელეს თავისი ფუნქცია, გაეკონტროლებინათ გავრცელებული განცხადებების შინაარსი მანამდე, სანამ მათ გაავრცელებდნენ. შესაბამისად, ისინი ისჯებოდნენ როგორც „დიფამაციური განცხადების გავრცელებაში დამხმარები“. აქვე, ევროპულმა სასამართლომ განმარტა: მისათვის, რათა ასეთ პრეზუმფციას რეალურად მოჰყოლოდა რედაქტორის დასჯა, უნდა დამტკიცებულიყო რამდენიმე ელემენტი, კერძოდ, „მთავარი რედაქტორის“ სტატუსი, განცხადებათა დიფამაციური ხასიათი; ხოლო მათი შინაარსი წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავარი სირთულე მოცემულ საქმეში უკავშირდებოდა იმ გარემოებას, რომ შესაბამისი დიფამაციური განცხადებები ბოროტი განზრახვით გავრცელდა. ამ ნაწილში მთავარი რედაქტორის პასუხისმგებლობის პრეზუმფცია არ იყო უცილობელი (*irrebutable*). მომჩივნებს ამ პრეზუმფციის დაძლევა შეეძლოთ იმის დამტკიცებით, რომ ისინი კეთილი განზრახვით მოქმედებდნენ. როგორც პარიზის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, მომჩივნებს შეეძლოთ დაემტკიცებინათ თავიანთი კეთილი განზრახვა, თუკი სასამართლოს დაარწმუნებდნენ იმაში, რომ განცხადებების გავრცელებისას ისინი კანონიერ მიზნებს ისახავდნენ, რომ მათ ჩაატარეს სერიოზული გამოძიება ინფორმაციის გადასამოწმებლად და გამოიყენეს ზომიერი გამოთქმები. თავის

მხრივ, მთავარ რედაქტორს თვითონაც შეეძლო დაესაბუთებინა განცხადებების გამავრცელებელ ჟურნალისტთა კეთილი განზრახვა.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მედიაში დიფამაციური ან შეურაცხმყოფელი ბრალდებების გავრცელების აღკვეთა მთავარი რედაქტორებისათვის იმ მოთხოვნის დაწესებით, წინასწარი კონტროლი განეხორციელებინა ინფორმაციის გავრცელებაზე, წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ინტერესს, რაც მოცემულ საქმეში სასწორზე იყო დადებული. ამიტომ 1982 წლის აქტით (93-ე მუხლი) დაწესებული პასუხისმგებლობის პრეზუმფცია აკმაყოფილებდა „გონივრული საზღვრების“ მოთხოვნებს და არანაირად არ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.

ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი დარღვეულად არ მიიჩნია.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივარი მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით, მოცული იყო ზემოთ განხილული საჩივრით ამავე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში, ამიტომ უარი თქვა ფაქტები მე-2 მუხლის I პუნქტთან მიმართებაში ცალკე განეხილა.

3. კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ

მხარეთა არგუმენტები:

მომჩივნებმა მიუთითეს, რომ მათ დაერღვათ ინფორმაციის გადაცემის უფლება, რაც კონვენციის მე-10 მუხლით იყო გათვალისწინებული.

მოპასუხე მთავრობა დაეთანხმა იმას, რომ სახელმწიფო მომჩივანთა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩაერია, მაგრამ მიუთითა, რომ ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა: შეზღუდვა, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი გათვალისწინებული იყო კანონით, კერძოდ, 1981 წლისა (29-ე და 31-ე მუხლები) და 1982 წლის (93-ე მუხლი) აქტებით, ხოლო კომპანიისათვის გაცემული ბრძანება,

გადაეცა ინფორმაცია სასამართლო განაჩენის შესახებ, – სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლით.

მთავრობამ განმარტა, რომ ჩარევა ემსახურებოდა საჯარო პირის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების გამო დასჯასა და ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანის აღდგენა-გამოსწორებას. აღნიშნული წარმოადგენდა „კანონიერ ინტერესს“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, რომელიც ითვალისწინებდა შეზღუდვის შესაძლებლობას სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დასაცავად და უწესრიგობის აღსაკვეთად.

სამივე მომჩივანთან მიმართებაში, შეზღუდვა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ეფუძნებოდა საამისოდ „საკმარის და შესატყვის“ საფუძველს და დასახულ კანონიერ მიზანთა თანაზომიერად ჩაითვლებოდა. მთავრობის აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაწვრილებით განიხილეს მომჩივნის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ კომპანია „რადიო-ფრანსმა“ დიდი ზიანი მიაყენა ბ-ნი ჟუნოს პატივსა და კეთილ სახელს. „რადიო ფრანსის“ ინფორმაცია გავრცელდა იმ სადგურიდან, რომელსაც ძალზე დიდი აუდიტორია ჰყავდა. განსაკუთრებით იყო მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ არავითარი კომენტარი არ დაერთო ინფორმაციას დაუმტკიცებელი ფაქტების შესახებ და პარალელი იქნა გავლებული ჰაპონის საქმესთან. არც „რადიო ფრანსისათვის“ მიცემული ბრძანება ჩაითვლებოდა არათანაზომიერად. კომპანიას დაევალა ყოველ ორ საათში ერთხელ, 24 საათის განმავლობაში, ეცნობებინა მსმენელისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესახებ იმ ზიანის გამოსასწორებლად, რომელიც ცილისმწამებლური განცხადებების ნ2-ჯერ გამეორებამ გამოიწვია.

მომჩივნების აზრით, სასამართლოს ბრძანება, რომელიც რადიოკომპანიას ავალდებულებდა, გადაეცა შეტყობინება მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების შესახებ, არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ და ასეთი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა აბსოლუტურად განუჭვრეტადი იყო.

მათ ყურადღება გაამახვილეს ევროპული სასამართლოს მიერ დაკავებულ პოზიციაზე საქმეში *Thoma v. Luxembourg* (no 38432/

97, §64. ECHR 2001-III), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ჟურნალისტებისთვის იმის მოთხოვნა, რომ სისტემატურად და ოფიციალურად გამიჯნულიყვნენ იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც შეიძლება შეურაცხმყოფელი და რეპუტაციის შემლახველი ყოფილიყო, შეუთავსებელი იყო პრესის როლთან დემოკრატიულ საზოგადოებაში – გადაეცა ინფორმაცია და იდეები მიმდინარე მოვლენებზე. მომჩივნების განმარტებით, რადიოკომპანიის ბიულეტენი მიზნად ისახავდა არა ბ-ნი ჟუნოს რეპუტაციის შელახვას, არამედ იმ ისტორიულ მოვლენათა გაშუქებას, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

სასამართლოს შეფასება:

ა) იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

სასამართლომ აღნიშნა, რომ არც ერთი მხარე არ უარყოფდა იმ გარემოებას, რომ მეორე და მესამე მომჩივნების სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და სასჯელი იყო „კანონით გათვალისწინებული“. ეჭვქვეშ იყო დაყენებული მხოლოდ სასამართლოს იმ ბრძანების კანონიერება, რომლითაც კომპანიას მომჩივნების შესახებ ინფორმაციის გადაცემა დაევადა.

ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მომჩივნებს და მიიჩნია, რომ სასამართლოს ასეთი ბრძანება განჭვრეტადი იყო. ჯერ ერთი, მომჩივანი კომპანიის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დიფამაციური განცხადებების გავრცელებისათვის გათვალისწინებული იყო სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლით, რომლის მიხედვით, სხვა პირისათვის ზიანის მიყენებაში ბრალეულ პირს ევალებოდა ზიანის რეპარაცია. გარდა ამისა, ფრანგული სასამართლოების პრაქტიკით დამკვიდრებული იყო წესი, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოებს გააჩნდათ უფლებამოსილება, განესაზღვრათ, თუ ზიანის გამოსწორების როგორი ფორმა იქნებოდა ეფექტიანი შესაბამის შემთხვევაში და გაეცათ კიდევაც შესაბამისი ბრძანება. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ პრესის მიერ გამოწვეული ზიანის გამოსწორების საქმეებზე

გამოქვეყნებულ განცხადებათა უარყოფა და შესაბამისი ინფორმაციების გადაცემა ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა. სასამართლომ დასძინა, რომ „კანონით გათვალისწინებულის“ მოთხოვნა სრულებითაც არ გულისხმობდა იმის ანტიციპაციის შესაძლებლობას, თუ ზუსტად რა რაოდენობის ზიანის ანაზღაურება გახდებოდა აუცილებელი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

ბ) ემსახურებოდა თუ არა ჩარევა „კანონიერ მიზანს“

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მოძივანია უფლებებში ჩარევა ემსახურებოდა „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის“ ინტერესებს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ რეპუტაციის დაცვის უფლება გათვალისწინებული იყო კონვენციის მე-8 მუხლით, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების მნიშვნელოვანი ელემენტი.

გ) იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, თავისი პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული ის პრინციპები გაიმეორა, რომლებითაც ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა არა მარტო მისაღებ, ინდიფერენტულ იდეებსა და ინფორმაციას, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი იყო სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფისათვის. ეს უფლება ექვემდებარებოდა შეზღუდვებს, მაგრამ ეს შეზღუდვები დამაჯერებლად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, „აუცილებელი“ გულისხმობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობას; ევროპული ზედამხედველობა ვრცელდებოდა როგორც შიდა კანონმდებლობაზე, ისე, მათ საფუძველზე მიღებულ, მათ შორის დამოუკიდებელ სასამართლოთა

გადაწყვეტილებებზე; ევროპული სასამართლოს ამოცანას უფლებამოსილი ეროვნული ხელისუფლების ჩანაცვლება კი არ წარმოადგენდა, არამედ მე-10 მუხლის ჭრილში მათი გადაწყვეტილებების გადასინჯვა, რომლებიც შეფასების თავისუფლების საწყისებზე იყო მიღებული. ამასთან, საზედამხედველო ფუნქცია არ ამოიწურებოდა მხოლოდ იმის შემოწმებით, განახორციელა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ თავისი თავისუფლება გონივრულად, ყურადღებითა და კეთილი განზრახვით. ევროპულ სასამართლოს საქმე უნდა შეემოწმებინა მთლიანობაში და შეეფასებინა, იყო თუ არა უფლების შეზღუდვა კანონიერი მიზნის თანაზომიერი, არსებობდა თუ არა შეზღუდვის აუცილებელი და საკმარისი საფუძველი. ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა ისეთი სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10 მუხლის მოთხოვნებს და იგი ეყრდნობოდა რელევანტური ფაქტების მისაღებ შეფასებას.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, აგრეთვე, პრესის არსებითი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მართალია, მას არ უნდა გადაელახა აუცილებელი მიჯნები, განსაკუთრებით სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ მის მოვალეობას შეადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციების გადაცემა ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამებოდა მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას და რომ არა მარტო პრესას ჰქონდა ამოცანა, გადაეცა ინფორმაცია და იდეები, არამედ ხალხსაც ჰქონდა უფლება, მიეღო ისინი (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway* [G.C] no. 21980/93, §59 and 62; ECHR 1999-III. *Colombani and Others v. France* no. 51279/99. §55. ECHR 2002-V). ეროვნული ხელისუფლების შეფასების თავისუფლება შემოზღუდული იყო დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით – პრესას შეესრულებინა „საზოგადოების მეთვალყურის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*, §59). ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, ზემოთ მითითებული ფორმულები შემუშავებულ იქნა პრესისათვის, მაგრამ ისინი გამოიყენებოდა აუდიოვიზუალური

მედის მიმართაც (*Jersild v. Denmark*, judgment of 23.09.1994, Series A. no. 298; pp.23-24, §31).

ევროპულმა სასამართლომ შემდეგ აღნიშნა, რომ მოცემული საქმე შეეხებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში, საფრანგეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლის დამოკიდებულებებს. უეჭველი იყო, რომ ეს საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, გაზეთ „ლე პუანტიში“ დაბეჭდილი ინფორმაცია და „რადიო ფრანსის“ ბიულეტენები, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე იმ საზოგადოებრივ დებატებში წვლილის შეტანას, რომელიც უკვე დაწყებული იყო და ფოკუსირდებოდა მორის პაპონის საქმის განხილვაზე.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ჟურნალისტებს ავალდებულებდა, ემოქმედათ კეთილი განზრახვით და ჟურნალისტური ეთიკის დაცვით მოემარაგებინათ საზოგადოება სწორი ინფორმაციით (*Bladet Tromsø and Stensaas*, §65. *Colombani and Others*, §65). თუმცა ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობდა ზოგიერთი გადაჭარბებისა და თვით პროვოკაციის უფლებას (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*, §59). ჟურნალისტებისათვის დაწესებული მოთხოვნა – სისტემატურად და ოფიციალურად გამიჯნულიყვნენ იმ განცხადებებისაგან, რომლებსაც შეიძლებოდა ზიანი მიეყენებინა სხვათა რეპუტაციისათვის, შეუთავსებელი იყო პრესის ფუნქციებთან – მოემარაგებინა საზოგადოება აზრებითა და ინფორმაციებით მიმდინარე მოვლენების შესახებ (*Thoma*, §64).

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ „რადიო ფრანსის“ ინფორმაციებში ყოველთვის იყო მითითებული ინფორმაციის წყარო – საკვირაო გაზეთის პუბლიკაცია, ამიტომ იგი ვერ დაეთანხმებოდა ეროვნული სასამართლოს შეფასებას, რომ მესამე მომჩივნის მიერ შესაბამისი ბიულეტენების გაშვება, თავისთავად, საკმარისი იყო იმ ბრალდებისათვის, რომ ჟურნალისტი ბოროტი განზრახვით მოქმედებდა.

ევროპულმა სასამართლომ უმთავრესი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ, მართალია, „ფრანს ინფოს“ ინფორმაცია თითქოს ეყრდნობოდა გაზეთ „ლე პუანტში“ გამოქვეყნებულ სტატიას, მაგრამ სინამდვილეში მისგან განსხვავდებოდა. კერძოდ, საგაზეთო პუბლიკაციაში სრულებითაც არ იყო ნათქვამი ის, თითქოს ბ-მა ჟუნომ ინტერვიუს დროს არ უარყო, რომ სწორედ მან გააკეთა იმ ტრანსპორტის ორგანიზაცია, რომლითაც ებრაელთა დეპორტაცია განხორციელდა.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ვერ გამოდგებოდა ისეთ „გადაჭარბებად“ ან „პროვოკაციად“, რომელიც შეიძლებოდა დასაშვებად მიჩნეულიყო ჟურნალისტური თავისუფლების განხორციელებისას. იგი უნდა შეფასებულიყო, როგორც გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუს შინაარსის შესახებ უსწორო ინფორმაციის გავრცელება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბ-ნი ჟუნოსათვის წაყენებული ბრალდების სიმძიმე და ის გარემოება, რომ „ფრანს ინფოს“ ბიულეტენი ექვემდებარებოდა განმეორებად ტრანსლაციას, მესამე მომჩივანს ავალდებულებდა, გამოეჩინა განსაკუთრებული ყურადღება და ზომიერება. შესაბამისი რადიოარხი ვრცელდებოდა საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. ჟურნალისტთა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ მათ ავალდებულებდა, გაეთვალისწინებინათ პოტენციური ზიანის სიდიდე. საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ აუდიოვიზუალურ მედიას გააჩნდა გაცილებით ძლიერი და დაუყოვნებლივი ეფექტის შესაძლებლობა, ვიდრე – ბეჭდვით მედიას.

ამის გამო, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ბ-ნი ჟუნოს პატივი და ღირსება დაზარალდა და მომჩივანთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობოდა „საკმარის და რელევანტურ“ საფუძველს, მართებული იყო.

რაც შეეხებოდა ჩარევის თანაზომიერებას, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ჩარევის ღონისძიებად გამოყენებულ იყო ჯარიმა. თავისთავად ის გარემოება, რომ იგი სისხლისსამართლებრივ სასჯელს წარმოადგენდა, არ განაპირობებდა მის მიჩნევას არათანაზომიერ ღონისძიებად დიფამაციის საქმეებში.

საკუთრივ ჯარიმის ოდენობა – თითოეულს 20000 ფრანგული ფრანკი (3.048,98 ევრო) და ზიანის ანაზღაურებისათვის განსაზღვრული თანხა – ერთობლივად 50000 ფრანგული ფრანკი (7,622.42 ევრო), აგრეთვე, ზომიერად უნდა მიჩნეულიყო.

რაც შეეხებოდა „ფრანს ინფოსათვის“ გაცემულ ბრძანებას, ყოველ ორ საათში ერთხელ 24 საათის გაძნაულობაში გადაეცა ინფორმაცია გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ, ევროპული სასამართლოს აზრით, იგი ზომიერად ზღუდავდა „ფრანს ინფოს“ რედაქციულ თავისუფლებას და წარმოადგენდა ადეკვატურ ღონისძიებას ბ-ნი ჟუნოს რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანთა მიმართ გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიებები ვერ ჩაითვლებოდა „არათანაზომიერად“ დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა აზრის გამოსატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და არ არსებობდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევლად მიჩნევის საფუძველი.

ევროპულმა სასამართლომ ერთხმად ცნო, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-7 (1), მე-9 (2) და მე-10 მუხლები დარღვეული არ იყო.

25. ს.ბ. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ
(S.B. and others v. Belgium)
(N 63403/00)

მომჩივანთა საჩივრები შეეხება ბელგიაში პროსტიტუციისა და გარყვნილების წაქეზების ან რეკლამირების სათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არსებობას, რაც, მომჩივანთა აზრით, იწვევდა კონვენციით გათვალისწინებული მათი უფლებების დარღვევას.

6 აპრილი, 2004 წელი
გადაწყვეტილება

ორი მომჩივნის მიმართ საჩივარი კომუნიცირებულია მოპასუხე სახელმწიფოსთან; ერთი მომჩივნის მიმართ საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად ქმედითი შიდა სამართლებრივი მისაგებლის ამოუწურაობის გამო

საჩივრის არსი:

საჩივარი, რომელიც რამდენიმე მომჩივნის მიერ იყო შემოტანილი ევროპულ სასამართლოში, შეეხებოდა ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებში „გარყვნილების“ ცნების გამოყენებას და იმ გარემოებას, რომ ბელგიაში ზოგიერთი სახის საქმიანობის (როგორცაა, მაგალითად, „ეროტიული სატელეფონო ხაზების“ მომსახურება, პროსტიტუცია, ჯგუფური სექსი და სხვა) რეკლამა, კანონის შესაბამისად, წარმოადგენდა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას.

კერძოდ, ერთი მომჩივანი, რომელიც პრესაში გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადებების საშუალებით სხვა პირებს ეხმარებოდა პარტნიორების მოძებნაში, მიუთითებდა, რომ მის წინააღმდეგ შეიძლებოდა აღძრულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას „პროსტიტუციისა“ და „გარყვნილების“ ნებისმიერი რეკლამისათვის. იგი მითუთითებდა, რომ ამ ცნებათა იურიდიული შინაარსი ბელგიის კანონმდებლობაში არ იყო ცალსახად განსაზღვრული, ხოლო

სასამართლო პრაქტიკა კი მათ ფართოდ განმარტავდა, რის გამოც, საბოლოო ჯამში, შესაბამისი კანონმდებლობა არ იყო „განჭვრეტადი“. ამ მიზეზით, მომჩივნის აზრით, ქვეყანაში არსებობდა იმ დაწესებულებების დახურვის საფრთხე, სადაც ზოგიერთი ოთახი განკუთვნილი იყო სრულწლოვანი პარტნიორების ჯგუფური სექსისათვის (მომჩივანი თავადაც მონაწილეობდა ასეთ შეხვედრებში), ხოლო ასეთი დაწესებულებების მეპატრონეები კი შესაძლოა დაქვემდებარებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას „გარყვნილების ბუდის“ შენახვისათვის.

მეორე მომჩივანი, რომელმაც თავის თავს „დამოუკიდებელ მეძავს“ უწოდებდა, ჩიოდა, რომ ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას გარყვნილებისკენ წაქეზებისათვის, რამაც იგი აიძულა შეეწყვიტა თავისი პროფესიული საქმიანობა თავისი მომსახურების საჯაროდ რეკლამირების საშუალებით. მომჩივნის აზრით, პროსტიტუციისა და გარყვნილების რეკლამირებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის მუქარამ მას აღუკვეთა თავისი მოსახურების რეკლამირების შესაძლებლობა.

საჩივარი შეეხებოდა, აგრეთვე, „ეროტიული სატელეფონო ხაზების“ მომსახურების რეკლამის აკრძალვას. ერთ-ერთი მომჩივანი მიუთითებდა, რომ აღნიშნული აკრძალვა, რომელიც მიზნად ისახავდა არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას, არღვევდა მისი, როგორც სრულწლოვანი პირის, უფლებას ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, ამიტომ იგი დისკრიმინაციული იყო.

გადაწყვეტილება:

პირველ და მეორე მომჩივანთა მიმართ საჩივარი კომუნიკაციისათვის გადაეგზავნა მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლებას, პირველ მომჩივანთან მიმართებაში – პირადი ცხოვრების დაცულობის (მე-8 მუხლი) და ინფორმაციის გავრცელების (მე-10 მუხლი) უფლებების, ხოლო მეორე მომჩივანთა მიმართებაში – მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების უფლების (მე-10 მუხლი) საკითხებზე.

სხვა მომჩივნების მიმართებაში საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ მიუღებლად იქნა ცნობილი.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა მიერ არ იყო ამოწურული უფლების დაცვის შიდა-სამართლებრივი საშუალებები (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი). შესაბამისი სისხლისსამართლებრივი აკრძალვა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იყო 1995 წლის 27 მარტს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 1988 წლიდან, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ადმინისტრაციულ სასამართლოებს გააჩნდათ უფლებამოსილება, განეხორციელებინათ ზედამხედველობა კანონმდებლობის შესაბამისობაზე კონსტიტუციის მე-10 და მე-11 მუხლებთან, რომლებშიც გადმოცემული იყო თანასწორობისა და ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი. გარდა ამისა, თითოეულ მოქალაქეს, რომელიც დაამტკიცებდა საკუთარი კანონიერი ინტერესების არსებობას, გააჩნდა უფლება, აღეძრა საკითხი ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმის გასაუქმებლად, თუ მისი შეხედულებით, იგი არღვევდა კონსტიტუციურ პრინციპებს. ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთი შესაძლებლობები წარმოადგენდა ეფექტიან გზას დარღვეულად ნაგულები უფლებების აღდგენა-გამოსწორებისათვის, რომლებიც არ იყო გამოყენებული მომჩივანთა მიერ.

26. ამიჰალაჩიოაიე მოლდოვას წინააღმდეგ
(Amihalachioaie v. Moldova)
(N 60115/00)

საქმე შეეხება ადვოკატთა საბჭოს პრეზიდენტის დაჯარიმებას სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის კრიტიკული განცხადებების გამო, რომლებიც მან გააკეთა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე

20 აპრილი, 2004 წელი
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
დარღვეულად იქნა მიჩნეული

შაქტები:

მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ კანონი, რომლის მიხედვით, ქვეყნის ყველა ადვოკატი ვალდებული იყო, გამხდარიყო მოლდოვის ადვოკატთა საბჭოს წევრი, არაკონსტიტუციურად ცნო. ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც გაშუქებული იყო საზოგადოებრივი რეაქცია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე. მასში ციტირებული იყო მომჩივნის – მოლდოვას ადვოკატთა საბჭოს პრეზიდენტის ამიჰალაჩიოაიეს განცხადება, რომელიც მან გააკეთა გაზეთის რეპორტიორთან სატელეფონო საუბრის დროს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამონათქვამები იყო უხეში და გამოხატავდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას. მან მომჩივანს დააკისრა ჯარიმა (36 ევროს ეკვივალენტი თანხის ოდენობით).

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ,

სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას.

რაც შეეხება ასეთი ჩარევის „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მომჩივნის გამონათქვამები შეეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს. სასამართლოს აზრით, მომჩივნის განცხადებების შინაარსი და ფორმა არ არღვევდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და ვერ ჩაითვლებოდა სასამართლოსადმი უპატივცემულობად. ამის გამო, არ არსებობდა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, შეზღუდულიყო მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (გადაწყვეტილება მიღებულია ექვსი ხმით ერთი წინააღმდეგ).

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის დარღვეულად აღიარების ფაქტი საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას წარმოადგენდა იმ მორალური ზიანისათვის, რომელიც მომჩივანმა განიცადა.

27. „პლონი“ საფრანგეთის წინააღმდეგ
(Plon (Société) v. France)
(N 58148/00)

საქმე შეეხება საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის პირადი ექიმის მიერ დაწერილი წიგნის პუბლიკაციის აკრძალვას, რომელშიც აღწერილი იყო პრეზიდენტის ავადმყოფობის ისტორია

18 მაისი, 2004 წელი
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინუეულია დარღვეულად

შაქტები:

მომჩივანმა კომპანიამ მოიპოვა საგამომცემლო უფლება წიგნზე „დიდი საიდუმლო“ („Le Grand Secret“) რამდენიმე ჟურნალისტიკისა და ექიმი გრიუბერისაგან, რომელიც იყო საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის – ფრანსუა მიტერანის პირადი ექიმი. წიგნში აღწერილი იყო პრეზიდენტ მიტერანის კიბოთი დაავადების ისტორია პრეზიდენტის პოსტზე მისი პირველი ვადის დასაწყისიდან, რის შესახებაც საზოგადოება არ იყო ოფიციალურად ინფორმირებული სულ უკანასკნელ პერიოდამდე. წიგნში აგრეთვე აღწერილი იყო პრეზიდენტ მიტერანისა და მისი ექიმის ურთიერთობა და ის სირთულეები, რომლებსაც წააწყდა ექიმი გრიუბერი საზოგადოებისათვის პრეზიდენტის ავადმყოფობის შესახებ ნამდვილი ინფორმაციის დამალვისას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ თვით პრეზიდენტის განკარგულებით ყოველ ექვს თვეში ერთხელ გამოდიოდა ბიულეტენი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

წიგნი გამოქვეყნდა 1996 წლის 17 იანვარს – დაახლოებით 10 დღის შემდეგ პრეზიდენტ მიტერანის გარდაცვალებიდან. მეორე დღესვე პრეზიდენტის ქვრივისა და მისი შვილების სასწრაფო მიმართვის საფუძველზე გამოიცა დროებითი ამკრძალავი ბრძანება წიგნის შემდგომი გავრცელების შეწყვეტის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ამკრძალავი ბრძანება ძალაში დატოვა და მომჩივან

კომპანიას მისცა ერთი თვის ვადა იმისათვის, რათა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მიემართა საქმის არსებითი განხილვის მოთხოვნით.

1996 წლის ივლისში დიდი ინსტანციის პარიზის ტრიბუნალმა (*tribunal de grande instance*) არსებითად განიხილა საქმე. მან ექიმი გრიუბერი დამნაშავედ ცნო მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ჩადენისთვის, კერძოდ, პროფესიული საიდუმლოს დარღვევისათვის, ხოლო წიგნის თანაავტორი ჟურნალისტი და მომჩივანი კომპანიის ადვოკატი კი – ამ სამართალდარღვევის ჩადენაში დახმარებისათვის. ექიმს მიესაჯა 4 თვით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის აღსრულების გადავადებით, ხოლო ჟურნალისტსა და ადვოკატს კი – ჯარიმა (პირველ მათგანს – 300000, ხოლო მეორე მათგანს – 60 000 ფრანგული ფრანკის ოდენობით).

ქ. პარიზის სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 1996 წლის ოქტომბერში ძალაში დატოვა წიგნის პუბლიკაციის აკრძალვა და ექიმ გრიუბერს, მომჩივან კომპანიასა და კომპანიის ადვოკატს სოლიდარულად დააკისრა ქ-ნი მიტერანისათვის 100000 ფრანგული ფრანკის, ხოლო პრეზიდენტის სამ შვილისათვის ცალ ცალკე – 80000 ფრანგული ფრანკის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ძალაში დატოვა წიგნის პუბლიკაციის აკრძალვა. მან მიუთითა, რომ წიგნი შეიცავდა ინფორმაციას, რომლის გახმაურება დაუშვებელი იყო, ვინაიდან ექიმის პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენდა. მან ხაზი გაუსვა, რომ, კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელება შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა განსაზღვრულ შეზღუდვებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე სხვა პირთა უფლებებს შეეხებოდა.

მანვე უარყო პრეზიდენტ მიტერანის პირადი ცხოვრების დაცულობის საკითხზე მიტერანების ოჯახის სარჩელი იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ თითოეული ადამიანის უფლება, მოეთხოვა თავისი პირადი ცხოვრების დაცულობა ნებისმიერი ფორმით გახმაურებისაგან, მხოლოდ ცოცხალ ადამიანებს გააჩნდათ.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ როგორც დროებითი ამკრძალავი ბრძანება, ისე – შემდგომი სასამართლო დადგენილებები წიგნის გავრცელების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე, გადაწყვეტილებანი კომპენსაციის თაობაზე, წარმოადგენდა მოძივანი კომპანიის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ეს ღონისძიებები ლოგიკურად სავარაუდო და მოსალოდნელი იყო. ამასთან, ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – „კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გახმაურების“ თავიდან აცილებასა და „სხვა პირთა უფლებების“ დაცვას.

შესაბამისად, უნდა შეფასებულყო ამ ღონისძიებათა „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ევროპულმა სასამართლომ განსხვავებულად შეაფასა წიგნის გავრცელების აკრძალვის შესახებ დროებითი და საბოლოო ღონისძიებები.

სასამართლოს აზრით, დროებითი აკრძალვა გამართლებული იყო, რადგან ის გამოცემული იყო სულ რაღაც 11 დღის შემდეგ პრეზიდენტ მიტერანის სიკვდილიდან, როდესაც განცდები საზოგადოებაში და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო. წიგნში გადმოცემული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად პრეზიდენტ მიტერანის რეპუტაციისადმი მიყენებული ზიანი ძალზე სერიოზული იყო და მისი გავრცელება პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ ასეთი მცირე ხნის შემდეგ მხოლოდ გააღრმავებდა მისი ოჯახის მწუხარებას, რომელმაც თავისი სასწრაფო მიმართვა წიგნის გავრცელების შეწყვეტის მოთხოვნით სწორედ გლოვის ვითარების კონტექსტს დაუკავშირა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ჩარევის ღონისძიება იყო დასახული მიზნის თანაზომიერი, ვინაიდან იგი დროში გონივრულად იყო შეზღუდული.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოს დროებითი ამკრძალავი ბრძანება წიგნის გავრცელების შესახებ არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

მეორე მხრივ, 1996 წლის ოქტომბერში მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება წიგნის გავრცელების აკრძალვის გაგრძელების შესახებ უკვე აღარ ემყარებოდა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“. ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ცხრა ნახევარი თვის შემდეგ პრეზიდენტის გარდაცვალებიდან. ამ გადაწყვეტილების კონტექსტი იყო სრულიად განსხვავებული იმ კონტექსტისაგან, როდესაც სასამართლომ პრეზიდენტის ოჯახის სასწრაფო მიმართვის საფუძველზე დროებითი აკრძალვის გადაწყვეტილება გამოიტანა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა პრეზიდენტის გარდაცვალებიდან, მით უფრო მცირდებოდა ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობა. ევროპული სასამართლოს აზრით, ამ დროისათვის საზოგადოებრივი ინტერესი იმისა, ემსჯელათ ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტის პოსტზე ორი ვადით ყოფნის ისტორიის საკითხებზე, უკვე აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით საექიმო საიდუმლოების დაცვაზე პრეზიდენტის უფლების დაცვის მოთხოვნას. რაკი პრეზიდენტის პირადმა ექიმმა ეს საიდუმლო გათქვა, პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ გასული დროის ხანგრძლივობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ისეთი სერიოზული „ჩარევის ღონისძიების“ აუცილებლობის შეფასებისას, როგორც წიგნის მთლიანი და საბოლოო აკრძალვა წარმოადგენდა.

უფრო მეტიც, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ბოლო ღონისძიების მომენტიანათვის წიგნის 40 ათასი ეგზემპლარი უკვე გაყიდული იყო, არსებობდა ინტერნეტშიც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აქტიურად მიმდინარეობდა მისი კომენტარი. ასე რომ, წიგნში გადმოცემული ინფორმაცია უკვე აღარ იყო კონფიდენციალური. შესაბამისად, „საექიმო საიდუმლოების დაცვა“ ვეღარ იქნებოდა აზრის გამოხატვის თავისუფლების გადამწონი ფაქტორი.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ 1996 წლის ოქტომბრის შემდეგ აკრძალვის მოქმედების გაგრძელება აღარ იყო განპირობებული შესაბამისი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ წიგნის მთლიანი და საბოლოო აკრძალვა არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს (მიღებულია ერთხმად).

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მომჩივნისათვის სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

28. სელო საფრანგეთის წინააღმდეგ
(Seurot v. France)
(N 57383/00)

საჩივარი შეეხება მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნას მის მიერ სკოლის გაზეთში რასისტული შინაარსის წერილის გამოქვეყნების გამო

18 მაისი, 2004წ.
გადაწყვეტილება

საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად, როგორც “აშკარად უსაფუძვლო”

საჩივრის არსი:

მომჩივანი იყო ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი საშუალო სკოლაში. მან დაწერა სტატია, რომელიც გამოქვეყნდა სასკოლო გაზეთში და გავრცელდა სკოლის მოწაფეებსა და მათ მშობლებს შორის. სტატიის ზოგიერთი რემარკა მიჩნეული იქნა, როგორც აშკარად შეურაცხყოფელი და თავისი შინაარსით რასისტული, რომელიც ხელს უწყობდა რასობრივი სიძულვილის აღძვრას. მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართალდარღვევის ჩადენისათვის, კერძოდ, რასობრივი სიძულვილის გავრცელებისათვის. სკოლამ მასთან დადებული კონტრაქტი გაწყვიტა. მომჩივნის ყოველგვარი მცდელობა დაემტკიცებინა, რომ იგი უკანონოდ დაითხოვეს სკოლიდან, უშედეგოდ დამთავრდა.

გადაწყვეტილება:

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნა, როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაში ჩარევის აქტი, ემსახურებოდა სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას. მან ხაზი გაუსვა, რომ რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. დემოკრატიულ ღირებულებებით მოქალაქეთა

აღზრდის საქმეში კი უმნიშვნელოვანესი იყო პედაგოგების როლი. ეს როლი მათ სრულიად განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა. სასამართლოს აზრით, მომჩივნის სტატიის რასისტული შინაარსი შეუთავსებელი იყო იმ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასთან“, რომლებსაც კონვენციის მე-10 მუხლი გულისხმობდა, ამიტომ, სამსახურიდან დათხოვნა, რომელიც თავისთავად სერიოზულ ღონისძიებას წარმოადგენდა, ვერ ჩაითვლებოდა „არათანაზომიერად“ დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების ასეთი ხარისხით შეზღუდვა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სასამართლომ მომჩივნის საჩივარი მიუღებლად ცნო, როგორც „აშკარად უსაფუძვლო“.

29. ორგანიზაცია „ვიდეს აიზსარსიბას კლუბს“
ლატვიის წინააღმდეგ
(Vides Aizsarszibas Klubs v. Latvia)
(N 57829/00)

საქმე შეეხება პიროვნებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გარემოს დაცვის ასოციაციისათვის კომპენსაციის გადახდის დაკისრებას, რაც შემდეგ მოჰყვა დაცულ ზონებში უკანონო მშენებლობების თაობაზე ასოციაციის მიერ გაზეთში სტატიის გამოქვეყნებას.

27 მაისი, 2004 წელი
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულია დარღვეულად

შაქტავი:

მოძივანი ორგანიზაცია წარმოადგენს გარემოს დაცვის ლატვიურ ასოციაციას. ამ ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია შესაბამისი ხელისუფლების მისამართით, რომელშიც გამოთქმული იყო ასოციაციის წევრთა შემოთავაზება საზღვაო ნაპირის ზოლში დუინების ზონის დაცვასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო. რეზოლუციაში, რომელიც ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა, გამოთქმული იყო ბრალდება რაიონული საბჭოს თავმჯდომარის (I.B.) მისამართით, რომელიც თითქოსდა ხელს აწერდა უკანონო ნებართვებს, ამტკიცებდა უკანონო გადაწყვეტილებებს, რითაც ხელს უწყობდა უკანონო სამშენებლო სამუშაოებს დუინების ზონაში და არ ასრულებდა მითითებებს წარმოების შეჩერების შესახებ. რეზოლუცია მოუწოდებდა ხელისუფლებას, სათანადოდ შეემოწმებინა და გაეკონტროლებინა მშენებლობათა წარმოების კანონიერება მითითებულ ზონაში. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი არასამთავრობო ორგანიზაციებს აღჭურავდა უფლებამოსილებით, გამოეთქვათ მოსაზრებები ასეთ საკითხებზე და დაეყენებინათ მოთხოვნები შესაბამისი ხელისუფლების წინაშე.

შემოწმება: მართლაც ჩატარდა და გამოვლინდა უკანონო მშენებლობის რამდენიმე შემთხვევა. აღმოჩნდა, რომ I.B.-ს მიერ შედგენილ შესაბამის განაცხადში მანძილის სიგრძე მშენებლობის ადგილიდან ზღვის ნაპირამდე უსწოროდ იყო მითითებული, რამაც შესაძლებელი გახდა მშენებლობის წარმოება დუინების დაცულ ზონაში.

I.B. ამტკიცებდა, რომ რეზოლუციაში მის მიმართ გამოთქმული ბრალდება უსწორო იყო. მან სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის და, ამასთანავე, წაყენებული ბრალდების ოფიციალური უარყოფის პუბლიკაცია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ზემდგომმა სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ I.B. უკანონოდ აწერდა ხელს დოკუმენტებს და ამით ხელს უწყობდა დაცულ ზონაში უკანონო მშენებლობების წარმოებას. მართალია, I.B.-მ არასწორი მონაცემების შემცველი დოკუმენტები წარადგინა, მაგრამ გადაწყვეტილება მშენებლობის შესახებ მიღებული იყო რაიონული საბჭოს მიერ კოლექტიურად და ამიტომ I.B.-ზე მთელი პასუხისმგებლობის გადაკისრება შეცდომისათვის, სწორი არ იქნებოდა. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა მომჩივანი ორგანიზაციის საჩივარს. ლატვიის უმაღლესი სასამართლოს სენატმა ასევე უარყო სამართლის საკითხებზე მომჩივანი ორგანიზაციის საჩივარი.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მომჩივან ორგანიზაციას დაეკისრა კომპენსაციის გადახდა მიყენებული მორალური ზიანისათვის, წარმოადგენდა ამ ორგანიზაციის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის აქტს. ასეთი ჩარევა იყო „კანონით გათვალისწინებული“ და ემსახურებოდა „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ დაცვას, ამიტომ,

სასამართლოს მხოლოდ ისღა უნდა შეეფასებინა, იყო თუ არა ასეთი ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოძივანი ორგანიზაციის ზემოაღნიშნული რეზოლუცია მიზნად ისახავდა ხელისუფლების ყურადღების მიექრობას პოლიტიკურად დელიკატური საკითხისადმი, კერძოდ, ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სექტორში შესაძლო უკანონო მოქმედებებისადმი, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს შეეხებოდა. მოძივანი ორგანიზაციის საქმიანობა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციისა, სპეციალიზირებული იყო სწორედ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად იგი ასრულებდა „მეთვალყურე-კონტროლიორის“ როლს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ისევე, როგორც პრესის როლი, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის დაკისრებული ასეთი როლიც უმნიშვნელოვანესი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. თავისი საზოგადოებრივი მანდატის რეალიზაციისათვის ასოციაციას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, საზოგადოებისათვის ეცნობებინა მისთვის საინტერესო ფაქტების შესახებ და ამ გზით ხელი შეეწყო საჯარო ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალებისათვის. ორგანიზაციამ შეასრულა თავისი ვალდებულება და შეეცადა დაესაბუთებინა თავისი ფაქტობრივი ბრალდების შესაბამისობა. ამიტომ მის რეზოლუციაში გამოთქმული კრიტიკა ვერ ჩაითვლებოდა აზრის გამოხატვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობად. I.B.-ს მოქმედებების შეფასება „უკანონობად“ წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“ და ასეთი შეფასება არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო, როგორც კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დაბრალება. ევროპული სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-10 მუხლის სულისკვეთებისა და მიზნების საწინააღმდეგო იქნებოდა, თუ ქვეყნის ხელისუფლება მოძივანთა სიტყვიერ თუ წერილობით კრიტიკას არასათანადოდ განმარტავდა და მას ისეთ მნიშვნელობას მიანიჭებდა, რომელიც მასში ნაგულისხმები არ იყო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობამ ვერ დაარწმუნა ევროპული სასამართლო იმაში, რომ მოძივანი ორგანიზაციის

უფლების განხორციელებაში ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნები დარღვეული იყო (მიღებულია ერთხმად).

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის კომპენსაციის გადახდა მიყენებული მორალური ზიანისათვის და, აგრეთვე, სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

30. „პირტუაჟტს-ტრენდ ცაიტშრიფტენ“
ავსტრიის წინააღმდეგ
(Wirtschafts-trend Zeitschriften-Verlags GMBH v. Austria)
(N 258547/00)

საჩივარი შეეხება
სასამართლოს გადაწყვეტი-
ლებას ჟურნალის მთელი
ტირაჟის კონფისკაციის
შესახებ იმ საფუძველზე,
რომ მასში გამოქვეყნებული
სტატია წარმოადგენდა
პიროვნების დიფამაციას

22 ივნისი, 2004 წ.
გადაწყვეტილება

საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან
მიმართებაში მიჩნეულია მისადებად

საჩივრის არსი:

მომჩივანი იმ ყოველკვირეული ჟურნალის მფლობელი და
გამომცემელია, რომელშიც დაიბეჭდა სტატია ერთ-ერთი წიგნის
შესახებ. სტატიაში გაკრიტიკებული იყო წიგნის ავტორი **იორგ
ჰაიდერი**სადმი კეთილგანწყობილებისათვის, კერძოდ, მისი
შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო იმ ფაქტის მიმართ,
რომ ჰაიდერი ნაციისტურ საკონცენტრაციო ბანაკებს
გაკეთილშობილებული ფორმით - „შრომა-გასწორების კოლონიებად“
მოიხსენიებდა.

მას შემდეგ, რაც ჰაიდერმა სასამართლოს მიმართა ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნით, საოლქო სასამართლომ მომჩივან
კომპანიას დააკისრა კომპენსაციის გადახდა და დაავალა
გამოქვეყნებული მასალის უარყოფა. სასამართლომ გამოიტანა
დადგენილება ჟურნალის შესაბამისი ნომრის მთელი ტირაჟის
კონფისკაციის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი
ინფორმაციის გამოქვეყნება ბ-ნი ჰაიდერის დისკრიმინაციის
ტოლფასი იყო, ვინაიდან მკითხველის თვალში მას აზასიათებდა
ისეთ ადამიანად, რომელმაც დააკნინა იმ დანაშაულობათა სიმძიმე,
რომელიც ნაციისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა. ეს

კი თავად წარმოადგენდა სისხლის სამართლის წერით დასჯად ქმედებას ნაციონალ-სოციალიზმის აკრძალვის შესახებ კანონის შესაბამისად.

ეროვნულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, იმის მიუხედავად, დისკრედიტაციის აქტი „ფაქტების გადმოცემას“ წარმოადგენდა თუ „შეფასებით მსჯელობას“, იგი გამართლებული არ იყო და წარმოადგენდა „დიფამაციას“.

სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მომჩივანი კომპანია მიიჩნევს, რომ სახელმწიფო გაუმართლებლად ჩაერია მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში.

გადაწყვეტილება:

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში მისაღებად ცნო.

31. შოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ
(Chauvy and Others v. France)
(N 64915/01)

საქმე შეეხება სისხლის-სამართლებრივ მსჯავრდებას საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტების თაობაზე ოფიციალური ვერსიის უარყოფისა და ამ მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის დალატში დადანაშაულების გამო.

29 ივნისი, 2004 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

ფაქტები:

პირველი მოძიებანია 1997 წელს გამოცემული წიგნის – „ობრაკილიონი 1943“ („Aubrac-Lyon 1943“) ავტორი. წიგნი გამოსცა კომპანია „ალბინ მიშელმა“ (—ditions Albin Michel). საგამომცემლო კომპანია ამ საქმეში მეორე მოძიებანია, ხოლო მისი პრეზიდენტი კი – მესამე.

წიგნში გაშუქებულია მეორე მსოფლიო ომის პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას, კერძოდ, იმ პერიოდის დღემდე ბურუსით მოცულ მოვლენას – შეხვედრას კალუარში (*Caluire*), რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიისათვის. 1943 წლის 21 ივნისს კლაუს ბარბიემ, ადგილობრივი გესტაპოს ხელმძღვანელმა, ორგანიზაცია გაუკეთა წინააღმდეგობის მოძრაობის ძირითადი ლიდერების დაპატიმრებას, რომლებიც შესახვედრად ჩავიდნენ კალუარში, ლიონთან ახლოს. დაპატიმრებულთა შორის იყო წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლი რაიმონდ ობრაკი, რომელმაც 1943 წლის შემოდგომაზე მოახერხა ფაშისტური ციხიდან გაქცევა.

წიგნში უარყოფილი იყო მეორე მსოფლიო ომის ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ ოფიციალური ვერსიის (რომელიც ეყრდნობოდა ბ-ნი და ქ-ნი ობრაკების ინფორმაციას) სინამდვილესთან შესაბამისობა. წიგნს თან ახლდა კლაუს ბარბიეს მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელიც ცნობილია როგორც „ბარბიეს ანდერძი“. ავტორს ამასთან დაკავშირებით დასმული აქვს არაერთი კითხვა და ეს დოკუმენტი შედარებული აქვს შესაბამისი ისტორიული მოვლენების შესახებ ობრაკების მიერ შემოთავაზებულ ვერსიასთან.

ბ-მა და ქ-ნმა ობრაკებმა აღძრეს საქმე მათი ცილისწამებისათვის. პირველი ორი მომჩივნის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ბ-ნი და ქ-ნი ობრაკების, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების, შესახებ ცილისწამებლური მონაჭორის გავრცელებისათვის და მიუსაჯა ჯარიმა. მანვე დაადგინა ბ-ნი და ქ-ნი ობრაკებისათვის კომპენსაციის გადახდა ცილისწამებით მიყენებული ზიანისათვის. ამასთანავე, სასამართლომ უარი უთხრა თხოვნას, განადგურებულიყო წიგნის მთელი ტირაჟი, მაგრამ დაადგინა, რომ მის თითოეულ ეგზემპლარში ჩადებულიყო სპეციალური შეტყობინება სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. მან მიუთითა, რომ წიგნის მიზანს წარმოადგენდა მკითხველის იმაში დარწმუნება, რომ ბ-ნმა და ქ-ნმა ობრაკებმა ჩაიდინეს ღალატის აქტი. იგი დაბეჯითებით უარყოფდა ისტორიული მოვლენების შესახებ იმ ვერსიას, რომელიც გადმოცემული იყო წინააღმდეგობის მოძრაობის ოფიციალურად აღიარებული წევრების მიერ და ფაქტობრივად მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს პირები ცრუობდნენ.

საკასაციო სასამართლომ უარყო სამართლის საკითხებზე მომჩივანთა საჩივარი.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ სადავოდ არ მიიჩნია, რომ აქ საქმე ჰქონდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს

ჩარევასთან და ასეთი ჩარევა ემყარებოდა 1881 და 1951 წლის კანონებს (როგორც მათი დებულებები იყო განმარტებული საკასაციო სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაში).

როგორც საგამომცემლო საქმეში პროფესიონალებს, გამომცემლებსა და გამომცემლობას არ შეიძლება არ ცოდნოდათ პოზიტიური სამართლის ასეთი ნორმების არსებობის შესახებ. ამდენად, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეფასებინათ ის რისკი, რომელსაც გულისხმობდა ავტორის მიერ აქამდე ჭეშმარიტად მიჩნეული ფაქტების უარყოფა. უფრო მეტიც, ისინი ვალდებულნიც კი იყვნენ ავტორისათვის აეხსნათ ასეთი რისკის არსებობა. ევროპული სასამართლოს აზრით, გამომცემელს და მისი საშუალებით ავტორს ჯეროვნად უნდა გაეცნობიერებინათ ის გარემოება, რომ წიგნის პუბლიკაციას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა ცილისწამების გავრცელების ბრალდება მოჰყოლოდა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ წიგნის პუბლიკაცია და შესაძლო სამართლებრივი შედეგები საკმარისი, გონივრული ზარისხით იყო განჭვრეტადი.

ევროპულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ მომჩივანთა მიმართ საბრალდებო განაჩენი კანონიერ მიზნებს ისახავდა. კერძოდ, ბ-ნი და ქ-ნი ობრაკების რეპუტაციის დაცვას.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისტორიული სიმართლის ძიება წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილს და მოცემულ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ისტორიკოსებისა და საზოგადოების ხანგრძლივი დებატების საგანს, არ მიეკუთვნებოდა უტყუარად დადგენილი ფაქტების (როგორიცაა, მაგალითად, ჰოლოკოსტი) კატეგორიას, რომლის უარყოფასა თუ გადასინჯვაზეც არ გავრცელდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიები კონვენციის მე-17 მუხლის ძალით.

ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში ისღა დარჩენოდათ, რომ შეზღუდვის გამართლებულობა შეეფასებინათ. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნა წიგნის შინაარსის ზედმიწევნით და დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, საფუძვლიანი იყო. მან მიუთითა, რომ იგი

დაკმაყოფილებული იყო მტკიცებულებებითა და მოტივაციით, რომელსაც დაეყრდნო საფრანგეთის სასამართლოების დასკვნა იმის შესახებ, რომ მოცემული წიგნის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა ისტორიული მეთოდის უმნიშვნელოვანეს წესებს და შეიცავდა აშკარად არადამაჯერებელ გამონაგონს.

ევროპულმა სასამართლომ არც „ჩარევის თანაზომიერება“ უარყო. მან გაითვალისწინა, რომ წიგნის ტირაჟის განადგურების გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და, ფაქტობრივად, მისი გამოქვეყნება არ აკრძალულა. არც დანიშნული სასჯელი მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ ისეთ ღონისძიებად, რომელიც მეტისმეტად ზღუდავდა აზრის გამოხატვის თავისუფლებას და არაპროპორციულად ჩაითვლებოდა დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნები დარღვეული არ იყო (მიღებულია ერთხმად).

32. ჰარაბინი სლოვაკიის წინააღმდეგ
(Harabini v. Slovakia)
(N 62584/00)

საჩივარი შეეხება სლოვაკიის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თაობაზე გართქმული შეხედულებების გამო ხელისუფლების მიერ წამოწყებულ პროცედურას მისთვის უფლებამოსილების ჩამოსართმევად.

29 ივნისი, 2004 წელი
გადაწყვეტილება

საჩივარი მიიჩნეულია მიუღებლად „აშკარა უსაფუძვლობის“ გამო

საჩივრის არსი:

1998 წელს მომჩივანი აირჩიეს სლოვაკიის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ. ორი წლის შემდეგ ხელისუფლებამ წამოიწყო პროცედურა ჰარაბინისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ იმ მოტივით, რომ მისი ქმედებები და საქციელი იძლეოდა დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან მის შესაბამისობაში და მისდამი ნდობაში დაეჭვების საფუძველს. იუსტიციის მინისტრმა მოამზადა მოხსენება, რომელიც შეიცავდა მომჩივნის წინააღმდეგ სხვადასხვა ბრალდებას. ამ დოკუმენტში კერძოდ ნათქვამი იყო, რომ შეხედულებები, რომლებსაც გამოთქვამდა ჰარაბინი კონსტიტუციაში და სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებთან და დამატებებთან დაკავშირებით, მოწმობდნენ, რომ მის მიზანს პირადი ხელისუფლების განმტკიცება წარმოადგენდა და მისი ინტერესი სრულებითაც არ იყო კონცენტრირებული სამოსამართლო კორპუსის პროფესიული თუ ეთიკური პრობლემებით.

მომჩივანმა ხელისუფლების მოქმედებების თაობაზე მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლომ

მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მისი კონსტიტუციური უფლებები დარღვეული არ იყო. მთავრობის ინიციატივა, ჩამოერთმია მისთვის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, საბოლოო ჯამში, უარყოფილ იქნა და იგი თავის თანამდებობაზე იმყოფებოდა მანამ, სანამ არ ამოეწურა კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადა.

გადანყვიბილება:

საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ღონისძიება (პროცედურის წამოწყება უფლებამოსილების ჩამოსართმევად) მომჩივნის მიერ გაპროტესტებულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ ეს ღონისძიება მას შესაძლებლობას ართმევდა, ჯეროვნად შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი. მაშასადამე, თავად მომჩივანი ყოველივე ამას მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებს უკავშირებდა და არა უშუალოდ კონვენციით გათვალისწინებულ მისი რომელიმე უფლების დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მას აუცილებლად არ ესახებოდა გამოეკვლია, იყო თუ არა საფუძვლიანი იუსტიციის მინისტრის ბრალდებები. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ხელისუფლების წინადადება მომჩივნისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ, სავარაუდოდ, იქონიებდა „მსუსხავ ეფექტს“ მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. მაგრამ, ამავე დროს, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ასეთი ეფექტი, პრაქტიკულად მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში არსებობდა, რამდენადაც მთავრობის ინიციატივა მომჩივნისათვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ უარყოფილ იქნა და მას თავისი შეხედულებების გამო თანამდებობიდან გადაყენების საშიშროება აღარ ემუქრებოდა.

ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი „აშკარად უსაფუძვლოდ“ მიიჩნია და მისალებად არ ცნო.

33. ჰრიკო სლოვაკიის წინააღმდეგ
(Hrico v. Slovakia)
(N 49418/99)

საქმე შეეხება სტატიათა
სერიალში უზენაესი სასა-
მართლოს მოსამართლის
გაკრიტიკების გამო ჟურნალის
რედაქტორისათვის მორალური
ზიანის ანაზღაურების ვალდებუ-
ლებების დაკისრებას

20 ივლისი, 2004 წელი
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
შიჩნეულია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი ყოველკვირეული ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორია. ჟურნალში მან გამოაქვეყნა სტატიათა სერიალი, რომელიც შეეხებოდა სლოვაკიის უმაღლესი სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს ცნობილი პოეტის მიმართ, რომელიც დაისაჯა ცილისმწამებლური მონაჭორის გავრცელებისათვის. სტატიაში ავტორი მხარს უჭერდა პოეტის მიერ იუსტიციის ყოფილი მინისტრის მისამართით გამოთქმულ შეხედულებებს და გამოთქვამდა სინანულს შეხედულებების გამო პოეტის დასჯასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მკაცრად იყო გაკრიტიკებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც თავმჯდომარეობდა პოეტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ პუბლიკაცია ლახავდა მის პირად უფლებებსა და რეპუტაციას. სარჩელის განხილვის დროს რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი გასცდა ობიექტური და დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და გამოიყენა ისეთი უხეში გამოთქმები, როგორც იყო „სამარცხვინო განაჩენი“, „სასამართლო ფარსი“, „საეჭვო მოტივაცია“ და სხვა. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს უნდა გამოექვეყნებინა ოფიციალური მობოდიშება თავისივე ჟურნალში, ხოლო უზენაესი სასამართლოს

მოსამართლისათვის გადაეხადა კომპენსაცია მიყენებული მორალური ზიანისათვის.

საოლქო სასამართლომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა, თუმცა უზენაესმა სასამართლომ შემდგომში საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისათვის საოლქო სასამართლოს დაუბრუნა. საოლქო სასამართლომ თავისი ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელე მოსამართლის მოთხოვნა და დაადგინა მისთვის კომპენსაციის გადახდა, თუმცა პრიკოსათვის ოფიციალური ბოლიშის გამოქვეყნება აღარ მოუთხოვია.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში არავინ უარყოფდა იმ გარემოებას, რომ ეს იყო აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა, რომელიც იყო „კანონით გათვალისწინებული“ და მიზნად ისახავდა კანონიერი ინტერესების, კერძოდ, სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის რეპუტაციის დაცვას. ამიტომ ერთადერთი საკითხი, რომელიც ევროპულ სასამართლოს დაწვრილებით უნდა განეხილა, არსებობდა თუ არა აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა.

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო და ფაქტობრივად გადაამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლე, ვისაც პუბლიკაცია შეეხებოდა, პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. უფრო მეტიც, წარმოადგენდა საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატს სლოვაკიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიიდან (*Christian-Social Union party*). ამ პარტიას კი მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნდა იმ საკითხებზე, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო მოსამართლის მიერ განხილულ საქმესთან. შესაბამისად, სტატიაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული გარემოების გამო უზენაესი სასამართლოს ხსენებული მოსამართლე

ვალდებული იყო, თვითაც იღებოდა განეცხადებინა, არ იყო მოკლებული ფაქტობრივ და ლოგიკურ საფუძველს და იმავდროულად წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ სტატიაში მართლაც მწვავე და უხეში გამოთქმები იყო გამოყენებული, მაგრამ ზემოაღნიშნული კონტექსტის, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები დარღვეულად ვერ ჩაითვლებოდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიტიკაში ჩართული მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები იყო გაცილებით უფრო ფართო, ვიდრე სხვა ორდინარულ შემთხვევებში, მით უმეტეს, თუ მისმა პოლიტიკურმა კუთვნილებამ გავლენა იქონია საქმის შედეგზე.

ევროპულმა სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ მთლიანობაში არც იმის მტკიცება შეიძლებოდა, რომ სტატიის მიზანს მოსამართლის პირადი შეურაცხყოფა, მისი დამცირება და დისკრედიტაცია წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მან მიიჩნია, რომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების ჩარევისათვის არ არსებობდა „საკმარისი საფუძველი“.

შესაბამისად, მან აღიარა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (მიღებულია ერთხმად).

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის კომპენსაციის გადახდა (2,5 ათასი ევრო) მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის. მან ასევე დაადგინა მისთვის სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

34. კარჰუვაარა და ილტალეჰტი ფინეთის
წინააღმდეგ
(Karhuvaara and Iltalehti v. Finland)
(N 53678/00)

საქმე შეეხება დეპუტატის
პირადი ცხოვრების უფლების
დარღვევისათვის გაზეთის მთავარი
რედაქტორის დაჯარიმებას
დეპუტატის მეუღლის შესახებ
სტატიის გამოქვეყნების გამო,
რომელშიც აქცენტი ოჯახურ
კავშირებზე იყო გაკეთებული

16 ნოემბერი, 2004წ.
განხილება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინუელია დარღვეულად

შაქტები:

პირველი მომჩივანი გაზეთის მთავარი რედაქტორია, მეორე
მომჩივანი – ამ გაზეთის გამომშვები კომპანია. 1996 წელს გაზეთში
გამოქვეყნდა სამი სტატია სასამართლო პროცესისა და
გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ ქვეყნის პარლამენტის
დეპუტატის ქ-ნ A-ს ქმრის მიმართ. ქ-ნი A-ს მეუღლე ცნობილი
იქნა დამნაშავედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის.
განაჩენის მიხედვით, იგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას
მთვრალ მდგომარეობაში თავს დაესხა პოლიციის თანამშრომელს.
ის გარემოება, რომ ეს პიროვნება პარლამენტის დეპუტატის ქმარი
იყო, ყველა სტატიის სათაურში იყო მითითებული.

1997 წელს ქ-ნმა ა.-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს მისი
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შესახებ.
მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სტატიათა პუბლიკაციამ მას
განსაკუთრებული ზიანი მიაყენა, რამდენადაც სტატიების შედეგად
საჯაროდ ხდებოდა მისი ასოციაცია კრიმინალურ ქმედებასთან,
რაც არავითარ კავშირში არ იყო მის პიროვნებასთან და მის
სადეპუტატო მოვალეობებთან.

1998 წელს საოლქო სასამართლომ მომჩივნის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი „პარლამენტის“ შესახებ კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე დეპუტატის პირად ცხოვრებაში შეჭრისათვის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში. მომჩივანს სასჯელის სახით მიესაჯა ჯარიმა დიდი ოდენობით, მასვე დაეკისრა მოსარჩელისათვის კომპენსაციის გადახდა მიყენებული ზიანისათვის. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ სტატიების მიზანს წარმოადგენდა მკითხველის ყურადღების მიექცეობა სამართალდამრღვევის ოჯახურ კავშირზე პარლამენტის დეპუტატთან და არა მოვლენის არსის გაშუქება. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ფინეთის უმაღლესმა სასამართლომ კი მომჩივნის საჩივარი არ მიიღო წარმოებაში.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეების მიერ არ იყო სადავოდ ქცეული ის გარემოება, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოადგენდა მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აქტს, რომ ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს - „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ დაცვას.

რაც შეეხება ჩარევის „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ სტატიაში მცდარი ფაქტები იყო მოყვანილი, ანდა არაკეთილსინდისიერად იყო გაშუქებული და, მაშასადამე, იმისაც, რომ დარღვეული იყო ჟურნალისტური თავისუფლების ფარგლები.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა ფინეთის სასამართლოების შეფასებას იმ ნაწილში, რომ სტატიის შინაარსი ფოკუსირებული იყო სამართალდამრღვევის ოჯახურ კავშირებზე და ეს წარმოადგენდა ქ-ნი A-ს პირადი ცხოვრების სფეროში შეჭრას. ევროპულმა სასამართლომ ეროვნული სასამართლოების ის

მოსაზრებაც გაიზიარა, რომ გარკვეულწილად სამართალდამრღვევის ოჯახური კავშირები საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეადგენდა, შეეძლო გავლენა მოეხდინა პარლამენტის დეპუტატების არჩევნების დროს ამომრჩეველთა ნება-სურვილზე და, მაშასადამე, შეეძლო უარყოფითი შედეგები მოეტანა ქ-ნი A-ს სამსახურეობრივი კარიერისათვის. მაგრამ, ეს, ევროპული სასამართლოს აზრით, სრულიადაც არ წარმოადგენდა მომჩივნის მიმართ მკაცრი გამამტყუნებელი განაჩენის საკმარის გამართლებას. ევროპულმა სასამართლომ პრინციპულ შეცდომად მიიჩნია მოცემულ შემთხვევაში „პარლამენტის“ შესახებ კანონის მე-15 მუხლის გამოყენება, ვინაიდან შესაბამისი სამართალდარღვევა არავითარ კავშირში არ იმყოფებოდა ქ-ნი A-ს მიერ თავისი ოფიციალური მოვალეობების შესრულებასთან. ამ კანონის დებულებების ავტომატური გამოყენება ასეთ და სხვაგვარ შემთხვევებში გამოიწვევდა იმ კონკურენტი ღირებულებების გაუფასურებას, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით იყო დაცული.

ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივნისათვის დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდი მასშტაბები დეპუტატის პირადი ცხოვრების უფლების არცთუ ისე სერიოზული დარღვევის ფონზე, წარმოადგენდა აშკარად არათანაზომიერ ღონისძიებას პირადი ცხოვრების უფლებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესთა ასეთი კონფლიქტის დროს.

ევროპული სასამართლო დასკვნით, არ არსებობდა საკმარისი საფუძველი იმისა, რომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიჩნეულიყო „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

შესაბამისად, მან დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნებისათვის – 36345 ევროს გადახდა მათ მიერ განცდილი ზიანისათვის (პირველი მომჩივნისათვის 22155 ევრო, მეორესათვის – 14190 ევრო). მანვე დაადგინა მომჩივნებისათვის სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

35. ნორვუდი გაერთიანებული სამეფოს
წინააღმდეგ
(Norwood v. United Kingdom)
(N 23131/03)

საქმე შეეხება მომჩივნის
სისხლისსამართლებრივ დასჯას
პლაკატის გამოფენისათვის,
რომელიც წარმოადგენდა თავ-
დასხმას ბრიტანეთში მცხოვრებ
ისლამური რელიგიის ყველა
მიმდევარზე

16 ნოემბერი, 2004წ.
გადაწყვეტილება

სასიციარი მიხნეულ იქნა მიუღებლად
კონვენციასთან მისი საგნობრივი
შეუთავსებადობის გამო
(*ratione materiae*)

საჩივრის არსი:

მომჩივანი გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეა. იგი დაბადებულია 1962 წელს და ცხოვრობს სოფელში ოსვესტრთან ახლოს.

მომჩივანი იყო ბრიტანეთის ნაციონალური (უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების მქონე) პოლიტიკური პარტიის „BNP-ს“ ადგილობრივი ორგანიზატორი (*Regional Organiser*). 2001 წლის ნოემბერში მან თავისი საცხოვრებელი სახლის ფანჯარაზე გამოაკრა პლაკატი წარწერით: „ისლამი განიდევნოს ბრიტანეთიდან! – დავიცვათ ბრიტანელი ხალხი!“ (*Islam out of Britain! – Protect the British People!*). პლაკატზე გამოსახული იყო, აგრეთვე, ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის სიმბოლო აკრძალვის ფორმით.

ხსენებული პლაკატი ერთ-ერთი მოქალაქის საჩივრის საფუძველზე ჩამოხსნილ იქნა პოლიციის მიერ. მომდევნო დღეს პოლიციის ოფიცერმა მომჩივანი მიიწვია პოლიციის განყოფილებაში დასაკითხად, რომელმაც ამაზე უარი განაცხადა.

მომჩივანს ბრალი წაუყენეს მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ 1986 წლის აქტის მე-5 მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მიმართ სიძულვილის გამოძევაზე, ამა თუ იმ ფორმით მათ მუქარას ან შეურაცხყოფას.

მომჩივანმა თავი არ ცნო დამნაშავედ; თავის დასაცავად განაცხადა, რომ პლაკატი შეეხებოდა ისლამურ ექსტრემიზმს, იგი შეურაცხმყოფელი არ იყო, ამიტომ მისი დასჯა ევროპული კონვენციით გარანტირებული აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევა იქნებოდა.

2002 წლის 13 დეკემბერს ოსვესტრის მაგისტრატის სასამართლოს სამხარეო მოსამართლემ მომჩივანი დამნაშავედ ცნო და დააჯარიმა (GBP-300).

მომჩივანმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა მაღალ სასამართლოში, რომელმაც მას უარი უთხრა (3 ივლისი, 2003წ.). მოსამართლე ლორდმა (Lord justice) მიიჩნია, რომ პლაკატი წარმოადგენდა ქვეყანაში მცხოვრებ ყველა მუსლიმანზე საჯარო თავდასხმას, მასში გამოხატული იყო აზრი, რომ ისლამური რელიგიის ნებისმიერი მიმდევარი უნდა განდევნილიყო ქვეყნიდან, ვინაიდან მათი არსებობა საფრთხეს უქმნიდა ბრიტანელ ხალხს“.

გადანყვიტილება:

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ სიტყვის თავისუფლება, მისაღებ და კეთილგანწყობილ შეხედულებებთან ერთად, მოიცავდა გამაღიზიანებელ, ექსცენტრიულ, არაკეთილგანწყობილ, პროვოკაციულ შეხედულებებსაც. რელიგიის კრიტიკა არ უნდა შეფასებულიყო როგორც მის მიმდევრებზე თავდასხმა. იგი ცხოვრობდა მიყრუებულ ადგილას, სადაც სხვადასხვა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფები თითქმის არ იყვნენ დასახლებულნი. გარდა ამისა, არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ თუნდაც ერთმა მუსლიმანმა იხილა მისი პლაკატი.

ამ თავისთავად საგულისხმო არგუმენტების მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ საქმე კონვენციის მე-17 მუხლს დაუქვემდებარა, რომელიც უფლებათა ბოროტად გამოყენებას უკრძალავს როგორც სახელმწიფოს, ისე – მოქალაქეებსა და მათ ცალკეულ ჯგუფებს.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-17 მუხლის მიზანდასახულობას წარმოადგენდა ადამიანთა

ტოტალიტარიზმისაგან დაცვა. ევროპულ სასამართლოს და უწინარესად კი ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას მიაჩნდათ, რომ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა ყოფილიყო მე-17 მუხლის საწინააღმდეგოდ გაგებული (*W.P. and Others v. Poland* (dec.); no. 42264/198, 2 September, 2004; *Garaudy v. France* (dec) no. 65831/01; 24 June 2003; *Schimarek v. Austria*; (dec) no. 32307/96, 1 February 2000; and *Glimmerveen and Hagenbeek v. the Netherlands*, nos. 834/78 and 8406/78; Commission decision of 11 October 1979, Decisions and Reports 18. p.18).

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პლაკატზე დაწერილი სიტყვები „ისლამი განიდევნოს ბრიტანეთიდან! – დავიცვათ ბრიტანელი ხალხი!“, ისევე, როგორც ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის სიმბოლოს აკრძალვის ფორმით გადმოცემა, წარმოადგენდა შეერთებულ სამეფოში მცხოვრებ განურჩევლად ყველა მუსლიმანზე საჯარო თავდასხმას. იგი დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების შეფასებას. ევროპულმა სასამართლომ ამასთანავე მიუთითა, რომ საზოგადო რელიგიურ ჯგუფებზე თავდასხმა, მათი დაკავშირება თუ გაიგივება მძიმე ტერორისტულ აქტებთან, შეუთავსებადი იყო კონვენციით გაცხადებულ და გარანტირებულ ღირებულებებთან – შემწყნარებლობასთან, სოციალურ მშვიდობასა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ ხსენებული პლაკატის გამოფენა თავისი საცხოვრებელი სახლის ფანჯარაზე, წარმოადგენდა აქტს კონვენციის მე-17 მუხლის გაგებით და ის ვერ ისარგებლებდა კონვენციის მე-10 და მე-14 მუხლების დაცვით, ამიტომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად საჩივარი უარყოფილი უნდა ყოფილიყო, როგორც კონვენციის დებულებებთან საგნობრივად შეუთავსებადი (*ratione materiae*).

ევროპულმა სასამართლომ ერთხმად ცნო საჩივარი მიუღებლად.

36. სელისტიო ზინეთის წინააღმდეგ
(Selistö v. Finland)
(N 49017/99)

საქმე შეეხება ჟურნალისტის სისხლისსამართლებრივ დასჯას ექიმის ცილისწამებისათვის გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების გამო, რომლებიც მკითხველს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ექიმი ოპერაციის დროს იყო მთვრალი და ამან პაციენტის სიკვდილი გამოიწვია

16 ნოემბერი, 2004 წ.
განხილვა

კონვენციის მე-10 მუხლი
მისწეულია დარღვეულად

ფაქტები:

1996 წელს მომჩივანმა, პროფესიით ჟურნალისტმა, გამოაქვეყნა სამი სტატია, რომელშიც აღწერა ერთი ექიმი-ქირურგის საუარაუდოდ არაპროფესიული ქმედება, რომლის შედეგადაც, ჟურნალისტის მტკიცებით, 1991 წელს ქირურგიული ოპერაციის დროს გარდაიცვალა ამ ქირურგის ერთ-ერთი პაციენტი. გარდაცვლილის ქვრივმა ხელისუფლებას მიმართა მოთხოვნით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. სახელმწიფო სამედიცინო-იურიდიულმა საბჭომ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი ქირურგის მოქმედებასა და პაციენტის სიკვდილს შორის. 1994 წელს პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ. წინასწარი გამოძიების მასალებში არსებობდა მოწმეთა ჩვენებები, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ ქირურგი შესაძლოა ალკოჰოლს იღებდა სამსახურში.

მომჩივნის მიერ გამოქვეყნებული პირველი სტატია შეიცავდა ინტერვიუს გარდაცვლილი პაციენტის ქვრივთან. იგი სვამდა საკითხს: როგორ შეიძლებოდა საერთოდ, ოპერაციაზე დაეშვათ ქირურგი, რომელსაც სისხლში ალკოჰოლი დასაშვებ ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა. მეორე სტატიაში ამ კონკრეტულ შემთხვევაზე

ყურადღების გამახვილების გარეშე გამოთქმული იყო შესვლულება, რომ უნდა გატარებულიყო ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რათა ქირურგები და თვითმფრინავის პილოტები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ყოფილიყვნენ აბსოლუტურად ფხიზელ მდგომარეობაში. მე-3 სტატიაში ციტირებული იყო მოწმეთა ის ჩვენებები, რომლებიც მოწმობდნენ ალკოჰოლის გამოყენებასთან დაკავშირებით ქირურგის პირად პრობლემებზე.

აღსანიშნავია, რომ არცერთ სტატიაში ქირურგის ვინაობა დასახელებული არ იყო.

მომჩივანი საოლქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო საჯარო ცილისწამებისათვის, ანუ წინასწარი შეცნობით ყალბი ინფორმაციის გავრცელებისა და ქირურგისათვის დანაშაულის დაბრალებისათვის. მე-3 სტატიის საფუძველზე მას მიესაჯა ჯარიმის გადახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანმა თავისი პუბლიკაციებით მკითხველს შეუქმნა შტაბეჭდილება, თითქოს ქირურგი ოპერაციის დროს იყო მთვრალი ანდა ნაბახუსევი, ხოლო სტატიაში გადმოცემული ფაქტების საფუძველზე კი ქირურგის ვინაობის ამოცნობა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანმა არ გადაამოწმა სათანადოდ თავის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობა.

სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც აუცილებლად მიიჩნია სტატიების ერთობლიობაში შესწავლა და შეფასება, ასევე ცნო მომჩივანი დამნაშავედ და გაუზარდა ჯარიმის ოდენობა. უმაღლესმა სასამართლომ კი უარი უთხრა მომჩივანს მისი საჩივრის განსახილველად მიღებაზე.

საყურადღებოა ამ საკითხზე პარლამენტის ომბუცმენის მოადგილის განცხადება. მისი აზრით, აჯობებდა ქირურგის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღედრათ, რათა მისი დანაშაული თუ უდანაშაულობა სასამართლოს დაედგინა.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავარ საკითხს იმის შემოწმება წარმოადგენდა, იყო თუ არა მოძიების აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სტატია შეეხებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს და, ცხადია, იგი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს წარმოადგენდა. ის გარემოება, რომ პირველი და მესამე სტატია კონკრეტულ შემთხვევას შეეხებოდა, არ უარყოფდა ზემოაღნიშნული დასკვნის მართებულობას, ვინაიდან ჟურნალისტს უფლება ჰქონდა, კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევა შეერჩია შესაბამისი პრობლემის ილუსტრაციისათვის.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ უზრუნველყოფდა აზრის გამოხატვის აბსოლუტურ თავისუფლებას პრესის მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებისას. მე-10 მუხლით გათვალისწინებული „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, ცხადია, პრესაზეც ვრცელდებოდა. იგი ჟურნალისტებს ავალდებულებდა, ემოქმედათ კეთილსინდისიერად და მკითხველისათვის მიეწოდებოდათ სარწმუნო ინფორმაცია ჟურნალისტური ეთიკის წესების დაცვით. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა „ფაქტების გადმოცემას“ და არა „შეფასებით მსჯელობას“, განსაკუთრებით აქტუალური იყო, ფაქტების გადმოცემისას დაცული ყოფილიყო ის მოთხოვნები, რომლებსაც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“ გულისხმობდა.

იმისათვის, რათა შეფასებულიყო მოძიების უფლების შეზღუდვის „აუცილებლობა“, ევროპულ სასამართლოს ზედმიწევნით უნდა გამოეკვლია ის მოტივები, რომლითაც ეროვნულმა სასამართლოებმა იხელმძღვანელებს უფლების შეზღუდვისას. საგულისხმო იყო, რომ ფინეთის სასამართლოებს მოძიების სტატიაში მითითებული ფაქტების სიყალბეზე აქცენტი არ ჰქონდათ გაკეთებული. განაჩენში არ იყო მოხსენიებული პროკურატურის გადააწვევები და სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ ანდა სახელმწიფო სამედიცინო-იურიდიული საბჭოს დასკვნა, რომელიც შეიძლება

გამოყენებულიყო, როგორც მომჩივნის მიერ გავრცელებული ფაქტების მცდარობის დამადასტურებელი იურიდიული საფუძველი.

განჩინებაში ყურადღება გამახვილებული იყო იმის დასაბუთებაზე, თუ რა შთაბეჭდილებას უქმნიდა მკითხველს სტატიებში გადმოცემული ფაქტები.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს თავად ჰქონდა საჩივარში მითითებული სამედიცინო-იურიდიული საბჭოს მიერ გაკეთებული დასკვნები. მისი აზრით, ამით მომჩივანმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ქირურგის მხრიდან სამსახურეობრივი მოვალეობების დარღვევის ფაქტები დამტკიცებული არ იყო. თუმცა ევროპულმა სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ჟურნალისტებს არ ევალეობდათ ასეთი ტიპის დოკუმენტებში მითითებული ცნობების სარწმუნობის შემოწმება.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ჟურნალისტებს, საზოგადოდ ჰქონდათ გარკვეული გადაჭარბებისა და ზოგჯერ პროვოკაციის უფლებაც კი მასალის გადაცემისას, მაგრამ ამ შემთხვევაში მომჩივნის უფლების დაცვის უმთავრესი არგუმენტი ის იყო, რომ არსად, არც ერთ სტატიაში არ იყო კონკრეტულად დასახელებული ქირურგის სახელი, ასაკი ან სქესი და, მართალია, ეროვნული სასამართლოების აზრით, ექიმის ვინაობა ადვილად საიდენტიფიკაციო იყო, მაგრამ, ევროპული სასამართლოს შეხედულებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმას უნდა მინიჭებოდა, რომ ქირურგის პიროვნების მონაცემები სტატიებში პირდაპირ არ იყო მითითებული.

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, თითქოს ჯარიმის ოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი უფლების შეზღუდვის „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებისას. მან მიუთითა, რომ გაცილებით დიდი მნიშვნელობა თავად მომჩივნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ფაქტს გააჩნდა. სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის სერიოზულობაზე მეტყველებდა.

ევროპული სასამართლოს დასკვნით, მოტივები, რითაც ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის უფლების შეზღუდვისას

იხელმძღვანელეს, მართალია, სერიოზული იყო, მაგრამ ისინი მაინც არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა დამტკიცებულად მიჩნეულიყო უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა.

ევროპულმა სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (6 ხმით 1-ის წინააღმდეგ).

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი):

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნისათვის კომპენსაციის – მიყენებული მატერიალური ზიანისათვის – 3500 ევროს და, მორალური ზიანისათვის – 5000 ევროს გადახდა; აგრეთვე, მომჩივნის სასარგებლოდ სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

37. პედერსენი და ბაადსგარდი დანიის
წინააღმდეგ

(Pedersen and Baadsgaard v. Denmark) №1
(N 49017/99)

საქმე შეეხება ჟურნალისტთა
სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას
დიფამაციისათვის იმის გამო, რომ
მათ სატელევიზიო გადაცემაში
ბრალი დასდეს პოლიციის უფროსს
მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის
უდანაშაულობის დამადასტურებელი
დოკუმენტის გადამალვისათვის

19 ივნისი, 2003წ.
პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

ფაქტები:

მომჩივნები არიან ტელევიზიის ჟურნალისტები. 1990 წლის
სექტემბერსა და 1991 წლის აპრილში მათ მოამზადეს და
ტელევიზიის ეთერში გაუშვეს ორი პროგრამა: „მკვლელობის
ჩამდენი“ (*Convicted of Murder*) და „პოლიციის ბრმა თვალი“
(*The Blind Eye of the Police*). გადაცემები (უპირატესად მეორე
მათგანი) შეეხებოდა მკვლელობის საქმეს, რომელიც 1982 წელს
განიხილა დანიის მაღალმა სასამართლომ, დამნაშავედ ცნო პირი
(X) თავისი ცოლის მკვლელობისათვის და მიუსაჯა 12 წლით
თავისუფლების აღკვეთა. 1990 წელს X გაათავისუფლდა
პატიმრობიდან და მოითხოვა საქმის გადასინჯვა.

გადაცემა „პოლიციის ბრმა თვალი“ შეიცავდა ინტერვიუს ერთ
პირთან (ტაქსის მძღოლთან), რომელიც მიუთითებდა, რომ X-ს
ცოლის გაუჩინარების დღეს, ზუსტად დროის იმ მონაკვეთში,
რომელიც მკვლელობის დროდ იყო მიჩნეული, ნახა X-ს ცოლი
თავის ვაჟიშვილთან ერთად მანქანით მიმავალი, რაც ძალიან დიდი
ეჭვის ქვეშ აყენებდა (თუ საერთოდ არ გამოორიცხავდა) X-ს მიერ
თავისი ცოლის მკვლელობის შესაძლებლობას. მისივე განმარტებით,
მან თავის დროზე შესაბამისი ჩვენება მისცა პოლიციის ორ
ინსპექტორს, მაგრამ დანამდვილებით არ იცის, ასახულია თუ არა

ყოველივე ეს პოლიციის ანგარიშში. ტაქსის მძღოლის ინტერვიუსე დაყრდნობით, გადაცემაში ჟურნალისტების მიერ გაკეთებული იყო დასკვნა, რომ პოლიციამ დამალა (ან გაანადგურა) ზემოაღნიშნული ჩვენება, რასაც მოჰყვა უდანაშაულო ადამიანის მკვლელად გამოცხადება. გადაცემაში ზემოაღნიშნული დასკვნა გადმოცემული იყო დაბეჯითებით. გადაცემის შესავალ ნაწილში ნათქვამი იყო: „ამ პროგრამაში წარმოგიდგენთ მტკიცებულებებს, რომლებიც მეტყველებენ, რომ არ არსებობდა X-ს მსჯავრდების სამართლებრივი საფუძველი; .. ჩვენ წარმოგიდგენთ სკანდალურად ცუდ საპოლიციო გამოძიებას, სადაც პოლიციამ იგნორირება გაუკეთა უმნიშვნელოვანესი მოწმის ჩვენებას, .. ჩვენ გაჩვენებთ, რომ X-ს არ შეეძლო ჩაედინა ის დანაშაული, რომლისთვისაც დაისაჯა.“ ტაქსის მძღოლის ჩვენების დამალვაში კი დამნაშავედ გამოცხადებული იყო პოლიციის უფროსი.

მომჩივანთა მიმართ აღიძრა საქმე პოლიციის უფროსის ღიფამაციისათვის.

1995 წლის სექტემბერში გლადსაქსის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სატელევიზიო გადაცემით გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა ღიფამაციას, მაგრამ უარი თქვა სასჯელის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მომჩივნებს ჰქონდათ საფუძველი, ერწმუნათ თავიანთი ბრალდების ნამდვილობა. თუმცა, არსებითად, მათი ბრალდებები უსაფუძვლოდ (*null and void*) გამოცხადდა.

მაღალმა სასამართლომ 1997 წლის მარტში მომჩივნები დამნაშავედ ცნო პოლიციის უფროსის პირადი ღირსების შეურაცხყოფისათვის. მათი ბრალდებები მან ასევე უსაფუძვლოდ გამოაცხადა და ჟურნალისტებს მიუსაჯა ჯარიმა და კომპენსაციის გადახდა.

დანიის უზენაესმა სასამართლომ კი, გაითვალისწინა რა ბრალდების სერიოზულობა და მისი გადმოცემის ფორმა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ყალბი ბრალდების შემცველი ინფორმაცია გადაცემული იყო ტელევიზიით (რაც მისი აზრით დამამძიმებელ ფაქტორს წარმოადგენდა), კომპენსაცია 70000 დანიური კრონიდან 100000 კრონამდე გაზარდა.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივნებმა მიუთითეს, რომ მათი განცხადებები წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“, რომელიც ფაქტობრივ საფუძველს ემყარებოდა; ისინი მოქმედებდნენ კეთილი განზრახვით და არ ჰქონდათ დარღვეული „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები. სახელმწიფო მოხელეების, განსაკუთრებით კი პოლიციის მაღალჩინოსანი თანამშრომლების, მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები, პოლიტიკოსთა მსგავსად, იყო განსაკუთრებით ფართო, ამიტომ მათი მსჯავრდება არ შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმებ სტანდარტებს.

სამართლებრივი საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სატელევიზიო გადაცემაში ის კონტექსტი, რომელშიც პოლიციის უფროსი იყო მოხსენიებული, უთუოდ გულისხმობდა კონკრეტულ ბრალდებას – რომ მან წინასწარი განზრახვით დამალა მკვლელობის საქმეზე უმნიშვნელოვანესი ფაქტი. სასამართლოს აზრით, ამ კონტექსტის ყველაზე უფრო ლიბერალური ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ყოველივე ეს მომჩივანთა სუბიექტურ აზრს წარმოადგენდა. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოჩივანთა მტკიცებები წარმოადგენდა ფაქტების კონსტატაციას. ამიტომ უნდა გარკვეულიყო, მოქმედებდნენ თუ არა ისინი კეთილსინდისიერად და შეასრულეს თუ არა უმარტივესი ვალდებულება, გადაემოწმებინათ თავიანთი მტკიცებების სინამდვილესთან შესაბამისობა.

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო დანიის უზენაესი სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მომჩივნებმა არ გადაამოწმეს თავიანთი მტკიცებების სარწმუნოების ხარისხი, დაეყრდნენ ერთი მოწმის ჩვენებას, ისე, რომ არ შეამოწმეს, შეესაბამებოდა თუ არა იგი სინამდვილეს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მას ძალზე საეჭვოდ ესახებოდა ის გარემოება, რომ მომჩივნების მიერ საკითხი

ადეკვატურად იყო შესწავლილი და არსებობდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მტკიცებისათვის, თითქოს პოლიციამ განზრახ დამალა მკვლელობის საქმისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტები.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (4 ხმით 3-ის წინააღმდეგ).

P.S. მომჩივანთა საჩივარი შეეხებოდა კონვენციის მე-ნ მუხლსაც. ევროპულმა სასამართლომ მიჩნია, რომ საქმის განხილვა 5 წლისა და 9 თვის განმავლობაში არ არღვევდა „გონივრული ვადის“ ფარგლებს და არ ცნო კონვენციის მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა (6 ხმით 1-ის წინააღმდეგ).

38. პედერსენი და ბაადსგარდი დანიის
წინააღმდეგ

(Pedersen and Baadsgaard v. Denmark) №2

(N 49017/99)

საქმე შეეხება ჟურნალისტთა
სისხლისსამართლებრივ მსჯავრ-
დებას დიფამაციისათვის იმის გამო,
რომ მათ სატელევიზიო გადა-
ცემაში ბრალი დასდეს პოლიციის
უფროსს მკვლელობაში ეჭვმი-
ტანილი პირის უდანაშაულობის
დამადასტურებელი დოკუმენტის
გადამალვისათვის

17 დეკემბერი, 2004წ.
დიდი პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

ფაქტები:

მომჩივნები არიან ტელევიზიის ჟურნალისტები. 1990 წლის
სექტემბერსა და 1991 წლის აპრილში მათ მოამზადეს და
ტელევიზიის ეთერში გაუშვეს ორი პროგრამა: „მკვლელობის
ჩამდენი“ (*Convicted of Murder*) და „პოლიციის ბრმა თვალი“
(*The Blind Eye of the Police*). გადაცემები (უპირატესად მეორე
მათგანი) შეეხებოდა მკვლელობის საქმეს, რომელიც 1982 წელს
განიხილა დანიის მაღალმა სასამართლომ, დამნაშავედ ცნო პირი
(X) თავისი ცოლის მკვლელობისათვის და მიუსაჯა 12 წლით
თავისუფლების აღკვეთა. 1990 წელს X გაათავისუფლდა
პატიმრობიდან და მოითხოვა საქმის გადასინჯვა.

გადაცემა „პოლიციის ბრმა თვალი“ შეიცავდა ინტერვიუს ერთ
პიროვნებასთან (ტაქსის მძღოლთან), რომელიც მიუთითებდა, რომ
X-ს ცოლის გაუჩინარების დღეს, ზუსტად დროის იმ მონაკვეთში,
რომელიც მკვლელობის დროდ იყო მიჩნეული, ნახა X-ს ცოლი
თავის ვაჟიშვილთან ერთად მანქანით მიმავალი, რაც ძალიან დიდი
ეჭვის ქვეშ აყენებდა (თუ საერთოდ არ გამოორიცხავდა) X-ს მიერ
თავისი ცოლის მკვლელობის შესაძლებლობას. მისივე განმარტებით,

მან თავის დროზე შესაბამისი ჩვენება მისცა პოლიციის ორ ინსპექტორს, მაგრამ დანამდვილებით არ იცის, ასახულია თუ არა ყოველივე ეს პოლიციის ანგარიშში. ტაქსის მძღოლის ინტერვიუზე დაყრდნობით გადაცემაში ჟურნალისტების მიერ გაკეთებული იყო დასკვნა, რომ პოლიციამ დამალა (ან გაანადგურა) ზემოაღნიშნული ჩვენება. რასაც მოჰყვა უდანაშაულო ადამიანის მკვლელად გამოცხადება. გადაცემაში ზემოაღნიშნული დასკვნა გადმოცემული იყო დაბეჯითებით. გადაცემის შესავალ ნაწილში ნათქვამი იყო: „...ამ პროგრამაში წარმოგიდგენთ მტკიცებულებებს, რომლებიც მეტყველებენ, რომ არ არსებობდა X-ს მსჯავრდების სამართლებრივი საფუძველი; ... ჩვენ წარმოგიდგენთ სკანდალურად ცუდ საპოლიციო გამოძიებას, სადაც პოლიციამ იგნორირება გაუკეთა უმნიშვნელოვანესი მოწმის ჩვენებას; ... ჩვენ გაჩვენებთ, რომ X-ს არ შეეძლო ჩაედინა ის დანაშაული, რომლისთვისაც დაისჯა...“ ტაქსის მძღოლის ჩვენების დამალვაში კი დამნაშავედ გამოცხადებული იყო პოლიციის უფროსი.

მომჩივანთა მიმართ აღიძრა საქმე პოლიციის უფროსის დიფამაციისათვის.

1995 წლის სექტემბერში გლადსაქსის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სატელევიზიო გადაცემით გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა დიფამაციას, მაგრამ უარი თქვა სასჯელის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მომჩივნებს ჰქონდათ საფუძველი, ერწმუნათ თავიანთი ბრალდების ნამდვილობა. თუმცა არსებითად, მათი ბრალდებები უსაფუძვლოდ (*null and void*) გამოცხადდა.

მაღალმა სასამართლომ 1997 წლის მარტში მომჩივნები დამნაშავედ ცნო პოლიციის უფროსის პირადი ღირსების შეურაცხყოფისათვის. მათი ბრალდებები მან ასევე უსაფუძვლოდ გამოაცხადა და ჟურნალისტებს მიუსაჯა ჯარიმა და კომპენსაციის გადახდა.

დანიის უზენაესმა სასამართლომ კი, გაითვალისწინა რა ბრალდების სერიოზულობა და მისი გადმოცემის ფორმა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ყალბი ბრალდების შემცველი ინფორმაცია გადაცემული იყო ტელევიზიით (რაც, მისი აზრით, დამამძიმებელ

ფაქტორს წარმოადგენდა), 70000 დანიური კრონიდან კომპენსაცია 100000 კრონამდე გაზარდა.

* * *

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივნებმა მიუთითეს, რომ მათი განცხადებები წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“, რომელიც ფაქტობრივ საფუძველს ემყარებოდა. ისინი მოქმედებდნენ კეთილი განზრახვით და არ ჰქონდათ დარღვეული „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები. სახელმწიფო მოხელეების, განსაკუთრებით კი პოლიციის მაღალჩინოსანი თანამშრომლების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები, პოლიტიკოსთა მსგავსად, იყო განსაკუთრებით ფართო, ამიტომ მათი მსჯავრდება არ შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმებ სტანდარტებს.

ევროპული სასამართლოს პალატამ (იხ. 2003 წლის 19 ივნისის განჩინება) არ ცნო მოცემულ საქმეზე კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. მომჩივანთა შუამდგომლობის საფუძველზე საქმე გადაეცა დიდ პალატას.

სამართლის საკითხები:

დიდ პალატაში საქმის განხილვის დროს ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში მთავარ საკითხს წარმოადგენდა იმის დადგენა, იყო თუ არა მომჩივნების აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა პრესის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში და იმავდროულად აღიარა პოლიციის კრიტიკის ძალზე ფართო უფლება. მაგრამ, ამასთანავე, მან კარგად გამოკვეთა, რომ მომჩივნები დაისაჯნენ არა იმისათვის, რომ მათ ეჭვის ქვეშ დააყენეს მკვლელობის საქმის გამოძიების სისწორე, არამედ იმისათვის, რომ სპეციფიკური, კონკრეტული ბრალდება წაუყენეს კონკრეტულ პიროვნებას, კერძოდ, ბრალდება, რომ მან გადამაღლა ეჭვმიტანილის უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფამაციის საქმეებში ყველაზე ღიდ სირთულეს „ფაქტების გადმოცემისა“ და „შეფასებითი მსჯელობის“ გამიჯვნა წარმოადგენდა. მართალია, „შეფასებითი მსჯელობა“ საზოგადოდ არ ექვემდებარებოდა მტკიცებას, მაგრამ როდესაც იგი კონკრეტულ ბრალდებას გულისხმობდა, ასეთი „შეფასებითი მსჯელობის“ დასაცავად აუცილებელი იყო შესაბამისი, საკმარისი საფუძვლის არსებობა (*Jerusalem v. Austria. Judgment* §43, ECHR-2001-II).

ევროპული სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეში მომჩივნები არ შემოიფარგლნენ არც მხოლოდ ტაქსის მძღოლის ჩვენების გაშუქებით და არც პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიების კანონიერებისადმი ეჭვის გამოთქმით. მათ ეს საკითხი ღიად კი არ დატოვეს, არამედ კონკრეტული ბრალდება წაუყენეს პოლიციის უფროსს. ასეთი ბრალდება კი, სასამართლოს აზრით, მტკიცებას ექვემდებარებოდა.

სასამართომ ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება ისეთი ფორმით, რომელიც შეურაცხყოფდა სხვას და ზიანს აყენებდა სხვათა უფლებებსა და რეპუტაციას, არ შეესაბამებოდა პრესის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოემარაგებინა საზოგადოება ინფორმაციით მიმდინარე მოვლენების, შეხედულებებისა და აზრების შესახებ.

გარდა ამისა, როდესაც ჟურნალისტების ინფორმაცია სხვა პირებთან ინტერვიუებს ემყარებოდა, აღნიშნული გარემოება სრულიადაც არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან ჟურნალისტებს ინტერვიუებში ამ პირთა მიერ გამოთქმული შეხედულებებისა თუ ინფორმაციების გამო, თუკი ისინი სხვათა უფლებებს ხელყოფდნენ. ჟურნალისტები უნდა ცდილიყვნენ, შეეზუდათ ასეთი ინტერვიუების გადაცემა, თუკი არ არსებობდა ძლიერი მიზეზი საამისოდ (*Jersild v. Denmark, judgment, 1994*). მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში დიფამაციური ბრალდება უშუალოდ ჟურნალისტების პირად დასკვნას წარმოადგენდა, რაც უდავოს ხდიდა მათ პასუხისმგებლობას.

შემდგომ ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჟურნალისტთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე, ემოქმედათ

კეთილი განზრახვით და ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ვალდებულებები მაშინაც არსებობდა, როდესაც საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს შეეხებოდა. უფრო მეტიც, ეს „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ იმასაც გულისხმობდა, ჟურნალისტი დარწმუნებულყო იმაში, რომ მისი განცხადებები არ ხელყოფდა კონკრეტული ადამიანის რეპუტაციასა და კანონიერ უფლებებს. ხელყოფის შემთხვევაში კი საკითხი იმისდა მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო, როგორი იყო დიფიამაციის ხარისხი. რა თქმა უნდა, კონფლიქტური ღირებულებების სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ეროვნულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს მომჩივნებს არც კი უცდიათ, დაესაბუთებინათ თავიანთი ბრალდება, რომელიც სასამართლოს მიერ გამოცხადებულ იქნა „ბათილად და არარად“ (*null and void*). მომჩივნების აზრით, მაშინაც კი, თუ მათი გადაცემა კონკრეტულ ბრალდებას წარმოადგენდა, ისინი მაინც არ უნდა დესაჯათ, ვინაიდან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს შეეხებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შეფასებულიყო საკითხი, მოქმედებდნენ თუ არა ჟურნალისტები კეთილი განზრახვით. ჟურნალისტის ორდინარულ მოვალეობას წარმოადგენდა, შეემოწმებინა ფაქტობრივი ბრალდების საფუძველი. ეს იმას გულისხმობდა, რომ მათ თავიანთი ბრალდება უნდა დაემყარებინათ შესაბამის და ზუსტ ფაქტობრივ საფუძველზე, ხოლო ეს საფუძველი კი მათი ბრალდების ხარისხის პროპორციული უნდა ყოფილიყო: უფრო სერიოზულ ბრალდებას, შესაბამისად, უფრო სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი ესაჭიროებოდა. მოცემულ შემთხვევაში საქმე ჰქონდათ პოლიციის უფროსის ძალზე სერიოზულ ბრალდებასთან, რაც დანიის სისხლის სამართლის კოლეგიის 154-ე და 164-ე მუხლებით 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა.

მართალია, სახელმწიფო მოხელეების მიმართ მათ მიერ ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელების დროს

„დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები იყო უფრო ფართო, ვიდრე კერძო პირთა მიმართ, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ მათ ნებაყოფლობით დაუშვეს, თითოეული სიტყვა, ქმედება თუ საქციელი საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებისა და კრიტიკის საგანი რომ ყოფილიყო. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში პოლიციის უფროსისადმი (რომელიც უძღვება წინდაწინვე პოლემიკური ინტერესის აღმძვრელ კრიმინალურ გამოძიებას) მოპყრობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთივე, როგორც პოლიტიკოსის მიმართ. შესაბამისად, მისი მძიმე კრიმინალური ბრალდება არა მარტო ზიანს აყენებდა მისდამი ხალხის ნდობას, არამედ ხელყოფდა მის უფლებას ჩათვლილიყო უდანაშაულოდ, სანამ კანონის შესაბამისად არ დაუმტკიცებდნენ ბრალს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ X-ს წინააღმდეგ საქმის განხილვაში (იგულისხმება საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში) ჩართული იყო დაახლოებით 900 ადამიანი, მომზადდა 4000 გვერდზე მეტი მოცულობის სხვადასხვა ანგარიში; 30-მა მოწმემ მისცა ჩვენება მაღალ სასამართლოს, სატელევიზიო პროგრამის მომზადების დროს ჟურნალისტებმა კავშირი დაამყარეს არაერთ მოწმესთან და გაეცვენენ არაერთ ჩვენებას; მაგრამ საბოლოო ჯამში, ამის მიუხედავად, მათი ბრალდება ერთადერთი მოწმის, კერძოდ, ტაქსის მძღოლის ჩვენებას დაეფუძნა, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ნაკლებად საიმედო იყო.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ X-ს საქმეზე გამოძიების კრიტიკული შეფასება და ის მიზანი, რასაც მომჩივანთა სატელევიზიო პროგრამები ისახავდა, შეესაბამებოდა მედიის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ასეთი მძიმე ბრალდების წამოყენება საკმარისი საფუძვლის გარეშე შეუძლებელი იყო, გამართლებულად მიჩნეულიყო ამ როლის განხორციელების მიზნებით.

ევროპულმა სასამართლომ დაპირისპირებული ინტერესების სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში მიიჩნია, რომ მომჩივანთა აზრის გამოხატვის თავისუფლების შესაზღვრულად „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ არსებობდა.

მან არც გამოყენებული სასჯელები – ჯარიმა 8 ათასი დანიური კრონი (1087 ევროს ეკვივალენტი) და კომპენსაცია – 100000 დანიური კრონი (13469 ევროს ეკვივალენტი) მიიჩნია გადაჭარბებულად ანდა ისეთად, რომელიც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა მედიის თავისუფლებაზე.

შესაბამისად, მან დაადგინა, რომ მომჩივანთა სისხლის-სამართლებრივი მჯავრდება და შეფარდებული სასჯელები არ იყო დასახული კანონიერი მიზნის დისპროპორციული. მან მომჩივანთა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიიჩნია „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად.

კონვენციის მე-10 მუხლი ევროპულმა სასამართლომ დარღვეულად არ ცნო.

(გადაწყვეტილება მიღებულია 9 ხმით 8-ის წინააღმდეგ).

39. კუმპენე და მაზერე რუმინეთის
წინააღმდეგ
Cumpîni and Mazîre v. Romania
(N 33348/96)

საქმე შეეხება ჟურნალისტთა
სისხლისსამართლებრივ მსჯავრ-
დებას სახელმწიფო მოხელეთა
დიფამაციისათვის

17 დეკემბერი, 2004 წ.
დიდი პალატის განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლის
დარღვევლად იქნა მიჩნეული

ფაქტები:

ჟურნალისტებმა კონსტანტინე კუმპენემ და რადუ მაზერემ 1994 წლის 14 აპრილს ქ. კონსტანტას ადგილობრივ გაზეთში „ტელეგრაფი“ (რომლის რედაქტორიც მაზერეა) გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ქ.კონსტანტას მერის 1992 წლის 30 ივნისის ბრძანება, მიღებული ქალაქის საბჭოს იმ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომლის მიხედვითაც, მძღოლებს გადაშობილი სატრანსპორტო საშუალებების უკანონო გაჩერებისათვის ეკისრებოდათ ჯარიმა, ხოლო მათი სატრანსპორტო საშუალებები კი ექვემდებარებოდა ადგილიდან გატანასა და დაკავებას. ქალაქის მერიის ბრძანების შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებების ადგილიდან გატანისა და დაკავების სამსახურის შესრულება დაევალა კერძო კომპანია „ვინალექს“. თანამშრომლობის ამ კონტრაქტს ქალაქის ხელისუფლების მხრიდან ხელი მოაწერეს მერის მოადგილემ ბ-ნმა D.M.-მ და საბჭოს იურიდიულმა ექსპერტმა ქ-ნმა R.M.-მ. 1994 წლის 1 აპრილს კონსტანტას მერმა „ვინალექსის“ კომპანიას მოსთხოვა სამსახურის შეჩერება მასთან კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველზე.

ჟურნალისტების სტატია გამოქვეყნდა სათაურით: „მერის ყოფილი მოადგილე D.M. და მოსამართლე R.M. პასუხისმგებელი არიან სერიოზული დარღვევებისათვის ვინალექსის მეშვეობით“. მერის

მოადგილისა და იურიდიული ექსპერტის (რომელიც იმ დროისათვის მოსამართლე იყო) გვარები დაბეჭდილი იყო სრულად როგორც სტატიის სათაურში, ისე – საკუთრივ სტატიაში. კერძო კომპანიასთან ასეთი ხელშეკრულების დადება სტატიაში შეფასებული იყო უკანონოდ, უსწოროდ და მოქალაქეთა საკუთრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევად. იურიდიული ექსპერტის – ქ-ნი R.M.-ის შესახებ ნათქვამი იყო შემდეგი: „...იგი ან არ იცნობდა ეროვნულ კანონმდებლობას, როდესაც ხელი მოაწერა კონტრაქტს და, ამ შემთხვევაში ძალზე რთულია იმის გაგება, თუ როგორ იქნა ის შემდგომში მოსამართლედ დანიშნული (რამდენადაც მართლმსაჯულებას ახორციელებს იმავე კანონების საფუძველზე, რომლებსაც არ იცნობს), ანდა, მან აიღო ქრთამი და შესაძლოა ამას მომავალშიც გააგრძელებს...“

სტატიას თან ახლდა კარიკატურა, რომელშიც გამოსახული იყვნენ ხელიხელჩაკიდებული მამაკაცი და ქალი ბანკნოტებით სავსე ჩანთით, რომელზედაც გაკეთებული იყო წარწერა „ვინალექსი“ და გადმოცემული იყო მათი ურთიერთნათქვამები:

- „ჭეი, R. (ქ-ნი R.M.-ს სახელის შემოკლებული ფორმა) შენ აქ კარგი საქმე გააკეთე, როდესაც მე მერის მოადგილე ვიყავი. ჩვენ ვიშოვეთ საკმარისი ამერიკაში წასასვლელად...“

- „D. (მერის ყოფილი მოადგილის სახელის შემოკლებული ფორმა) თუ შენ გახდები ადვოკატი, მე გავხდები მოსამართლე და ჩვენ გვექნება საკმარისი ფული მთელ მსოფლიოში სამოგზაუროდ...“

1994 წლის ივნისში სამხარეო აუდიტორული სასამართლოს საფინანსო კონტროლის დეპარტამენტმა, რომელმაც შეამოწმა ქ. კონსტანტას 1992 წლის ბიუჯეტი, დაასკვნა, რომ გადაწყვეტილება ვინალექსის კომპანიასთან კონტრაქტის თაობაზე ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივ კანონმდებლობას და რომ ამ კონტრაქტმა გამოიწვია ქალაქის საბჭოს სასარგებლოდ შემოსავლების დაკარგვა.

D.M.-მ და R.M.-მ საქმე აღძრეს ჟურნალისტების წინააღმდეგ შეურაცხყოფისა და დიფამაციისათვის.

1995 წლის 17 მაისს პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივნები დამნაშავედ ცნო შეურაცხყოფისა და დიფამაციისათვის – დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებული იყო რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით. მათ შეეფარდათ 7 თვით პატიმრობა. ძირითად სასჯელთან ერთად გამოყენებულ იქნა დამატებითი სასჯელიც: მათ ჩამოერთვათ სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებები შესაბამისი ვადით. გარდა ამისა, აეკრძალათ ჟურნალისტად მუშაობის უფლება სასჯელის მოხდიდან 1 წლის განმავლობაში და დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურება 25000000 რუმინული ლეის (Lei (ROL)) ოდენობით.

I ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საგაზეთო სტატია არ შეიძლებოდა გამართლებულად მიჩნეულიყო „კანონიერი მიზნების“ არსებობით, რამდენადაც იგი არ ემყარებოდა ნამდვილ ფაქტებს და არ შეესაბამებოდა დებულებას საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ. სასამართლოს აზრით, მომჩივნებმა არ გაითვალისწინეს კონსტიტუციის 30-ე მუხლის (მე-6 პარაგრაფი) შინაარსი, რომლის მიხედვით, „აზრის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა ხელყოფდეს პიროვნულ ღირსებას, პირად ცხოვრებასა ანდა უფლებას საკუთარი იმიჯისა“, აგრეთვე 31-ე მუხლი (მე-4 პარაგრაფი), რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო და კერძო მედიას მოეთხოვებოდა საზოგადოების სწორი ინფორმაციით მომარაგება“.

1995 წლის 2 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ შეინარჩუნა განაჩენი.

1996 წლის 10 აპრილს გენერალურმა პროკურორმა მიმართა უზენაეს სასამართლოს ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების შუამდგომლობით, რომელშიც მოშველიებული იყო შემდეგი არგუმენტები: საგაზეთო სტატია და კარიკატურა არ წარმოადგენდა ფაქტების მტკიცებას, დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მეტისმეტად დიდი და ობიექტურად გაუმართლებელი იყო, ხოლო ჟურნალისტად მუშაობის უფლების ჩამორთმევა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ დაბალი პროფესიონალიზმისა და შესასრულებელ სამუშაოსთან

შეუთავსებლობის მოტივებით, რაც მოცემულ შემთხვევაში დამტკიცებული არ იყო.

1996 წლის 9 ივლისის უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით გენერალური პროკურორის შუამდგომლობა მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ. უზენაესი სასამართლოს დასკვნით, საგაზეთო სტატიის მთელი შინაარსი, მისი სათაური და კარიკატურა წარმოადგენდა იმის მტკიცებას, რომ მერიის ზემოაღნიშნული თანამშრომლები ვინაილექსის კომპანიასთან ერთად ჩართული იყვნენ თაღლითურ საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა მათ ღირსებას, რეპუტაციას, საზოგადოებრივ იმიჯს და შეურაცხყოფდა მათ. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სტატია გამოქვეყნებული იყო ფართო გავრცელების მქონე გაზეთში, რაც აძლიერებდა მიყენებული ზიანის ხარისხს და ამიტომ, დაკისრებული ჯარია ვერ ჩაითვლებოდა გადაჭარბებულად. ხოლო რაც შეეხება ჟურნალისტად მუშაობის უფლების ჩამორთმევას, კანონი არ შეიცავდა გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს ამ ღონისძიების გამოსაყენებლად. ამიტომ, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაუქმებლად.

ჟურნალისტებმა ფაქტობრივად არ მოინადეს პატიმრობის სასჯელი ჯერ განაჩენის გამოტანისთანავე (დაუყოვნებლივ) გენერალური პროკურორის მიერ მათთვის სასჯელის აღსრულების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების, ხოლო შემდგომ – პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე. შეწყალების აქტით ისინი სამოქალაქო უფლებების განხორციელების დისკვალიფიკაციის სასჯელისგანაც გათავისუფლდნენ.

1-ლი მომჩივანი, ბ-ნი კუმქენე 1997 წლის 14 აპრილს სამსახურიდან გაათავისუფლეს შტატების შემცირების გამო. 2000 წლის 7 თებერვალს მუდმივი კონტრაქტის საფუძველზე მან მუშაობა დაიწყო ერთ-ერთი გამოცემის რედაქტორის მოადგილედ.

მე-2 მომჩივანმა ბ-ნმა მაზერემ კი გააგრძელა გაზეთ „ტელეგრაფის“ რედაქტორად მუშაობა. 1997 წლის 1 სექტემბერს იგი არჩეულ იქნა რუმინეთის პარლამენტის წევრად, ხოლო შემდეგ კი – ქ. კონსტანტას მერად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიიდან მომჩივანთა საჩივარი (no. 33348196) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაეცა 1998 წლის 1 ნოემბერს.

2002 წლის 10 სექტემბერს საჩივარი ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა მისაღებად.

2003 წლის 10 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ განიხილა საქმე და ვერ პოვა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის საფუძველი (განჩინება მიღებულია 5 ხმით 2-ის წინააღმდეგ). 2003 წლის 2 სექტემბერს მომჩივნებმა მოითხოვეს კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა (მოთხოვნა ხელმოწერილი და შეტანილი იქნა 1-ლი მომჩივნის, ბ-ნი კუმპენეს, მიერ ორივე მომჩივნის სახელით).

2003 წლის 3 დეკემბერს დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა.

2004 წლის 17 აგვისტოს მე-2 მომჩივანმა ბ-ნმა მაზერემ დაადასტურა, რომ იგი უერთდებოდა 1-ლი მომჩივნის მოთხოვნას საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე.

შესაბამის საჩივარში მომჩივნებმა მიუთითეს, რომ მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიისათვის წარმოადგენდა მათი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით.

სამართლის საკითხები:

1. დიდი პალატის იურისდიქცია

საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით შედგენილ წარდგინებაში, რუმინეთის მთავრობის მიერ გამოთქმული იყო აზრი, რომ დიდი პალატის იურისდიქცია უნდა შემოზღუდულიყო მხოლოდ პირველ მომჩივანთან მიმართებაში კონვენციის ნაგულები დარღვევის საკითხებით, ვინაიდან მეორე

მომჩივანი არ იყო წარმოდგენილი პირველი მომჩივნით იმ დროისათვის, როდესაც ამ უკანასკნელის მიერ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნა იქნა შეტანილი.

დიდი პალატა დაეყრდნო რა პრეცედენტულ სამართალს, მიუთითა, რომ ითვალისწინებდა კონვენციის 37-ე მუხლის სულისკვეთებას, რომლის მიხედვით, სასამართლოს, მაშინაც კი, როდესაც დაასკვნიდა, რომ მომჩივანს აღარ ჰქონდა განზრახული ბოლომდე მოჰყოლოდა თავის საჩივარს, შეეძლო აღედგინა საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხაში, თუკი გარემოებათა ძალით ამას გამართლებულად მიიჩნევდა. კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა უზრუნველყოფა კი საამისოდ შესაბამის გამართლებას წარმოადგენდა. ასეთი დასკვნა მით უფრო შეესატყვისებოდა მოცემულ საქმეს, ვინაიდან მეორე მომჩივანი მოგვიანებით შეუერთდა პირველი მომჩივნის მოთხოვნას და, მართალია, რეტროსპექტულად, მაგრამ მაინც, დაადასტურა თავისი განზრახვა, მიჰყოლოდა საჩივარს, რომელიც განსახილველად უკვე გადაცემული ჰქონდა დიდ პალატას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატის აზრით, მის წინაშე განსახილველი საქმის ფარგლები არ იყო შეზღუდული იმ საფუძველით, რომელიც მთავრობის წარდგინებაში იყო მითითებული.

2. კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ

მომჩივანთა არგუმენტები:

ა) კუმპენესა და მაზერეს აზრით, მათი სისხლისსამართლებრივი დასჯა არ წარმოადგენდა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, სტატიის გამოქვეყნებისას ისინი მიზნად ისახავდნენ ხალხის ყურადღების მიპყრობას პოლიტიკურ საკითხზე, კერძოდ, ქალაქის ხელისუფლების მიერ დაშვებულ კანონის დარღვევაზე, რაც კერძო კომპანიასთან თანამშრომლობის კონტრაქტის დადებით გამოიხატა.

ბ) სტატიაში ისინი არ შეხებიან დაზარალებული მხარის – ქნი R.M.-ს პირად ცხოვრებას. კარიკატურა წარმოადგენდა სატირის იუმორისტულ ფორმას, განსაზღვრულ გარემოებებში ადამიანთა გარკვეული თვისებებისა და სიტუაციების გადაჭარბებულ ჩვენებას

და ამიტომ ტოლერანტულ დამოკიდებულებას იმსახურებდა. მხოლოდ ქ-ნი R.M.-ის ცხოველი წარმოსახვის შედეგი შეიძლება ყოფილიყო დასკვნა, თითქოს კარიკატურა მერის ყოფილ მოადგილესთან მის ინტიმურ ურთიერთობაზე მიანიშნებდა, ამიტომ, ხელისუფლებას არ უნდა ეხელმძღვანელა მისი ინტერპრეტაციებით.

გ) ისინი ეყრდნობოდნენ ოფიციალურ დასკვნას, კერძოდ, აუდიტორული სასამართლოს მიერ მიღებულს, რომლის საიმედოობა არავის გაეხადა სადავოდ. გარდა ამისა, მათ გააჩნდათ სხვა წყაროები საქალაქო საბჭოსა და აუდიტორულ სასამართლოში, რომელთა ვინაობის გამხელა შეუძლებელი იყო მათი გარკვეული რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.

დ) ფაქტი, რომ ეროვნულ სასამართლოში მათ ვერ შეძლეს თავიანთი მტკიცებების დადასტურება, გამოწვეული იყო იმით, რომ მათ დაიცვეს ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის პრინციპი. „ჟურნალისტური სიმართლე“ კი („journalistic truth“), რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე ხალხის უსწრაფესად ინფორმირებას, არსებითად განსხვავდებოდა „მართლმსაჯულების სიმართლისაგან“ („judicial truth“), რომელსაც ეროვნული სასამართლოები ადგენდნენ იმათი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, ვინც მოქმედებდა უკანონოდ. ამიტომ დაუშვებელი იყო, პრესისათვის მოეთხოვათ ფაქტების დამტკიცება ისეთივე სიზუსტით, როგორიც გამოძიებისათვის პასუხისმგებელ ხელისუფლებას მოეთხოვებოდა.

ე) აუდიტორულმა სასამართლომ დაამოწმა ქალაქის ხელისუფლების მიერ კერძო კომპანიასთან დადებული შეთანხმების უკანონობა, რაც ამართლებდა იმ გარემოებას, რომ მათ ხალხის ყურადღება ამაზე მიაპყრეს კონტრაქტის დადებიდან ორი წლის შემდეგ. სტატია შეეხებოდა ქ-ნი R.M.-ს, როგორც ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლის, საქმიანობას და იმ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებასთან და არა მას, როგორც მოსამართლეს, ანდა იმ პერიოდს, როდესაც სტატია გამოქვეყნდა.

ვ) მართალია, მათ არ მოუხდიათ პატიმრობის სასჯელი, მაგრამ ეს გარემოება არ ათავისუფლებდა ხელისუფლებას

პასუხისმგებლობისაგან აზრის გამოხატვის თავისუფლების მათ უფლებაში ჩარევისათვის. მათ მიმართ გამოყენებული სანქცია იყო ექსცესიური და საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე თავისუფალი დისკუსიის ცენზურისადმი დაქვემდებარების ტოლფასი.

მთავრობის არგუმენტები:

ა) რუმინეთის მთავრობის აზრით, მომჩივანთა დასჯა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამდენადაც სტატია წარმოადგენდა ჟურნალისტური ეთიკის უხეშ დარღვევას. მათ ხალხს გადასცეს არასწორი ინფორმაცია ქ-ნი R.M.-ს კორუმპირებულობის მტკიცებისას და არ მოქმედებდნენ კეთილი განზრახვით. მათ არ შეამოწმეს ინფორმაცია და დაეყრდნენ მერიისა და ქალაქის საბჭოს განსაზღვრულ გადაწყვეტილებას, რომელშიც არაფერი იყო ისეთი, რომელიც მათ კორუფციაში დადანაშაულებას გაამართლებდა;

ბ) ეროვნულ სასამართლოებში მომჩივნებმა ვერ მიუთითეს რაიმე სხვა დოკუმენტსა თუ ინფორმაციაზე, როგორც თავიანთი სტატიის წყაროზე, გარდა ქალაქის ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებისა, რომლითაც ვინალექსის კერძო კომპანიას დადებული კონტრაქტის საფუძველზე უფლება მიეცა, საჯარო სამსახური განეხორციელებინა. გარდა ამისა, კარიკატურაში არაორაზროვანი მინიშნება იყო გაკეთებული ქ-ნი R.M.-ის პირად ცხოვრებაზე, რაც ვერ იქნებოდა განხილული საჯარო ინტერესის საკითხზე საზოგადოებრივ დებატებში შეტანილ წვლილად;

გ) მომჩივნებმა ვერ დაადასტურეს თავიანთი ბრალდება ქ-ნი R.M.-ის კორუმპირებულობის თაობაზე უკანონო კონტრაქტის ხელმოწერისას და ვერ შეძლეს ეროვნულ სასამართლოებში წარედგინათ თუნდაც სუსტი ფაქტობრივი საფუძველი თავიანთი შეფასებითი მსჯელობისათვის, რომელიც ქალაქის საბჭოს იურიდიული ექსპერტის მორალსა და კომპეტენტურობას შეეხებოდა. სწორედ ამიტომ, ეროვნულმა სასამართლოებმა ისინი დამნაშავედ ცნეს შეურაცხყოფისა და დიფამაციისათვის მას შემდეგ, რაც დაადგინეს, რომ ჟურნალისტები მოქმედებდნენ ბოროტი განზრახვით.

დ) მომჩივანთა დასჯა წარმოადგენდა მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას, კერძოდ, ქ-ნი R.M.-ის პირადი ცხოვრებისა და რეპუტაციის, აგრეთვე, მართლმსაჯულების ავტორიტეტის დაცვას, რამდენადაც დაზარალებული მხარის იმჟამინდელი სტატუსი, როგორც მოსამართლისა, სტატიაში გამოკვეთილი იყო. ყოველივე ამის გამო გამართლებული იყო მათთვის შეფარდებული სასჯელის სიმკაცრეც.

ე) რაც შეეხებოდა მომჩივნებისათვის ჟურნალისტად მუშაობის უფლების დროებით ჩამორთმევას, ეს წარმოადგენდა უსაფრთხოების ღონისძიებას მომავალში დარღვევების ჩადენის თავიდან ასაცილებლად და არა სასჯელს.

ვ) ფაქტი, რომ მომჩივნებმა პრაქტიკულად არ განიცადეს პატიმრობის სასჯელი, იყო გამოხატულება რუმინეთის ხელისუფლების საერთო პოლიტიკისა, უარი ეთქვათ ჟურნალისტების ციხეში ჩასმაზე დარღვევებისათვის, რომელიც აზრის გამოხატვის თავისუფლებას უკავშირდებოდა. პარლამენტს მიღებული ჰქონდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შეურაცხყოფის დეკრიმინალიზაცია, ხოლო დიფამაციისათვის კი გაუქმდა თავისუფლების აღკვეთის სასჯელი.

სასამართლოს შეფასება:

ა) იყო თუ არა ჩარევა

სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანთა დასჯა, რაც ლოკალურ გაზეთში მათ პუბლიკაციას მოჰყვა, უდაოდ წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას.

ბ) იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული და ემსახურებოდა თუ არა „კანონიერ მიზანს“

– სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ აღნიშნული ჩარევა „იყო კანონით გათვალისწინებული“, კერძოდ, რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით, რომელთა

ხელმისაწვდომობა და განჭვრეტადობა არ იყო ვინმეს მიერ სადავოდ ქცეული.

– სასამართლომ ასევე აღიარა, რომ ჩარევა ემსახურებოდა „კანონიერ მიზანს“ – სხვათა უფლებების, კერძოდ, ქ-ნი R.M.-ის რეპუტაციის დაცვას, რომელიც იყო ქალაქის საბჭოს მოხელე იმ მოვლენების დროს, რომლებსაც სტატია შეეხებოდა და მოსამართლე – ამ სტატიის პუბლიკაციისას.

გ) იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

გ1. ძირითადი პრინციპები:

– ტესტი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მოითხოვდა იმის შემოწმებას, შეესაბამებოდა თუ არა ჩარევა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნდათ შეფასების თავისუფლების გარკვეული არე იმის დადგენისას, არსებობდა თუ არა ასეთი საჭიროება. მაგრამ შემდგომში ყოველივე ეს ევროპული ზედამხედველობის საგანი ხდებოდა. ამასთან, ეს ზედამხედველობა შეეხებოდა როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე მისი გამოყენების შედეგად მიღებულ, მათ შორის, დამოუკიდებელ სასამართლოთა გადაწყვეტილებებს.

– საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას ევროპული სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენდა კომპეტენტური შიდა სასამართლოების ადგილის ჩანაცვლება. მისი მიზანი იყო მე-10 მუხლის საფუძველზე შემოწმებინა, თავსდებოდა თუ არა ეს გადაწყვეტილება შეფასების თავისუფლების მათთვის მიკუთვნებულ ფარგლებში.

– ამასთან, ევროპული ზედამხედველობა არ იყო შემოზღუდული მხოლოდ იმის შემოწმებით, განხორციელა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ თავისი თავისუფლება ყურადღებით და კეთილსინდისიერად. რაც ევროპულ სასამართლოს უნდა გაეკეთებინა, იყო ის, რომ „ჩარევა“ შეეფასებინა საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით. კერძოდ, უნდა დადგენილიყო, არსებობდა

თუ არა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი „ჩარევის“ გასამართლებლად და იყო თუ არა გამოყენებული ღონისძიება „დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული“. ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ეროვნული ხელისუფლება დაეყრდნო რელევანტური (შესატყვისი) ფაქტების მისაღებ შეფასებას და გამოიყენა სტანდარტები, რომელიც ეთანხმებოდა მე-10 მუხლში ნაგულისხმებ პრინციპებს;

– სასამართლოს ასევე უნდა შეეფასებინა, დაამყარეს თუ არა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა „სამართლიანი ბალანსი“, ერთი მხრივ, მე-10 მუხლით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და მეორე მხრივ, რეპუტაციის დაცვის უფლებას შორის, რომელიც, როგორც პირადი ცხოვრების ასპექტი, დაცული იყო კონვენციის მე-8 მუხლით. ამ დებულებას შესაძლოა სავალდებულო გაეხადა პოზიტიური ღონისძიების გატარება საიმიხოდ, რათა უზრუნველყოფილიყო პირადი ცხოვრების ეფექტიანი დაცვა, მათ შორის, თვით ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროშიც კი (*Von Hannover v. Germany*, no.59320/00, §57. ECHR 2004-VI and *Stubbings and Others v. The United Kingdom*, judgement of 22 October 1999; Reports 1996-IV; p.1507; §61-62).

გ2. ზემოთაღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში:

გ2.1. „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“

– სასამართლომ ხაზი გაუსვა პრესის ცხოველმყოფელ როლს („*public watchdog*“) დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამავე დროს მიუთითა, რომ „მას არ უნდა გადაეღაზა განსაზღვრული მიჯნები, განსაკუთრებით, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით. მის მოვალეობას წარმოადგენდა პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გადაცემა, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამებოდა მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“ (*De*

Haes and Gijssels v. Belgium, judgement of 24 February 1997; Reports 1997-I; p.p.233-34; §37. *Thoma v. Luxemburg*, no.38432197; §45. ECHR 2004-III; *Colombani and others v. France* no.5127/99; §55, ECHR 2002-V).

– სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სტატია შეიცავდა ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების არჩეული წარმომადგენლებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ სახელმწიფო ფონდების მართვისა და მათი მხრიდან შესაძლო უკანონობის შესახებ, რაც გამოიხატა ქალაქის ხელისუფლებასა და კერძო კომპანიას შორის ხელშეკრულების ხელმოწერით. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის საგანს და მომჩივნებს სრული უფლება ჰქონდათ მიეპყროთ მასზე საზოგადოების ყურადღება პრესის საშუალებით. ის გარემოება, რომ იგივე საკითხი აუდიტორულმა სასამართლომაც წამოჭრა, იმას ადასტურებდა, რომ სტატია შეიძლებოდა განხილულიყო როგორც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობა.

– ევროპული სასამართლო დაეთანხმა ეროვნულ სასამართლოებს იმაში, რომ სტატია, აგრეთვე, შეიცავდა მტკიცებებს უშუალოდ ქ-ნი R.M.-ის მისამართით, რომლის სახელი და გვარი სრულად იყო მითითებული როგორც სტატიის სათაურში, ისე – მის ტექსტში. სტატიის მტკიცებანი შეეხებოდა იმას, რომ D.M. და R.M. ვინაღუქსის კომპანიასთან ერთად ჩართული იყვნენ თაღლითურ მაქინაციებში. ამაზე მეტყველებდა როგორც ცალკეული სიტყვები და ფრაზები („დარღვევათა სერია“ და სხვა), ისე პირდაპირი განცხადებები: „... მერის ყოფილი მოადგილე... იღებდა ქრთამებს, მათ შორის მისდამი დაქვემდებარებული R.M.-საგან.. იგი (იგულისხმება R.M.) ან არ იცნობდა ეროვნულ კანონმდებლობას, როდესაც ხელი მოაწერა კონტრაქტს, ანდა... მან აიღო ქრთამი და შესაძლოა ამას მომავალშიც გააგრძელებს...“

– იმის განსაზღვრისას, არსებობდა თუ არა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, რომელიც აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას გაამართლებდა, აუცილებელი იყო

ჯეროვნად განესხვავებინათ „ფაქტები“ და „შეფასებითი მსჯელობა“. „ფაქტების“ სისწორე შეიძლებოდა დასაბუთებულ იყო, მაშინ როდესაც „შეფასებითი მსჯელობის“ სისწორე არ ექვემდებარებოდა მტკიცებას. თუმცა, თვით შეფასებითი მსჯელობაც კი შეიძლებოდა გადაჭარბებულად მიჩნეულიყო, თუკი იგი არ ეყრდნობოდა შესატყვის ფაქტობრივ საფუძველს (*Jerysalem v. Austria*, no. 26958195; § 43; ECHR 2001-II) ქ-ნი R.M.-ის მისამართით გამოთქმული განცხადებები (იგი ან არ იცნობდა კანონმდებლობას ან აიღო ქრთამი...) ჩამოყალიბებული იყო ალტერნატიული ფორმით, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ საქმე ჰქონდათ შეფასებით მსჯელობასთან. თუმცა, მთელი სტატიის შინაარსისა და კარიკატურის მხედველობაში მიღებით, სრულიად უდავო იყო, რომ სტატია შეიცავდა კონკრეტულ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ R.M.-მ უკანონო კონტრაქტის ხელმოწერისას აიღო ქრთამი, რომ იგი მოიქცა უპატიოსნოდ და მოქმედებდა პირადი ინტერესით.

– სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, მართალია, პრესას ჰქონდა უფლება, საზოგადოებისათვის ეცნობებინა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან დაშვებული შესაძლო უკანონობისა და დარღვევების შესახებ, მაგრამ კონკრეტული ინდივიდების პირდაპირი ბრალდება მომჩივნებს ავალდებულებდა, წარმოედგინათ არსებითი ფაქტობრივი საფუძველი თავიანთი მტკიცებებისათვის (*Lesnik v. Slovakia*, no. 35640/97. §57. ECHR-2003-IV). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ აქ საქმე სერიოზულ კრიმინალურ ბრალდებას შეეხებოდა. კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობდა შესაბამის მოვალეობასა და პასუხისმგებლობას. ჟურნალისტი ვალდებული იყო, ემოქმედა კეთილი განზრახვით, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად იმისათვის, რათა საზოგადოება უზრუნველყო სწორი და საიმედო ინფორმაციით (*Radio France and Others v. France*, no.5398/00, §37; ECHR 2004-II; *Colombani and Others, Harlanova, McVicar...*). აქ კი საპირისპირო შემთხვევასთან გვექონდა საქმე, ვინაიდან მომჩივანთა ბრალდებები ქ-ნი R.M.-ს წინააღმდეგ წარმოადგენდა სინამდვილის არასწორ ასახვას და არ ემყარებოდა ფაქტებს. მათ ვერ შეძლეს

რაიმე არსებითი ფაქტობრივი საფუძვლებით გაემაგრებინათ თავიანთი მტკიცებები მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი დრო და საშუალებები გააჩნდათ თავიანთი დაცვის მოსამზადებლად.

– ევროპულმა სასამართლომ შესაბამისი მნიშვნელობა მიანიჭა მომჩივანთა ქცევას მათ წინააღმდეგ კრიმინალური პროცესის განმავლობაში, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ მათ გამოხატეს სრული უინტერესობა საქმის განხილვის მიმართ, არ ესწრებოდნენ მოსმენებს მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სასამართლო უწყებებით იყვნენ გამოძახებული. მათ ვერც ერთ ეტაპზე, მათ შორის, ვერც აპელაციის განხილვისას, ვერ წარადგინეს არსებითი ფაქტობრივი საფუძველი თავიანთი ბრალდებისა. უფრო მეტიც, მათ სასამართლო წინაშე არც აუდიტორული სასამართლოს დასკვნა წარადგინეს და ისიც კი არ მიუთითეს, რომ მათი ბრალდებები მას ემყარებოდა. ამ გარემოებამ არ მისცა ეროვნულ სასამართლოებს საშუალება, გამოეთხოვათ ეს დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში.

– ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ვერ გაიზიარებდა მომჩივანთა არგუმენტს, თითქოს მათ თავიანთი ბრალდებების დამტკიცება ვერ შეძლეს ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვის პრინციპის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანთა მოვალეობა, წარმოედგინათ თავიანთი ბრალდების ფაქტობრივი საფუძველი, სრულიადაც არ იყო იმ ვალდებულების ტოლფასი, რომ დაესახელებინათ იმათი ვინაობა, ვინც ისინი შესაბამისი ინფორმაციით მოამარაგა. საქმეში არსებული მასალებიდან არ გამომდინარეობდა, რომ აუდიტორული სასამართლოს დასკვნა კონფიდენციალურ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომლის გამხელაც შესაბამისი წყაროების მიმართ სანქციის გამოყენებას გამოიწვევდა.

– ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივნებმა ვერ შეძლეს იმის დასაბუთება, რომ მათი მსჯავრდების საფუძველი არ იყო „შესაბამისი და საკმარისი“, ვინაიდან მათ თვითონ თქვეს უარი სასამართლოებისათვის თავიანთი არგუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენაზე, რითაც ეროვნულ სასამართლოებს წაართვეს შესაძლებლობა, გაეკეთებინათ ინფორმაციაზე

დაყრდნობილი შეფასება იმისა, გადალახეს თუ არა მომჩინებმა დასაშვები კრიტიკის საზღვრები.

– სასამართლომ ხაზი გაუსვა შემდეგ: თუმცა აუდიტორული სასამართლოს დასკვნა, თავისთავად, შეიძლება მინეულიყო არსებით და საიმედო ფაქტობრივ საფუძვლად იმისა, რომ სადავოდ ქცეულიყო ვინაღუესთან დადებული ხელშეკრულების კანონიერება, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ აღნიშნულ დასკვნაში ამდაგვარი არაფერი იყო ნათქვამი, ან მინიშნებული მერის ყოფილი მოადგილისა და იურიდიული ექსპერტის უპატიოსნო საქციელზე, ანდა მათ მიერ ქრთამის აღებაზე კონტრაქტის ხელმოწერისათვის.

– როგორადაც გაუძღვნენ ეროვნული სასამართლოები ამ საქმეს, იმაზე მეტყველებდა, რომ მათ (საესებით მართებულად) აღიარეს ღირებულებითი კონფლიქტის არსებობა ერთი მხრივ მომჩინების, როგორც მედიის წარმომადგენლების უფლებასა (გადაეცა ინფორმაცია და იდეები) და, მეორე მხრივ, პირადი რეპუტაციისა და ღირსების დაცულობაზე ქ-ნი R.M.-ის უფლებას შორის. ევროპული სასამართლო მიიჩნევდა, რომ საფუძვლები, რომელსაც ეყრდნობოდა შიდა სასამართლოების მიერ მომჩინანთა მსჯავრდების გამართლებულობა, იყო შესაბამისი და საკმარისი.

– ამ სფეროში ხელშემკვრელი მხარეებისათვის გადაცემული შეფასების თავისუფლების ფარგლების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის გარემოებების მიხედვით ეროვნულ ხელისუფლებას შეეძლო აუცილებლად მიეჩნია მომჩინანთა აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და რომ მომჩინანთა მსჯავრდება შეურაცხყოფისა და დიფამაციისათვის პასუხობდა საამისოდ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“.

ერთადერთი, რაც განსაზღვრას საჭიროებდა ის იყო, თუ რამდენად პროპორციული იყო „ჩარევა“ „დასახული კანონიერი მიზნისა“ გამოყენებული სანქციის გათვალისწინებით.

გ.2.2. სანქციის თანაზომიერება

– ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოყენებულ სასჯელთა ბუნება და სიმკაცრის ხარისხი წარმოადგენდა მხედველობაში მისაღებ ფაქტორს მე-10 მუხლით გარანტირებული

აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას. იგი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდა შემთხვევებს, როდესაც გამოყენებული ღონისძიებები და სანქციები ისეთი იყო, რომლებიც პრესას ხელს ააღებინებდა საზოგადოებრივი საზრუნავის საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობისაგან;

- მოცემულ საქმეში, იმის გარდა, რომ მომჩივნებს დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურება, მათ მიესაჯათ 7 თვით პატიმრობა, აეკრძალათ სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა და, აგრეთვე, ჟურნალისტად მუშაობა 1 წლით. აღნიშნული სასჯელები უდავოდ ძალიან მკაცრად უნდა მიჩნეულიყო;

- მართალია, ხელშემკვრელ მხარეებს ჰქონდათ უფლება და მოვალეობაც კი (კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე მათი პოზიტიური ვალდებულებების კვალობაზე), დაერეგულირებინათ აზრის გამოხატვის თავისუფლება, რათა უზრუნველყოთ ინდივიდის რეპუტაციის ადეკვატური კანონიერი დაცვა, მაგრამ მათ ეს არ უნდა გაეკეთებინათ ისეთი ფორმით, რომელიც მეტის მეტად დააშინებდა მედიას და უარს ათქმევინებდა თავისი როლის შესრულებაზე – ხალხის ყურადღება მიექცია საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ამკარა თუ საეჭვო შემთხვევებზე. გამომძიებელი ჟურნალისტები, სავარაუდოდ, თავს შეიკავებდნენ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციის გადაცემისაგან, თუკი ისინი მუდმივად იქნებოდნენ იმ რისკის ქვეშ, რომ კერძო პირთა რეპუტაციაზე უსამართლო თავდასხმის შემთხვევაში მათ დააპატიმრებდნენ ანდა პროფესიით მუშაობს აუკრძალავდნენ. ასეთი მოსალოდნელი სანქციების შიშს რომ „მსუსხავი ეფექტი“ („chilling effect“) ექნებოდა ჟურნალისტის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე, ევროპული სასამართლოს აზრით, ამკარა და უდავო იყო. ასეთი ეფექტი, რომელიც ზიანს აყენებდა საზოგადოებას მთლიანად, წარმოადგენდა ფაქტორს, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული მომჩივანთა მიმართ გამოყენებული სანქციების პროპორციულობის შეფასებისას, რომლებიც უდავოდ უფლებამოსილნი იყვნენ, ხალხის ყურადღება მიეპყროთ ქალაქის

ხელისუფლებასა და კერძო კომპანიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების საკითხზე;

– ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპატიმრო განაჩენი პრესის მიერ დაშვებული დარღვევებისათვის მე-10 მუხლით გარანტირებული აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან შეთავსებადი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე შეეხებოდა ძირითადი უფლებების სერიოზულ დარღვევას, მაგალითად, დარღვევების ჩადენისაკენ წაქეზების ანდა სიძულვილისა და ზიზლის მთესველი განცხადებების გავრცელების (*hate speech*) დროს (*Feridun Yazar v. Turkey*, no.42713198; §27; 23 September 2004; *Sürek and Özdemir v. Turkey* (G.C.). no. 23927/94 and 24277/94; §63 8 July 1999). ამასთან მიმართებაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ რუმინეთის ხელისუფლების ბოლო ნაბიჯები სისხლის სამართლის კოდექსიდან „შეურაცხყოფის“ ამოღების, ხოლო „დიფამაციისათვის“ საპატიმრო სასჯელის გაუქმების შესახებ მისასალმებელი იყო.

– ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საქმე იყო კლასიკური შემთხვევა ინდივიდის დიფამაციისა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე დებატების კონტექსტში, როდესაც არ არსებობდა არავითარი გამართლება პატიმრობის სასჯელის გამოყენებისათვის. ამასთანავე, ხაზი გაუსვა, რომ „მსუსხავ ეფექტს“, რომელიც უდავოდ თან ახლდა ასეთი სასჯელის გამოყენებას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აქარწყლებდა ის გარემოება, რომ მომჩივნებმა ფაქტობრივად არ განიცადეს ეს სასჯელი შეწყალების, ანუ ისეთი ღონისძიების საფუძველზე, რუმინეთის პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას რომ განეკუთვნებოდა. მათ მიმართ გამოჩენილი გულმოწყალება არ აბათილებდა მათთვის საპატიმრო სასჯელის შეფარდების ფაქტს.

– გარდა ამისა, პატიმრობის სასჯელს თან ახლა მეორადი სასჯელი – ყველა იმ სამოქალაქო უფლებისაგან დისკვალიფიკაცია, რაც კი რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლში იყო მითითებული. გენერალური პროკურორის წარმატებული ძალისხმევის შედეგად მათ არც ეს მეორადი სასჯელი იწვნიეს შეწყალების აქტის შესაბამისად. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ასეთი დისკვალიფიკაცია, რომელიც რუმინულ სამართლის

მიხედვით ავტომატურად გამოიყენებოდა ყველა პატიმრობა მისჯილის მიმართ და არ ექვემდებარებოდა სასამართლოების მხრიდან გადასინჯვას მისი აუცილებლობის შემოწმების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მიუღებელი იყო ამ საქმის შემთხვევაში და არ იყო გამართლებული იმ დარღვევის ბუნებით, რისთვისაც დაეკისრათ მომჩივნებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

– რაც შეეხებოდა მომჩივნებისათვის ჟურნალისტად მუშაობის აკრძალვას ერთი წილს ვადით (მით უფრო, რომ მას არ შეხებია შეწყალების აქტი), ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტთა საქმიანობის წინასწარი შეზღუდვა მოითხოვდა სრულიად განსაკუთრებული ყურადღებით განხილვას და გამართლებული იყო მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიების გამოყენებას არ მოჰყვა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შედეგები მომჩივნებისათვის, ევროპული სასამართლოს აზრით, იგი უნდა შეფასებულიყო, როგორც „განსაკუთრებით მკაცრი“ და „გაუმართლებელი“ მომჩივანთა მიერ ჩადენილი შეურაცხყოფის ბუნებით. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტად მუშაობის აკრძალვის (თუნდაც შეზღუდული ვადით) პრევენციული ღონისძიების გამოყენებით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს პრინციპი, რომ პრესას ჰქონოდა შესაძლებლობა, შეესრულებინა „ნაგაზის“ (*watching dog*) როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გ3. დასკვნა

მართალია, ეროვნული ხელისუფლების მხრიდან მომჩივანთა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შეიძლებოდა გამართლებულად მიჩნეულიყო დაპირისპირებულ ინტერესთა შორის ბალანსის აღსადგენად, მაგრამ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი სანქცია და სხვა თანმხლები აკრძალვები წარმოადგენდა აშკარად არათანაზომიერსა და მკაცრს იმ კანონიერ მიზანთან მიმართებაში, რასაც ისახავდა მომჩივანთა

სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება შეურაცხყოფისა და ღიფამაციისათვის.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გადალახეს საზღვარი იმისა, რაც შეიძლებოდა შეფასებულყო, როგორც „აუცილებელი შეზღუდვა“ მომჩივანთა აზრის გამოხატვის თავისუფლებისა. აქედან გამომდინარე, იყო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ზემოაღნიშნული მიზეზებით, სასამართლომ ერთხმად ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

მეორე მომჩივანთან მიმართებაში (ბ-ნი მაზერე) სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სისხლისსამართლებრივმა მსჯავრდებამ, ფაქტობრივად, ვერ იქონია უარყოფითი გავლენა მის რეპუტაციასა და კარიერაზე, რამდენადაც იგი 1997 წელს არჩეულ იქნა რუმინეთის პარლამენტის წევრად, შემდეგ კი ქ. კონსტანტას მერად. რაც შეეხება პირველ მომჩივანს (ბ-ნი კუმენეს), რომელიც მიუთითებდა მისი მხრიდან შემოსავლის დაკარგვაზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მის მიერ სამსახურის დაკარგვასა და კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლების დარღვევას შორის. დამქირავებლის მიერ 1997 წლის 14 აპრილს სამსახურიდან მისი გათავისუფლება, გამოწვეული იყო შტატების შემცირებით და მან ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ აკრძალვის ვადის გასვლამდე მისი მხრიდან სამსახურის შოვნის მცდელობანი უშედეგო იყო.

იმ დასკვნის შესაბამისად, რომ მომჩივნების სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში დაპირისპირებულ ინტერესთა შორის ბალანსის აღსადგენად, სასამართლო ვერ დააკმაყოფილებდა მეორე მომჩივნის მოთხოვნას იმ თანხების ანაზღაურებისა, რომელიც

ეროვნულმა ხელისუფლებამ მას დააკისრა დაზარალებული მხარისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვეულად ცნობა მომჩივანთა მიმართ გამოყენებული სანქციის არაპროპორციულობის მოტივით, საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას წარმოადგენდა მომჩივნებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ეს გადაწყვეტილება მიღებულია 16 ხმით 1-ის წინააღმდეგ.¹²

¹² მოსამართლე კოსტამ თავის განხილვებულ აზრში მიუთითა, რომ არ ეთანხმებოდა დიდი პალატის გადაწყვეტილებას სამართლიანი დაკმაყოფილების კონტექსტში მომჩივნებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ.

მისი ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ მომჩივნებმა უთუოდ განიცადეს შეშფოთების გრძნობები და სულიერი სატანჯველი საპატიმრო სასჯელისა და სხვა მხორადი სასჯელების შეფარდების გამო, სულ მცირე – დროის იმ პერიოდში მაინც, სანამ პრეზიდენტის შეწყალებას მიიღებდნენ; მით უმეტეს, რომ პროფესიით მუშაობის აკრძალვის სასჯელზე შეწყალების აქტი საერთოდ არ იქნა გაერთილებული.

ბ-ნი კოსტას აზრით, ეს არ შეესაბამებოდა ევროპული სასამართლოს საერთო პრაქტიკას, რომლის მიხედვით, შეშფოთების გრძნობები (*'anxiety'*) და სატანჯველი (*'anguish'*) უსაფუძვლოდ გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ საქმეებზე, ევროპული სასამართლოსათვის, როგორც წესი, არსებით არგუმენტს წარმოადგენდა მომჩივანთა მორალური ზიანის ანაზღაურების სასარგებლოდ.

ბ-მა კოსტამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე მომჩივნებმა მხოლოდ 'პლატონურ დაკმაყოფილებასა' და 'პიროსის გამარჯვებას' მიაღწიეს (იგულისხმება ეპირუსის მეფე პიროსი (ლათ. Pyrrhus), რომელიც მეფობდა ძვ. წ. აღ. 295-272 წლებში. გამოთქმა 'პიროსის გამარჯვება' (*'victoire à La Pyrrhus'*) გამოაყენება ისეთ დროს, როდესაც გამარჯვება მიღწეულია გაუმართლებლად დიდი დანაკარგების ფასად. (იხ. Le Petit LAROUSSE, 2005, 100^e édition, გვ.1662).

40. ბუსუიოკი მოლდოვას წინააღმდეგ
(Busuioc v. Moldova)
(N 61513/00)

საქმე შეეხება ჟურნალისტის
სტატუსს, რომელშიც სახელმწიფო
აეროპორტის ხელმძღვანელი
პირები იყვნენ გაკრიტიკებული

21 დეკემბერი, 2004 წელი
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი:

- ა) იქნა დარღვეულად მიჩნეული;
- ბ) არ იქნა დარღვეულად მიჩნეული

ფაქტები:

ჟურნალისტმა გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სახელმწიფო აეროპორტის 5 ხელმძღვანელ პირზე. სტატიაში საუბარი იყო მათ არაპროფესიონალიზმსა და დაკავებულ თანამდებობასთან მათ შეუფერებლობაზე. შეფასებით გამონათქვამებთან ერთად სტატია შეიცავდა ფაქტობრივ ბრალდებებსაც. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანის – I.V.-ის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ის დაინიშნა თანამდებობაზე არა თავისი პირადი ღირსებების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირის ნათესავი იყო. მეორე მათგანის – C.V.-ის შესახებ კი ნათქვამი იყო, რომ იგი თავისი კვალიფიკაციით არ შეეფერებოდა მენეჯერის დაკავებულ თანამდებობას, ვინაიდან იგი პროფესიით ვეტერინარი ქირურგი იყო.

ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მომჩივანმა უსაფუძვლოდ შელახა აეროპორტის თანამშრომელთა პირადი და საქმიანი რეპუტაცია.

სამართლის საკითხები:

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირთა პროფესიონალიზმი და დაკავებულ თანამდებობებთან მათი შესაბამისობა უდაოდ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საგანს, რამდენადაც ეს საკითხი

პირდაპირ უკავშირდებოდა სახელმწიფო აეროპორტის საქმიანობის ეფექტიანობას: პრესას კი გააჩნდა უფლება და მოვალეობა, მოსახლეობისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია და იღეები მისთვის საინტერესო საკითხებზე. თუმცა, იმავდროულად ხაზი გაუსვა ჟურნალისტთა მოვალეობას, ზედმიწევნით გადაემოწმებინა გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

ევროპულმა სასამართლომ ცალ-ცლკე განიხილა თითოეული პირის შესახებ სტატიაში არსებული გამონათქვამები და აღნიშნა, რომ მხოლოდ ორი მათგანის მიმართ შეიცავდა სტატია „ფაქტების გადმოცემას“, რომელიც დამტკიცებას საჭიროებდა. განცხადება იმის შესახებ, რომ I.V. თანამდებობაზე დაინიშნა არა თავისი პირადი ღირსებების, არამედ – ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთან ნათესაური კავშირის გამო, ევროპული სასამართლოს აზრით, უდავოდ წარმოადგენდა „ფაქტების გადმოცემას“, რომელიც დამტკიცებას ექვემდებარებოდა, ხოლო თავისი შინაარსით ბრალდება ძალზე სერიოზულად მიიჩნია და აღნიშნა, რომ იგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის გულში ზედებოდა. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ჟურნალისტმა არა თუ არ გადაამოწმა ეს ინფორმაცია, არამედ არც კი შეეცადა მის გადამოწმებას. ასევე ყალბი ფაქტის მტკიცებად მიიჩნია მან გამონათქვამი C.V-ის მიმართ იმის შესახებ, რომ თავისი პროფესიით, იგი არ შეესაბამებოდა მენეჯერის თანამდებობას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ პირს დამთავრებული ჰქონდა ბიზნესის სკოლა. შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია არაზუსტი იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც დადგენილად მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა ისე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ არც კი უცდია, გადაემოწმებინა იგი. ამ პირთა მიმართებაში ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნია.

რაც შეეხება დანარჩენ პირებს, ევროპულმა სასამართლომ მათ მიმართ სტატიაში არსებული გამონათქვამები „შეფასებით მსჯელობად“ დააკვალიფიცირა, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობაც დამტკიცებას არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად,

მათთან მიმართებაში პუბლიკაციის შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ არ მიიჩნია დადგენილად.

საგულისხმოა, რომ ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში შედარებით ვიწროდ განმარტა „სახელმწიფო მოხელის“ ცნება და შეზღუდა იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც მიზანშეწონილი იქნებოდა ის ტრადიციული მიდგომები, რომლებიც საერთოდ გამოიყენება სახელმწიფო მოხელეთა რეპუტაციის დაცვის სფეროში. მან უარყო მომჩივნის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო აეროპორტის ხელმძღვანელი პირები წარმოადგენდნენ სახელმწიფო მოხელეებს, რომელთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები იყო უფრო ფართო, ვიდრე კერძო პირების მიმართ და, ამის გამო, მათ შესაბამისად გაცილებით უფრო მეტი კრიტიკა უნდა მოეთმინათ. ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთ შემთხვევებში პრესის თავისუფლების დაცვა არ შეიძლებოდა იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ვიდრე მათი რეპუტაციის დაცვის ინტერესი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა გამოყენებული ის მიდგომები, რომლებიც სახელმწიფო მოხელეთა მიმართ არსებობდა და რომ „სახელმწიფო მოხელეებს“ ვერ გაუთანაბრდებოდა ყველა ის პირი, ვინც კი სახელმწიფოს, ანდა ისეთ კომპანიას ჰყავდა დაქირავებული, რომლის შესაკუთრებაც სახელმწიფო იყო. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამისი მიდგომები ვერ იქნებოდა გამოყენებული ისეთი პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენდნენ კანონის აღმსრულებელ მოხელეებს (*law enforcement officers*).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა მხოლოდ იმ განცხადებებთან მიმართებაში ცნო, რომლებიც „შეფასებით მსჯელობად მიიჩნია“.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნა 125 ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 4000 ევრო – მორალური ზიანის საკომპენსაციოდ და 1500 ევრო – გაწეული სასამართლო და სხვა ხარჯებისათვის.

41. უაიტი შვედეთის წინააღმდეგ
(White v. Sweden)
(N 42435/02)

საქმე შეეხება შვედეთის ყოფილი პრეზიდენტის – ულოფ პალმეს შესაძლო მკვლელის ვინაობისა და მისი პიროვნების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების გამო გაზეთების რედაქტორთა გამართლებას

11 იანვარი, 2005წ.
გადაწყვეტილება

საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად, როგორც “აშკარად უსაფუძვლო”

ფაქტები:

მომჩივანი ენტონი უაიტი გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეა და ცხოვრობს ბეირაში (მოზამბიკი).

1996 წლის 29 და 30 სექტემბერს, შვედეთში, ორმა უმთავრესმა სადამოს გაზეთმა – „Expressen-მა“ და „Aftonbladet-მა“ გამოაქვეყნა სტატიათა სერია, რომლებშიც მომჩივანი მოხსენიებული იყო როგორც შვედეთის პრემიერ-მინისტრის – ულოფ პალმეს მკვლელი.

1998 წლის 23 სექტემბერს მომჩივანმა აღძრა კერძო ბრალდების საქმე (*private prosecution*) გაზეთის რედაქტორების წინააღმდეგ. მისი აზრით, რედაქტორები პასუხისმგებელნი იყვნენ მძიმე დიფამაციისა და საშუალო ხარისხის ალტერნატიული დიფამაციისათვის პრესის თავისუფლების შესახებ აქტის (ნაწილი 7. მუხლი 4. პ.5) და სისხლის სამართლის კოდექსის (ნაწილი 5. მუხლი 2 ან 1) საფუძველზე. მან, აგრეთვე, აღძრა სარჩელი და მოითხოვა. კომპენსაცია სულიერი ტანჯვისა და მატერიალური ზიანისათვის.

საქმის განხილვა რაიონულ სასამართლოში პირველი ინსტანციით.

სტოკჰოლმის რაიონულმა სასამართლომ ჩაატარა საქმის ზეპირი მოსმენა (2000 წლის 27 და 28 იანვარი, 1-3 თებერვალი) იმ საქმეებისათვის დადგენილი ორდინარული პროცედურის შესაბამისად, რომლებიც შეეხებოდა პრესის თავისუფლების შესახებ აქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სასამართლო შედგებოდა სამი პროფესიონალი მოსამართლისა და ცხრა ნაფიცი მსაჯულისაგან.

სასამართლომ „Expressen-ში“ გამოქვეყნებული სტატიის თაობაზე მსაჯულებს დაუსვა 66 შეკითხვა, ხოლო „Aftonbladet-ში“ გამოქვეყნებული სტატიის თაობაზე – 76. თითოეული შეკითხვა შეეხებოდა სტატიებში მითითებულ ერთ ან რამდენიმე განცხადებას ან მომჩივნის სურათს. მსაჯულებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე, შესაბამისი განცხადებებისა და სურათების გამოქვეყნება წარმოადგენდა თუ არა ან უხეშ (gross) ან და ჩვეულებრივ დიფამაციას (*defamation of the normal degree*). მსაჯულებმა მხოლოდ ექვს შემთხვევაში მიიჩნიეს, რომ გამოქვეყნებული განცხადებები და სურათები წარმოადგენდა საშუალო ხარისხის დიფამაციას. დანარჩენ შეკითხვებზე მათ უარყოფითი პასუხი გასცეს. დადგენილი წესის თანახმად, მსაჯულთა გადაწყვეტილება რედაქტორთა უდანაშაულობის შესახებ საბოლოო იყო.

საგაზეთო სტატიებში მომჩივანი დახასიათებული იყო, როგორც „კრიმინალი“ ან როგორც „გასაკიცხი პიროვნება“. კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ მას მოზამბიკში გააჩნდა რამდენიმე კომპანია, რომელიც დაკავშირებული იყო მაფიასთან, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობასთან; ის იყო სამხრეთ აფრიკაში ყველაზე დიდი ბრაკონიერი და დიდი წვლილი მიუძღოდა იმას, რომ მოზამბიკში სპილოები გადაშენების გზაზე იდგნენ; იგი ძალზე დიდ ფულს შოულობდა ბრაკონიერობით. გადმოცემული იყო, აგრეთვე, სამხრეთ აფრიკის სადაზვერვო სამსახურიდან დაუსახელებელი წყაროს შემდეგი ინფორმაცია: „იგი ადამიანთა იმ ტიპს განეკუთვნება, რომელიც დაუსჯელი ვერ დარჩება, ის კლავს წამიერი ყოყმანის გარეშე“. გაზეთ „Expressen-ის“ ჰელდაინი კი ასეთი შინაარსისა იყო: „მასზე მიუთითებენ, როგორც ულოფ პალმეს მკვლელზე“.

რაიონულმა სასამართლომ (2000 წლის 24 თებერვალი) გაამართლა რედაქტორები და უარი უთხრა მომჩივნის სარჩელს

ზიანის ანაზღაურებაზე. მან აღიარა, რომ ექვსი პასაჟი მომჩივანს აღწერდა, როგორც „კრიმინალს“, ანდა როგორც „გასაკიცხ პიროვნებას“, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ძალზე დიდი იყო შესაბამისი განცხადებებისადმი საზოგადოებრივი ინტერესი, ხოლო მომჩივანს არ გააჩნდა შევლეთში სოციალური ურთიერთობები და ამიტომ მოსალოდნელი არ იყო, პუბლიკაციების შედეგად მას ზიანი განეცადა, სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია შესაბამისი განცხადებებისა და მომჩივნის სურათის პუბლიკაცია. სასამართლომ დაასკვნა, რომ გაზეთებს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების გონივრული საფუძველი გააჩნდათ. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ და ვისგან იყო ინფორმაცია მოპოვებული, აგრეთვე, თავად ინფორმაციის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ნამდვილობის შემოწმების შესაძლებლობანი შეზღუდული იყო.

საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში

სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე აღიარა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებები წარმოადგენდა დიფამაციას, ამიტომ მთავარ საკითხს იმის განსაზღვრა წარმოადგენდა, არსებობდა თუ არა რელაქტორთა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძველები. მანვე მიუთითა, რომ განსაზღვრულ გარემოებებში შეურაცხმყოფელი განცხადებებისაგან პიროვნების დაცვის ინტერესი შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა საჯარო ინტერესს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის მკვლელობის საქმე იმ დროისათვის კვლავაც საზოგადოების ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ამიტომაც ამ თემაზე ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო ინტერესს შეესაბამებოდა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გამართლებული იყო მომჩივნის სურათისა და გვარის გამოქვეყნება, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო რელაქტორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენტონი უაიტის პიროვნება კარგად იყო ცნობილი სამხრეთ აფრიკაში. მაგალითად, არსებობდა წიგნი, სადაც მითითებული იყო, რომ ენტონი უაიტი იყო ძალზე საეჭვო რეპუტაციის სამხედრო ქვედანაყოფის („Selous Scouts-ის“) „ელიტარული მებრძოლი“.

მისი სახელი კარგად იყო ცნობილი იმ სხვადასხვა ორგანიზაციების წევრებისათვის, ვისი საქმიანობაც აფრიკასა და ევროპაში ცხოველებისა და ბუნების დაცვის საკითხებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ენტონი უაიტი ვერ ჩათვლებოდა ჩვეულებრივ კერძო პირად, ვისი დაცვაც განსაკუთრებულად იყო საჭირო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამის გარემოებებში ენტონი უაიტის სახელისა და სურათის გამოქვეყნება, ისევე, როგორც მისი პიროვნების შესახებ სხვა ინფორმაციისა, გამართლებული იყო. სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ მომჩივანმა უარი თქვა, გაეკეთებინა რაიმე კომენტარი „*Aftonbladet*-ის“ ჟურნალისტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე.

რაც შეეხება ინფორმაციის სისწორეს: ენტონი უაიტი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები სიცრუე იყო და მხოლოდ „მესამე ან მეოთხე თაობის ჭორებს“ ემყარებოდა. რედაქტორები კი კვლავ ამტკიცებდნენ, რომ არ იყო გამორიცხული, სწორედ უაიტი ყოფილიყო უღოფ პალმეს მკვლელი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რედაქტორებმა, რომლებსაც თავიანთი ბრალდების დამტკიცების ტვირთი ეკისრებოდათ, ვერ შეძლეს ინფორმაციის სისწორის დასაბუთება. შესაბამისად, საკითხი იმისდა მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო, გააჩნდათ თუ არა მათ გონივრული საფუძველი (*reasonable basis*) თავიანთი მტკიცებებისა და მთლიანობაში რამდენად გამართლებული იყო სტატიების პუბლიკაცია.

რედაქტორებმა მიუთითეს, რომ ენტონი უაიტის გვარი და სურათი გამოქვეყნდა საერთაშორისო ახალი ამბების მედიაში და შვედეთის ტელევიზიით. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მედიის თითოეული საშუალება თავის პუბლიკაციაზე იყო პასუხისმგებელი. თავისთავად ფაქტი, რომ მომჩივნის გვარი და სურათი მედიის სხვა საშუალებებში უკვე გამოქვეყნებული იყო, არ ათავისუფლებდა „*Expressen*-ისა“ და „*Aftonbladet*-ის“ რედაქციებს ვალდებულებისაგან, შეეფასებინათ ინფორმაციის საიმედოობა. თუმცაღა იგივე ფაქტი იმასაც მეტყველებდა, რომ შესაბამისი ინფორმაციის გონივრული საფუძველი მართლაც

არსებობდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მტკიცებები ძირითადად სამხრეთ აფრიკის უშიშროების პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელის (*Dirk Goetzee*) განცხადებებს ეყრდნობოდა და გაზეთებმა სხვადასხვა ღონისძიებები გაატარეს ინფორმაციის გადასამოწმებლად. კერძოდ, დაუკავშირდნენ კოლეგა ჟურნალისტებს, სახელმწიფო მოხელეებს, აგრეთვე, ცხოველებისა და ბუნების დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. თუმცა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მათ ამ პირთა ვინაობა არ დაასახელეს.

ექვსი მოწმე ჟურნალისტის ჩვენებების შინაარსი მოწმობდა, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელის განცხადებების სიმართლეში და ენტონი უაიტის პიროვნების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული ჰქონდათ. მეტად საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ ინფორმაციები, რომლებიც ამ მოწმეებმა სხვადასხვა ქვეყნებიდან და სხვადასხვა ინფორმატორებისაგან მიიღეს, ერთმანეთს ემთხვეოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა და გაითვალისწინა, რომ სამხრეთ აფრიკის უშიშროების პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დაკითხა როგორც ჟურნალისტების ინფორმაციის წყარო, ტოვებდა ისეთი პიროვნების შთაბეჭდილებას, რომელიც ნდობას იმსახურებდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო განცხადებები შესაბამის გონივრულ საფუძველს ემყარებოდა. საბოლოო ჯამში, იმის გათვალისწინებით, რომ გაზეთებმა გადაამოწმეს ინფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, გონივრულ საფუძველს ემყარებოდა, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შესაბამისი სტატიების პუბლიკაცია გამართლებულად ჩაითვლებოდა.

უმაღლესმა სასამართლომ (2002 წლის 29 მაისი) ასევე უარი უთხრა მომჩივანს.

* * *

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ მას დაერღვა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, კერძოდ, გონივრულ ვადაში საქმის

განხილვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებები.

სამართლის საკითხები:

კონვენციის მე-6 მუხლის თაობაზე

ა) “გონივრული ვადის“ შეფასება

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდა სასამართლოებში მომჩივნის საქმის განხილვის საერთო ვადაშეადგინა 3 წელი და რვა თვე. საქმე განხილულ იქნა სამ ინსტანციაში, მათ შორის, ზეპირი მოსმენა ჩატარდა ორჯერ, დაიკითხა არაერთი მოწმე. ამ გარემოებების და საქმის სართულის გათვალისწინებით, არც საქმის განხილვის საერთო ვადა და არც დროის რომელიმე შუალედი ვერ ჩაითვლებოდა ექსცესურად გაჭიანურებულად.

შესაბამისად, ამ ნაწილში მომჩივნის საჩივარი აშკარად უსაფუძვლოდ მიიჩნია.

ბ) „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ შესახებ.

მომჩივანმა მიუთითა, რომ იგი არ იყო არც ულოფ პალეს მკვლელი, არც ბრაკონიერი და არც სხვა დანაშაულის ჩამდენი. იგი არასოდეს ყოფილა მსჯავრდებული რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის. მისი აზრით, შვედეთის სასამართლოებმა, რომლებმაც არ გაატარეს ღონისძიებები დიფამაციისაგან მის დასაცავად, თავად დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

ევროპულმა სასამართლომ დაბეჯითებით აღნიშნა, რომ დიფამაციის სისხლისსამართლებრივ ბრალდებაში (რომელიც მომჩივანმა წაუყენა მათ) რედაქტორების გამართლების ფაქტი სრულიადაც არ გულისხმობდა სასამართლოს მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევას; არცერთმა სასამართლომ არ მიიჩნია დადგენილად, რომ განცხადებები სინამდვილეს შეესაბამებოდა. მათ მხოლოდ ის გარემოება დაადასტურეს, რომ განცხადებები გონივრულ საფუძველს ემყარებოდა. პირიქით, ეროვნულმა სასამართლოებმა მიუთითეს, რომ მტკიცების ტვირთი რედაქტორებს ეკისრებოდათ. მათ კი ვერ შესძლეს ინფორმაციის

სისწორის დამტკიცება. რედაქტორთა გამართლება ძირითადად დაეკისრა ორ გარემოებას: მათ იზრუნეს მიღებული ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად, ხოლო არსებითად ეს ინფორმაცია გონივრულ საფუძველს ემყარებოდა. შვედეთის სასამართლოების გადაწყვეტილებათა არც ერთი დებულება არ გულისხმობდა დასკვნას მომჩივნის დამნაშავეობის თაობაზე. შესაბამისად, მომჩივნის საჩივარი ამ მიმართებაშიც აშკარად უსაფუძვლოდ უნდა მიჩნეულიყო.

რაც შეეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალა მას არ აძლევდა იმის შესაძლებლობას, განესაზღვრა მომჩივნის საჩივრის მისაღებობა ამ მიმართებაში და აუცილებლად მიაჩნდა საჩივრის ამ ნაწილის თაობაზე მოპასუხე სახელმწიფოსათვის შეტყობინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებაში გადადებულად, ხოლო დანარჩენ ნაწილში მიუღებლად გამოაცხადა.

42. უკრაინის მედია ჯგუფი უკრაინის
წინააღმდეგ
(Ukrainian Media Group v. Ukraine)
(N 72713/01)

საქმე შეეხება გაზეთის დაჯარიმებას
უკრაინაში 1999 წლის საპრეზიდენტო
არჩევნების დროს პრეზიდენტობის ორ
კანდიდატზე გამოქვეყნებული
სტატიებისათვის, რომლებშიც ისინი
პრეზიდენტ კუჩმასთან ფარულ
აღიანსში იყვნენ „მხილებული“

29 მარტი, 2005

განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი წარმოადგენს ყოველდღიური უკრაინული გაზეთის
„დღის“ („Ääíü“) მესაკუთრეს. ორ სტატიაში, რომლებიც შეეხებოდა
საპრეზიდენტო კამპანიას უკრაინაში 1999 წელს, ავტორმა გააკეთა
კრიტიკული განცხადებები ორი პოლიტიკური მოღვაწის – ნატალია
ვიტრენკოს (უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის
ლიდერის) და პეტრო სიმონენკოს (უკრაინის კომუნისტური
პარტიის ლიდერის) შესახებ.

პირველი სტატია გამოქვეყნდა 1999 წლის 21 აგვისტოს, მეორე
– 14 სექტემბერს. სტატიებში გადმოცემული იყო წინასაარჩევნო
პოლიტიკური ვითარების ანალიზი, გამოთქმული იყო აზრი, რომ
ქნი ვიტრენკო და ბ-ნი სიმონენკო პრეზიდენტ კუჩმასთან ფარულ
აღიანსში იმყოფებოდნენ და წინასწარ დადგმული სცენარის
მიხედვით მოქმედებდნენ.

პოლიტიკოსებმა სარჩელი შეიტანეს გაზეთის წინააღმდეგ, ქ-
ნმა ვიტრენკომ – პირველი, ხოლო ბ-ნმა სიმონენკომ – მეორე
სტატიის გამო. მათ მიუთითეს, რომ სტატიებში გამოქვეყნებული
ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ლახავდა მათ ღირსებას,
რეპუტაციას და მოითხოვეს კომპენსაცია.

კიევის რაიონულმა სასამართლომ (2000 წლის 3 მარტისა და 8 ივნისის გადაწყვეტილებები) მიიჩნია, რომ სტატიებში გამოქვეყნებული ინფორმაციები მცდარი იყო, ვინაიდან ავტორმა ვერ დაამტკიცა მათი სინამდვილე. გაზეთს დაეკისრა ქ-ნი ვიტრენკოს სასარგებლოდ UAH 2000-ის (369,68 ევროს), ხოლო ბ-ნ სიმონენკოს სასარგებლოდ UAH 1000-ის (184,84 ევროს) გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, აგრეთვე, დაავალდებულა გამოექვეყნებინა შესაბამისი ინფორმაციების რექტიფიკაცია.

კიევის საქალაქო სასამართლომ თავისი 2000 წლის 12 ივლისისა და 16 აგვისტოს განჩინებებით ძალაში დატოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები.

* * *

ევროპული სასამართლოს განჩინებაში გადმოცემულია ამონარიდები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა (2003 წ.) და ევროპული პარლამენტის (2004 წ.) რეზოლუციებიდან, აგრეთვე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოხსენებიდან (2004 წ.), რომლებშიც მითითებულია უკრაინაში ხელისუფლების მხრიდან მედიაზე ზეწოლის, მის საქმიანობაში თვითნებური ადმინისტრაციული ჩარევის, ცენზურის, ცალკეულ საინფორმაციო საშუალებებისა და ჟურნალისტების დევნის შესახებ; გამოთქმულია რეკომენდაციები უკრაინაში მედიის თავისუფლების უზრუნველყოფად (იხ. განჩინების მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე პუნქტები).

სამართლის საკითხები:

1. საჩივრის განხილვის გაგრძელება

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, მომჩივანმა კომპანია და მოპასუხე სახელმწიფომ მორიგებას მიაღწიეს, მაგრამ მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა საჩივრის ამორიცხვა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან. საჩივრის ხასიათის სერიოზულობიდან გაპომდინარე, მას აუცილებლად ესახებოდა მისი არსებითად განხილვა

(37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბოლო ნაწილი, 38-ე მუხლის 1-ლი (b) პუნქტი).

2. კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ

მომჩივანმა მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ განასხვავეს ერთმანეთისაგან „შეფასებითი მსჯელობა“ და „ფაქტების გადმოცემა“, რამაც გამოიწვია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გავრცელების მათი უფლების დარღვევა.

2.1. სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართალი.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში თავისი პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და მიდგომებზე:

– პრესა ასრულებს არსებით როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მართალია, მან არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, განსაკუთრებით კი სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ მის მოვალეობას შეადგენს ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, ამასთანავე, ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამება მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას (*De Haes and Gijssels v. Belgium*, judgment of 24 February, 1997, §37); არა მარტო პრესას აქვს ამოცანა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, არამედ ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ისინი. სხვაგვარად პრესა ვერ შესძლებს შეასრულოს „საზოგადოების მოდარაჯე ნაგაზის“ სასიცოცხლო ფუნქცია (*Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, judgment of 25 June, 1992, Series A. no. 239, p.28. §63).

– პოლიტიკურ ან საზოგადოებრივი ინტერესის სხვა საკითხთა შესახებ დისკუსიის სფეროში კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი შეზღუდვის მცირე ფარგლებს ითვალისწინებს (*Sürek v. Turkey*, no. 1. §61. ECHR, 1999-IV). დასაშვები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსთან მიმართებაში უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებაში, რამდენადაც მათ შეგნებულად და ნებაყოფლობით

დაუშვეს, რომ მათი თითოეული სიტყვა საზოგადოებისა და ჟურნალისტთა მხრიდან განსაკუთრებული განხილვის საგანი იქნებოდა. ამიტომ მათ დიდი მოთმინება მოეთხოვებათ. პოლიტიკოსს, მაშინაც კი, თუ ის არ მოქმედებს თავისი ინდივიდუალური (პირადი) უფლებამოსილებით, გააჩნია რეპუტაციის დაცულობის უფლება, მაგრამ ასეთი დაცულობის მოთხოვნა უნდა აიწონოს პოლიტიკურ საკითხებზე ღია დისკუსიის ინტერესის გათვალისწინებით (*Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1926. Series A. no.103. p. 26 §42).

– მე-10 მუხლი იცავს არა მარტო იდეებისა და ინფორმაციების შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც (*Oberschlick v. Austria* (no.1) judgment of 23 May 1991. Series A. no.204. p.25. §57). ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობს განსაზღვრულ გადაჭარბებასა და თვით პროვოკაციასაც კი (*Praeger and Oberschlick v. Austria* (no.1) judgment of 26 April 1995, series A. no. 313. p.19. §38).

– სასამართლომ თავისი პრეცედენტულ სამართალში განასხვავა „ფაქტების გადმოცემა“ და „შეფასებითი მსჯელობა“. მაშინ, როდესაც ფაქტების დემონსტრაცია შესაძლებელია, შეფასებითი მსჯელობა არ ექვემდებარება მტკიცებას. შეფასებითი მსჯელობის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების მოთხოვნა არღვევს საკუთრივ „აზრის თავისუფლებას“, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების უძირითადეს ნაწილს (*Lingens*, p.28, §46).

– თუმცა, მაშინაც კი, როდესაც განცხადება „შეფასებითი მსჯელობას“ წარმოადგენს, ჩარევის თანაზომიერების შეფასება შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს იმაზე, არსებობდა თუ არა შესაბამისი სადავო განცხადების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი; შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს, თუკი იგი არ ემყარება საკმარის ფაქტობრივ საფუძველს (*De Haes and Gijssels v. Belgium*, judgment, p.236. §47).

2.2. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება მოცემულ საქმეში

2.2.1. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

მომჩივანმა მიუთითა, რომ „ჩარევა“ არ იყო კანონით გათვალისწინებული. მისი აზრით, ჩარევა არ იყო განჭვრეტადი, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები, ისევე, როგორც მედიის შესახებ აქტის 42-ე მუხლი, განსხვავებულად შეიძლება განმარტებულიყო. უკრაინის სასამართლოებმა შესაბამისი განცხადებები მიიჩნიეს „ფაქტების გადმოცემად“, მაშინ, როდესაც ისინი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით „შეფასებით მსჯელობად“ უნდა მიჩნეულიყო.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „კანონის განჭვრეტადობა“ გულისხმობდა მოთხოვნას, მოქალაქეს ჰქონოდა შესაძლებლობა, მის საფუძველზე დაერეგულირებინა თავისი მოქმედება; თუნდაც რჩევა-დარიგების საფუძველზე შესაძლებელი უნდა ყოფილიყო განჭვრეტა იმ ხარისხით, რაც შესაბამის გარემოებებში გონივრულად ჩაითვლებოდა (*Rekvenyi v. Hungary* [GC], §34, ECHR 1999-III).

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა კანონმდებლობა შესაძლოა მართლაც არ შეესაბამებოდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლით დამკვიდრებულ მოთხოვნებს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეს გავლენას ვერ მოახდენდა „განჭვრეტადობის“ შეფასებაზე. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნული კანონმდებლობა საკმარისი ხარისხით იყო განჭვრეტადი და მომჩივნის არგუმენტი ფაქტობრივად მხოლოდ „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასებისათვის იყო არსებითი და მნიშვნელოვანი.

2.2.2. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა დასახულ „კანონიერ მიზანს“.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის მოსაზრება, რომ ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – სხვა

პირთა (კერძოდ ბ-ნი სიმონენკოსა და ქ-ნი ვიტრენკოს) უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას.

2.2.3. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უნდა შემოწმებულიყო ორი ასპექტი:

პირველი – შეესაბამებოდა თუ არა უკრაინის შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა კონვენციის სამართალსა და პრაქტიკას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში.

მეორე – შეძლეს თუ არა შიდა სასამართლოებმა, უზრუნველყოთ აზრის გამოხატვის თავისუფლება.

2.2.3.1. კანონმდებლობის შესაბამისობა

მხარეთა მოსაზრებანი

მთავრობის აზრით, უკრაინული სამართალი და პრაქტიკა მთლიანად შეესაბამებოდა კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. მოწივნის აზრით, შიდა სამართალი და კანონმდებლობა „შეფასებით მსჯელობასთან“ მიმართებაში განჭვრეტადი არ იყო.

სასამართლოს შეფასება

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფამაციის შესახებ უკრაინული სამართლის ნორმები (იმ დროისათვის) არ ანსხვავებდნენ „შეფასებით მსჯელობასა“ და „ფაქტების გადმოცემას“. გამოიყენებოდა ტერმინი „განცხადება“ („statements“ (ВИДОМОСТІ)). შესაბამისად ის ექვემდებარებოდა დამტკიცებას სამოქალაქო პროცესში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმავდროულად, იგი მხედველობაში იღებდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციას, ევროპული პარლამენტის რეზოლუციას, აგრეთვე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „ჰუმან რაიტს უოტჩის“ (Human Rights Watch), აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და „მე-19 მუხლის“ მოხსენებებს უკრაინაში აზრის გამოხატვის თავისუფლების

საკითხზე (განჩინების მე-18, მე-19, მე-20, 21-ე, 34-ე, 35-ე და 36-ე პუნქტები).

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, სადავო ინფორმაციის გამავრცელებელი პირი ვალდებული იყო, დაემტკიცებინა მისი სინამდვილე (ამასვე მიუთითებდა უკრაინის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1990 წლის 28 სექტემბრის დადგენილების 27-ე პუნქტი). მტკიცების ასეთივე ტვირთი იყო დადგენილი „შეფასებით მსჯელობასთან“ მიმართებაშიც. ეს მიდგომა მთლიანად შეესაბამებოდა ბეჭდვითი მასმედიის (პრესის) შესახებ აქტის 370-ე მუხლს, რომლის მიხედვით, მედიას ევალებოდა გავრცელებული განცხადების რექტიფიკაცია, თუ მისი სინამდვილესთან შესაბამისობა ვერ დამტკიცდებოდა. ახალი სამოქალაქო კოდექსის 277-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი (2003წ.) პიროვნების შესახებ გავრცელებული ნებისმიერი ნეგატიური ინფორმაცია მიჩნეული უნდა ყოფილიყო სიყალბედ. თუმცა იმავე კოდექსის 277-ე მუხლის მე-6 პუნქტი ინფორმაციის სიყალბის ანდა მისი ცილისმწამებლური ხასიათის დამტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებდა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ იმ დროისათვის ახალი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები ჯერ არ მოქმედებდა და ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შიდა სასამართლოები ძირითადად იყენებდნენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიდგომას, რომლის მიხედვით, ფაქტების კრიტიკული შეფასება არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს მორალური ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის მისანიჭებლად; მაგრამ, თუ რეპუტაციის უფლება დარღვეული იყო, მაშინაც კი, როდესაც დიფამაციური განცხადება „შეფასებით მსჯელობას“ წარმოადგენდა, სასამართლოები, როგორც წესი, კომპენსაციას ანიჭებდნენ. ასე რომ, შიდა სამართლის მიხედვით საჯარო პირის პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის ინტერესი გადასწონიდა მათი ღია კრიტიკის შესაძლებლობას.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ უკრაინის შიდა სამართალმა და შესაბამისმა პრაქტიკამ სასამართლოებს (მოცემული

საქმის შემთხვევაში) აღუკვეთა შესაძლებლობა, განესხვავებინათ „შეფასებითი მსჯელობა“, „პატიოსანი კომენტარი“ ან სხვა განცხადებები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ დამტკიცებას. სასამართლოს აზრით, შიდა სამართალი შეიცავდა მოუქნელ ელემენტებს (*inflexible elements*), რომელთა გამოყენებას შეეძლო გამოეწვია კონვენციის მე-10 მუხლთან შეუთავსებელი გადაწყვეტილებები.

2.2.3.2. წინამდებარე საქმის შედეგები

მხარეთა მოსაზრებანი

მოპასუხე მთავრობამ მიუთითა, რომ ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამდენადაც არსებობდა საამისო „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, ხოლო გამოყენებული ღონისძიება კი დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი იყო.

მომჩივნის აზრით, ჩარევა აუცილებელი არ იყო, იმდენად, რამდენადაც სტატიები წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“, რომლის დამტკიცებაც შეუძლებელი იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებები, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ჟურნალისტთა შეხედულებებზე პოლიტიკური ცენზურის განხორციელების ერთგვარ ფორმას და მიზნად ისახავდა პოლიტიკური დისკუსიისაგან პრესის ჩამოშორებას. გამოყენებული სანქცია ემსახურებოდა პრესის, როგორც „ინფორმაციის წყაროსა“ და „ხელისუფლებაზე კონტროლის მექანიზმის“ საქმიანობის აღკვეთას. მომჩივანმა მიუთითა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების პიროვნული თვისებები, მათი უნარი, დაეარსებინათ თანამოაზრე ადამიანთა გუნდი, განხორციელებინათ დაპირებები და უზრუნველყოს მორალური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობა ქვეყნის საკეთილდღეოდ, წარმოადგენდა სადავო პუბლიკაციებში განხილული საკითხების ძირითად არსს. უფრო მეტიც, პოლიტიკოსთა ღია კრიტიკა და მათ თვისებებზე მსჯელობა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, ამიტომ, მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიები დარღვეული იყო.

სასამართლოს შეფასება

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ორივე სადავო სტატია შეიცავდა კრიტიკულ განცხადებებს ქ-ნი ნატალია ვიტრენკოსა და ბ-ნი პეტრო სიმონენკოს მიმართ. ორივე მათგანი წარმოადგენდა პრეზიდენტობის კანდიდატს 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში; ისინი იმჟამადაც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. სტატიები ძირითადად ფოკუსირებული იყო პრეზიდენტ კუჩმას ადმინისტრაციის სავარაუდო შეთანხმებებზე ამ პოლიტიკოსებთან და მათი, როგორც პოლიტიკური ფიგურების კრიტიკაზე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიის სადავო განცხადებები „ლებედის უკრაინული ვერსია“, „ჩვენი და თქვენი ნატაშა“ „საფრთხობელა“ „პრეზიდენტის ადმინისტრაციის რუპორი მოქმედებს როგორც ჟირინოვსკი უკრაინაში“ და სხვა, წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“, რომელიც გამოყენებული იყო პოლიტიკური რიტორიკის დროს და ამიტომ არ ექვემდებარებოდა დამტკიცებას. უფრო მეტიც, სტატიები შეეხებოდა მოსარჩელეთა პროფესიულ საქმიანობას და გამოთქმული განცხადებები თავსდებოდა „შეფასებით მსჯელობის“ ფარგლებში.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პუბლიკაციაში გამოყენებული იყო მკაცრი, პოლემიკური და სარკასტული გამონათქვამები. ეჭვგარეშე იყო, რომ მოსარჩელები შეურაცხყოფილები და იქნებ გაოგნებულებიც დარჩნენ; მაგრამ პოლიტიკოსის პროფესიის არჩევით, მათ შეგნებულად თვითონვე დაიყენეს თავი კრიტიკის ქარ-ცეცხლის ქვეშ. ეს იყო ისეთი ტვირთი, რომელიც პოლიტიკოსებს უნდა ეზიდათ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სტატიების ტექსტების მთლიანობაში შეფასებისა და დაპირისპირებული ინტერესების დაბალანსების შედეგად ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უკრაინულმა სასამართლოებმა გადალახეს შეფასების თავისუფლების ის ფარგლები, რომელიც კონვენციის საფუძველზე ჰქონდათ მინიჭებული. მომჩივანთა დადანაშაულება დიფამაციის ჩადენისათვის წარმოადგენდა აშკარად არაპროპორციულ ღონისძიებას დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული ჩარევისათვის არ არსებობდა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც გადასწონიდა საარჩევნო კამპანიისა და მასში მონაწილე პირთა შესახებ კანონიერი პოლიტიკური დისკუსიის საჯარო ინტერესს. უკრაინის სასამართლოების მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-10 მუხლის პრინციპებთან, ამიტომ ჩარევის გასამართლებლად მითითებული საფუძვლები ვერ ჩაითვლებოდა „საკმარისად“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ერთხმად ცნო კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

მომჩივანმა მოითხოვა UAH 300 (588,12 ევრო) მატერიალური ზიანისათვის, ხოლო მორალური ზიანისათვის – 33000 ევრო. მან მიუთითა, რომ უკრაინის სასამართლოების გადაწყვეტილებებს შედეგად მოჰყვა არაერთი უარყოფითი მოვლენა. გაზეთის რედაქციის თანამშრომლები და ჟურნალისტები დაექვემდებარნენ ზეწოლასა და ცენზურას და მათ ვეღარ შეძლეს თავისუფლად გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები უკრაინაში მომხდარ პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებზე. შესაბამისად, გაზეთმა დაკარგა ხელმომწერები; შემცირდა მისი გავრცელება; წამყვანმა ჟურნალისტებმა და რედაქციის თანამშრომლებმა კი დატოვეს გაზეთი. უფრო მეტიც, გაზეთ „დღეს“, როგორც „ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელს“, შეელახა რეპუტაციაც.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი კონვენციის დარღვევასა და იმ მორალურ ზიანს შორის, რომელიც მომჩივანმა განიცადა. მან დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და მიანიჭა მას UAH 3000-ის (588,12 ევროს) კომპენსაცია მატერიალური ზიანისათვის და 33000 ევრო მორალური ზიანისათვის, აგრეთვე, დაადგინა მისთვის სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

43. ალინაკი თურქეთის წინააღმდეგ

(Alinak v. Turkey)

(N 39930/98)

საქმე შეეხება მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე მოძიების წიგნის კონფისკაციას იმ მოტივით, რომ წიგნში გადმოცემული ნოველა აღძრავდა ადამიანებისადმი სიძულვილს ეთნიკურ და სხვა ნიადაგზე

29 მარტი, 2005 წ.

განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი ცხოვრობს ქანკარაში. იგი იურისტია და თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის ყოფილი წევრი. მან დაწერა ნოველა „სიროს განრისხება“ („*The Heat of Siro*“). წიგნი ეფუძნებოდა რეალურ მოვლენებს, რომელიც მოხდა სირნაკის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში (იგულისხმება უშიშროების სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დატრიალებული ტრაგედია, რასაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა). წიგნი გამოქვეყნდა 1977 წლის სექტემბერში. სტამბულის უშიშროების სასამართლოს პროკურორმა მოითხოვა წიგნის ასლების კონფისკაცია, ვინაიდან, მისი დასკვნით, იგი აღვივებდა სიძულვილსა და ზიზღს, ხოლო თურქეთის მოქალაქეებს განასხვავებდა მათი ეთნიკურობისა და საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით. 1997 წლის ოქტომბერში ამავე სასამართლოს მოსამართლემ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება წიგნების კონფისკაციის შესახებ. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ნოველაში არაერთი პასაჟი აღძრავდა ადამიანებისადმი სიძულვილსა და ზიზღს ეთნიკურ თუ სხვა ნიადაგზე. სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, „აზრის გამოხატვის თავისუფლება“ „მხატვრული საშუალებებით გამოხატვას“ (*Artistic expression*) მოიცავდა, მაგრამ ეს თავისუფლება აბსოლუტური არ იყო და შეიძლებოდა შეზღუდულიყო.

მომჩივნის განმარტებით, წიგნების კონფისკაცია განხორციელდა; თუმცა, კონფისკაციის ოქმის მიხედვით, რომელსაც წიგნის გამოშვები საგამომცემლო კომპანიის მეპატრონეც აწერს ხელს, წიგნის ასლები ვერ აღმოაჩინეს.

ნოველაში სადავო ადგილები უკავშირდებოდა პერსონაჟების – სოფლის ორი მცხოვრებლის (მოხუცის და ახალგაზრდის) საუბარს. საუბარში გამოხატული იყო სიძულვილი და აგრესია იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ ტრაგიკული მოვლენების განვითარებაში. ისინი მოხსენიებულნი იყვნენ „ტირანებად“ და ნათქვამი იყო, რომ არ არსებობდა მათი დამარცხების სხვა გზა, გარდა მათი განადგურებისა და რომ ყველანი წინ უნდა აღდგომოდნენ ტირანიის მანქანას, რომელიც აგრძელებდა თავის მუშაობას. გამოყენებული იყო მეტისმეტად მწვავე აგრესიული გამონათქვამები.

მომჩივანმა 1997 წლის ოქტომბერში გაასაჩივრა კონფისკაციის ბრძანება, მაგრამ უშედეგოდ.

1997 წლის ნოემბერში სტამბულის უშიშროების სასამართლოს პროკურორმა აღძრა საქმე მომჩივნის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებისათვის და მოითხოვა მისი დასჯა „ტერორიზმის თავიდან აცილების აქტის“ (1941 წ.) საფუძველზე.

1999 წელს სასამართლომ შეაჩერა მომჩივნის წინააღმდეგ საქმის განხილვა, თუმცა, მომჩივნის მოთხოვნა კონფისკაციის ბრძანების გაუქმების შესახებ უპასუხოდ დატოვა.

სამართლის საკითხები:

სასამართლომ უდაოდ მიიჩნია, რომ წიგნების კონფისკაციის ბრძანება წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აქტს და მიუთითა, რომ წერილობითი დოკუმენტებისა და წიგნების გამოქვეყნება წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

უდავო იყო ისიც, რომ კონფისკაცია ემყარებოდა თურქეთის კონსტიტუციის 28-ე მუხლსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლს და, მაშასადაძე, იყო „კანონით გათვალისწინებული“.

ამასთანავე, ის ისახავდა კანონიერ მიზანს, კერძოდ, დანაშაულისა და უწესრიგობის თავიდან აცილებას, ვინაიდან წიგნის ზოგიერთ პასაჟს შეეძლო წაექეზებინა ხალხი უკანონო მოქმედებისაკენ.

რაც შეეხება შეზღუდვის „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“:

მომჩივანის არგუმენტები:

მომჩივანი მიუთითებდა, რომ მისი წიგნი იყო ნოველა – გამოგონილი ამბავი, თუმცა ეყრდნობოდა რეალურ მოვლენებს – თურქეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებს სოფელ ორმანიკის (*Ormanic*) მცხოვრებთა მიმართ. მისი აზრით, ხელისუფლებას გულდასმით რომ წაეკითხა მისი ნოველა, დარწმუნდებოდა, რომ წიგნში ნაჩვენები იყო სხვადასხვა ეთნიკური წარმომშობის ადამიანთა განსხვავებული ბუნება ისე, რომ არ იყო მითითებული უშიშროების სამსახურის იმ თანამშრომელთა გვარები ანდა თანამდებობა, ვინც რეალურად მიიღო მონაწილეობა სოფლის დარბევაში. ნოველაში იმ მოვლენების ასახვა, თუ როგორ განხორციელდა ადამიანთა მკვლელობა და წამება ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან, არ გულისხმობდა იმას, რომ წიგნი შეურაცხყოფდა უშიშროების განურჩევლად ყველა თანამშრომელს. მისი აზრით, რაკი კონფისკაციის ბრძანება ჯერ კიდევ ძალაში იყო, ეს კი არღვევდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

მთავრობის არგუმენტები:

მთავრობის აზრით, წიგნის არაერთი პასაჟი შეურაცხყოფდა უშიშროების სამსახურს, აღვივებდა შურისძიების გრძნობას და წარმოადგენდა აგრესიისაკენ წაქეზებას. მომჩივანი იყო კარგად ცნობილი პოლიტიკური ფიგურა და მის აზრსა და შეხედულებებს დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე. რაც შეეხებოდა კონფისკაციას, მთავრობის აზრით, ეს საკითხი აქტუალური აღარ იყო, ვინაიდან წიგნები თურქეთის წიგნის მაღაზიებში უკვე ფართოდ იყო გავრცელებული.

ევროპული სასამართლოს შეფასება:

ევროპულმა სასამართლომ თავდაპირველად მიუთითა, რომ პუბლიკაციის შეფერხება, თუნდაც მოკლე დროით, ამცირებდა მის ღირებულებას და მისდამი ინტერესს. ცენზურის საშიშროება თანაბრად შეეხებოდა როგორც პერიოდულ, ისე – სხვა გამოცემებს.

სასამართლომ შემდეგ აღნიშნა, რომ მომჩივნის წიგნი წარმოადგენდა ფიქციურ (გამოგონილ) ნოველას, რომელიც რეალური მოვლენებით იყო ნასულდგმულები. წიგნს თანდართული ჰქონდა ზოგიერთი საგაზეთო ამონაჭერი რეალური ისტორიული მოვლენების შესახებ. უდავო იყო ის გარემოება, რომ წიგნი არ იყო ნეიტრალური პოზიციის გამომხატველი. იგი კონცენტრირებული იყო იმ ტრაგედიაზე, რომელიც სოფელმა განიცადა უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მოქმედებების შედეგად და მის უშედეგო მცდელობაზე, მიეღწით დამნაშავეთა დასჯისათვის ჩადენილის გამო. სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ ნოველაში არსად იყო დასახელებული მოძალადეთა ვინაობა. უდავო იყო, რომ მკითხველის თვალში ის გამოიწვევდა შეურიგებლობის გრძნობას იმ უსამართლობისადმი, რომელიც სოფლის მცხოვრებლებმა განიცადეს. ზოგიერთ პასაჟს მართლაც შეეძლო აღეძრა სიძულვილისა და შურისძიების გრძნობები და წაექვზებინა სამართალდარღვევათა ჩადენა. მაგრამ იმის შეფასებისას, მართლაც იქონია თუ არა წიგნმა ასეთი ეფექტი, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, რომ საქმე ჰქონდათ ნოველასთან, ანუ გამოხატვის მხატვრულ ფორმასთან, რაც გულისხმობდა შედარებით ნაკლებ აუდიტორიას, ვიდრე, მაგალითად, მასმედია. იდეებისა და ინფორმაციის გამოხატვის მხატვრული ფორმა დაცული იყო კონვენციის მე-10 მუხლით (*Müller and Others v. Switzerland*). სასამართლოს განმარტებით, ვინც ქმნიდა, ავრცელებდა და გამოფენდა მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს, ამით მას თავისი წვლილი შეჰქონდა იდეებისა და შეხედულებების ურთიერთგაცვლაში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ მოუთხტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გათვალისწინებულიყო ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტი და თურქეთის ხელისუფლების შეშფოთება ისეთი შეხედულებების გავრცელების გამო, რაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა.

მან აღნიშნა, რომ, მართალია, მომჩივანი თურქეთის პარლამენტის ყოფილი წევრი იყო, მაგრამ ამ დროისათვის იგი კერძო პირს წარმოადგენდა და ნოველაში გამოთქმული მისი შეხედულებები, დანამდვილებით, მხოლოდ მცირე აუდიტორიამდე თუ მიაღწევდა. მართალია, ნოველის ზოგიერთი ადგილი სიძულვილისა და ზიზღის გამომხატველი იყო, მაგრამ მათი მხატვრული ფორმა და შეზღუდული ფექტის შესაძლებლობა ამცირებდა მათ საშიშროებას. გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, ყოველივე ეს ტრაგიკული მოვლენების ღრმა განცდის გამომხატველი უფრო იყო, ვიდრე ძალადობისაკენ აშკარა მოწოდება.

სასამართლო მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ მომჩივნის მოთხოვნა წიგნების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ იყო დაკმაყოფილებული და წიგნების მომავალი ბედი კვლავაც არ იყო განსაზღვრული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის წიგნების კონფისკაციის შესახებ სასამართლოს ბრძანება წარმოადგენდა არათანაზომიერ ღონისძიებას დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში და, ამდენად, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

შესაბამისად, მან ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა შესაბამისი მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ, რის გამოც იგი სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხს, სასამართლოს რეგლამენტის მე-60 წესის ძალით, ვეღარ გადაწყვეტდა.

44. სალოვი უკრაინის წინააღმდეგ
(Salov v. Ukraine)
(N 65518/01)

საქმე შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის სისხლის სამართლებრივ მსჯელობას უკრაინაში 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში სტატიის გავრცელებისათვის, რომელშიც მითითებული იყო ყალბი ინფორმაცია პრეზიდენტ კუჩმას სიკვდილის თაობაზე

6 სექტემბერი, 2005 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მისწვლია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი უკრაინის მოქალაქეა, დაბადებულია 1958 წელს და ცხოვრობს ქ.დონეცკში. იგი პროფესიით ადვოკატია.

1999 წლის 31 ივლისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იგი რეგისტრაციაში გაატარა, როგორც უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის – ა.მოროზის (რომელიც იმხანად უკრაინის სოციალისტური პარტიის ლიდერი იყო) წარმომადგენელი.

1999 წლის 31 ოქტომბერს სალოვის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განხორციელებაში ჩარევის ბრალდებით (უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 127 (2)-ე მუხლი).

1999 წლის 1 ნოემბერს მომჩივანს ბრალი დასდეს ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში პრეზიდენტობის კანდიდატის – იმჟამინდელ პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას სიკვდილის შესახებ. კერძოდ იმაში, რომ მან გაავრცელა „ვერზოვნა რადას“ (პარლამენტი) სპიკერ ატკაჩენკოს განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა პარლამენტის გაზეთში „გოლოს უკრაინი“ (Голос України). მომჩივნის მიერ გავრცელებულ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პირი, რომელიც გამოჩნდა ტელევიზიით და ბოლო კვირის განმავლობაში მოგზაურობდა მთელს ქვეყანაში როგორც უკრაინის პრეზიდენტი ლ.კუჩმა, სინამდვილეში იყო მისი კლონი, რომელიც შექმნა კუჩმას

კრიმინალურმა გარემომ ხალხის მოსატყუებლად და რომ პრეზიდენტი კუჩმა სინამდვილეში გარდაიცვალა 1999 წლის 24 ოქტომბერს ალკოჰოლური მიოკარდიოლისტროფიით გამოწვეული გულის მწვავე უკმარისობის შედეგად.

3 ნოემბერს მომჩივანი დააპატიმრეს, ხოლო 5 ნოემბერს ოფიციალურად წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 127(2)-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდება. 16 ნოემბერს სამედიცინო შემოწმების შემდეგ ის გადაიყვანეს საავადმყოფოში.

1999 წლის 25 ნოემბერს საქმე გადაეცა დონეცკის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ 2000 წლის 7 მარტს გამოიტანა დადგენილება საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ. პროკურორის პროტესტის საფუძველზე დონეცკის სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტმა გააუქმა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების დადგენილება და უარი უთხრა მომჩივნის შუამდგომლობას პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. 2000 წლის 16 ივნისს სამხარეო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიება შეუკვალა გაუსვლელი ხელწერილით.

2000 წლის 6 ივლისს სამხარეო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო არჩევნების შედეგებზე მოტყუების გზით ზეგავლენის მოხდენის მიზნით მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განზორციელებაში ჩარევისათვის. მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც გადაეცა ორწლიანი საგამოცდო ვადით. მასვე დაეკისრა ჯარიმის გადახდა.

მომჩივნის საკასაციო საჩივარი დონეცკის სამხარეო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. უკრაინის უმაღლესმა სასამართლომ ასევე უარი უთხრა მომჩივანს საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის თხოვნაზე.

დონეცკის ადვოკატთა საკვალიფიკაციო და დისციპლინურმა კომისიამ გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე 2000 წლის 22 ნოემბერს გააუქმა მომჩივნის საადვოკატო პრაქტიკის ლიცენზია.

2004 წლის 23 აპრილს მომჩივანმა მიიღო ახალი ლიცენზია ადვოკატთა საკვალიფიკაციო და სადისციპლინო კომისიაში გამოცდის ჩაბარების შედეგად. მას გამოცდის ჩაბარების ნება სასამართლობის გაქარწყლების შემდეგ დაერთო.

2000 წლის ივლისში მომჩივანმა ვოროშილოვსკის რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი დონეცკის პროკურატურისა და შს სამინისტროს დონეცკის რეგიონური განყოფილების წინააღმდეგ და მოითხოვა კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზიანისათვის, რომელიც მან ათღლიანი უკანონო პატიმრობის შედეგად განიცადა.

2001 წლის 15 ივნისს იაროსლავსკის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი სარჩელი და დონეცკის პროკურატურას და შს დონეცკის რეგიონულ განყოფილებას დააკისრა მისთვის 3000 UAH-ის (500 ევროს) გადახდა.

დონეცკის სამხარეო სააპელაციო სასამართლომ (2001 წლის 22 ნოემბერი) გადაწყვიტა, რომ ზემოაღნიშნული კომპენსაციის გადახდა სახელმწიფოს ხაზინიდან უნდა განხორციელებულიყო.

მომჩივანს საკომპენსაციო თანხა არ გადაუხადეს.

სამართლის საკითხები:

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ მას დაერღვა კონვენციის მე-5, მე-6 და მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

ევროპულმა სასამართლოს აზრით, მხარეთა საერთო პოზიციას გამოხატავდა შეფასება, რომ მომჩივნის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება წარმოადგენდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. შეუთანხმებლობა უკავშირდებოდა საკითხებს, იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“, ემსახურებოდა თუ არა კანონიერ მიზანს – „სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას“ კონვენციის მე-10 (II) მუხლის გაგებით და იყო თუ არა იგი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

მხარეთა არგუმენტები:

1. მოპასუხე მთავრობის შეხედულებით, მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით, კერძოდ, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – ელექტორატის

უფლებების დაცვას, აერჩია უკრაინის პრეზიდენტი თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის მეშვეობით. ამასთან, ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არჩევნების პროცესში ხალხის ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვის უზრუნველყოფას და დემოკრატიული საზოგადოების დაცვას ამ პროცესში ჩარევისაგან. პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციების გავრცელება შეესაბამებოდა ელექტორატის ინტერესებს, მაგრამ ყალბი ინფორმაციების გავრცელებას, შეეძლო ზიანი მიეყენებინა კანდიდატის რეპუტაციისათვის და შეეძლო აღეკვეთა მისთვის ეფექტიანი საარჩევნო კამპანიის წარმოება.

მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოძივანმა, რომელიც მოქმედებდა როგორც პრეზიდენტობის სხვა კანდიდატის წარმომადგენელი, გაავრცელა ყალბი ინფორმაცია ამ უკანასკნელის კონკურენტის სიკვდილის შესახებ. ამით მან მონაწილეობა მიიღო უპატიოსნო საარჩევნო კამპანიაში და ზიანი მიაყენა უკრაინის საზოგადოების ინტერესს, ჩაეტარებინა სამართლიანი არჩევნები. უკრაინული სასამართლოები, რომლებმაც დაადანაშაულეს მოძივანი სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართალდარღვევის ჩადენაში, მოქმედებდნენ შეფასების თავისუფლების მათთვის მიკუთვნებულ ფარგლებში. მოძივანს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა გადაევადა ორი წლით საგამოცდო ვადით, რაც არ შეიძლებოდა არათანაზომიერ ღონისძიებად მიჩნეულიყო მოცემულ გარემოებებში.

მოძივანმა განმარტა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი მას არ აძლევდა იმის განჭვრეტის შესაძლებლობას, რომ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ. მისი შეხედულებით, უნდა გამოეყენებინათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 186-ე (II) მუხლი. მანვე მიუთითა, რომ არჩევნების პერიოდში პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების შესახებაც გავრცელდა ყალბი ინფორმაციები, მაგრამ სანქციები არავის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული. რაც შეეხება გადაწყვეტილებას საგამოცდო ვადის დაწესების შესახებ, ეს გარემოება სწორედ იმაზე მეტყველებდა, რომ სასამართლოებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მისი ბრალდების აბსურდულობა.

სასამართლოს შეფასება

1. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკის ან საზოგადოებრივი ინტერესის სხვა საკითხებზე დისკუსიების შესაზღვრულად კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ძალზე მცირე ფარგლებს ითვალისწინებდა (*Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1986; Series A no.103. p.26. §42. and *Castells v. Spain*, judgment of 23 April, 1992, Series A no.236, p.23, §43). მართალია, ეს თავისუფლება ექვემდებარებოდა გამონაკლისებს, მაგრამ ისინი დამაჯერებლად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული.

ტესტი – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ სასამართლოს ავალდებულებდა განესაზღვრა, შეესაბამებოდა თუ არა უფლებაში ჩარევა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, იყო თუ არა იგი დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი, ზოლო მისი საფუძველი – „შესაბამისი და საკმარისი“ (*Sunday Times (NI) v. The United Kingdom*, judgment of 26 April 1979, Series A no.30, p.38, §62). უფლებაში ჩარევის საჭიროების შეფასებისას ეროვნულ ხელისუფლებას გააჩნდა შეფასების თავისუფლების განსაზღვრული ფარგლები, რომელიც ექვემდებარებოდა ევროპულ ზედამხედველობას; ევროპულ სასამართლოს უნდა გამოეტანა საბოლოო დასკვნა იმის თაობაზე, შეესაბამებოდა თუ არა შეზღუდვა კონვენციის მე-10 მუხლს (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway* [GC], no. 21980/93, §58. ECHR 1994-III, and *Cumpăna and Mazăre v. Romania* [GC], no 33348/95, §88. ECHR, 2004-XI).

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საზედამხედველო კონტროლის განხორციელების დროს იგი არ უნდა ჩანაცვლებოდა ეროვნულ სასამართლოებს. მას მხოლოდ მე-10 მუხლის საფუძველზე უნდა შეეფასებინა მათი გადაწყვეტილებები, რომლებიც შეფასების თავისუფლების საფუძველზე იყო მიღებული (*Bergens Tidende and Others v. Norway*), no.26132/95, §50; BCHR 2000-IV).

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მე-10 მუხლი იცავდა არა მარტო გამოხატული იდეებისა და ინფორმაციების შინაარსს,

არამედ საკუთრივ გამოხატვის ფორმასაც (*Nilsen and Johnsen v. Norway* [GC], no 23118/93, §48; ECHR 1999-VIII).

2. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“

სასამართლომ მიუთითა, რომ „კანონით გათვალისწინებულის“ ერთ-ერთი მოთხოვნა ის იყო, რომ გამოყენებული ღონისძიება ყოფილიყო განჭვრეტადი. ნორმა „კანონად“ ჩაითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად ცხადად იყო ფორმულირებული და მოქალაქეს თავისი ქცევის რეგულირების შესაძლებლობას აძლევდა. მოქალაქეს, თუნდაც შესაბამისი რჩევა – დარიგების მიღების საფუძველზე, შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა, განეჭვრეტა თავისი ქმედების შედეგები იმ ხარისხით, რაც შესაბამის გარემოებებში გონივრულად ჩაითვლებოდა (*Rekvenyi v. Hungary* [GC]; no 25390/994, §34, ECHR 1999-III; *Feldek v. Slovakia*, no 29032195, §56; ECHR, 2001-VIII).

ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია დამაჯერებლად მომჩივნის არგუმენტები იმ საკითხზე, რომ ეროვნულ სასამართლოებს სისხლის სამართლის კოდექსის ნაცვლად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა გამოეყენებინათ. მან მიიჩნია, რომ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი საეხსებოთ აკმაყოფილებდა „განჭვრეტადობის“ მოთხოვნებს და დაასკვნა, რომ მომჩივნის უფლებებში ჩარევა „გათვალისწინებული იყო კანონით“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით.

3. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა „კანონიერ მიზანს“

ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე მთავრობას, რომ მომჩივნის უფლებებში ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ, 1999 წლის საპრეზიდენტო კამპანიის პროცესში ელექტორატის ნამდვილი ინფორმაციით უზრუნველყოფას.

4. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მიერ გავრცელებულ გაზეთში მითითებული ინფორმაცია პრეზიდენტ

კუჩმას სიკვდილისა და მისი კრიმინალური გარემოცვის მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების (coup d'état) შესახებ უშუალოდ უკავშირდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატს და ამომრჩეველთა შესაძლებლობას, მხარი დაეჭირათ განსაზღვრული კანდიდატისათვის. ევროპული სასამართლოს აზრით, ეს იყო ისეთი საკითხი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სერიოზული საჯარო დისკუსია არჩევნების პროცესში, ამიტომ პოლიტიკური დებატების ფარგლების მიმართ შემუშავებული პრინციპები ამ საქმეშიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული (*Ukrainian Media Group v. Ukraine*, no 72713/01, §§39-41; 29 March, 2005).

რაც შეეხება იმას, სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია „ფაქტების გადმოცემა“ იყო, თუ „შეფასებითი მსჯელობა“, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოების დასკვნით, სტატია შეიცავდა იმ ფაქტების მტკიცებას, რომ ბ-ნი კუჩმა გარდაიცვალა და იგი შეცვალეს გარეგნულად მისი მსგავსი პიროვნებით, რაც ამომრჩეველებს ხელს შეუშლიდა, აერჩიათ იგი პრეზიდენტად. ევროპულმა სასამართლომ დასძინა, რომ ზემოაღნიშნული განხილული უნდა ყოფილიყო, როგორც „ყალბი ფაქტის მტკიცება“.

ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი არ წარმოადგენდა აღნიშნული ფაქტის მტკიცების პირველწყაროს; ამ ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ იყო უშუალოდ მომჩივნის მიერ გამოქვეყნებული; მომჩივანმა გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტობრივი ინფორმაცია თავის პირად შეფასებასთან ერთად საუბრების დროს გაუზიარა სხვებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთეს, რომ მომჩივანი განზრახ ცდილობდა ამომრჩეველთა მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანას. გარდა ამისა, კონვენციის მე-10 მუხლი არ კრძალავდა მიღებული ინფორმაციის შესახებ დისკუსიას, მაშინაც კი, როდესაც ამ ინფორმაციის სინამდვილე ძალზე საეჭვო იყო. საპირისპირო მიდგომა ადამიანებს აღუკვეთავდა უფლებას, გამოეთქვათ თავიანთი აზრები და შეხედულებები მასმედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციების შესახებ და გამოიწვევდა კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი აზრის გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა, როგორც მან განაცხადა, არ იცოდა, შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია, როდესაც მის შესახებ სხვებს ესაუბრებოდა. მისივე განმარტებით, იგი შეეცადა კიდევაც ამ ინფორმაციის გადამოწმებას. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მომჩივნის მოქმედებით გამოწვეული ზიანი მინიმალური იყო. მას გაზეთ „გოლოს უკრაინის“ მხოლოდ რვა ეგზემპლარი გააჩნდა და მის შესახებ ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობას ესაუბრა. ევროპული სასამართლოს აზრით, ეს გარემოება ეროვნულ სასამართლოებს აუცილებლად უნდა მიეღოთ მხედველობაში.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნა ინფორმაციებისა და იდეების თავისუფალი ურთიერთგაცვლის შესახებ, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით იყო ნაგულისხმები, შეეხებოდა საპრეზიდენტო არჩევნების ფრიად სპეციფიურ კონტექსტსაც, რაც ეროვნულ სასამართლოებს ამ საქმის განხილვისას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ.

ჩარევის თანაზომიერებას შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო გამოყენებული სასჯელის ბუნება და სიმკაცრე (*Ceylan v. Turkey* [GC], no 23556/94, §49; ECHR 1999-IV, *Cumpănă and Mazăre*, cited above, §111-124).

მოცემულ საქმეში 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც გადავადებული იქნა ორი წლით და ჯარიმა – UAH170, რასაც შედეგად მოჰყვა საადვოკატო პრაქტიკის ლიცენზიის გაუქმება, ევროპული სასამართლოს შეხედულებით, ძალიან მკაცრ სასჯელს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის უფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის საფუძველი არ იყო არც „შესაბამისი“ და არც „საკმარისი“ საიმისოდ, რომ დაედასტურებინა ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, მან ერთხმად ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ ასევე ერთხმად ცნო კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაც კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის აღიარება დაეფუძნა მომჩივნის მიმართ

Habeas corpus-ის პრინციპის დარღვევას, ხოლო მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტისა კი – რამდენიმე კომპონენტს ერთობლივად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მიუკერძოებელი სასამართლოს, მხარეთა თანასწორუფლებიანობის, სამართლებრივი გარკვეულობისა და სხვა პროცედურული გარანტიები, რის გამოც მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული კრიმინალური პროცესი მთლიანად უსამართლოდ (*entirely unfair*) შეაფასა.

სამართლიანი დაკავოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

მომჩივანმა მოითხოვა განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, მათ შორის, დაკარგული შემოსავლის (31500 ევროს), სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მის მიერ გადახდილი ჯარიმის, საადვოკატო პრაქტიკის ახალ ლიცენზიისათვის გაღებული ხარჯის ანაზღაურება, აგრეთვე, კომპენსაცია უკანონო პატიმრობის შედეგად მისთვის და მისი ოჯახისათვის მიყენებული სულიერი ტანჯვის, საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის და სხვ. მთლიანობაში მომჩივანმა მოითხოვა მისთვის 150000 ევროს გადახდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი კონვენციის დარღვევასა და ყველა იმ ზიანს შორის, რომლებზეც მომჩივანი მიუთითებდა. ასეთი მიზეზობრივი კავშირი მან დადგენილად მიიჩნია მხოლოდ განაჩენის შესაბამისად გადახდილი ჯარიმისა და ახალი ლიცენზიისათვის გაწეული თანხის მიმართ. ამ ნაწილში მან მომჩივანს 227,55 ევროს კომპენსაცია მიანიჭა. მან აგრეთვე აღიარა მომჩივნის მხრიდან მორალური ზიანის მიღება და მის საკომპენსაციოდ 10000 ევრო განუსაზღვრა.

გაწეული სასამართლო და სხვა ხარჯების ანაზღაურებაზე ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს უარი უთხრა.

45. კანი თურქეთის წინააღმდეგ

(Han v. Turkey)

(N 50997/99)

საქმე შეეხება სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის თურქეთის სახალხო დემოკრატიულ პარტიის წევრის სისხლის-სამართლებრივ მსჯავრდებას, რომელიც შედეგად მოჰყვა პარტიის კონგრესზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას

13 სექტემბერი, 2005

განმინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მინეულია დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი დაბადებულია 1960 წელს და ცხოვრობს ადანაში (თურქეთი). იგი იყო სახალხო დემოკრატიული პარტიის – „HADEP-ის“ (*Halkin Demokratisi Partisi*) წევრი.

1994 წლის 26 ივნისს ის გამოდიოდა სიტყვით „HADEP“-ის პირველ კონგრესზე.

თავის სიტყვაში მომჩივანმა გააკრიტიკა თურქეთის ხელისუფლება ქურთების მიმართ გატარებული პოლიტიკის გამო. მისი აზრით, ქურთისტანი წარმოადგენდა თურქეთის კოლონიას. თურქეთი ვერ ჩაითვლებოდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ, თუ ის არ გადაწყვეტდა ქურთისტანის სტატუსის საკითხს და მხარს არ დაუჭერდა ქურთიერის თვითგამორკვევის უფლებას. თურქეთის სამართლებრივი სისტემა იმგვარად იყო ჩამოყალიბებული, რომ ის ქურთისტანის კოლონიზაციას კანონიერ სახეს აძლევდა. თურქეთის ხელისუფლება ქურთების მიმართ იმპერიალისტურ პოლიტიკას ახორციელებდა, კლავდა, აპატიმრებდა, ავიწროვებდა და მათ ასიმილაციას ახდენდა. მომჩივნის აზრით, უნდა შეემუშავებელიყო გონივრული პროგრამა თურქეთის იმპერიალისტური ტერორის წინააღმდეგ და გააქტიურებულიყო ბრძოლა თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის. ეს იყო მათი ისტორიული ვალი. მომჩივანმა

ვამოთქვა აზრი, რომ სხვადასხვა „მებრძოლი პარტიები“ ერთმანეთისაგან გაუცხოებულები იყვნენ, რის გამოც, მათი საქმიანობა უშედეგო იყო. მან გააკრიტიკა „HADEP-ის“ პროგრამაც. მისი აზრით, ისტორიული მისიის შესასრულებლად აუცილებელი იყო ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ხალხის მრისხანებს შეუპოვარ წინააღმდეგობად გადააქცევდა. პარტიის პროგრამა, რომელიც კანონიერების საზღვრებით იყო შემოზღუდული, მისი აზრით, განწირული იყო წარუმატებლობისათვის.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე კონგრესის თავმჯდომარემ მომჩივანს გამოსვლა შეაწყვეტინა და უსაყვედურა პარტიის პროგრამის გაკრიტიკების გამო.

1996 წლის 31 იანვარს ანკარის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს პროკურორმა შეადგინა საბრალდებო აქტი, რომლითაც მომჩივანს ბრალი წაუყენა სახელმწიფოს განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის ტერორიზმის აღკვეთის შესახებ აქტის მე-8 მუხლის საფუძველზე

მომჩივანი დააპატიმრეს.

1996 წლის 16 დეკემბერს ანკარის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში საქმის განხილვის დროს მომჩივნის ადვოკატმა არ უარყო ის გარემოება, რომ მისმა კლიენტმა თავისი გამოსვლის დროს გამოიყენა გამოთქმა „ქურთისტანი“, მაგრამ მიუთითა, რომ მთლიანობაში მისი გამოსვლა არ შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა და მოითხოვა მისი გამართლება.

1997 წლის 22 დეკემბერს უშიშროების სასამართლომ, რომლის შემადგენლობაში სამხედრო მოსამართლეს (*military judge*) იყო, დამნაშავედ ცნო მომჩივანი ტერორიზმის აღკვეთის შესახებ აქტის მე-8 მუხლის საფუძველზე და მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ ქურთი ხალხის თვითგამორკვევისათვის ბრძოლის ყველა საშუალების გამართლება წარმოადგენდა სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

1999 წლის 1 მარტს საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა უშიშროების სასამართლოს განაჩენი.

2005 წლის 21 დეკემბერს ანკარის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ №4616 კანონის საფუძველზე მომჩივანს განაჩენი გადაუკადა. შედეგად, მომჩივანს არც პატიმრობის სასჯელი მოუხდია (იგი პატიმრობაში იმყოფებოდა დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში – 1986 წლის 14 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე) და არც ჯარიმა გადაუხდია.

სამართლის საკითხები:

კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ

მომჩივანმა მიუთითა, რომ შეხედულებების გამოთქმის გამო სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება წარმოადგენდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.

მოპასუხე მთავრობის აზრით, მომჩივნის გამოსვლა პარტიის კონგრესზე პროვოკაციული იყო თავისი შინაარსით და მისი შეზღუდვა გამართლებული იყო ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უკვე განხილული ჰქონდა არაერთი მსგავსი თურქული საქმე, სადაც ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (*Ceylan v. Turkey* [G.C.]. no. 23556194, 38. ECHR 1999-IV; *Öztürk v. Turkey* [GC]. no. 22479/93, 74. ECHR 1999-VI და სხვ.).

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ მოცემულ საქმეში ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კანონიერ ინტერესს, ამიტომ უნდა შემოწმებულიყო ასეთი ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ წარმოადგინა ისეთი ფაქტები ან არგუმენტები, რომელიც სასამართლოს ზემოთ მითითებული განჩინებებისაგან განსხვავებულ დასკვნამდე მიიყვანა. მომჩივნის სიტყვა წარმოადგენდა თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკას; იგი არ შეიცავდა ძალადობის, შეიარაღებული წინააღმდეგობის, ამბოხების ან სხვა

სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ წაქეზებას და ამდენად, ვერ ჩაითვლებოდა სიძულვილის თესვად (*hate speech*). აღნიშნული წარმოადგენდა არსებით ფაქტორს, რაც ამ საქმეს განასხვავებდა იმ მსგავსი თურქული საქმეებისაგან, სადაც ევროპულმა სასამართლომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებულად მიიჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება წარმოადგენდა არათანაზომიერ ღონისძიებას დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში და ამიტომ იგი არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

კონვენციის მე-6 მუხლის ნაგულები დარღვევის შესახებ

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6(I) მუხლიც დარღვეულად მიიჩნია.

ის გარემოება, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა სამხედრო მოსამართლე (რეგულარული არმიის ოფიცერი და სამხედრო მოსამსახურე), ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივნის ეჭვს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობისადმი ობიექტურად ამართლებდა. სასამართლომ მიუთითა სხვა საქმეებზე მიღებული განჩინებები, სადაც კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების დარღვევა სწორედ სასამართლოს შემადგენლობაში სამხედრო მოსამართლის მონაწილეობას დაეფუძნა (*Özel v. Turkey*, no. 42739/98; §33-34, 7 November 2002; *Özdemir v. Turkey*, no 59659100. §35-36; 6 February, 2003).

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

მომჩივანმა მატერიალური ზიანისათვის მოითხოვა 7500 ევრო, ამდენივე – მორალური ზიანისათვის.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მის მიერ შემოსავლების დაკარგვის შესახებ არ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ შესაბამისი მატერიალური დანაკარგი კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლების დარღვევამ განაპირობა. მან უარი უთხრა მომჩივანს მის ანაზღაურებაზე.

აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევის გამო გაცდილი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს 5000 ევროს კომპენსაცია განუსაზღვრა.

რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამო გაცდილ მორალურ ზიანს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის დარღვევის აღიარების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში, საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას წარმოადგენდა მომჩივნისათვის.

ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, მომჩივნისათვის 1000 ევროს გადახდა გაწეული სასამართლო და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.

46. კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ
(Kyprianou v. Cyprus) №1
(N 73797/01)

საქმე შეეხება ადვოკატის
სისხლის სამართლებრივ
მსჯავრდებას „სასამართლო-
საღმის უპატივეცემულობისათ-
ვის“ განცხადების გამო,
რომლებიც მან გააკეთა
სასამართლო პროცესზე

24 იანვარი, 2004წ.
პალატის განჩინება

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2
და მე-3ა პუნქტები მიჩნეულია
დარღვეულად
პალატამ არ მიიჩნია საჭიროდ, ცალკე
განეხილა კონვენციის მე-10 მუხლის
დარღვევის საკითხი

შაქტები:

ადვოკატი კიპრიანუ, რომელსაც გააჩნდა ორმოც წლიანი
საადვოკატო პრაქტიკა, გამოდიოდა დამცველად მკვლელობის საქმეზე
ასიზების სასამართლოში.

ბრალდების მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის დროს (2001 წლის
14 თებერვალი) სასამართლომ მას მისცა შენიშვნა, რომ იგი
შორს გასცდა განსახილველი საქმის არსებით საკითხებს. ადვოკატმა
შეწყვიტა დაკითხვა და მოითხოვა საქმიდან მისი გათავისუფლება.
მისი თქმით, თუ სასამართლოს მიაჩნდა, რომ იგი თავის ფუნქციას
სწორად ვერ ასრულებდა, უნდა ჩამოეშორებინათ ამ საქმიდან.
სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა საქმიდან გათავისუფლებს
შესახებ არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა უარი თქვა დაკითხვის
გაგრძელებაზე და განაცხადა, რომ რამდენადაც სასამართლომ მას
აღუკვეთა შესაძლებლობა, გაეგრძელებინა დაკითხვა საქმისათვის
დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხზე, მისი როლი ამ საქმეში
ამოწურული იყო. მანვე განაცხადა, რომ დაკითხვის დროს
მოსამართლეები საუბრობდნენ და „ravasakia-ს“ (სამიჯნურო
ბარათებს) უგზავნიდნენ ერთმანეთს. ასეთ ვითარებაში იგი დაკითხვას
ველარ გაგრძელებდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის საქციელი
(სასამართლოსადმი მისი მიმართვის მანერა, ხმის ტონალობა და

დაძაბული ატმოსფეროს შექმნა) წარმოადგენდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას. ადვოკატს განემარტა, რომ თუ იგი უკან არ დაიხევდა, მას გაასამართლებდნენ „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ „მართლმსაჯულების სასამართლოების შესახებ“ კანონის (*Courts of Justice Law*) 44-ე მუხლის მიხედვით.

ადვოკატმა არა თუ არ მოიხადა ბოდიში, სასამართლოს ხმაძალი ტონით უპასუხა: „შეგიძლიათ გამასამართლოთ!“.

მოკლევადიანი შესვენების შემდეგ ასიზების სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დამნაშავედ ცნო ადვოკატი კიპრიანუ სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის და მიუსაჯა ხუთი დღით პატიმრობა.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ბ-ნი კიპრიანუს განცხადებების შინაარსი, ტონალობა და შექმნილი დაძაბული ატმოსფერო მიუღებელი იყო ნებისმიერ ცივილიზებულ ადგილას, განსაკუთრებით კი სასამართლო დარბაზში. მისი საქციელი მიზნად ისახავდა სასამართლოს დაშინებასა და დათრგუნვას. სასამართლოსადმი ასეთი აშკარა უპატივცემულობა წარმოუდგენელი იყო ნებისმიერი ადამიანის და მით უფრო ადვოკატის მხრიდან. მოსამართლეები, როგორც პიროვნებები, ღრმად შეურაცხყოფილები იყვნენ. ასეთ ქმედებაზე სასამართლოს რეაქცია უნდა ყოფილიყო დაუყოვნებლივი და გამამწყვეტი (*immediate and drastic*) მართლმსაჯულების ღირსებისა და ავტორიტეტის დასაცავად. სასამართლოს აზრით, მოცემულ ვითარებაში ადეკვატური ღონისძიება მხოლოდ პატიმრობა შეიძლებოდა ყოფილიყო. სასამართლომ სინანულით დასძინა, რომ ადვოკატმა კაპრიანუმ – ხანგრძლივი საადვოკატო პრაქტიკის მქონე პიროვნებამ თავისი ქცევით თვითონვე მიყვანა საქმე აქამდე. პატიმრობასთან ერთად, სასამართლომ ადვოკატს დააკისრა ჯარიმა (CYP 75 – 128, 45 ევრო).

ადვოკატმა მოიხადა საპატიმრო სასჯელის არასრული ვადა.

2001 წლის 15 თებერვალს კიპრიანუმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი უმაღლეს სასამართლოში. საჩივარში მან მიუთითა, რომ მას, როგორც ადვოკატს, გააჩნდა საკმარისი თავისუფლება, ისე წარემართა თავისი კლიენტის საქმე, როგორც მას აუცილებლად მიაჩნდა.

უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. მან განმარტა, რომ კვიპროსის კონსტიტუციური

დებულებები, რომლებიც ასახავენ ინგლისური სამართლის პრინციპებს (მ. №162), ნებას რთავდა, მიღებულიყო ისეთი კანონმდებლობა, რომელიც სასამართლოებს აღჭურავდა უფლებამოსილებით, 12 თვემდე პატიმრობით დაესაჯათ ნებისმიერი პირი, ვინც არ დაემორჩილებოდა სასამართლოს განაჩენს ან ბრძანებას. მართლმსაჯულების სასამართლოების შესახებ კანონის 44-ე მუხლი მთლიანად შეესაბამებოდა კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ დებულებას. ადვოკატის მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენება აბრკოლებდა სასამართლო პროცესის ჯეროვნად განხორციელებას და ზიანს აყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს. სასამართლოსადმი უპატივცემულობის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება წარმოადგენდა სასამართლოს მოვალეობას და მიზნად ისახავდა სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფას.

უმაღლესმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატმა კიპრიანუმ ჩაიდინა „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ უშუალოდ სასამართლოს წინაშე და მისი დასჯა შეესაბამებოდა კვიპროსის კანონმდებლობას. რაც შეეხებოდა პატიმრობის სასჯელს, უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა, რომ მან ვერ ჰპოვა მისი შეცვლის რამე გამამართლებელი საფუძველი.

სამართლის საკითხები

ევროპულმა სასამართლომ ერთხმად ცნო, რომ დაირღვა:

– მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი);

– უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი (კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი);

– ბრალდებულის უფლება, დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წაყენებული ბრალდების ბუნება და შინაარსი (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3ა პუნქტი).

ევროპულმა სასამართლომ პირველ რიგში გადაწყვიტა საკითხი, იყო თუ არა მოცემულ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლი (სამართლიანი განხილვის უფლება) გამოყენებადი და, მაშასადამე, უნდა გავრცელებულიყო თუ არა მასზე ამ მუხლით ნაგულისხმები გარანტიები.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის წინააღმდეგ გამოყენებული სანქციის ბუნება და სიმკაცრის ხარისხი, ისევე, როგორც მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის კვალიფიკაცია ეროვნულ კანონმდებლობაში უდავოს ხდიდა იმ გარემოებას, რომ საქმე ჰქონდა სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან და სასჯელთან, ამიტომ მასზე მთლიანად უნდა გავრცელებულიყო კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები.

შესაბამისად, ვინაიდან კიპრიანუს საქმე განიხილა იმავე სასამართლომ, ვის წინაშეც „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ სავარაუდოდ იქნა ჩადენილი, ყოველგვარი სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიების, ბრალდების სათანადო წესით წარდგენისა და „საქმის სამართლიანი განხილვის“ უფლებით ნაგულისხმები სხვა გარანტიების დაუცველად, სტრასბურგის სასამართლომ უდავოდ მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების დარღვევა.

როგორც ევროპული სასამართლოს პალატამ მიუთითა თავის განჩინებაში, ამ საქმეში გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ადვოკატი სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის დასაჯა იმავე სასამართლომ, ვის წინაშედაც ასეთი დანაშაული სავარაუდოდ იქნა ჩადენილი. ეს გარემოება, სასამართლოს აზრით, უკვე საკმარისი იყო საიმისოდ, რომ სასამართლოსადმი მიუკერძოებლობისადმი წარმოშობილი ეჭვის საფუძველი ობიექტურად გამართლებულად მიჩნეულიყო. სასამართლოს შეხედულებით, აღნიშნული წარმოადგენდა მიუკერძოებლობის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევას, როგორც იყო *nemo iudex in causa sua*.¹³

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, რომ დაუშვებელი იყო მოსამართლეებს, რომლებმაც ადვოკატის საქმე განიხილეს და დასაჯეს იგი, ჰქონოდათ „დაზარალებულის“ სტატუსი შესაბამის პროცესში; ადვოკატის დასჯისას მათ არ ამოძრავებდათ პირადი დაინტერესება; მათ ინტერესს სასამართლოს ღირსებისა და ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენდა; სასამართლოს უნდა ჰქონოდა უფლება, დაუყონებლივ გამოეყენებინა სანქციები სასამართლო დარბაზში,

¹³ *nemo iudex in causa sua* – (ლათ.) არავინ შეიძლება მოსამართლეობდეს თავის საქმეში.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობა: დროს ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ თუ დაშვებული იქნებოდა ასეთ საქმეთა განხილვა სხვა სასამართლოს მიერ, ეს არასასურველ შედეგებს გამოიწვევდა. მოსამართლეებს მოუწევდათ სასამართლოს წინაშე ჩვენება მიეცათ იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მათ თვალწინ განვითარდა. მათი ჩვენებების სარწმუნობა ფაქტების შესახებ, რომლებიც მათი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების პროცესს უკავშირდებოდა, უნდა შეეფასებინათ სხვა მოსამართლეებს. ასეთი ვითარება კი, თავისთავად, სასამართლოსადმი ნობობას ოა მის ავტორიტეტს სრულიად გაუმართლებელი ეჭვის ქვეშ აყენებდა. მეორე მხრივ კი ეს, ფაქტობრივად, დამნაშავეს მიზნის მიღწევაში ეხმარებოდა.

ევროპულმა სასამართლომ ზემოაღნიშნული არგუმენტები „თეორიულად“ მიიჩნია და განმარტა, რომ სასამართლო როდი წარმოადგენდა უპიროვნო ინსტიტუციას (*impersonal institution*). იგი ფუნქციონირებდა მოსამართლეების მეშვეობით. სწორედ მოსამართლეები აფასებდნენ ამა თუ იმ საქციელს, როგორც „სასამართლოსადმი უპატივცემულობას“. ასეთი შეფასებებში კი ჩართული იყო კონკრეტული მოსამართლეთა პირადი აღქმა, გრძნობები, ემოციები და ღირსების შეგრძნება. შესაბამისად, აქ მოქმედებდა პრინციპი: **სასამართლო შეურაცხოფილია, თუ მოსამართლეებს ასეთი განცდა დაეუფლათ (*Justice is offended, if the judges feel that it has been*)**. შესაბამისად, ისინი ვეღარ დააკმაყოფილებდნენ „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნებს. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასიზების სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ფრაზაზე: „მოსამართლეები, როგორც „პიროვნებები“, ადვოკატის საქციელით „ღრმად შეურაცხყოფილი“ (*deeply insulted*) დარჩნენ“. ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ასეთი შეურაცხყოფილი და განაწყენებული მოსამართლეები სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის ადვოკატის გასამართლების დროს მიუკერძოებელი მსაჯულის ფუნქციას ვეღარ შეასრულებდნენ.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ისეთ დროს, როდესაც სასამართლოს წინაშე ჩადენილი მოქმედება შეიძლება მიჩნეულიყო „სასამართლოსადმი უპატივცემულობად“, როგორც დანაშაულად

(*criminal contempt*), კონვენციის მე-ნ მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სავალდებულოდ ჩაითვლებოდა საქმის გადაცემა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ხელისუფლებისათვის გამოსაძიებლად; ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება კი იმის თაობაზე, ჩადენილი იქნა თუ არა „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“, უნდა გამოეტანა სხვა სასამართლოს და არა იმასვე, ვის წინაშედაც იგი სავარაუდოდ იქნა ჩადენილი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვა სხვა სასამართლოთა მიერ, წარმოადგენდა კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო პრაქტიკას. რაც შეეხებოდა დისციპლინური ხასიათის სანქციებს, როგორც იყო ჯარიმა, ამ სფეროში პრაქტიკა განსხვავებული იყო (*Ravnsborg v. Sweden, judgment of 23 March, 1994, Series A no 283-B*).

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია კიპრიანუს საქმის განხილვის დროს მოუკერძოებლობელი სასამართლოს უფლების დარღვევა, როგორც ობიექტური, ისე – სუბიექტური თავალსაზრისით (*objective and subjective impartiality*).

სასამართლომ აღიარა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევაც. მან მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატის საქციელი „სასამართლოსადმი უპატივცემულობად“ შეფასებული იქნა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად შესვენებას გამოაცხადებდა და ის გარემოებაც, რომ ადვოკატს მცირე შესაძლებლობა მიეცა, რეაგირება მოეხდინა ასეთ შეფასებაზე და გამოეთქვა თავისი მოსაზრება.

კონვენციის მე-ნ მუხლის მე-3ა პუნქტის დარღვევულად ცნობა ძირითადად დაემყარა იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, „ადვოკატი მიზნად ისახავდა სასამართლოში შიშის ატმოსფეროს შექმნას“ (*climat of intimidation and fear within the court*). ასეთი ბრალდება კი მას წინასწარ არ ჰქონდა წარდგენილი. ადვოკატის განმარტებით, მან არ იცოდა ასეთი ბრალდების არსებობა და შესაბამისად არც არავითარი საშუალება გააჩნდა მისგან თავის დასაცავად. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის არგუმენტი და მიუთითა, რომ

ბრალდებულის უფლება, გასცნობოდა მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას, გულისხმობდა მის უფლებას, სცოდნოდა არა მარტო ის, თუ რა მოქმედებების ჩადენაში ედებოდა ბრალი, ანუ რა მოქმედებებს ეუუძნებოდა მისი ბრალდება, არამედ ისიც, თუ როგორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მათ.

რაც შეეხება კონვენციის მე-10 მუხლს.

ადვოკატმა თავის საჩივარში მიუთითა, რომ, მართალია, მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოყენებული სასჯელის ღონისძიებები – პატიმრობა და ჯარიმა -- დასახული კანონიერი მიზნის არათანაზომიერი იყო.

მოპასუხე მთავრობის აზრით, ბ-ნი კიპრიანუს საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით ემყარებოდა სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეთა უფლებების ისეთ არასწორ გაგებას, თითქოს იგი სასამართლო პროცესის დროს ყველაფრის თქმის უფლებას გულისხმობდა. ადვოკატი, რომელიც სასამართლოს წინაშე გამოდიოდა, წარმოადგენდა მართლმსაჯულების მსახურს და მისი აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს დარბაზში მისი როლიდან და მასზე დაკისრებული მისიიდან გამომდინარეობდა. მართალია, ადვოკატს გააჩნდა თავისი პირადი უფლება სასამართლოს დარბაზში სიტყვის თავისუფლებისა, მაგრამ ეს უფლება შეიძლებოდა შეზღუდულიყო სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ინტერესებისათვის. მიყენებული შეურაცხყოფის ხარისხისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამომხატველი მოქმედებების სერიოზულობის გათვალისწინებით, ადვოკატის მიმართ გამოყენებული სასჯელი გამართლებული იყო და მთლიანად თავსდებოდა ასიზების სასამართლოსათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლებში. „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ხარისხის განსაზღვრა წარმოადგენდა შიდა სასამართლოებისათვის მინდობილ ფუნქციას.

ადვოკატმა კიპრიანუმ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი მოიცავდა აზრის გამოხატვის ყველა ფორმას, მათ შორის, ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას სასამართლოში. სადავო განცხადებები მან სასამართლოში გააკეთა თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას. ის უკანონოდ ცნეს დამნაშავედ და მიუსაჯეს 5 დღით

პატიმრობა, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულდა. ასეთი ღონისძიება, ადვოკატის აზრით, აშკარად დისპროპორციულად უნდა მიჩნეულიყო. მით უმეტეს, რომ არსებობდა სხვა, ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა, მაგალითად, ისეთების, როგორიც იყო საყვედური, ადვოკატთა პროფესიული ორგანოსათვის შეტყობინება, გაფრთხილება სამომავლოდ და სხვა. ადვოკატმა მიუთითა, რომ ისეთი დისპროპორციული ღონისძიების გამოყენება, როგორიც იყო პატიმრობა, იქონიებდა „მსუსხავ ეფექტს“ სასამართლოში ადვოკატთა ქცევაზე. ეს კი დააზარალებდა მათი კლიენტების ინტერესებს.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მიერ წამოჭრილი არსებითი საკითხები მან უკვე განიხილა კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში და ამიტომ მას აღარ ესახებოდა აუცილებლად, ცალკე განეხილა, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლი.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

მომჩივანმა მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოითხოვა 120000 ევრო. მან მიუთითა, რომ მისი ოჯახის რეპუტაციამ, ისევე, როგორც მისმა პირადმა და პროფესიულმა რეპუტაციამ, პოლიტიკურმა კარიერამ და ჯანმრთელობამ სერიოზული ზიანი განიცადა.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მომჩივანს არ დაუყენებია.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის მსჯავრდება და პატიმრობის სასჯელი ნამდვილად იქონიებდა ნეგატიურ ეფექტს მის პროფესიულ რეპუტაციასა და პოლიტიკურ იმიჯზე. თუმცა მიზეზობრივი კავშირი კონვენციით გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევასა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შორის მან დადგენილად არ მიიჩნია. ევროპული სასამართლოს შეხედულებით ადვოკატის მოთხოვნები გადაჭარბებული იყო და მას მიანიჭა 15000 ევროს კომპენსაცია. სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა მისთვის გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

47. კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ
(Kyprianou v. Cyprus) №2
(N 73797/01)

საქმე შეეხება ადვოკატის
სისხლისსამართლებრივ
მსჯავრდებას სასამართლო-
სადმი უპატივცემულობისათვის
განცხადების გამო, რომლებიც
მან გააკეთა სასამართლო
პროცესზე

15 დეკემბერი, 2005წ.
დიდი პალატის განჩინება

კონვენციის მე-6 (1) და მე-10 მუხლები
დარღვეულად იქნა მიჩნეული

შაქტები:

ადვოკატი კიპრიანუ, რომელსაც გააჩნდა ორმოც წლიანი
საადვოკატო პრაქტიკა, გამოდიოდა დამცველად მკვლელობის საქმეზე
ასიზების სასამართლოში.

ბრალდების მოწმეთა ვეარედინი დაკითხვის დროს (2001 წლის
14 თებერვალი) სასამართლომ მას მისცა შენიშვნა, რომ იგი
შორს გასცდა განსახილველი საქმის არსებით საკითხებს. ადვოკატმა
შეწყვიტა დაკითხვა და მოითხოვა საქმიდან მისი გათავისუფლება.
მისი თქმით, თუ სასამართლოს მიაჩნდა, რომ იგი თავის ფუნქციას
სწორად ვერ ასრულებდა, უნდა ჩამოეშორებინათ საქმიდან.
სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა საქმიდან გათავისუფლების
შესახებ არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა უარი თქვა დაკითხვის
გაგრძელებაზე და განაცხადა, რომ რამდენადაც სასამართლომ მას
აღუკვეთა შესაძლებლობა, გაეგრძელებინა დაკითხვა საქმისათვის
დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხზე, მისი როლი ამ საქმეში
ამოწურული იყო. მანვე განაცხადა, რომ დაკითხვის დროს
მოსამართლეები საუბრობდნენ და „*ravasakia*-ს“ (სამიჯნურო
ბარათებს) უგზავნიდნენ ერთმანეთს. ასეთ ვითარებაში იგი დაკითხვას
ვეღარ გააგრძელებდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის საქციელი
(სასამართლოსადმი მისი მიმართვის მანერა, ხმის ტონალობა და
დაძაბული ატმოსფეროს შექმნა) წარმოადგენდა სასამართლოსადმი

უპატივცემულობას. ადვოკატს განემარტა, რომ თუ იგი უკან არ დაიხევდა, მას გაასამართლებდნენ „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ „მართლმსაჯულების სასამართლოების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მიხედვით.

ადვოკატმა არა თუ არ მოიხადა ბოდიში, სასამართლოს ხმამაღალი ტონით უპასუხა: „შეგიძლიათ გამასამართლოთ!“

მოკლევადიანი შესვენების შემდეგ ასიზების სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დამნაშავედ ცნო ადვოკატი კიპრიანუ სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის და მიუსაჯა ხუთი დღით პატიმრობა.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ბ-ნი კიპრიანუს განცხადებების შინაარსი, ტონალობა და შექმნილი დამაბული ატმოსფერო მიუღებელი იყო ნებისმიერ ცივილიზებულ ადგილას, განსაკუთრებით კი – სასამართლო დარბაზში. მისი საქციელი მიზნად ისახავდა სასამართლოს დაშინებასა და დათრგუნვას. სასამართლოსადმი ასეთი აშკარა უპატივცემულობა წარმოუდგენელი იყო ნებისმიერი ადამიანის და, მით უფრო, ადვოკატის მხრიდან. მოსამართლეები, როგორც პიროვნებები, ღრმად შეურაცხყოფილები იყვნენ. ასეთ ქმედებაზე სასამართლოს რეაქცია უნდა ყოფილიყო დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი (*immediate and drastic*) სასამართლოს ღირსებისა და ავტორიტეტის დასაცავად. სხვაგვარი მიდგომა სასამართლოსათვის დამლუპველ შედეგებს გამოიწვევდა. სასამართლოს აზრით, მოცემულ ვითარებაში ადეკვატური ღონისძიება მხოლოდ პატიმრობა შეიძლებოდა ყოფილიყო. სასამართლომ სინანულით დასძინა, რომ ადვოკატმა კიპრიანუმ – ხანგრძლივი საადვოკატო პრაქტიკის მქონე პირმა თავისი ქცევით თვითონვე მიიყვანა საქმე აქამდე.

პატიმრობის სასჯელთან ერთად ადვოკატს დაეკისრა ჯარიმის გადახდა (CYP 75-128,45 ევრო).

ადვოკატმა მოიხადა საპატიმრო სასჯელის არასრული ვადა. 2001 წლის 15 თებერვალს კიპრიანუმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც ვერ ჰპოვა განაჩენის შეცვლის რაიმე საფუძველი.

2001 წლ.ს 9 აგვისტოს ადვოკატმა კიპრიანუმ საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც საქმე განიხილა 2004 წლის 24 იანვარს.

ევროპული სასამართლოს პალატამ ერთხმად ცნო, რომ დაირღვა – მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი);

– უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი (კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი);

– ბრალდებულის უფლება, დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წაყენებული ბრალდების ბუნება და შინაარსი (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი).

ადვოკატის საჩივარი შეეხებოდა კონვენციის მე-10 მუხლსაც. მისი შეხედულებით, სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და სასჯელი სასამართლო პროცესის დროს გაკეთებული განცხადებებისათვის წარმოადგენდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

ევროპული სასამართლოს პალატამ არ მიიჩნია საჭიროდ, ცალკე განეხილა მოძიების საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ნაგულგები დარღვევის შესახებ.

2004 წლის 19 აპრილს კვიპროსის მთავრობამ კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 73-ე წესის შესაბამისად მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.

დიდი პალატის კოლეგიამ 2004 წლის 14 ივნისს დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა.

სამართლის საკითხები:

1. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის თაობაზე

1.1. მოძიების არგუმენტები:

კიპრიანუმ მიუთითა, რომ მას დაერღვა მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება, რამდენადაც მისი საქმე განიხილა იმავე სასამართლომ, ვის წინაშეც სასამართლოსადმი უპატივცემულობა სავარაუდოდ იქნა ჩადენილი.

ამასთანავე, იგი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ „შემჭიდროებული სამართალწარმოების“¹⁴ გამოყენება სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეებთან მიმართებაში ყოველთვის როდი იყო კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შეუთავსებელი. მან აღიარა, რომ საერთო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებს გააჩნდათ უფლებამოსილება, გამოეყენებინათ „შემჭიდროებული სამართალწარმოება“ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა ჩადენილი იყო უშუალოდ სასამართლოს წინაშე (*in facie curiae*). ასეთ დროს იმ მოსამართლეს (ან მოსამართლეებს), რომლის წინაშეც სავარაუდოდ იქნა ჩადენილი სასამართლოსადმი უპატივცემულობა, უფლება ჰქონდა, თავადვე დაესაჯა დამრღვევი. კიპრიანუმ აღნიშნა, რომ კვიპროსი არ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ინარჩუნებდა გაერთიანებული სამეფოს საერთო სამართალზე დაფუძნებულ ასეთ იურისდიქციას. მაგალითად, შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის სამართლებრივი სისტემები ასევე ითვალისწინებდნენ ამგვარ იურისდიქციას. მაგრამ, მომჩივნის აზრით, ზოგიერთ გარემოებებში „შემჭიდროებული სამართალწარმოება“ შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-6 მუხლთან. როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა ჩადენილი იყო სასამართლო დარბაზის გარეთ და მოსამართლე არ იყო მისი თვითმხილველი, ასეთ დროს, ცხადია, არ გაჩნდებოდა ობიექტურად გამართლებული ეჭვები მე-6 მუხლთან შესაბამისობის თაობაზე, მაგრამ საპირისპირო შემთხვევებში სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი ეჭვი ობიექტურად შეიძლება და წარმოშობილიყო. მომჩივანმა დააზუსტა, რომ როდესაც მუქარა, ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიმართული იყო უშუალოდ მოსამართლისაკენ პიროვნულად, ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა მიჩნეულიყო საქმის განხილვა სხვა სასამართლოს მიერ, ვინაიდან სავარაუდო დარღვევის მსხვერპლი შეუძლებელია

¹⁴ „შემჭიდროებული სამართალწარმოება“ (summary jurisdiction) საერთო სამართლის ქვეყნებში გამოიყენება „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეთა განხილვისას. იგი გულისხმობს გამართლებული და სწრაფი პროცედურით საქმის განხილვას მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ ერთპიროვნულად, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე (იხ. *The Oxford Companion to Law*, Clarendon Press – Oxford, 1980, გვ.1197).

დამრღვევის საქმის განხილვისას ყოფილიყო მიუკერძოებელი მსაჯული.

მომჩივანმა აღნიშნა, რომ „შემჭიდროებული სამართალწარმოება“ თეორიულად გამართლებული იყო იმ მოსაზრებით, რომ იგი მიზნად ისახავდა, უწინარესად მართლმსაჯულების დაუბრკოლებელი განხორციელების უზრუნველყოფას და არა მოსამართლეთა პირადი ღირსების დაცვას. მაგრამ არ შეიძლებოდა იმის უარყოფა, რომ მოსამართლეები ასეთ დროს აუცილებლად იქნებოდნენ დაინტერესებული საქმის განხილვის შედეგებით. გარდა ამისა, შეუძლებელი იყო „პირადი“ და „პროფესიული“ ასპექტების ერთმანეთისაგან მთლიანად გამიჯვნა.

მომჩივანმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ასიზების სასამართლოს მოსამართლეებმა სასამართლოს პროცესზე, სადაც იგი მკვლელობის საქმეში თავისი კლიენტის ინტერესებს იცავდა, მისი სიტყვები მძიმე პირად შეურაცხყოფად აღიქვეს, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი პირადად დაინტერესებული იქნებოდნენ საქმის შედეგებით.

ამის გარდა, მხედველობაში იყო მისაღები ისიც, რომ ეს მოსამართლეები, ფაქტობრივად წარმოადგენდნენ იმ მოვლენების თვითმზილველ მოწმეებს, რომლებიც მათ წინაშე განვითარდა. ამიტომ მათ შეფასებასა და დასკვნებზე იმის შესახებ, იყო თუ არა ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“, უთუოდ მოახდენდა გავლენას მათი პირადი აღქმები და შთაბეჭდილებები. მომჩივნის აზრით, სწორედ ამაზე მეტყველებდა ის გარემოება, რომ სიტყვა „ravasakia“ მათ აღიქვეს, როგორც „სამიჯნურო ბარათები“ და არა როგორც უბრალოდ „შეტყობინებები“, რა მნიშვნელობითაც მან ეს სიტყვა სინამდვილეში გამოიყენა.

კიდევ ერთ არგუმენტს იმისა, რომ ასიზების სასამართლო მიუკერძოებელი მსაჯული ვერ იქნებოდა, მომჩივნის აზრით, წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოსამართლეებმა წინასწარ გამოთქვეს აზრი სასამართლოსადმი უპატივცემულობაში მისი დამნაშავეობის თაობაზე.

გარემოებათა ზემოაღნიშნულ კონტექსტში მომჩივანმა უდაოვლად მიიჩნია, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი ეჭვი ობიექტურად გამართლებული იყო.

მომჩივანმა დაასაბუთა სასამართლოს სუბიექტური მიკერძოებულობაც. მისი აზრით, ის გარემოებები, რომ მას არ მიეცა საკმარისი შესაძლებლობა პასუხის გასაცემად, რომ მის წინააღმდეგ ბრალდება არ იყო ცხადად ჩამოყალიბებული, რომ მის მიმართ გამოიყენეს პატიმრობის და არა სხვა, ნაკლებად მკაცრი ალტერნატიული სასჯელი, სწორედ მოსამართლეთა მიკერძოებულობაზე მეტყველებდა.

1.2. მთავრობის არგუმენტები

კვიპროსის მთავრობამ წარმოადგინა წერილობითი მოსაზრებანი, რომელშიც უარყო ევროპული სასამართლოს პალატის განჩინების ზოგიერთი დასკვნა.

მთავრობამ მიუთითა, რომ პალატამ განჩინების 37-ე პუნქტში ჩამოაყალიბა მეტი სმეტად არა ელასტიური მიდგომა სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეთა მიმართ, რომლებიც ჩადენილი იყო *in facie curiae* (სასამართლოს წინაშე). მთავრობის აზრით ევროპულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ განსაკუთრებული ბუნება. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, თითქოს კვიპროსის პროცესუალური კანონმდებლობა სასამართლოსადმი უპატივცემულობის სფეროში ეწინააღმდეგებოდა საერთო სამართალში კარგად დამკვიდრებულ „შემჭიდროებულ სამართალწარმოებას“ და ემყარებოდა საერთო სამართლისა და პრაქტიკის არასწორ გაგებას. კვიპროსის მთავრობის აზრით, კვიპროსის კანონმდებლობით დადგენილი „შემჭიდროებული სამართალწარმოება“ სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეებისათვის, მთლიანად შეესაბამებოდა საერთო სამართლის პრინციპებს და იგი არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთადერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო, ვისაც „შემჭიდროებული სამართალწარმოება“ ჰქონდა დაწესებული ასეთ საქმეებზე.

„შემჭიდროებული სამართალწარმოება“, თავისთავად, არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლს. მთავრობამ აღნიშნა, რომ ეს გარემოება თვით მომჩივანმაც კი აღიარა. სასამართლოსათვის

იმ უფლებამოსილების მინიჭება, დაესაჯა „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ დაუყოვნებლივ, თუკი იგი უშუალოდ მის წინაშე იყო ჩადენილი, საერთო სამართალში კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა იყო იგი ემსახურებოდა მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას და წარმოადგენდა „საქმის სამართლიანი განხილვის“ აუცილებელ ელემენტს. კონვენციის სისტემა არ მოითხოვდა ადამიანის უფლებათა დასაცავად ერთგვაროვანი მექანიკური წესების გამოყენებას. კონვენციის მე-6 მუხლი მოიცავდა როგორც კონტინენტურ, ისე – საერთო სამართლის სისტემებით დამკვიდრებულ გაგებას „სამართლიანობის“ შესახებ.

საჭიროება იმისა, რომ სასამართლოს თვითონვე და დაუყოვნებლივ დაესაჯა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ჩამდენი მხარე, ადვოკატი ან საზოგადოების წარმომადგენელი, წარმოადგენდა სამართლის უზენაესობის არსებით ასპექტს და ემსახურებოდა მართლმსაჯულების პროცესის ჯეროვნად განხორციელების ამოცანას.

გაცილებით უფრო პრობლემური შეიძლება გამხდარიყო იმის განსაზღვრა, თუ როდის ჩაითვლებოდა აუცილებლად „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ გამოყენება და როდის – ცალკე გამოძიება და საქმის განხილვა სხვა მოსამართლეთა მხრიდან. არ არსებობდა წესი (საერთო სამართლის მიხედვით), რომელიც მოითხოვდა, რომ სასამართლოს წინაშე ჩადენილი სასამართლოსადმი უპატივცემულობის უკლებლივ ყველა შემთხვევა დამოუკიდებელი, ცალკე გამოძიებისა და განხილვის საგანი გამხდარიყო

მართალია, მოსამართლეთა პირადი შეურაცხყოფისა და სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევის შემთხვევები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ ორივე მათგანი „სასამართლო პროცესისადმი უპატივცემულობას“ წარმოადგენდა. მაშინაც კი, როდესაც მოსამართლეთა პირად შეურაცხყოფას შეეხებოდა საქმე, პრინციპულად მცდარი იქნებოდა მიჩნეულიყო, რომ პირადი შეურაცხყოფა იყო ის მიზეზი, რომელიც განაპირობებდა სასამართლოს რეაქციასა და პასუხს შესაბამის დარღვევაზე.

სასამართლოს საპასუხო მოქმედება მაინც ყოველთვის საერთო ინტერესის დაცვით იყო მოტივირებული და მას ემსახურებოდა.

კვიპროსის მთავრობამ მოიხმო ამ საქმეში მესამე მხარედ ჩართული სახელმწიფოების მთავრობათა მიერ წარდგენილი მოსაზრებებიც. მათი მიხედვით, სასამართლოს წინაშე ჩადენილი დარღვევებზე პასუხის გაცემისას, მოსამართლე მოქმედებდა არა საკუთარი თავის დასაცავად, არამედ – სასამართლოს ავტორიტეტისა და ღირსების, მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესების დასაცავად. „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ პროცედურას არ გააჩნდა ისეთი ბუნება, რომელიც დამახასიათებელი იყო პირადი საჩივრების განხილვებისათვის. სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეთა განხილვა სრულიადაც არ წარმოადგენდა დავის განხილვას მოსამართლესა და სავარაუდო დამრღვევს შორის. სწორედ ამიტომ, არაფერი იყო პრინციპულად უსწორო იმაში, რომ ასიზების სასამართლომ თავად განიხილა საქმე. უფრო მეტიც, როგორც ირლანდიის მთავრობამ ახსნა, გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემა განხდებოდა, თუ მოსამართლე გამოძიებისა და სხვა სასამართლოს წინაშე წარდგებოდა როგორც მოწმე, ვიდრე ის, რომ მას თავადვე განეხილა მის წინაშე ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ შემთხვევები.

კვიპროსის მთავრობამ მიუთითა, რომ „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ გამოყენება კიპრიანუს საქმეში მთლიანად გამართლებული იყო. მომჩივნის ქმედებამ სასამართლო პროცესის დროს მიიღო განმეორებადი შეურაცხმყოფელი თავდასხმის ფორმა. სასამართლო პროცესის ოქმის თარგმანის საშუალებით შეუძლებელი იყო ევროპულ სასამართლოს სრული და სწორი წარმოდგენა შექმნოდა იმის თაობაზე, თუ რა და როგორ თქვა ბერძენმა ადვოკატმა და, რას გულისხმობდა სიტყვა „*ravasakia*“-ს შეურაცხმყოფელი შინაარსი. იმ გარემოებას, რომ ამ სიტყვას, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნეიტრალური მნიშვნელობაც გააჩნდა, სრულიადაც არ წარმოადგენდა იმის მტკიცებულებას, რომ მომჩივანი არ ისახავდა მიზნად შეურაცხყოფის მიყენებას, ანდა იმისა, რომ შესაბამის გარემოებებში, მისი ქცევის მანერისა თუ ხმის ტონალობის გათვალისწინებით, ეს სიტყვა არ შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც

სასამართლოსათვის შეურაცხყოფელი. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს, სულ მცირე, საბჭერ მიეცა ბოდიშის მოხდის საშუალება და დრო, მან სამივე ჯერ უარი განაცხადა ამაზე.

კვიპროსის მთავრობის აზრით, არ არსებობდა საფუძველი ასინების სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში დასაუჭვებლად; მათი მოპყრობა ადვოკატის მიმართ იყო ღირსეული, მიუხედავად ამ უკანასკნელის არაერთგზის შეურაცხყოფელი და თავშეუკავებელი მოქმედებისა.

კვიპროსის მთავრობამ არც მოსამართლეთა სუბიექტური მიკერძოებულება ძიონია დადგენილად. მან მიუთითა, რომ ადვოკატის მიმართ გამოყენებული სასჯელი – 5 დღით პატიმრობა ძალაში დატოვა უძალღესმა სასამართლომ, რომლის მიუკერძოებლობა არავის გაეხადა სადავოდ.

რაც შეეხებოდა იმას, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებები, კვიპროსის მთავრობამ განმარტა, რომ კვიპროსში დისციპლინური პროცედურა, როგორც წესი, თან მოსდევდა ადვოკატის მსჯავრდებას სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის. მართალია, სხვა სამართლებრივ სისტემებში არსებობდა პარალელური პროფესიული დისციპლინური პროცედურები, რომელთა შესაბამისად ადვოკატები სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების მიუხედავად, შეიძლება დასჯილიყვნენ დისციპლინური წესით თავიანთი პროფესიული ორგანოების მხრიდან, მაგრამ სასამართლოს უძველესი და თანდაყოლილი უფლება და მოვალეობა, დაეცვა სასამართლო პროცესის ღირსება, არ შეიძლებოდა უგულვებელყოფილიყო პროფესიული თვითმარეგულირებელი დისციპლინური მექანიზმების არსებობის გამო.

კვიპროსის მთავრობის აზრით, არსებითი იყო იმაზე ხაზგასმა, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის სფეროში დადგენილი პროცედურა და მისი სამართლიანობა არანაირი ფორმით არ არღვევდა ან ასუსტებდა სასამართლოს ავტორიტეტს ანდა პროფესიული დისციპლინის წესებს, რომელთა დაცვაც ადვოკატებს მოეთხოვებოდათ.

1.3. მესამე მხარის არგუმენტები:

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ „შემჭიდროებულ სამართალწარმოებასთან“ დაკავშირებით შემდეგი მოსაზრებები წარმოადგინა:

მან გაიზიარა თვალსაზრისი, რომ როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა ჩაღწეული იყო *in facie curiae*, სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხი მართლაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო, მაგრამ უარყო მოსაზრება, თითქოს ამ სასამართლოს მიერ შესაბამისი საქმის განხილვა ყოველთვის სადავოს გახდიდა მის მიუკერძოებლობას. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ გამოთქვა უკმაყოფილება ევროპული სასამართლოს პალატის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომის თაობაზე, რომელიც მან განჩინების 37-ე პუნქტში გადმოსცა. მისი აზრით, ასეთი მიდგომა მთლიანად უგუვლებელყოფდა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლებას (*margin of appreciation*). შიდა პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არსებობდა მთელი რიგი შემთხვევები სასამართლოსადმი უპატივცემულობისა, რომელთა მიმართებაშიც როდი იქნებოდა სამართლიანი იმის მტკიცება, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობაში დასაეჭვებლად ობიექტური საფუძველი არსებობდა.

ჯერ ერთი, ასეთი მოქმედებანი ყოველთვის როდი იყო მიმართული უშუალოდ მოსამართლეების წინააღმდეგ პირადად. ინგლისური საერთო სამართლის მიხედვით, „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ გულისხმობდა როგორც კონკრეტული მოსამართლის ღირსების დამცირებას ან შეურაცხყოფას, ისე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის სხვაგვარად შეშლას. ამ უკანასკნელ შემთხვევებში, ცხადია, არ არსებობდა სასამართლოს მიუკერძოებლობაში დაეჭვების ობიექტური საფუძველი და, შესაბამისად, საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის საჭიროებაც. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც საქმე ჰქონდათ მოსამართლის შეურაცხყოფასთან, ყოველთვის ვერ იქნებოდა გამართლებული, ანდა შესაძლებელი საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. ზოგჯერ შეურაცხყოფას ძალზე ზოგადი ხასიათი ჰქონდა.

მაგალითად, მაშინ, როდესაც ითქვა: „თქვენ, მოსამართლეები, ყველანი კორუმპირებულები ხართ!“ გამოდის, რომ ასეთ დროს ვერც ერთი სხვა მოსამართლე (მეტად თუ ნაკლებად), ველარ იქნებოდა მიუკერძოებელი ასეთი შეხედულების გამომხატველი პიროვნების მიმართ, ამიტომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის აზრით, კონკრეტული კონტექსტისა და სალი აზრის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო, მართლაც არსებობდა თუ არა მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველი. გარდა ამისა, ზოგიერთი „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ დაუყოვნებლივ რეაქციას მოითხოვდა. ზოგჯერ კი ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

დასასრულ, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავად ევროპულ სასამართლოს ჰქონდა აღიარებული საჭიროება იმისა, რომ სასამართლოებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეკონტროლებინათ პროცესის მსვლელობა და გადაედგათ ნაბიჯები, რასაც შესაბამისად მიიჩნევდნენ საიმისოდ, რათა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესი არ ყოფილიყო დაზარალებული (*Ravnsborg v. Sweden*, judgment of 23 March 1994; series A. no 283-B).

ირლანდია

ირლანდიის მთავრობამ ასევე ნეგატიურად შეაფასა ევროპული სასამართლოს პალატის განჩინების 37-ე პუნქტში მითითებული დებულება კიპრიანუს საქმეზე. მისი აზრით, ევროპული სასამართლოს პალატამ შეცდომა დაუშვა „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ სხვადასხვა ასპექტების შეფასებისას და უგულვებელყო ან შეასუსტა იმ პრინციპების მნიშვნელობა, რომელიც დამკვიდრებული იყო საერთო სამართალში სასამართლოსადმი უპატივცემულობის სფეროში.

ჯერ ერთი, როგორც ირლანდიის მთავრობამ დაბეჯითებით აღნიშნა, კვიპროსის პოზიცია სასამართლოსადმი უპატივცემულობის საკითხში ზუსტად ისეთივე იყო, როგორც ირლანდიისა და გაერთიანებული სამეფოსი.

მეორე, ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით, უაქტობრივად, კონვენციის მე-6 მუხლთან შეუსაბამოდ გამოცხადდა

საერთო სამართლის მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელების უძველესი და უმნიშვნელოვანესი ასპექტი – მოსამართლის უფლება და მოვალეობა, ეზრუნა სასამართლოში წესრიგის უზრუნველსაყოფად „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ მეშვეობით. ასეთი მიდგომა, ირლანდიის მთავრობის აზრით, მთლიანად უგულვებელყოფდა შეფასების თავისუფლების არეს, რომლითაც სარგებლობდნენ მაღალი ხელშემკვრელი მხარეები წესრიგის, სასამართლო პროცესის ღირსების დასაცავად თავიანთ კანონებში სპეციალური დებულებების შემუშავებისას.

იმის მკვეთრი გამიჯვნა, თუ როდის ჰქონდათ საქმე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლასთან და როდის – მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის შეურაცხყოფასთან, გაუმართლებელი იყო და წარმოადგენდა იმ ფაქტის უგულვებელყოფას, რომ მოსამართლეები, როგორც ეს მათ მოეთხოვებოდათ, არ ხელმძღვანელობდნენ პირადი პრეფერენციებითა და შეხედულებებით თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას. სწორედ ამიტომ, მეტისმეტად საეჭვო იყო ობიექტური ეჭვის კონტექსტში იმის განსაზღვრა, თუ როგორი დარღვევა უნდა განეხილა მოსამართლეს თავად და რომელი არა, და ვინ იყო საერთოდ „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეებში „დაზარალებული მხარე“.

პალატის გადაწყვეტილება უგულვებელყოფდა იმ გარემოებასაც, რომ „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ შესახებ საქმის გადაცემა გამოძიებისათვის უთუოდ აკნინებდა სასამართლოს ავტორიტეტსა და ღირსებას. უმეტეს შემთხვევაში, შესაძლოა ძალზე რთულიც კი ყოფილიყო საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა განსახილველად. ჯერ ერთი, დროის თვალსაზრისით, ეს სერიოზულად დააბრკოლებდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს იმ საქმეზე, რომლის განხილვის დროსაც „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ იქნა ჩადენილი. მეორე, თუ მოსამართლეს არ ექნებოდა შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ გადაეწყვიტა საკითხი და დაესაჯა დამრღვევი, ეს იქნებოდა სასამართლოს ავტორიტეტის გაუფასურება. გარდა ამისა, პალატამ არ გადაწყვიტა საკითხი, როგორ უნდა მოხერხებულიყო ის, რომ იმ სასამართლო პროცესის ჩაშლას, რომლის დროსაც

. სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ იქნა ჩადენილი, არ გამოეწვია მხარეთა უფლებების (მათი საქმე განხილული ყოფილიყო დროულად და სათანადოდ) დარღვევა და დაცული ყოფილიყო სასამართლოს ღირსება.

ირლანდიის მთავრობის აზრით, ის, თუ რატომაც იყო შესაბამისი და მოხერხებული სასამართლოს წინაშე ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ შემთხვევა იმავე სასამართლოს განეხილა, ჯანსაღ პრაქტიკულ მოსაზრებებს ემყარებოდა. ეჭვგარეშეა, რომ მოსამართლეები საუკეთესო პოზიციაში იმყოფებოდნენ იმისათვის, რათა მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები გადაეწყვიტათ. ირლანდიის მთავრობის აზრით, „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ დაუყოვნებლივ გამოყენება წარმოადგენდა ეფექტიან შემაკავებელ საშუალებას (*effective deterrent*).

დაბოლოს, მხედველობაში იყო მისაღები, აგრეთვე, ისიც, რომ საქმის ორდინარული გამოძიებისათვის გადაცემა არღვევდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. მოსამართლე იძულებული გახდებოდა, ჩვენება მიეცა პროკურორისათვის, რაც არასასურველი როლი იქნებოდა დამოუკიდებელი სასამართლოსათვის. ეს გარემოება აღუკვეთავდა სასამართლოს უფლებას, მიეღწია თავისი ბრძანებების აღსრულება და, იმავდროულად, წარმოადგენდა უარყოფას ხელისუფლების სამნაწილიანი დაყოფისა, რაც მთელი კონსტიტუციის საფუძველთა საფუძველს შეადგენდა.

მალტა

მალტის მთავრობამ წარმოადგინა ეროვნული კანონმდებლობა „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ სფეროში (Title XVII of the Second Book of the Code of Organisation and Civil Procedure entitled „Of the Respect Due to the Court“, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 686-ე მუხლის თანახმად გამოიყენება სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის დროსაც).

მალტის კანონმდებლობისა და შესაბამისი პრაქტიკის მიხედვით, „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“, ჩადენილი *in facie curiae*,

ისჯება მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობდა იმ სასამართლო პროცესს, რომლის მსვლელობის დროსაც „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ იქნა ჩადენილი. იგი შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა მოქმედებით, მათ შორის, მოწონების ან დაწუნების შეძახილებით, შეურაცხყოფელი რემარკებითა თუ გამონათქვამებით ზეპირად ან წერილობით და სხვა.

in facie curi ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ დაწესებულია შემდეგი სანქციები: საყვედური, სასამართლოდან გაძევება, ჯარიმა და პატიმრობა, რომლის ხანგრძლივობაც სასამართლოს შენობაში არ უნდა აღემატებოდეს ოცდამათხთ საათს.

ერთადერთი გამონაკლისი „შემჭიდროებული სამართალწარმოებიდან“ უკავშირდება ისეთ დარღვევებს, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ასეთ დროს „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ იდევნება როგორც სხვა სისხლისსამართლებრივი დარღვევა. ამასთან, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს ან მაგისტრატს უფლება აქვს, გასცეს დამრღვევის დაპატიმრების ბრძანება.

სპეციალური დებულებები ეძღვნება „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ აქტებს, რომლებიც ჩადენილია ადვოკატების მიერ. სერიოზული დარღვევების შემთხვევაში მოსამართლეს ან მაგისტრატს შეუძლია დაუყოვნებლივ („forthwith“) ჩამოაშოროს ადვოკატი პრაქტიკას არაუმეტეს ერთი თვის ვადით.

1.4. სერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პრინციპები

გაერთიანებული ერების მე-8 კონგრესის მიერ 1990 წელს მიღებული „ადვოკატთა როლის შესახებ ძირითადი პრინციპების“ მე-20 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატები უნდა სარგებლობდნენ „სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმუნიტეტით იმ განცხადებების გამო, რომლებიც მათ გააკეთეს კეთილი განზრახვით სასამართლო კამათის მსვლელობისას თავიანთი პროფესიული გამოსვლის დროს სასამართლოს ან საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე“.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი თავის რეკომენდაციაში №21 (2000) ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, გაატარონ ღონისძიებები, რასაც აუცილებლად მიიჩნევენ ადვოკატის პროფესიის თავისუფლად განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ რეკომენდაციების მიხედვით, ადვოკატი არ უნდა დაექვემდებაროს რაიმე სანქციებს ან ზეწოლას ასეთი სანქციების გამოყენების მუქარის გამო, თუ იგი მოქმედებდა თავისი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, თუმცა ადვოკატი „პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სასამართლოს და თავის მოვალეობებს სასამართლოს მიმართ უნდა ასრულებდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამება შიდა სამართლებრივ წესებსა და პროფესიულ სტანდარტებს (პრინციპები I:4 და III:4).

1.5. სასამართლოს შეფასება.

1.5.1. ძირითადი პრინციპები:

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი ხალხის ნდობას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ აყენებდა კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნას. სასამართლოს მიუკერძოებლობა მოიცავდა სუბიექტურ და ობიექტურ ასპექტებს. „სუბიექტური მიუკერძოებლობა“ იმას გულისხმობდა, რომ გამორიცხული უნდა ყოფილიყო მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის შედეგით, „ობიექტური მიუკერძოებლობა“ კი იმის შეფასებას, უზრუნველყოფილი იყო თუ არა მხარეებისათვის საკმარისი გარანტიები საიმისოდ, რათა არ წარმოშობილიყო კანონიერი ეჭვები სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ (*Piersak v. Belgium*, judgment of 1 October 1982; *Grievies v. the United Kingdom* [GC], ECHR 2003-XII).

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ „ობიექტური მიუკერძოებლობის“ შეფასებისას, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული სასამართლოს ან მისი რომელიმე წევრის ესა თუ ის მოქმედება, რომელსაც შეიძლებოდა წარმოემვა ეჭვი მისი მიუკერძოებლობის მიმართ. ასეთ დროს გადამწყვეტი იყო არა სასამართლოს

მიუკერძოებლობა თავისთავად, არამედ ის, თუ ობიექტურად რამდენად გამართლებული შეიძლება ყოფილიყო შიში სასამართლოს მიკერძოებულობისა (*Ferrantelli and Santangelo v. Italy*, judgment of 7 August, 1996).

სუბიექტური ტესტის გამოყენებისას, სასამართლო ეყრდნობოდა პრინციპს, რომლის თანახმად, არსებობდა მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, სანამ არ დამტკიცდებოდა მისი საწინააღმდეგო (*Hauschildt v. Denmark*, judgment of 24 May 1989). იგი ასახავდა სამართლის უზენაესობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, სახელდობრ იმას, რომ სასამართლოს ვერდიქტი საბოლოოა და სავალდებულო, თუკი ზემდგომი სასამართლო მას უსწოროდ ან უსამართლოდ არ მიიჩნევს. ეს პრინციპი თანაბრად გამოიყენებოდა ყველა ფორმის სასამართლოს, მათ შორის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ (*Holm v. Sweden*, judgment of 25 November, 1993), თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენდა ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც შესძლებდნენ დაეხლიათ ეს პრეზუმფცია. ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენდა ამ მიმართებით (*Pullar v. the United Kingdom*, judgment of 10 June, 1996). დიდმა პალატამ ზაზი გაუსვა, რომ იგი აღიარებდა სასამართლოს სუბიექტური მიუკერძოებლობის დამტკიცების სირთულეს, ამიტომ საქმეთა უმრავლესობაში, სადაც მიუკერძოებლობის პრობლემა იდგა, იგი ფოკუსს ობიექტურ ტესტზე აკეთებდა.

დიდმა პალატამ მიუთითა, რომ მოსამართლეებს მოეთხოვებოდათ თითოეული საქმის განხილვის დროს ეზრუნათ მიუკერძოებელი მსაჯულის იმიჯის შესანარჩუნებლად. სწორედ აქედან წარმოსდგებოდა პრესასთან თავშეკავებული ურთიერთობის მოთხოვნაც.

1.5.2. ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში:

ობიექტური ტესტი

მომჩივანმა პიუთითა, რომ თავისთავად ის ფაქტი, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის იგი გაასამართლა,

დ მნაშავედ ცნო და რასაჯა იმავე სასამართლომ, ვის წინაშეც ნაგულეები დარღვევა იყო ჩადენილი, საქმის საერთო კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოადგენდა სასამართლოსადმი მიუკერძოებლობაში დაეჭვების ობიექტურ საფუძველს.

ლიდმა პალატამ აღნიშნა, რომ იგი მხედველობაში იღებდა მოპასუხე მთარობისა და მესამე მხარის არგუმენტებს, რომლებიც შეეხებოდა საერთო სამართლის სისტემაში „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ გამოყენებას სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეებთან მიმართებაში, მაგრამ მას არ ესაზებოდა არც აუცილებლად და არც სასურველად, შემოწმებინა საზოგადოდ საერთო სამართლის ქვეყნებში, მათ შორის, კვიპროსში დამკვიდრებული პრაქტიკა „შემჭიდროებული სამართალწარმოების“ გამოყენებისა. მის ამოცანას წარმოადგენდა მხოლოდ იმის გადაწყვეტა, გამოიწვია თუ არა ბ-ნი კიპრიანუს საქმეში ასეთი პროცედურის გამოყენებამ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

მოცემულ საქმეში სასამართლოსადმი უპატივცემულობა გამოხატული იყო უშუალოდ მოსამართლეებთან მიმართებაში. ისინი იყვნენ პირდაპირი ობიექტი მომჩივნის კრიტიკისა, რომელიც შეეხებოდა იმ მანერას, რომლითაც ისინი წარმართავდნენ სასამართლო სხდომას. იმავე მოსამართლეებმა მიიღეს გადაწყვეტილება მისი ღვევისა და გასამართლების შესახებ, დამნაშავედ ცნეს იგი და მიუსაჯეს პატიმრობის სასჯელი. მოცემულ ვითარებაში მომჩივნის, მოწმის, პროკურორისა და მოსამართლის როლების ასეთი აღრევა უთუოდ ობიექტურად გამართლებულს ხდიდა შიშს პროცედურის შესაბამისობის თაობაზე უძველეს პრინციპთან, რომ „არავინ შეიძლება მოსამართლეობდეს თავის საკუთარ საქმეში“ (*Demicoli v. Malta*, judgment of 27 August 1991), ამიტომ დადგენილად უნდა მიჩნეულიყო ის გარემოება, რომ ასიზების სასამართლომ ვერ დააკმაყოფილა კონვენციის სტანდარტი ობიექტურ ტესტთან მიმართებაში.

სუბიექტური ტესტი

თავიანთ გადაწყვეტილებაში მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ „როგორც პიროვნებები“, იხინი „ღრმად შეურაცხყოფილები“ იყვნენ მომჩინის მოქმედებით. მართალია, აღნიშნეს, რომ მათ ძირითად მიზანს სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენდა, მაგრამ ზემოაღნიშნული განცხადება მაინც იმაზე მეტყველებდა, რომ მოსამართლეები პირადად აღმოჩნდნენ ჩაბმული ამ საქმეში. ამასვე ადასტურებდა მათი სხვა განცხადებებიც. კერძოდ ის, რომ „მათ ვერ წარმოედგინათ სხვა შემთხვევა სასამართლოსადმი ასეთი აშკარა და მიუღებელი უპატივცემულობისა ნებისმიერი პირის და, მით უფრო, ადვოკატის მხრიდან“; რომ „თუ სასამართლოს რეაქცია არ იქნებოდა დაუყოვნებლივი და გადამჭრელი, ეს სასამართლოსათვის დამღუპველ შედეგებს მოიტანდა“; რომ „პატიმრობის სასჯელი ერთადერთი ადეკვატური პასუხი იყო მომჩინის მოქმედებაზე“ და სხვ.

დიდმა პალატამ ისიც გაითვალისწინა, რომ მოსამართლეებმა თავიანთი აზრი მომჩინის დამნაშავეობის შესახებ წინასწარ გამოთქვეს. მათ ადვოკატს მისცეს საშუალება, „შემეცირებინა ის ზიანი, რომელიც თავისი საქციელით გამოიწვია“ და არა იმისა, რომ დაეცვა თავი.

დიდმა პალატამ აღნიშნა შემდეგი: მას არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მოსამართლეთა საზრუნავს მართლმსაჯულების პროცესის დაუბრკოლებლად განხორციელება და სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენდა, მაგრამ არც მათი საქციელი შეესაბამებოდა ბოლომდე ამ ინტერესთა უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასიზების სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი ბ-ნი კიპრიანუს დაეჭვება სუბიექტური ტესტის საფუძველზეც გამართლებულად ჩაითვლებოდა. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დარღვეულად უნდა მიჩნეულიყო ორივე საფუძველით.

2. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების ნაგულები დარღვევის შესახებ

რამდენადაც დიდმა პალატამ აღიარა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მან მიიჩნია, რომ მოცემული საქმის კონტექსტში ცალკე საკითხად აღარ წარმოიშობოდა იმის გარკვევა. დაერღვა თუ არა მომჩივანს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სხვა უფლებებიც.

3. კონვენციის მე-10 მუხლის ნაგულები დარღვევის შესახებ

3.1. კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებადობის შესახებ

ევროპული სასამართლოს პალატამ არ მიიჩნია საჭიროდ, ცალკე განეხილა საკითხი, დარღვეული იყო თუ არა კონვენციის მე-10 მუხლი, ვინაიდან მომჩივნის მიერ დაყენებული არსებითი საკითხები განხილული იყო კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მან აღნიშნა, რომ მომჩივნის საჩივარი მე-10 მუხლთან დაკავშირებით, შეეხებოდა იმ ზიანს, რომელიც მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებამ განიცადა დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის შედეგად. ეს საჩივარი, თავისი ბუნებით განსხვავდებოდა იმ საჩივრისაგან, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლს შეეხებოდა, ამიტომ იგი ცალკე განხილვას ექვემდებარებოდა.

3.2. შესაბამისობა

3.2.1. მომჩივნის არგუმენტები

მომჩივანმა მიუთითა, რომ მისი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და სასჯელი წარმოადგენდა არათანაზომიერ ჩარევას მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში. მან აღნიშნა, რომ იგი ასრულებდა რა თავის პროფესიულ მოვალეობას, მოქმედებდა კეთილი განზრახვით. სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება მკიდებოდა გამართლებულად მიჩნეულიყო მხოლოდ

განსაკუთრებულ შემთხვევაში – სასამართლოს მიმღე და უხეში შეურაცხყოფის დროს. ადვოკატისათვის საპატიმრო სასჯელის შეფარდება, რომელიც მოქმედებდა თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად, უთუოდ იქონიებდა „მსუსხავ ეფექტს“ (*chilling effect*) ადვოკატთა მიერ სასამართლოში თავიანთი როლის შესრულებაზე. ადვოკატს უნდა ჰქონოდა იმის უფლება, ზოგჯერ თავად გაესაჩივრობინა სასამართლოს ესა თუ ის მოქმედება, ამიტომ ის არ უნდა ყოფილიყო სასამართლოს მხრიდან ზეწოლის ქვეშ. საპატიმრო სასჯელის გამოყენება არამართო მეტისმეტად ზღუდავდა ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას, არამედ ზიანს აყენებდა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობას. იმავდროულად, იგი საფრთხეში აგდებდა კლიენტის უფლებას „სამართლიანი განხილვისა“.

მოძივანმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ სასამართლოსადმი კრიტიკა მან სასამართლოს გარეთ ან პრესის საშუალებით კი არ გამოთქვა, არამედ სასამართლო დარბაზში, როდესაც მას მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა უსამართლოდ შეაწყვეტინეს, რამაც მისი ემოციები გამოიწვია. ასეთ პირობებში საპატიმრო სასჯელის გამოყენება ორმოც წლიანი პრაქტიკის მქონე ადვოკატის მიმართ, მაშინ, როდესაც არსებობდა რეაგირების სხვა არაერთი საშუალება, მკვეთრად არათანაზომიერ ღონისძიებად უნდა მიჩნეულიყო.

ადვოკატმა დასასრულ აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, არსებობდა საჭიროება სასამართლოს ავტორიტეტისა და ღირსების დაცვისა, მაგრამ იმავდროულად არსებობდა ადვოკატის პროფესიული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საჭიროებაც, რამეთუ ორივე ეს კომპონენტი არსებითი და თანაბრად მნიშვნელოვანი იყო მართლმსაჯულების განხორციელებისადმი ხალხის ნდობის უზრუნველსაყოფად.

3.2.2. მოპასუხე მთავრობის არგუმენტები:

კვი პროსის მთავრობამ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი საჭიროებდა თავდასხმებისაგან დაცვას. მოსამართლეებს თავიანთი როლისა და მდგომარეობის გამო შეზღუდული ჰქონდათ

მათ წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემის საშუალება. ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც საქმე შეეხებოდა ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას სასამართლო დარბაზში, იგი შეიძლებოდა შეზღუდულიყო სასამართლოს ავტორიტეტის ინტერესებისათვის.

ადვოკატ კიპრიანუს მიერ ჩადენილი შეურაცხყოფის სერიოზულობისა და იმის გათვალისწინებით, რომ მან კატეგორიული უარი განაცხადა, ბოდიში მოეხადა სასამართლოსათვის, 5 დღით პატიმრობა, რომელიც სრულებითაც არ იყო „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“... საქმეებზე შესაძლებელი მაქსიმალური ხანგრძლივობა ასეთი სასჯელისათვის, ვერ ჩაითვლებოდა ამკარად არათანაზომიერად. კვიპროსის მთავრობამ დასძინა, რომ ევროპულ სასამართლოს სიფრთხილე უნდა გამოეჩინა იმის გადაწყვეტისას, უნდა ჩარეულიყო თუ არა იგი ადგილობრივი ხელისუფლების შეფასებებში იმ საკითხზე, თუ როგორი სანქცია უნდა გამოეყენებინა საქციელის მიმართ, რომელიც სრულიად მოულოდნელი იყო ხანგრძლივი გამოცდილების მქონე უფროსი ადვოკატისაგან.

3.2.3. სასამართლოს შეფასება:

3.2.3.1. იყო თუ არა ჩარევა

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ადვოკატის დამნაშავედ ცნობა და სასჯელი სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის, წარმოადგენდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას.

3.2.3.2. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ მიაჩნდათ ის გარემოება, რომ მომჩივნის მსჯავრდება გათვალისწინებული იყო კანონით, კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოების შესახებ კანონის 44-ე მუხლით (1960) და კონსტიტუციის 162-ე მუხლით,

ამიტომ, ძირითად საკითხს იმის შეფასება წარმოადგენდა, იყო თუ არა ჩარევა „უცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

3.2.3.2.1. ძირითადი პრინციპები

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ფრაზა „სასამართლოს ავტორიტეტი“ მოიცავდა იმ გაგებას, რომ სასამართლოები არიან და ხალხის მიერ აღიქმებიან, როგორც სამართლებრივი დავების გადაწყვეტის, პიროვნების დანაშაულობისა თუ უდანაშაულობის განსაზღვრის ერთადერთი სათანადო და შესაბამისი დაწესებულება (*Warm v. Austria*, judgment of 28 August 1997). სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა ფაქტობრივად გულისხმობდა დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთოდ სასამართლოსადმი, ისევე, როგორც უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისადმი ხალხის ნდობის უზრუნველყოფას (*Fey v. Austria*, judgment of 24 February 1993).

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადვოკატთა განსაკუთრებული როლი და სტატუსი – როგორც შუამავლებისა ხალხსა და სასამართლოს შორის – განაპირობებდა მათი ქცევისადმი შეზღუდვების დაწესებას. მათი როლის გათვალისწინებით, სავსებით კანონიერი იყო მოლოდინი იმისა, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებასა და ხალხის ნდობის უზრუნველყოფას (*Amihalachioaie v. Moldova*, §27. ECHR, 2004-III. *Nikula v. Finland*, §45; *Schopfer v. Switzerland*, §29-30).

მართალია, ადვოკატებს გააჩნდათ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კომენტარის უფლება, მაგრამ მათ კრიტიკას არ უნდა გადაელახა განსაზღვრული მიჯნები. უფრო მეტიც, ადვოკატის სიტყვის თავისუფლება სასამართლოს დარბაზში არ იყო შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, მათ შორის, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა, წარმოადგენდა საკმარის გამართლებას მის შესაზღუდად. ამის მიუხედავად, ადვოკატთა მიმართ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი სასჯელები მათი აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში შეიძლება იყოს

მიჩნეულიყო „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (Nikula v. Finland, §54-55).

ამკარაა, რომ სასამართლოში თავიანთი კლიენტის დაცვისას, ადვოკატები ძალზე ხშირად შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ დელიკატურ ვითარებაში, როდესაც უნდა გადაეწყვიტათ, გაეპროტესტებინათ თუ არა სასამართლოს ესა თუ ის მოქმედება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით; მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისადმი ხალხის ნდობისათვის ისინი ვალდებული იყვნენ, უზრუნველყოთ ეფექტიანი წარმომადგენლობა. საპატიმრო სასჯელის გამოყენება, თავისი ბუნების გამო, უთუოდ იქონიებდა „მსუსხავ ეფექტს“ არა მარტო შეასაბამის ადვოკატებზე, არამედ ადვოკატის პროფესიაზე საერთოდ. ასეთი სასჯელი განსაზღვრულ გარემოებებში შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი ადვოკატის აზრის გამოხატვის თავისუფლების, არამედ მისი კლიენტის (კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული) სამართლიანი გახილვის უფლების დარღვევასაც (Nikula v. Finland, §49; Steur v the Netherlands, §37). შესაძლებელი „მსუსხავი ეფექტი“ უთუოდ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის განსაზღვრისას.

3.2.3.2.2. ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში:

წინამდებარე საქმეში ადვოკატი დაისაჯა ქლიმასოლის ასიზების სასამართლოს წინაშე ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ ადვოკატმა სასამართლო შეურაცხყო თავისი საქციელით.

ვეროპული სასამართლოს დიდ პალატას უნდა შეეფასებინა, რამდენად სამართლიანი ბალანსი იქნა მიღწეული სასამართლოს ავტორიტეტის დაცვასა და ადვოკატის აზრის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

5 დღით პატიმრობა, საერთოდ, ვერ ჩაითვლებოდა ამკარად მკაცრ სასჯელად, თუნდაც იმის მხედველობაში მიღებით, რომ უმაღლესმა სასამართლომ გაიზიარა მისი შესატყვისობა. სასჯელის

სიმკაცრის შეფასებისას აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ასიზების სასამართლოს მიხედვლების თავისუფლება, მაგრამ, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული შემდეგი გარემოებებიც:

მომჩინის კრიტიკა და კომენტარი შემოზღუდული იყო საკითხებით, რომლებიც შეეხებოდა იმ მანერას, რომლითაც ასიზების სასამართლო წარმართავდა მკვლევლობის საქმის განხილვას. არსებობდა ადვოკატის შეუსაბამო საქციელზე რეაგირების არაერთი ალტერნატიული საშუალება.

ასეთ პირობებში საპატიმრო სასჯელი, მისი „მსუსხავი ეფექტის“ გათვალისწინებით, არათანაზომიერად უნდა მიჩნეულიყო დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.

ის გარემოება, რომ მომჩივანმა ბოლომდე არ მოიხადა ეს სასჯელი და იგი კანონის შესაბამისად გაათავისუფლეს, ზემოაღნიშნულ დასკვნაზე ვერ მოახდენდა გავლენას.

დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ ასიზების სასამართლომ ვერ ჩამოაყალიბა სამართლიანი ბალანსი სასამართლოს ავტორიტეტის დაცვისა და ადვოკატის სიტყვის თავისუფლების დაცვის კანონიერ ინტერესებს შორის, ამიტომ კონვენციის მე-10 მუხლი შემზღუდველი ღონისძიების არათანაზომიერების მოტივით, დარღვეულად უნდა მიჩნეულიყო.

4. დასკვნა

ზემოაღნიშნული საფუძველით სასამართლომ:

1) ერთხმად ცნო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა;

2) 16 ხმით ერთის წინააღმდეგ ცნო, რომ არ არსებობდა მომჩინის საჩივრის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განხილვის აუცილებლობა;

3) ერთხმად ცნო, რომ არ არსებობდა მომჩინის საჩივრის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის საფუძველზე განხილვის აუცილებლობა;

¹⁵ განიხილავს თან ახლავს ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა ოთხი სხვადასხვა განსხვავებული აზრი, კერძოდ: 1) სერ ნიკოლას ბრატცასა და ბენ პელონას თანხვედრი აზრი (concurring opinion); 2) ბენი ზუჰმერიჩის თანხვედრი აზრი; 3) ბენი გარლიცკისა და ბენი მარუსტეს თანხვედრი აზრი; 4) ბენი კოსტას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი (partly dissenting opinion).

ბატონების ბრატცასა და პელონას თანხვედრ აზრში“ გადმოცემული განსხვავებული შეხედულებები ორ საკითხს შეეხება, რომლებზედაც მათ არ ვაიზიარეს უმრავლესობის მოსაზრებები, თუმცა ეს განსხვავებული შეხედულებები ისეთ ასპექტებს აკავშირებდა, რომ მათ არ გამოიწვიეს კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლების დარღვევის საკითხზე ხმის მიცემის დროს უმრავლესობისაგან განსხვავებული პოზიციის დაკავება.

პირველი მათგანი შეეხება სასამართლოსადმი უსატყუებლობის საქმეებზე “შემჭიდროებული სამართალწარმოების” გამოყენებას.

ბრატცა და პელონა (ისევე, როგორც მოამსახურე სახელმწიფოსა და საქმეში მე-3 მხარედ ჩართული სახელმწიფოების მთავრობები) უარყოფითად აფასებენ პალატის განჩინების 37-ე პუნქტის დებულებას იმის თაობაზე, თითქოს “შემჭიდროებული სამართალწარმოების” გამოყენება სასამართლოს წინაშე ჩადენილი დარღვევებისათვის პრინციპულად ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს; რომ თითქოს ყოველთვის აუცილებელია, საქმე გამოისახულებად გადაეცეს სათანადო, სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოებს, ხოლო საქმე თ უნდა განიხილოს სხვა სასამართლომ და არა იმავემ, ვის წინაშეც “სასამართლოსადმი უსატყუებლობა” სავარაუდოდ იქნა ჩადენილი.

ბრატცასა და პელონას თქმით, ევროპული სასამართლოს პალატა ძალზე შორს წაივდა, როდესაც ასეთი დასკვნა გააკეთა მათი აზრით, იმავე სასამართლოთა მიერ საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა ყოველთვის როდი წარმოშობს ობიექტურად გამართლებულ ეჭვებს სასამართლოს მიუკერძოებლობის თაობაზე, მაგრამ კარიანეს საქმის შემთხვევაში, სწორედ იმიტომ, რომ იგი მოსამართლეთა წრეგადსულ კრიტიკასა და შეურაცხყოფას შეეხებოდა, მათ მიიჩნიეს, რომ ამ მოსამართლეთა მიუკერძოებლობის თაობაზე ობიექტურად გამართლებული ეჭვები მართლაც შეიძლება წარმოშობილიყო. შესაბამისად, საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის აუცილებლობაც არსებობდა.

(აქლანძმანია, რომ პალატისაგან განსხვავებით, დღემდე პალატაში თავი შეიკავა იმაზე მსჯელობისაგან, თუ საზოგადოდ რამდენად შეესაბამება სასამართლოსადმი უსატყუებლობის საქმეებთან მიმართებაში საერთო სამართალი შემუშავებული “შემჭიდროებული სამართალწარმოების” გამოყენება კონვენციის მე-6 მუხლს. მას არაფერი უთქვამს პალატის განჩინების 37-ე პუნქტში მითითებული დებულების თაობაზე, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ დაისჯიროვნეს ბრატცამ და პელონამ გამოუსატყუებლად თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საზოგადოდ).

მეორე საკითხი შეეხება ასიზების სასამართლოს სუბიექტური მიკერძოებულობის შესახებ დიდი პალატის დასკვნას.

„თანხვედრი აზრის“ ავტორთა შეხედულებით, მოცემულ შემთხვევაში საქმარისი იყო, ევროპული სასამართლო შემოფარგლულიყო მხოლოდ ობიექტური მიუკერძოებლობის შეფასებით, რომლის მიმართაც ეჭვები მართლაც ამკარად გამართლებული იყო შესაბამის გარემოებებში.

ბრატცა და პელონა არ დაეთანხმნენ დიდი პალატის უმრავლესობას, რომელმაც მიიჩნია, რომ ასიზების სასამართლოს მოსამართლეები სუბიექტურად მიკერძოებულები იყვნენ კარიანეს საქმის განხილვისას. ფაქტორები, რომლებიც უმრავლესობამ სუბიექტური მიკერძოებულობის დამადასტურებლად მიიჩნია, მათი აზრით, სრულყოფილ არ მტყვევებდა ამაზე და საქმარისად ვერ ჩათვლებულა მოსამართლეთა მიუკერძოებლობის ძალიან ძლიერი პრეზუმეციის დასაძლეველად. კერძოდ, ის გარემოებები, რომ მოსამართლეებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, რომ წინასწარ გამოხატეს აზრი ადვოკატის საქციელზე, რომ გამოიყენეს პატიმრობის სასჯელი და სხვა, მიანიშნებდა მათ მიუკერძოებლობაში დაცემების ობიექტურად გამართლებულობაზე, მაგრამ არა მათ რეალურ, სუბიექტურ მიკერძოებულობაზე, მათ პირად დანტრეუნებაზე საქმის განხილვის შედეგებით. ბრატცამ და პელონამ მიიჩნიეს, რომ არ არსებობდა საფუძველი ასიზების სასამართლოს მოსამართლეების იმ განცხადებაში ეჭვის შესატყუანად, რომ მათ უწინარესად სასამართლოს ავტორიტეტისა და ღირსების დაცვის საზრუნავი ამოძრავებდა.

აქლან გამოძინარე, მათი აზრით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მხოლოდ ობიექტური მიუკერძოებლობის სტანდარტებთან შეესაბამების საფუძველი უნდა ყოფილიყო აღიარებული.

5. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების თაობაზე

ევროპული სასამართლოს დიდი პალატა დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ კონვენციის მე-6 (1) და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შედეგად ბ-ნმა კიპრიანუმ განიცადა მორალური ზიანი, რომლის კომპენსაციისათვის საკმარისად არ ჩაითვლებოდა ოდენ კონვენციის დარღვევის აღიარება, ამიტომ მან მომჩივანს მიაკუთვნა 15000 ევროს კომპენსაცია. სასამართლომ მომჩივანს განუსაზღვრა 35000 ევრო სასამართლო და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.

48. სეგერსტედ ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ

(Segerstedt-Wiberg and Others v. Sweden)

(N 62332/00)

საქმე შეეხება კომუნისტური და სხვა მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირებზე უშიშროების პოლიციაში არსებულ საიდუმლო მასალებს, რომლებზედაც სრული ხელმისაწვდომობა მომჩივნებს აღკვეთათ კანონის შესაბამისად.

6 ივნისი, 2006 წ.

განჩინება

კონვენციის მე-8, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლები მიჩნეულია დარღვეულად

ფაქტები:

პირველი მომჩივანი (Ingrid Segerstedt Wiberg) ცნობილი გამომცემლის და აქტიური ანტინაციისტის ქალიშვილია. 1958-1970 წლებში იგი იყო პარლამენტის წევრი ლიბერალური პარტიიდან, იმავდროულად – საკონსტიტუციო კომიტეტის წევრი. იგი იყო, აგრეთვე, გაერთიანებული ერების შვედეთის ასოციაციის თავმჯდომარე. შვედეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში იგი ცნობილ ფიგურას წარმოადგენდა. მეორე მომჩივანი (Per Nygrem) იყო შვედეთის ყოველდღიური გაზეთის „Göteborgs-Posten-ის“ ჟურნალისტი, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ნაციზმის საკითხზე. მესამე და მეოთხე მომჩივანი (Steffan Ehnebom, Bengt Frejd) იყვნენ მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური (რევოლუციური) პარტიის (KPML(r) წევრები. მეხუთე მომჩივანი (Herman Schmidt) იყო ევროპის პარლამენტის წევრი, რომელიც ეკუთვნოდა შვედეთის მემარცხენეთა პარტიას.

მომჩივნებისათვის ცნობილი გახდა, რომ შვედეთის უშიშროების პოლიცია მათით დაინტერესებული იყო; 60-70-იან წლებიდან მათ შესახებ არსებობდა საიდუმლო მასალები და ისინი აღრიცხული იყვნენ შესაბამის საიდუმლო რეესტრში. მათი მოთხოვნა, მიეცათ

ნება, გასცნობოდნენ მათ შესახებ არსებულ მონაცემებს, მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. უშიშროების პოლიციამ უარი თქვა მათთვის სრული ინფორმაციის მიწოდებაზე იმ მოტივით, რომ ეს ზიანს მიაყენებდა უშიშროების სამსახურის საქმიანობას და მის მიერ მომავალში გასატარებელ ღონისძიებების ეფექტიანობას. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ „აბსოლუტურად საიდუმლო“ გრიფის ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვები იყო მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. ეროვნულმა სასამართლოებმა გაიზიარეს ეს შეხედულება და ასევე უარი უთხრეს მომჩივნებს ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობაზე. მომჩივნების აზრით, აღნიშნული წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.

სამართლის საკითხები:

1. კონვენციის მე-8 მუხლის შესახებ:

ევროპულმა სასამართლომ პირველ რიგში იმაზე იმსჯელა, წარმოადგენდა თუ არა ხელისუფლების მოქმედება მომჩივნების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. ამასთან, მან ცალ-ცალკე განიხილა ორი საკითხი – გამართლებული იყო თუ არა საკუთრივ ინფორმაციის შენახვის გაგრძელება (*storage of informtion*) და გამართლებული იყო თუ არა ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობაზე ხელისუფლების უარი.

1.1. ინფორმაციის შენახვა

ევროპულმა სასამართლომ უდაოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ინფორმაცია, რომელიც შეგროვებული იყო პოლიციის მიერ და შენახული საიდუმლო რეესტრში (*secret police register*) წარმოადგენდა მონაცემებს, რომლებიც მიეკუთვნებოდა პირადი ცხოვრების სფეროს. ამიტომ ასეთი ინფორმაციის შენახვა,

სტრასბურგის სასამართლოს პრეკედენტული სამართლის მიხედვით, თ ვისთავად წარმოადგენდა პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას.

ევროპულმა სასამართლომ არ უარყო, რომ ასეთი ინფორმაციის შენახვას ეროვნულ კანონმდებლობაში გარკვეული დასაყრდენი გააჩნდა. მაგრამ მიუთითა, რომ კონვენციის ტერმინი „*in accordance with the law*“ მოითხოვდა არა მხოლოდ იმას, რომ ჩარევის ღონისძიება გათვალისწინებული ყოფილიყო კანონით, არამედ კანონის ხარისხიანობასაც, კერძოდ, იმასაც, რომ არ ყოფილიყო დაშვებული პიროვნებაზე ფარული მეთვალყურეობის უფლებამოსილების თვითნებური და ექსცესიური გამოყენების შესაძლებლობა. სასამართლომ დადებითად შეაფასა ეროვნული კანონის (*police data act*) დებულება, რომელიც შეიცავდა პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე პიროვნების აღრიცხვაზე აყვანის საერთო აკრძალვას; აგრეთვე, დებულება, რომლის მიხედვით, პოლიციის საიდუმლო რეგისტრაცია უნდა ემსახურობდეს გამოძიებას, რომლებიც წამოწყებული იყო ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ ფარული დანაშაულისა და ტერორიზმის აღსაკვეთად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს დებულებები არ არღვევდა ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებს და შეიცავდა საკმარის გარანტიებს ხელისუფლების თვითნებური და ექსცესიური გამოყენების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, მან დადგენილად მიიჩნია, რომ „ჩარევა“ იყო „კანონით გათვალისწინებული“.

„ჩარევის აუცილებლობის“ შეფასებისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის შენახვა, თავისთავად, ემსახურობდა კანონიერ მიზანს, კერძოდ – ეროვნული უშიშროების დაცვას. აღნიშნა, რომ მოქალაქეებზე ფარული თვალთვალის (მეთვალყურეობის) განხორციელება კონვენციასთან შესაბამისი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მკაცრად აუცილებელი იყო დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად. ასეთი ჩარევისათვის უნდა არსებულიყო „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი და იგი უნდა ყოფილიყო დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული.

მეორე მომჩივანთან მიმართებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ მის შესახებ არსებული ინფორმაციის (კერძოდ, იმის შესახებ, რომ 1967 წელს იგი მონაწილეობდა ქვარშავაში გამართულ პოლიტიკურ

მიტინგში) შენახვის გაგრძელება ამ ინფორმაციის ხასიათისა და ხანდაზმულობის გამო აღარ იყო დაფუძნებული „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლით“ და გამართლებული ეროვნული უშიშროების დაცვის მოსაზრებებით. იგივე შეფასება მისცა სასამართლომ მეხუთე მომჩინის შესახებ ინფორმაციის შენახვას იმის შესახებ, რომ იგი 1969 წელს მხარს უჭერდა პოლიტიკურ დემონსტრაციის დროს პოლიციის კონტროლისათვის ძალის გამოყენებით წინააღმდეგობის გაწევას. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ინფორმაციის შენახვის გაგრძელება ასევე აღარ შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო 30 წლის შემდეგ.

მესამე და მეოთხე მომჩინებთან მიმართებაში საკითხი უფრო გართულებული იყო, ვინაიდან საქმე შეეხებოდა პოლიტიკურ პარტიაში წევრობის გამო მათ მეთვალყურეობას.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ KPML(r)-ს პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა ერთი სოციალური კლასის გაბატონებას სხვებზე შიდა კანონებისა და ინსტიტუციური წესრიგის საწინააღმდეგოდ. უფრო მეტიც, იგი ითვალისწინებდა შეიარაღებული წინააღმდეგობის (*armed opposition*) გაწევასაც. მაგრამ მხედველობაში მიიღო, რომ მათი პროგრამა არ შეიცავდა ძალადობის დაუყოვნებლივი და გარდაუვალი გამოყენების მოწოდებას და არ შეიცავდა დებულებების იმის შესახებ, რომ ძალადობა წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პოლიტიკური პროგრამა და კონსტიტუცია არ შეიძლებოდა ერთადერთ კრიტერიუმად მიჩნეულიყო. იმავდროულად, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ამ პარტიის ლიდერთა მოქმედებანი და განცხადებანი, რათა შეფასებულიყო, არსებობდა თუ არა რეალურად ამ პარტიის წევრთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და შენახვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, მხოლოდ პარტიის პროგრამას ეფუძნებოდა და არ არსებობდა რაიმე სპეციფიური გარემოებანი, რომლებიც იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ პროგრამის დებულებები მართლაც ასახული იყო ამ პარტიის საქმიანობაში და მის ლიდერთა

განცხადებებში და არსებობდა აქტუალური ან თუნდაც პოტენციური მუქარა ეროვნული უშიშროებისათვის 30 წლის, ანუ მას შემდეგ, რაც პარტიამ დაიწყო თავისი არსებობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 1999 წელს მესამე და მეოთხე მომჩივნების მიმართ ინფორმაციის შენახვის გაგრძელება წარმოადგენდა მათ პირად ცხოვრებაში არათანაზომიერ ჩარევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ინფორმაციის შენახვის გაგრძელება მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მომჩივანთან მიმართებაში წარმოადგენდა მათი პირადი ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას და ცნო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

რაც შეეხება პირველ მომჩივანს, მასთან მიმართებაში სასამართლომ განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მან გაითვალისწინა, რომ ინფორმაცია ამ მომჩივნის მიერ მუქარის წერილების მიღების შესახებ და მის საფუძველზე მეთვალყურეობის განხორციელება, მოტივირებული იყო საკუთრივ მომჩივნის და, აგრეთვე, სხვა პირების უსაფრთხოების დაცვის ინტერესებით და ამიტომ „არათანაზომიერ ჩარევაზე“ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. შესაბამისად მან არ ცნო მისი პირადი ცხოვრების უფლების დაცულობის დარღვევა.

1.2. უარი ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობაზე.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით (*Klass and others v. Germany*, judgment of 6 September 1978) *leander v. Sweden*, judgment of 26 March 1987), პოლიციის სახელმწიფო საიდუმლო რეესტრის (*National secret police register*) სრულ ხელმისაწვდომობაზე უარი აუცილებლად ჩაითვლებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესაც სახელმწიფოს გააჩნდა საფუძველიანი შიში, რომ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნება დააზარალებდა საიდუმლო მეთვალყურეობის სისტემის ქმედითობას, რომელიც შექმნილი იყო ეროვნული უშიშროების დასაცავად და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეროვნულმა ხელისუფლებამ, მათ შორის,

სასამართლომ მიიჩნიეს, რომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის გამჟღავნება დააზარალებდა ამ სისტემას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა რაიმე საფუძველი მათგან განსხვავებული დასკვნის გამოსატანად. შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ მოპასუხე სახელმწიფო მოქმედებდა შეფასების თავისუფლების ფარგლებში და მას შეეძლო გადაეწყვიტა, რომ ეროვნული უშიშროებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზები გადასწონიდა ინდივიდების ინტერესებს, გაცნობოდნენ სრულ ინფორმაციას მათ შესახებ, რომელიც არსებობდა უშიშროების პოლიციის საიდუმლო რეესტრში. შესაბამისად, ამ მიმართებაში მან არ ცნო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

2. კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევის შესახებ

მოძრინებმა მიუთითეს, რომ საიდუმლო ინფორმაციის შენახვა, როგორც პოლიტიკურ დისიდენტებზე თვალყურის დევნის საშუალება, წარმოადგენდა მათი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. გარდა ამისა, შესაბამისი პოლიტიკური პარტიებისადმი მათი კუთვნილება წარმოადგენდა ცენტრალურ ფაქტორს საიდუმლო ინფორმაციის შენახვის გადაწყვეტილების მიღებისას. ეს კი წარმოადგენდა გაუმართლებელ ჩარევას მათ უფლებაში, რომელიც კონვენციის მე-11 მუხლით იყო უზრუნველყოფილი.

მოპასუხე მთავრობის აზრით, ცალკე საკითხი მე-10 და მე-11 მუხლებთან მიმართებაში არ წარმოიშობოდა. მათ შესახებ ინფორმაციის შენახვას არავითარი ზიანი არ მიუყენებია შესაძლებლობისათვის, განეხორციელებინათ მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები. მოძრინები თავისუფლები იყვნენ, გააჩნდათ საკუთარი შეხედულებები და შესაძლებლობა, გამოეთქვათ ისინი. ამას არ დაურღვევია არც მათი უფლება, ესარგებლათ ასოციაციების თავისუფლებით. მოპასუხე მთავრობამ მოითხოვა ამ მიზეზების გამო საჩივრები მიუღებლად ყოფილიყო გამოცხადებული, როგორც „აშკარად უსაფუძვლო“.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოძრინებთან საჩივრები მე-10 და მე-11 მუხლებთან დაკავშირებით, შეეხებოდა მათ

პოლიტიკურ თავისუფლებაზე იმ უარყოფით ეფექტს, რომელიც გამოწვეული იყო მათ შესახებ ინფორმაციის შენახვით პოლიციის საიდუმლო რეესტრში. მართალია, მომჩივნებმა კარგად ვერ ახსნეს, თუ რით გამოიხატა ის, რომ საიდუმლო რეესტრში მათი აღრიცხვაზე აყვანამ შესაბამის გარემოებებში გამოიწვია მათი მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევა, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, პირადი მონაცემების შენახვა, რომელიც შეეხებოდა მათ პოლიტიკურ შესვლულებებს, დამოკიდებულებებსა და საქმიანობას, რომელიც გაუმართლებელი იყო მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, *ipso facto* წარმოადგენდა მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას. შესაბამისად, მიიჩნია, რომ პირველი მომჩივნის გარდა (ვის მიმართაც მე-8 მუხლის დარღვევა არ იქნა აღიარებული) დანარჩენ ყველა ოთხ მომჩივანს დაურღვა მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

სასამართლომ, აგრეთვე, დარღვეულად ცნო კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა ყველა მომჩივნის მიმართ.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

სასამართლომ მომჩივნებს განუსაზღვრა კონპენსაცია მორალური ზიანისათვის:

პირველ მომჩივანს – 3000 ევრო.

მეორე და მეხუთე მომჩივანს – თითოეულს 7000 ევრო.

მესამე და მეოთხე მომჩივანს – თითოეულს 5000 ევრო.

აგრეთვე, 20000 ევრო ერთობლივად, გაწეული სასამართლო და სხვა ხარჯებისათვის.

49. მანოლე და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ
(Manole v. Moldova)
(N 13936/02)

საჩივარი შეეხება ხელისუფლების მიერ სატელევიზიო კომპანიაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში უხეში ჩარევის ფაქტებს

გაგზავნილია კომუნიკაციაზე

საჩივრის არსი:

პირველი ცხრა მოძივანი არის ჟურნალისტი, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო კომპანიაში „ტელერადიო მოლდოვა“. მეათე მოძივანია ამ კომპანიის საგაფიცო კომიტეტი. ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მათ მიუთითეს, რომ, მართალია, ამ კომპანიაში ცენზურა მისი დაარსების დღიდან ყოველთვის არსებობდა, მაგრამ 2001 წლის თებერვლიდან, კომუნისტური პარტიის მიერ არჩევნების მოგების შემდეგ, ვითარება კომპანიაში სრულიად აუტანელი გახდა. მოძივნები ამტკიცებენ, რომ არც ერთი ოპოზიციური პარტიისათვის ეთერი ხელმისაწვდომი არ იყო და რომ ნებისმიერი პროგრამა, თუკი მასში მმართველი პარტიისაგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები იყო გამოთქმული, იკრძალებოდა ეთერში გასასვლელად.

2002 წლის თებერვალში მოძივნების მითითებით, სატელევიზიო კომპანიას აუკრძალეს გადაეცათ რაიმე ინფორმაცია მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციების შესახებ. საქმე ისე დაიძაბა, რომ თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს საპროტესტო განცხადებას და დაიწყეს პასიური გაფიცვა. იმის მიუხედავად, რომ თავიდან ხელისუფლებასა და კომპანიის თანამშრომლებს შორის მიღწეულ იქნა გარკვეული კომპრომისი, მოგვიანებით ტელესტუდიაში გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა და მისი შენობა დაიკავეს საბრძოლო ქვედანაყოფებმა. გაფიცვის ხელმძღვანელი

გაათავისუფლეს სამსახურიდან და დასაჯეს დისციპლინური წესით. პირველი მომჩივანი (მანოლე) მოუთითებს, რომ იგი გაანთავისუფლეს ახალი ამბების განყოფილების უფროსის თანამდებობიდან და აიძულებს ტელევიზიიდან წასვლა ტელევიზიაში 22 წლის მუშაობის შემდეგ. დანარჩენი მომჩივნები ასევე ასახელებენ სახელმწიფოს მხრიდან სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მაგალითებს, როგორცაა პროგრამების ეთერში გაშვების აკრძალვა, განსაზღვრულ პირთა ტელემთაუწყებლობისადმი დაშვების შეზღუდვა, პროგრამათა ტრანსლიაციის გაუქმება ეთერში გასვლის წინა წუთებში და მრავალი სხვა.

საჩივარი კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში კომუნიცირებულია მოპასუხე სახელმწიფოსთან.

50. მელნიჩუკი უკრაინის წინააღმდეგ
(Melnychyk v. Ukraine)
N 28743/03

საჩივარი შეეხება გაზეთის რედაქტორის უარს, გამოეკვეყნებინა მომჩივნის საპასუხო წერილი მისი ლექსების კრებულის შესახებ ამავე გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ სტატიაზე

5 ივლისი, 2005წ.
გადაწყვეტილება

საჩივარი მიჩნეულია მიუღებლად, როგორც “აშკარად უსაფუძვლო”

საჩივრის არსი:

მომჩივანი მიკოლა მელნიჩუკი უკრაინის მოქალაქეა, დაბადებულია 1929 წელს და ცხოვრობს ქბერლიჩივში (უკრაინის ჟიტომირის მხარე).

1996 წელს ადგილობრივმა გაზეთმა „ბერდიჩევსკა ზემლია“ (*Berdychyevska Zemlya*) გამოაქვეყნა ბ-ნი P-ს კრიტიკული წერილი მომჩივნის მიერ დაწერილ წიგნზე.

2001 წლის 26 იანვარს იმავე გაზეთმა გამოაქვეყნა ბ-ნი P-ს სხვა სტატია მომჩივნის მიერ დაწერილ ახალ წიგნზე, კერძოდ, ლექსების კრებულზე. სტატიაში მომჩივნის შემოქმედება შეფასებული იყო, როგორც უსულო პოეზია და “აბსურდის თეატრი”. ნათქვამი იყო, რომ ის, ვისაც არ გააჩნდა ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა და უგულვებელყოფდა ენობრივ წესებს, ვერ ჩაითვლებოდა „პოეტად“. სტატიაში მოყვანილი იყო არაერთი მაგალითი მომჩივნის ახალი წიგნიდან, სადაც უკრაინულ ტექსტში გამოყენებული იყო რუსული სიტყვები. სტატიაში ავტორი მომჩივნის წიგნის სპონსორებსაც მიმართავდა და რჩევას აძლევდა. მისი აზრით, გაცილებით აჯობებდა, მათ ფული ქველმოქმედებისათვის დაეხარჯათ, ვიდრე საეჭვო ღირსების წიგნის პუბლიკაციისათვის. ავტორის შეხედულებით, ასეთი წიგნების არსებობა მხოლოდ ზიანის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო, განსაკუთრებით კი – სკოლის

მოსწავლეებისათვის, რომლებსაც შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ დაბეჭდილი სიტყვა ენობრივ ნიმუშს წარმოადგენდა.

2001 წლის 14 აპრილს მომჩივანმა წერილობითი პასუხი წარუდგინა „ბურდიჩევსკა ზემლიას“ რედაქციას და მოითხოვა მისი გამოქვეყნება. „პასუხში“ ბ-ნ P-ს (რომელიც იყო მწერალთა კავშირის წევრი), მომჩივანი უწოდებდა სიტყვას („УЛИН“), რომელიც ვულგარულ ენაზე ფართოდ გამოიყენება „პენისის“ მნიშვნელობით. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ P-ს შურდა მისი პოპულარობისა; მომჩივანი თავის თავს ადარებდა იმ მწერლებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იღვენებოდნენ. P დაადანაშაულა აღკოპოლიზმში, აგრეთვე, იმაში, რომ იგი თავისი პოლიტიკური რეიტინგის ამაღლებას სხვა მწერალთა კრიტიკით ცდილობდა და უწოდა მას „არაკაცი“ (ВИДЛЮДОК).

მომჩივანს პასუხის გამოქვეყნებაზე უარი უთხრეს. 2002 წლის მაისში მომჩივანმა აღძრა სარჩელი „ბურდიჩევსკა ზემლიას“ წინააღმდეგ და მოითხოვა იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც განიცადა ზემოაღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შედეგად. ამის გარდა, მან სასამართლოს მოსთხოვა, დაევალებულიყვნა გაზეთი, გამოქვეყნებინა მისი პასუხი.

სასამართლოზე გაზეთის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათი უარი განპირობებული იყო მომჩივნის პასუხში შეურაცხმყოფელი და უხამსი გამონათქვამებით. ამის შესახებ მას წერილობით შეატყობინეს და ურჩიეს თავისი პასუხის რედაქტირება. მომჩივანი კი ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონდა მიღებული წერილობითი პასუხი და უარი მხოლოდ ტელეფონით შეატყობინეს.

სასამართლომ (2002 წ. 27 სექტემბერი) საქმე მომჩივნის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა. მან აღნიშნა, რომ ბ-ნმა P-მ გამოაქვეყნა თავისი პირადი შეხედულება მომჩივნის ლიტერატურული შემოქმედების ღირსებებზე. გაზეთის უარი, გამოექვეყნებინა მომჩივნის პასუხი, განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მასში უხამსი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით. უარის ასეთი საფუძველი კი გათვალისწინებული იყო პრესის კანონის 37-ე მუხლით.

მომჩივანმა იჩიულა ჟიტომირის სააპელაციო სასამართლოში და მათ შორის მიუთითა ისიც, რომ პრესის კანონის 37-ე მუხლი

მას ნებას რთავდა, მოეთხოვა მის შესახებ ყალბი და დიფამაციური ინფორმაციის რექტიფიკაცია (გასწორება).

სააპელაციო სასამართლომ (2002 წ. 16 დეკემბერი) ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მან მიუთითა, რომ სადავო სტატია შეიცავდა მხოლოდ მოსაზრებებს და არა ფაქტებს, ამიტომ მისი შინაარსის სინამდვილესთან შესაბამისობა ვერ შემოწმდებოდა.

უკრაინის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ უარი უთხრა მომჩივანს საქმის საკასაციო წესით განხილვაზე.

* * *

რემედიანტიური სამართაშორისო სამართალი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია ((74)26) პასუხის გაცემის უფლების შესახებ (ინდივიდის მდგომარეობა პრესასთან ურთიერთობის დროს).

რელევანტური ამონარიდები რეზოლუციიდან:
„მინისტრთა კომიტეტი...

რეკომენდაციას აძლევს წევრ მთავრობებს, რომ ინდივიდის მდგომარეობა პრესასთან ურთიერთობის დროს შეესაბამებოდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ინდივიდს, რომლის შესახებაც მედიის ამა თუ იმ საშუალებაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, უნდა გააჩნდეს მის შესახებ უსწორო ინფორმაციის დაუყოვნებლივ შესწორების ეფექტიანი შესაძლებლობა, თუ მისი დაინტერესება ინფორმაციის შესწორებისადმი გამართლებულია. შესწორება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იყოს, ისეთივე საცნაური და მკაფიო, როგორიც თავდაპირველი ინფორმაცია.

ბ) ინდივიდს, რომლის შესახებაც მედიის ამა თუ იმ საშუალებაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, უნდა გააჩნდეს ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი იმ ფაქტებისა და აზრების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ თავდასხმას ღირსებაზე, პატივსა ან რეპუტაციაზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2004) 16 წვერი სახელმწიფოსათვის პასუხის გაცემის უფლების შესახებ ახალი მედიის გარემოში.

რელევანტური ამონარიდები რეკომენდაციიდან:

1) პასუხის გაცემის უფლების ფარგლები

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მოქალაქეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, უნდა გააჩნდეს პასუხის გაცემის ან ეკვივალენტური სამართლებრივი მისაგებლის უფლება, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, რეაგირება მოახდინოს მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე ისეთი უზუსტო (*inaccurate*) ფაქტების შესახებ, რომელიც ზიანს აყენებს მის პირად უფლებას.

5) გამონაკლისები

გამონაკლისის სახით ეროვნულმა სამართალმა ან პრაქტიკამ შეიძლება გაითვალისწინოს მედიის უარი პასუხის გაცემის მოთხოვნაზე შემდეგ შემთხვევებში:

... თუ პასუხი არ არის შემოზღუდული სადავო ფაქტების შესწორებით.

8) დავის გადაწყვეტა

თუ მედია უარს იტყვის პასუხის საჯაროდ გაცემის მოთხოვნაზე, ანდა პასუხი არ არის გაცემული საჯაროდ და დამაკმაყოფილებელი ფორმით, პირს, რომელსაც საქმე შეეხებოდა, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, დავა გადასაწყვეტად გადასცეს სასამართლოს ანდა სხვა ორგანოს, რომელიც უფლებამოსილი იქნება, დაავალდებულოს პასუხის პუბლიკაცია.

ბეჭდვითი მედიის (პრესა) აქტი

რელევანტური ამონარიდები:

მუხლი №3. ბეჭდვითი მასმედიის საქმიანობის თავისუფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

უნდა აიკრძალოს ბეჭდვითი მასმედიის გამოყენება მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის ანდა მათ პატივსა და ღისრებაზე თავდასხმის მიზნით.

მუხლი №37. ინფორმაციის რექტიფიკაცია

... რელაქციამ უარი უნდა განაცხადოს პასუხის გამოქვეყნებაზე თუ ის არღვევს ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებს.

რელაქციამ პასუხის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს მომჩივანს მის პუბლიკაციაზე უარის შესახებ და მიუთითოს უარის საფუძველი (პ.1).

* * *

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივანმა მიუთითა, რომ მას დაერღვა გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემის უფლება, რაც ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით იყო ნაგულისხმები.

გადანყვიტილება:

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასუხის გაცემის უფლება წარმოადგენდა აზრის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვან ელემენტს. ეს გამომდინარეობდა არა მარტო იმ საჭიროებიდან, რომ ადამიანს ჰქონდა შესაძლებლობა, სადავოდ ექცია მის შესახებ გავრცელებული მცდარი ინფორმაცია, არამედ იქიდანაც, რომ უზრუნველყოფილიყო აზრთა სიმრავლე, განსაკუთრებით კი – საერთო ინტერესის, მათ შორის, ლიტერატურისა და პოლიტიკის საკითხებზე.

ამავე დროს, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ისიც, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები

ამ უფლებაზეც ვრცელდებოდა. სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყო ინდივიდის აზრის გამოხატვის თავისუფლება, არ გულისხმობდა კერძო პირის ან ორგანიზაციის ხელშეუვალ უფლებას, ჰქონოდა მედიაზე ხელმისაწვდომობა თავისი აზრების გამოსამხურებლად (*X. and the Association Z. v. the United Kingdom*, no 4517/70. Commission decision of 12 July 1971; Yearbook 14. p. 538; *Stiftelsen Contra v. Sweden*, no 12734/87; Commission decision of 9 December 1998, unpublished, and mutatis mutandis, *Murphy v. Ireland*, no 44179/98, s.61. ECHR 2003-X (extract)).

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საერთო პრინციპის მიხედვით, გაზეთები და კერძო მედიის სხვა საშუალებები ახორციელებდნენ რედაქციულ თავისუფლებას იმის გადაწყვეტისას, გამოექვეყნებინათ თუ არა ესა თუ ის სტატია, კომენტარი თუ წერილი, რომლებიც წარმოდგენილი იყო კერძო პირთა მიერ. თუმცა ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოებების არსებობის დროს, მედიას კანონიერად მოეთხოვებოდა გამოექვეყნებინა ესა თუ ის მასალა, მაგალითად რეტრაქცია (გამოსწორება), ბოდიშის მოხდა ან განაჩენი დიფამაციის საქმეზე. შესაბამისად, ზოგიერთ ვითარებაში წარმოიშობოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყო ინდივიდის აზრის გამოხატვის თავისუფლება შესაბამის მედიაში (*Winer v. the United Kingdom*, no 10871/84; Commission decision of 10 July 1986, DR 48. p.154 and *Earl Spencer and Countess Spencer v. the United Kingdom*, nos. 28851/95 and 28852/95, Commission decision of 16 January 1998, Decisions and Reports (DR) 25, p.56). ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო, რომ მედიის ხელმისაწვდომობაზე უარი არ ყოფილიყო თვითნებური და არათანაზომიერი ჩარევა ინდივიდის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში და რომ ნებისმიერი ასეთი უარის გასაჩივრება შესაძლებელი ყოფილიყო უფლებამოსილ შიდა სასამართლოში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლება იმის უზრუნველყოფით, რომ მას ჰქონოდა შესაძლებლობა, პირველ რიგში, პასუხის გაცემისა მისდამი კრიტიკაზე

თავისი მოსაზრების პუბლიკაციის გზით და, მეორე რიგში, გაზეთის უარის გასაჩივრებისა სასამართლოში.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს გააჩნდა შესაძლებლობა, წარმოედგინა თავისი პასუხი გაზეთში გამოსაქვეყნებლად. უარი განაპირობა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ მომჩივანი გასცდა გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემის დასაშვებ ფარგლებს, რამდენადაც გამოიყენა უხამსი, უცენზურო და შეურაცხმყოფელი გამოთქმები. გარდა ამისა, საქმის მასალები მოწმობდნენ, რომ მომჩივანს შესთავაზეს თავისი „პასუხის“ მოდიფიცირება, მაგრამ მან უარი თქვა ამის გაკეთებაზე. მას ჰქონდა იმის შესაძლებლობაც, პასუხის გაცემის თავისი უფლება დაეცვა სასამართლოს წინაშე რომელმაც დაპირისპირებული ინტერესები მომჩივნის საწინააღმდეგოდ დააბალანსა. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებში თვითნებობის არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა და მათ მიერ მიღწეული ბალანსი სამართლიანი იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმები პოზიტიური ვალდებულებები სახელმწიფოს დარღვეული არ ჰქონდა. შესაბამისად, მან მომჩივნის საჩივარი „აშკარად უსაფუძვლოდ“ მიიჩნია და ერთხმად ცნო იგი მიუღებლად.